

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი იურიდიული ფაკულტეტი


ალექსანდრე წულაძე

„სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ეგრო-ამერიკულ პრიზმაში“

სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი – გიორგი ცერცვაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი,
სამართლის დოქტორი



თბილისი, 2016 წ.

აბრევიატურა	5
I. შესავალი	6
II. მედიაციის მოდელის განმსაზღვრელი კომპონენტები	13
1. მედიაციის როგორც დავის გადაწყვეტის საშუალების, ძირითადი ნიშნები	13
1.1 დავის გადაწყვეტის მბოჭავი და არამბოჭავი საშუალებები	14
1.2 ინტერესებსა და უფლებებზე დამყარებული პროცესების სხვაობა	15
1.3 კონფიდენციალობა როგორც მედიაციის შემადგენელი ნაწილი	18
2. ნებაყოფლობითობა როგორც მედიაციის მოდელის განმსაზღვრელი კომპონენტი	20
2.1 სავალდებულო მედიაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები	22
2.2 ნებაყოფლობითი მედიაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები	26
3. ნორმატიული რეგულირება როგორც მედიაციის მოდელის განმსაზღვრელი კომპონენტი	28
3.1 საერთაშორისო რეგულირება	31
3.1.1 UNCITRAL	33
3.1.2 ევროკავშირის დირექტივები	36
3.1.3 საერთაშორისო კომერციული სამედიციო ცენტრების რეგულაციები	38
3.2 „რბილი სამართალი“ (Soft Law) როგორც მედიაციის მოდელის განმსაზღვრელი კომპონენტი	39
3.2.1 მედიატორთა პროფესიული სტანდარტი როგორც მედიაციის მოდელის განმსაზღვრელი ფაქტორი	40
4. მედიატორის სტილი როგორც მოდელის განმსაზღვრელი კომპონენტი	43
4.1 ხელშემწყობი მედიაციის სტილი	45
4.2 შეფასებითი მედიაციის სტილი	46
4.3 გარდაქმნითი მედიაციის სტილი	48
III. ევროპული მოდელი	51
1. მედიაციის რეგულირების გერმანული მოდელი	52
1.1 ძირეული საკითხების რეგულირების ფორმა	53
1.1.1 სავალდებულო მედიაცია	55
1.1.2 მედიაციის ცნება	58
1.1.3 კონფიდენციალობის პრინციპი	58
1.1.4 სამედიაციო შეთანხმება	59

1.2	მედიატორთა პროფესიული სტანდარტი-----	62
1.2.1	აკრედიტაციის საკითხი-----	62
1.2.2	მედიატორის ვალდებულებები-----	63
1.3	მედიაციის პროცესუალური საკითხები-----	65
1.3.1	პროცესის ხარჯები და ვადები -----	65
1.3.2	მედიის შედეგად მიღწეული შეთახმების ფორმა და მისი აღსრულება-----	67
1.4	მედიაციის განვითარების ტენდენციები გერმანიის ფედერაციაში	70
2.	მედიაციის რეგულირების ავსტრიული მოდელი-----	72
2.1	ძირეული საკითხების რეგულირების ფორმა-----	74
2.1.1	მედიაციის ცნება-----	74
2.1.2	ნებაყოფლობითი მედიაცია -----	75
2.1.3	კონფიდენციალობა-----	76
2.1.4	სამედიაციო შეთანხმება-----	78
2.2	მედიატორთა პროფესიული სტანდარტი-----	79
2.2.1	აკრედიტაციის საკითხი-----	79
2.2.2	მედიატორის ვალდებულებები-----	80
2.3	მედიაციის პროცესუალური საკითხები -----	82
2.3.1	მედიაციის პროცესის წამოწება-----	82
2.3.2	პროცესის ხარჯები და ვადები -----	83
2.3.3	მედიის შედეგად მიღწეული შეთახმების ფორმა და მისი აღსრულება-----	84
2.4	მედიაციის განვითარების ტენდენციები ავსტრიის რესპუბლიკაში	86

IV. ამერიკის შეერთებული შტატების მედიაციის მოდელი----- 88

1.	მედიაციის გზით დავის გადაწყვეტის კულტურის ფორმირება და მისი მახასიათებლები -----	88
2.	მედიაციის სამართლებრივი რეგულირება-----	94
2.1	ფედერალური რეგულირება-----	94
2.1.1	უნიფირებული აქტი-----	95
2.2	მედიაციის რეგულირება კალიფორნიის შტატში-----	98
2.3	მედიაციის რეგულირება ფლორიდის შტატში -----	102
3.	ძირეული საკითხების რეგულირების სპეციფიკა-----	106
3.1	მედიაციის ცნება -----	106
3.2	პროცესის კონფიდენციალურობა -----	107
3.3	მედიატორის პრივილეგია -----	109
3.4	მედიატორთა პროფესიული ვალდებულებები -----	111
4.	პროცესუალური საკითხების რეგულირების სპეციფიკა-----	113
4.1	მედიაციის წამოწება-----	113
4.2	სამედიაციო მომსახურების საფასური და ვადები-----	116

4.3 მედიის შედეგად მიღწეული შეთახმების აღსრულება -----	118
5. მედიაციის განვითარების ტენდენციები აშშ-ში-----	119
V. სასამართლო მედიაციის მოდელი საქართველოში -----	121
1. მორიგებით დავების გადაწყვეტის ისტორიული გამოცდილება ქართულ სამართალში -----	121
1.1 მორიგება ქართულ ჩვეულებით სამართალში -----	121
1.2 ქართული მედიაციის ილია ჭავჭავაძისეული კონცეფცია-----	123
2. სასამართლო მედიაცია კანონმდებლობის მიღებიდან ოთხი წლის შემდეგ-----	129
2.1 სასამართლო მედიაციის მომწესრიგებელი კანონდებლობის ანალიზი-----	129
2.2 ობილისის საქალაქო სასამართლოს მედიაციის საპილოტე პროექტის პრაქტიკის ანალიზი-----	138
2.3 სასამართლო მედიაციის გამოწვევები საქართველოში-----	139
3. საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციები -----	142
3.1 მიხეილ ბლეხმანის, საქართველოში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების შეფასება-----	142
3.2 დავების გადაწყვეტის ევროპული ცენტრის (ალეშ ზალარის) ანგარიში -----	144
3.3 „ფონდ სამართლის უზენაესობის ინიციატივის“ (ვიქტორ შახტერის) მიერ საქართველოში სასამართლო მედიაციის პროგრამის შეფასება -----	148
VI. დასკვნა -----	151
ბიბლიოგრაფია:-----	161

აბრევიატურა

ქართულ ენაზე:

გერ.	გერმანული
იბ.	იხილე
თბ.	თბილისი
ინგ.	ინგლისურად
მთარგ.	მთარგმნელი
რედ.	რედაქტორი
სსკ	საქართველოს სამოქოლაქო კოდექსი
სსსკ	საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
ტ.	ტომი

უცხოურ ენებზე:

ADR	Alternative Dispute Resolution
Art.	Article
BGB	Bürgerliches Gesetzbuch, Code of Civil Law
CEDR	Center of Effective Dispute Resolution
Ed.	Editor
EGZPO	Gesetz, betreffend die Einführung der Zivilprozeßordnung, Introduction to the Civil Procedure
JAMS	Judiciary Arbitration Mediation Services
MLICC	Model Law on International Commercial Conciliation
No.	Number
Para.	Paragraph
UMA	Uniform Mediation Act
UNCITRAL	United Nations' Commission on International Trade Law
Vol.	Volume
ZPO	Zivilprozessordnung, Code of Civil Procedure

I. შესავალი

„არაფერია იმაზე რთულად დასაგეგმი, ნაკლებად საგარაუდო რომ
წარმატებული იქნება და უფრო რთული თავის მოსაბმელად,
გიდრე ახალი ძეთოდის დანერგვა“

ნიკოლო მაკიაველი

კონფლიქტი ადამიანთა ურთიერთობების განუყრელი ნაწილი და
ბუნებრივი კომპონენტია. როგორი მოწესრიგებულიც არ უნდა იყოს სა-
ზოგადოებრივი ყოფა და როგორ გამართულადაც არ უნდა მუშაობდნენ
სამართლებრივი ინსტიტუტები, სოციალურ კონფლიქტებს თავიდან ვერ
ავიცილებთ, რადგან ის ადამიანთა ურთიერთობის თანმდევი მოვლენაა,¹
რომელსაც როგორც დადებითი ისე უარყოფითი შედეგის მოტანა შეუძ-
ლია.² თუ რიგ შემთხვევებში კონფლიქტი დაპირისპირების, ძალადობისა
და განადგურების საფუძველი ხდება, სხვა შემთხვევებში იგი ახალი იდე-
ების, შესაძლებლობებისა და წინსვლის საწინდარი შეიძლება აღმოჩნდეს.
შესაბამისად, კონფლიქტის შედეგად წარმოქმნილი ენერგიის პოზიტიუ-
რად გამოყენების შემთხვევაში იგი მშვიდობის, პროგრესისა და მრავალ-
ფეროვნების საფუძველი ხდება.

საუკუნეებია, ცივილიზებულ საზოგადოებაში კონფლიქტის გადა-
საწყვეტად ადამიანები მიმართავენ სასამართლოს. შეგვიძლია, ვივარაუ-
დოთ, რომ ამდენივე ხანია იურისტები არ წავეტენ ფიქრს დავის გადაწ-
ყვეტის ახალი, კიდევ უფრო ეფექტიანი და ყაირათიანი მეთოდების მოსა-
ძიებლად.³ თუმცა ვინაიდან სასამართლო საქმის სამართლიანად გადაწ-
ყვეტის მიზნით დავას განიხილავს კანონის ნორმათა და ინდივიდთა უფ-
ლებებზე დაყრდნობით, მხარეთა რეალური ინტერესები, საჭიროებები და
ემოციები რიგ შემთხვევებში უგულებელყოფილი რჩება, რაც ხშირად იწ-
ვევს პროცესით ორივე მხარის უკმაყოფილებას. მიუხედავად იმისა, რომ
შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებულ სასამართლო პროცესის შემ-
დეგ, როგორც წესი, ერთ-ერთი მოდავე მხარეა გამარჯვებული, ხშირად სა-
სამართლო პროცესის ხანგრძლივობის, სიძვირისა და მხარეთა მიერ ურ-
თიერთდაპირისპირებაზე დახარჯული ადამიანური რესურსის გამო პრო-
ცესით ორივე მხარე დაზარალებულია, ხოლო გამარჯვება – მოჩვენებითი.⁴

მართლმსაჯულების აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრე-
ლად გასული საუკუნის 70-იან წლებში აშშ-ის სასამართლო სისტემის
წინაშე დაისვა საკითხი დავის გადაწყვეტის ისეთი ალტერნატიული საშუ-
ალებების შექმნის შესახებ, რომელებიც მოდავე მხარეებს მისცემდა ოპ-
ტიმალური გამოსავლის მოძიების, მხარეებს შორის ურთიერთობის შენარ-
ჩუნებისა და ორივე მხარისათვის მისაღები მორიგებით დავის დასრულე-

¹ *Buhring-Uhle C., Kirchhoff L., Scherer G., Arbitration and Mediation in International Business*, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2006, 166.

² *Moore W. C.*, *The Mediation Process: Practical Strategies for Resolving Conflicts*, Third Edition, Jossey-Bass, San Francisco, 2003, 466.

³ *Goldsmith J. C., Ingen-Housz A., Pointon G. H.*, *ADR in Business: Practice and Issues Across Countries and Cultures*, Vol. II, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2011, 4.

⁴ *Bevan A.*, *Alternative Dispute Resolution*, Sweet & Maxwell, London, 1992, 1.

ბის შესაძლებლობას. მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში აშშ-ის მართლმსაჯულების წინაშე წარმოშობილ გამოწვევასთან გამკლავების ერთ-ერთი საშუალება ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში გავრცელებული დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდი – მედიაცია აღმოჩნდა. მედიაცია მოდავე მხარეებს შორის სწორი კომუნიკაციისა და თანამშრომლობითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებით კონფლიქტის მშვიდობიან ტრანსფორმირებას ახდენს. სწორედ ამიტომ მისი დახმარებით დავის რეგულირება პროცესში მონაწილე ყველა მხარისათვის მომგებიანია.

ბოლო წლებში განსაკუთრებით გაიზარდა მედიაციის როლი და მნიშვნელობა⁵ მთელი მსოფლიოს მასშტაბით, მათ შორის, სულ უფრო და უფრო მატულობს მედიაციის მიმართ ინტერესი ევროკავშირის ქვეყნებში. მზარდია ტენდენცია მედიაციის საშუალებით სხვადასხვა კატეგორიების დაგათა გადაწყვეტის მიმართულებითაც. აღნიშნულს ადასტურებს 2008⁶ და 2013⁷ წლების ევროკავშირის დირექტივები, რომელთა მიღებას მოჰყვა მედიაციის, როგორც პრაქტიკული დირექტივების, აღიარება; ასევე იმატა მის მიმართ ინტერესმა ქართულ სამეცნიერო წრეებშიც.⁸ კერძოდ, თუ საწყის ეტაპზე მედიაცია ძირითადად კერძო სამართლის დავებზე გამოიყენებოდა, დღეისათვის ადარავის უკიორს მისი საჯარო სამართლის დავებზეც გამოყენება. უფრო მეტიც, დასაგლური ცივილიზაციის ქვეყნებში დღეისათვის მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება, კონფლიქტის გადაწყვეტის იმდენად პოპულარული მეთოდია, რომ მას აკადემიურ წრეებში ხშირად ალტერნატიულის ნაცვლად აღმგატურ საშუალებასაც კი უწოდებენ.⁹

არ შეიძლება ითქვას, რომ მედიაციისადმი ინტერესი სასამართლოში დავების შეფერხების შედეგად გამოწვეული დროებითი ტენდენციაა. პირიქით, ის აღიქმება როგორც მართლმსაჯულების სისტემის შემადგენელი,¹⁰ ახალი და უაღრესად მიმზიდვებით კომპონენტი, რითიც სხვა სიკუთებთან ერთად უმჯობესდება მხარეთა პროცესში მონაწილეობის ხარისხსაც.¹¹ ლორდ ფილიპსის¹² სიტყვებით: „დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების განვითარებას ალტერნატივა არ გააჩნია“.¹³ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უყოფანოდ შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე მსოფლიოში სამართლის ამოცანა აღარ შემოიფარგლება მხოლოდ ადამიანთა თანაცხოვრების შედეგად წარმოშობილი

⁵ Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 7.

⁶ Directive 2008/52/EC, of the European Parliament and of the Council, on Certain Aspects of Mediation in Civil and Commercial Matters, 21 May 2008, ob.:<<http://eur-lex.europa.eu/legal-content/en/ALL/?uri=CELEX:32008L0052>>, [30/07/2015].

⁷ Directive 2013/11/EU, of the European Parliament and of the Council, On Consumer ADR, 21 May 2013, ob.:<<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?qid=145244337328&uri=CELEX:32013L0011>>, [30/07/2015].

⁸ ცერცეაძე გ., მედიაცია, მერიდიანი, თბილისი, 2010, 95.

⁹ Rozdeiczer L., de la Campa A. A., Alternative Dispute Resolution Manual: Implementing Commercial Mediation, USA: Small and Medium Enterprise Department, World Bank Group, Washington DC, 2006, 1.

¹⁰ Goldsmith J. C., Ingen-Housz A., Pointon G. H., ADR in Business: Practice and Issues Across Countries and Cultures, Vol. II, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2011, 3.

¹¹ Zalar A., Managing Judicial Change Through Mediation – Part 1, ADR Bulletin, Vol. 6, No. 8, 2004, 1.

¹² ინგ. Lord Nicholas Phillips, ინგლისისა და უელსის სასამართლოების თაგმჯდომარე.

¹³ Blackshaw I. S., TMC Asser Instituut (La Haye), Sport, Mediation and Arbitration, T.M.C. Asser Press, Hague, 2009, 241.

კონფლიქტების სამართლიანად მოწესრიგებით,¹⁴ მას ასევე დაემატა სა-
მართლებრივი დავების სწრაფი, მოქნილი და ორმხრივად სასარგებლო
გადაწყვეტა.¹⁵

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მესამე ნეიტრალური პირის
დახმარებით კონფლიქტის მშვიდობიანი რეგულირება დიდი ხანია ცნობი-
ლია, თანამედროვე მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის აღტერნატი-
ული საშუალება, მხოლოდ და მხოლოდ საწყის ეტაპზეა. 2011 წლის 20
დეკემბერს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შევიდა
ცვლილება, რომელიც პირველად შეეხო მოქმედი სამოქალაქო საპროცე-
სო კოდექსისათვის უცნობ სამართლებრივ ინსტიტუტს – სასამართლო
მედიაციას.¹⁶ აღნიშნული ცვლილება მედიაციის თანამედროვე მოდელის
დანერგვის მიზნით გადაღმული პირველი ნაბიჯი იყო, რაც თავისთავად
ისტორიული ფაქტია. საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ ქართულ სა-
მართლებრივ სივრცეში ინტერესი მედიაციის მიმართ მნიშვნელოვნად გა-
იზარდა, რაზეც 2012 წლიდან მოყოლებული თბილისის საქალაქო სასა-
მართლოში მედიაციის პილოტური პროექტის დაწყება, მედიაციის თემა-
ტიკაზე ჩატარებული სხვადასხვა სამეცნიერო დონისძიებები, გამოქვეყნე-
ბული სამეცნიერო სტატიები და მედიატორთა ასოციაციების დაარსებაც
მეტყველებს.

უკანასკნელი 20 წლის მანძილზე ქართულმა მართლმსაჯულებამ
საქმაოდ ბევრი – დიდი თუ მცირე მასშტაბის ცვლილება განიცადა, რა-
საც, ბუნებრივია, ხარვეზებიც ახლდა თან. ახალი სამართლებრივი ინ-
სტიტუტის დანერგვა გამოწვევაა, რომელზეც წარმატებით თავის გართმე-
ვისათვის მხოლოდ უცხო ქვეყნის ან საერთაშორისო ორგანიზაციის მი-
ერ მომზადებული მოდელური კანონის, სტრატეგიის ან განხორციელების
სამოქმედო გეგმის საქართველოში „გადმოტანა“ არ არის საკმარისი, მით
უფრო, როცა არც რაიმე უნივერსალური ფორმულა არსებობს მედიაციის
ინსტიტუტის წარმატებით დანერგვისათვის. სამართალსა და სხვა პუმანი-
ტარულ მეცნიერებებში არცთუ მცირეა ისეთი ინსტიტუტები, რომლებიც
სრულიად ახალია ქართული საზოგადოებისათვის, თუმცა საკანონმდებ-
ლო ნოვაციის პრაქტიკასთან ჰარმონიული შერწყმისათვის ასევე საჭიროა
ამ სფეროში მოღვაწე პირების, პრაქტიკოსი იურისტების მსოფლიოში არ-
სებული ყველა თანამედროვე მეცნიერული სიახლით აღჭურვა. ნებისმიე-
რი უცხოური სამართლებრივი ინსტიტუტის ქართული სამართლებრივ
სივრცეში დანერგვა საჭიროებს მეცნიერულ დამუშავებას, რაც ხელს შე-
უწყობს ახალი სამართლებრივი ინსტიტუტის ქართულ სამართლებრივ
სივრცეში ორგანულ შერწყმას.

შესაბამისად, თუ ვთანხმდებით სასამართლო მედიაციის ინსტიტუ-
ტის მნიშვნელობაზე და როგორც კერძო, ისე საჯარო სამართლის დავგ-
ბის სფეროში მისი დახმარებით დავის გადაწყვეტის ეფექტურობაზე, დგა-
ბა საქართველოში სასამართლო მედიაციის პოლიტიკის თვალსაზრისით
გარკვეული ხედვისა და პრინციპების შემუშავების საჭიროება.

¹⁴ ციმენტი რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება, ბეჭის გამომცემლობა, მიუნხენი, 2006, 12.

¹⁵ Fiajoe A., Alternative Dispute Resolution: a Developing World Perspective, Cavendish Publishing Limited, London, 2004, 17.

¹⁶ იბ.: <https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=29962>, [10.10.2015].

საქართველოში სასამართლო მედიაციის ინსტიტუტის დამკვიდრებისა და ინსტიტუციონალური განვითარების პროცესის სწორად წარმართვისათვის წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს სხვადასხვა სამართლებრივი სისტემისა და კულტურის ქვეყნებში მედიაციის მარეგულირებელი ნორმების შესწავლას, შედარებასა და ქართულ ისტორიულ მოდელთან სინთეზით თანამედროვე ქართული სასამართლო მედიაციისათვის ძირული პრინციპებისა და პრაქტიკაში რეალიზებადი მოდელის იდენტიფიცირებას. კვლევის მიზანი მიღწევა ქართული ისტორიული გამოცდილების, ევროპული სახელმწიფოებისა და ამერიკის შეერთებულ შტატებში განვითარებული თანამედროვე სასამართლო მედიაციის მოდელების განმსაზღვრელი კომპონენტებისა და მარეგულირებელი ნორმების ილუსტრირებისა და შედარებითი ანალიზის შედეგად. შესაბამისად, ნაშრომის მოკრძალებული ამოცანაა, საქართველოში სასამართლო მედიაციის ინსტიტუტის ეფექტური დანერგვისათვის დაადგინოს, როგორი მოდელის დახმარებით მოხერხდება საქართველოში მედიაციის ინსტიტუტის პოტენციალის მაქსიმალური რეალიზება და ოპტიმალური გამოყენება. ამასთან, სამართლებრივი ასპექტების კვლევის პარალელურად ნაშრომის მიზანია, მედიაციის განვითარების კულტურული და ისტორიული საკითხების გაანალიზება, რაც ამ ინსტიტუტს დახმარება ქართულ სამართლებრივ სივრცეში ორგანულ შერწყმასა და ეფექტურ იმპლემენტაციაში.

ნაშრომში შედარებითსამართლებრივი მეთოდის გამოყენებით განხილულია ანგლოამერიკული და კონტინენტური ევროპის სამართლის სხვადასხვა ქვეყანაში სასამართლო მედიაციის ინსტიტუტის მარეგულირებელი ნორმები. კერძოდ, წინამდებარე კვლევაში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალების – მედიაციის განსხვავებული მოდელების შედარებითი ანალიზი სამ სიბრტყეში ვთარდება. პირველია მედიაციის მოდელის განმსაზღვრელი ფაქტორების ზოგადი მიმოხილვა, რათა უკეთ გავიგოთ მისი განვითარება, ფუნქციონირება და ზეგავლენა მედიაციის მოდელის ფორმირებაზე; მეორე, მისი როგორც სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ინსტიტუტის – მოქმედების მექანიზმის გაგებისა და შეცნობისათვის სხვადასხვა ქვეყნის კანონდებლობის გაცნობა-ანალიზი; და ბოლოს, საქართველოში ისტორიულად დაგროვილი გამოცდილებისა და თანამედროვე მედიაციის ინსტიტუტების აღწერა და საერთაშორისო გამოცდილებასთან შეპირისპირება.

შედარებითისამართლებრივი კვლევისათვის არჩეულ იქნა ის ქვეყნები, სადაც თანამედროვე მედიაციის ინსტიტუტი, კულტურული და სამართლებრივი მიზეზების გამო, უფრო ადრე განვითარდა, ვიდრე საქართველოში. განსაკუთრებით საინტერესო საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი სასამართლო მედიაციის მოდელის განმსაზღვრელი პრინციპული საკითხებისადმი მიღობების კუთხით. შედარებით-სამართლებრივი მეთოდის გამოყენებით ამ საკითხის კვლევა უაღრესად ფასეული უნდა იყოს ქართული სამართლებრივი საზოგადოებისათვის, გამომდინარე იქიდან, რომ ყველა ქვემოთ განხილული სახელმწიფოს წინაშე მდგარი გამოწვევები მედიაციის ინსტიტუტის იმპლემენტირებისას საკმაოდ მსგავსია იმ გამოწვევებისა, რომლებიც დღეს ქართული მართლმსაჯულების წინაშე დგას.

ამასთან, ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძვლად გამოყენებულია, ასევე, ისტორიული კვლევის მეთოდიც. ისტორიული მეთოდის დახმარებით ახსნილ იქნა შესასწავლი სამართლებრივი საკითხების წარმოშობისა და განვითარების განმაპირობებელი ისტორიული ფაქტები. საერთო ჯამში, არჩეული კვლევის მეთოდები ფუნქციონალურია და ორიენტირებულია პრაქტიკასა და თეორიაში დაგროვებული ცოდნის ურთიერთ ინტეგრირებაზე. რაც მთავარია, ორივე მეთოდის გამოყნება ხელს შეუწყობს სხვადასხვა დროსა და სივრცეში სასამართლო მედიაციის შესწავლას.¹⁷

თემა მიმოიხილავს კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნების კერძოდ, გერმანიისა და ავსტრიის კანონმდებლობას. ორივე მათგანს მოუხდა 2008 წლის №52/EC ევროპული დირექტივასთან საკუთარი კანონმდებლობის დაახლოება, ხოლო ანგლოამერიკული სამართლის ქვეყნებიდან განხილულია ამერიკის შეერთებული შტატების, კერძოდ, კალიფორნიისა და ფლორიდის შტატების კანონმდებლობა. ასევე აღსანიშნავია, რომ კვლევაში გამოყენებულია, ქ. ჰამბურგის მაქს პლანკის შედარებით-სამართლებრივ ინსტიტუტისა და ნიუ-იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ბიბლიოთეკებში მედიაციის საკითხზე არსებული უახლესი სამეცნიერო ლიტერატურა.

ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს თავისთავად განაპირობებს ის ფაქტი, რომ წინამდებარე ნაშრომი სასამართლო მედიაციის ინსტიტუტის განხვავებული მოდელებისა და მარეგულირებელი ნორმების პირველი სიდრმისეული სამეცნიერო კვლევაა ქართულ სამართლებრივ სივრცეში, რომელიც თანამედროვე ქართული სასამართლო მედიაციის მოდელის საყრდენ პრინციპებს ქართულ ისტორიულ და თანამედროვე დასავლური მედიაციის მოდელების შედარებით სამართლებრივი კვლევის მეთოდზე დაყრდნობით აყალიბებს. შესაბამისად, თემის ხოვაცია, ერთი მხრივ, განპირობებულია საკითხის სიახლით, ხოლო, მეორე მხრივ, საკითხის შესწავლისათვის არჩეული მეთოდით.

დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები ქართული მართლმსაჯულებისათვის ძალიან დიდ შესაძლებლობას და გამოწვევას წარმოადგენს. აღნიშნული გამოწვევისათვის წარმატებით თავის გასართმევად დავის გადაწყვეტის პარადიგმის ცვლილებისა და საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბების პარალელურად, საჭიროა ქართულ აკადემიურ წრეებში აღნიშნული საკითხის სამეცნიერო დამუშავება. აქედან გამომდინარე, ნაშრომი მნიშვნელოვანია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისითაც. კერძოდ, იგი, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს ზოგადად აშშსა და ევროპაში სასამართლო მედიაციის ინსტიტუტის პრაქტიკისა და მისი მომწერლიგებელი ნორმების განვითარების დინამიკის ქართულ სამეცნიერო თუ პროფესიულ წრეებში შესწავლასა და განალიზებას, ხოლო, მეორე მხრივ, მას გააჩნია პრაქტიკული დირექტულება ქართული მართლმსაჯულებისათვის – მედიაციის განვითარებული ინსტიტუტების მქონე ქვეყნების ცოდნისა და საქართველოში ისტორიულად დაგროვილი გა-

¹⁷ დაწვრილებით სამართლის ისტორიული და შედარებით-სამართლებრივი კვლევების ურთიერთმოქმედების შესახებ იხ.: ცვაიგერტი პ., კოტცი პ., შედარებით სამართლებრივი კვლევის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. I, ჯისია, თბილისი, 2000, 14.

მოცდილების ანალიზის საფუძველზე თანამედროვე სასამართლო მედია-ციის განვითარების კონცეპტუალური ხედვის შემუშავება.

იმისათვის, რომ განხორციელდეს მესამე, ნეიტრალური პირის დახმარებით წარმართული მორიგების პროცესის – მედიაციის ეფექტური იმპლემენტაცია ქართულ სასამართლო სისტემაში, საჭიროა, მართლმსაჯულების პოლიტიკის შემმუშავებელმა ორგანოებმა (თუ პირებმა) უზრუნველყონ სასამართლო მედიაციის ასამოქმედებელი სამართლებრივი ნორმების მინიმალური ბაზა. ამისათვის კი მნიშვნელოვანია, განისაზღვროს – არსებული კანონის ფარგლებში, მედიაციის როგორ მოდელს ვირჩევთ, რა საკითხების ნორმატიული რეგულირება სჯობს და რა საკითხების – რბილი სამართლით (არანორმატიული). მედიაციის მოდელი, ასევე მოიაზრებს სამართლებრივი ურთიერთკავშირს სასამართლო სისტემასა და მედიაციის ინსტიტუტს შორის¹⁸ შესაბამისად, მასში იგულისხმება როგორც ფორმის, ისე შინაარსობრივი მხარის მოწესრიგება.

ნაშრომის ფარგლებში განხორციელებული კვლევა 6 თავის სახით არის ჩამოყალიბებული: პირველ თავში მოცემულია კვლევის საკითხის ზოგადი დახსასიათება, საკითხის აქტუალობა, კვლევის მიზანი, მეთოდი და საგანი. წარმოჩენილია სასამართლო მედიაციის საქართველოში ეფექტური იმპლემენტაციისათვის პრობლემატური საკითხები და ქართული მართლმსაჯულებისათვის მათი გადაწყვეტის მნიშვნელობა. ვინაიდან წინამდებარე ნაშრომი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მედიაციის შესახებ პირველი სადოქტორო ნაშრომია, მეორე თავი მედიაციის ინსტიტუტის გასაცნობად ზოგად საკითხებს ეთმობა. შესაბამისად, მასში განხილულია თანამედროვე მედიაციის მოდელის განმსაზღვრელი კომპონენტები და ტენდენციები, რომლებიც გამოიკვეთა მედიაციასთან დაკავშირებით; მესამე და მეოთხე თავებში მოცემულია ევროპისა და აშშ-ში მედიაციის მარეგულირებელი ნორმების აღწერა. მეხუთე თავი ეთმობა ქართული სასამართლო მედიაციის ისტორიული და თანამედროვე მოდელის აღწერას; ხოლო საბოლოო, მეექვეს თავში მოცემულია კვლევის შედეგები თემის დასკვნის სახით. კერძოდ, შეჯამებულია კვლევის სხვადასხვა ნაწილში განხილული საკითხები და წარმოდგენილია წინადადებები სასამართლო მედიაციის პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით.

არსებობს რამდენიმე მიზეზი, თუ რატომ არ უნდა შემოიფარგლოს ეს ნაშრომი მხოლოდ ქართული სასამართლო მედიაციის მოდელისა და მისი რეგულირების ფორმების ანალიზით: პირველი – შედარებით სამართლებრივი მეთოდით საკითხის შესწავლა საშუალებას იძლევა ახლებურად, არატრადიციულად მივუდგეთ ნაციონალური სამართლის ნორმებს.¹⁹ მეორე – თანამედროვე მსოფლიოში დავები თავისი შინაარსითა და მასშტაბებით ხშირად სცილდება როგორც ქვეყნის, ისე კონტინენტის საზღვრებს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ყურადღება დაგუთმოთ საერთაშორისო ინიციატივებსა და მცდელობებს მედიაციის კანონმდებლობის პარმონიზების მიზნით, რის დამადასტურებლადაც გამოდგება გაერთიანებული ერების საგაჭრო სამართლის პალატის მიერ შემუშავებული მოდე-

¹⁸ Alexander N., Four Mediation Stories from Across the Globe, Rabels Zeitschrift für Ausländisches und Internationales Privatrecht (the Rabel Journal), No. 4, 2010, 737.

¹⁹ ცვაიგერტი ქ., ქოჩიცი ქ., შედარებით სამართლმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. I, ჯიხია, თბილისი, 2000, 9.

ლური კანონი საერთაშორისო კომერციული მორიგებების შესახებ²⁰). მე-სამე – ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპულ სახელმწიფოებში მედიაციის ინსტიტუტის წარმატებამ განაპირობა მისით ქართველი პრაქტიკოსების დაინტერესება. შესაბამისად, მიზანშეწონილია ამ სახელწიფოთა აკადემიურ სივრცეში დაგროვებული ცოდნის გაანალიზებაც.

და ბოლოს, კვლევის საგნიდან გამომდინარე, კონტინენტური სა-მართლის ოჯახიდან შერჩეულ იქნა გერმანიისა და ავსტრიის კანონ-მდებლობა. გერმანული მართლწესრიგის, როგორც „დედა მართლწესრი-გის“²¹ სიახლოვე და მნიშვნელობა ქართულ სამართლებრივ სისტემასთან ყველასათვის ცნობილია. შესაბამისად, ქართულ მართლმსაჯულებაში ნე-ბისმიერ სიახლის დენერგვამდე გერმანული გამოცდილების შესწავლა და გაანალიზება არათუ მიზანშეწონილი, არამედ ხშირად სავალდებუ-ლოცაა. ავსტრია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა შორის პირველი სახელმწიფოა, რომელმაც მედიაციის ინსტიტუტის დანერგვა სცდა და ის დღემდე გამოირჩევა მედიაციის მომწესრიგებელი ნორმებისადმი განსხვავე-ბული მიღვომით. რაც შეეხება აშშ-ს, სწორეს იქ არსებული მედიაციის რეგულაციები და ფორმები მსოფლიოს მასშტაბით, მათ შორის, ევროპუ-ლი კანონმდებლებისათვის წარმოადგენს ნიშნულს, რომლის მიღწევას ცდილობენ.²² შესაბამისად, აშშ-ში არსებული სასამართლო მედიაციის შედარებით-სამართლებრივი შესწავლა სასარგებლო არამხოლოდ ქართუ-ლი, არამედ ნებისმიერი ევროპული ქვეყნის სასამართლო სისტემის რე-ფორმირებისათვის.

²⁰ UNCITRAL Model Law on International Commercial Conciliation, ob.: <http://www.uncitral.org/uncitral/en/uncitral_texts/arbitration/2002Model_conciliation.html>, [12/12/2015].

²¹ ცვაიგერტი პ., კოტცი პ., შედარებით სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. I, ჯიბიათ, თბილისი, 2000, 37.

²² Hopt J. K., Steffek F. Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 9.

II. მედიაციის მოდელის განმსაზღვრელი კომპონენტები

1. მედიაციის როგორც დავის გადაწყვეტის საშუალების, ძირითადი ნიშნები

სამართლებრივი კონფლიქტების გადაწყვეტის ტრადიციული საშუალებას – სასამართლოს ბოლო ათწლეულებია, კონკურენციას დავის გადაწყვეტის არატრადიციული საშუალებები: მედიაცია და არბიტრაჟი უწევს. არატრადიციული საშუალებების სისტემური განვითარების შედეგად მედიაციას, არბიტრაჟსა და მათ სხვადასხვა პიბრიდულ ფორმას დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებებად მოიხსენიებენ.²³ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების განვითარების არსი არა მხოლოდ სასამართლოზე უფრო ხელმისაწვდომი, სწრაფი და მოქნილი ალტერნატიულის შექმნაა, არამედ მთლიანად დავების გადაწყვეტის კულტურის მოდერნიზება და მოდიფიცირება. კერძოდ, პრაქტიკამ აჩვენა, რომ ყოველგვარი სამართლებრივი დავის გადასაწყვეტად მუდმივად სასამართლოსათვის მიმართვა, არაეფექტური და არარაციონალურია. აქედან გამომდინარე, ალტერნატიული საშუალებების არსი, ოპტიმალური მეთოდის გამოყენებით პრობლემის გადასაწყვეტად. სწორედ ამიტომ, ზოგიერთი ავტორი მათ არა ალტერნატიულს, არამედ დავის გადაწყვეტის ადეკვატურ (შესაბამის) საშუალებებსაც უწოდებს.²⁴ აღსანიშნავია, რომ დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებებს შორის ყველაზე მეტად პოპულარული მედიაციის ინსტიტუტია.²⁵ მედიაციის ინსტიტუტის ასეთი პოპულარობა მისმა შემდეგმა ძირითადმა ნიშნებმა განაპირობა:

- მედიაცია ინტესებზე და არა უფლებებზე დამყარებული პროცესია;
- მედიატორის შეთავაზება მხარეთათვის არამბოჭავია;
- მედიაციის პროცესი კონფიდენციალურია;
- მედიაციის პროცესი ნებაყოფლობითია.

მიუხედავად იმისა, რომ მედიაციის პროცესი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ფორმით და წესით ტარდება, ზემოჩამოთვლილი ძირითადი ნიშნები უცვლელი რჩება. მართალია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები მსოფლიოს მასშტაბით განსხვავებული მიღგომებით გამოიყენება, მაგრამ არა საერთო საფუძვლების გარეშე.²⁶ მედიაციის საერთო საფუძველს კი სწორედ მისი ძირითადი ნიშნები ქმნის. შესაბამისად, მათი მიმოხილვა მნიშვნელოვანია ნაშრომის მიზნებისათვის.

²³ ამ შემთხვევაში ყურადღებას არ ვამახვილებთ მოლაპარაკებებზე, რადგან ის თავისი ბუნებით წმინდა სამართლებრივი ინსტიტუტი არ არის.

²⁴ Rozdeiczer L., de la Campa A. A., Alternative Dispute Resolution Manual: Implementing Commercial Mediation, USA: Small and Medium Enterprise Department, World Bank Group, Washington DC, 2006, 01.

²⁵ Blackshaw I. S., TMC Asser Instituut (La Haye), Sport, Mediation and Arbitration, T.M.C. Asser Press, Hague, 2009, 18.

²⁶ Martinez J., Purcell S., Shaked-Gvili H., Mehta M., Dispute System Design: a Comparative Study of India, Israel and California, Cardozo Journal of Conflict Resolution, Vol.14, 2012, 807.

1.1 დავის გადაწყვეტის მბოჭავი და არამბოჭავი საშუალებები

პროცესში მონაწილე სუბიექტებისათვის რასაკვირველია, მნიშვნელოვანია, იქნება თუ არა მბოჭავი დავის გადაწყვეტის პროცესში მესამე ნეიტრალური პირის (მოსამართლის, არბიტრის, მედიატორის) მოსაზრებები. მბოჭავია თუ არამბოჭავი დავის გადაწყვეტის საშუალება, ამას განსაზღვრავს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულების ფორმა ან კანონმდებლობა. კერძოდ, საარბიტრაჟი ან სამედიაციო შეთანხმებით, პროცესის საწყის ეტაპზევე მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ, მესამე ნეიტრალური პირის მოსაზრებები იქნება მისაღები, პატივსაცემი თუ სავალდებულო მათვის. ვინაიდან, არბიტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მბოჭავია და მხარეთათვის სავალდებულო იურიდიული ძალის მქონეა, არბიტრაჟს და მის ჰიბრიდულ მოდელებს დავის გადაწყვეტის მბოჭავ საშუალებებს უწოდებენ,²⁷ ხოლო, მედიაციის პროცესს – არა მბოჭავს. ვინაიდან, მედიატორი არ არის გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი. შესაბამისად, მისი მსვლელობისას მედიატორს არ შეუძლია აიძულოს რომელიმე მხარე, მიიღოს ან შესრულოს რაიმე მოქმედება. თავად მხარეები არიან უფლებამოსილნი, შეთანხმდნენ გარკვეულ პირობებზე და მედიაციის დროს არავის აქვს უფლებამოსილება საკუთარი გადაწყვეტილება გაავრცელოს მხარეებზე. ამასთან, იმ შემთხვევაშიც, როცა მხარეები მორიგდებიან, თუ მხარეთა ნებით მას არ დაამოწმებს მოსამართლე, მათ შორის დადებული შეთანხმებას თავისთავად აქვს მხოლოდ და მხოლოდ სახელშეკრულებო ძალა.²⁸

მხარეთა შესაძლებლობა, თავად განსაზღვრონ, ვინ და როგორი ფორმით წარმართავს მედიაციის პროცესს, ისევე, როგორც ექნება თუ არა შეთანხმებას სამართლებრივი ძალა, რასაკვირველია, ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია მედიაციის პროცესით მხარეთა კმაყოფილებისა.²⁹ მედიაციის წარმატება სწორედ მისმა პროცესუალურმა მოქნილობამ, მოდავე მხარეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით მედიაციის პროცესის წარმართვამ განაპირობა.³⁰ მედიაციის არაფორმალური ბუნება ხშირად უფრო მისაღებია კონფლიქტში მყოფი პირებისათვის, ვიდრე მბოჭავი, ფორმალური და სამართლებრივი ჩარჩოებით შემოფარგლული პროცესები. ვინაიდან მედიატორი ეხმარება მხარეებს კონფლიქტის რეგულირებაში, მაგრამ არ გააჩნია უფლებამოსილება, მოსთხოვოს მხარეებს მორიგება ან საკუთარი შეხედულებით გადაწყვიტოს იგი, მედი-

²⁷ იშვიათია, თუმცა გვხვდება შემთხვევები, როცა არბიტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არამბოჭავია. მაგალითად, იტალიის „კანონმდებლობა, კერძოდ „სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“ იცნობს ასეთ ინსტიტუტს – „არბიტრატორიის რეგულირებაში“, რომლის პროცესში მიღებული გადაწყვეტილებაც არამბოჭავი ძალისაა.

²⁸ თუმცა მხარეთა ნების შემთხვევაში, არსებობს შესაძლებლობა სასამართლო მედიაციის შედეგად მიღწეული მორიგება სასამართლომ დამტკიცოს საკუთარი განჩინებით, რომლის აღსრულების მიზნით სასამართლო გამოსცემს სადასრულებო ფურცელს. ისევე, როგორც ნოტარიულად დამოწმებული გარიგების დარღვევის შემთხვევაში, გამოიცემა სააღსრულებო ფურცელი და მიეცემა დაუყონებლივ იმულებით აღსასრულებლად.

²⁹ McEwen A. C., Maiman J. R., Mediation in Small Claims Court: Achieving Compliance Through Consent, Law & Society Review, Vol. 18, No. 1, 1984, 158.

³⁰ Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 7.

აცია და მისი ყველა ვარიაცია რჩება დავის გადაწყვეტის სპექტრუმში³¹ არამბოჭავი საშუალებების მხარეს, განსხვავებით სასამართლო და საარბიტრაჟო პროცესებისაგან, რომლებიც იმავე დავის გადაწყვეტის სპექტრუმში მბოჭავ მხარეს იმყოფებიან. აღსანიშნავია, რომ დავის გადაწყვეტის არამბოჭავი საშუალებების მამოძრავებელი ძალა, საქმის მორიგებით ვერ დასრულების შემთხვევაში, სასამართლოსათვის მიმართვის შიშია, ამიტომაც არასებობს მოსაზრება, რომ: „დავის გადაწყვეტის სპექტრუმის მთლიანი არამბოჭავი საშუალებები საქმის სასამართლოში განხილვის პერსპექტივის ჩრდილში მიმდინარეობს“.³² ასევე აღსანიშნავია, რომ თავად პროცესის მოქნილობა და შესაძლებლობა სპექტრუმის არამბოჭავ მხარეს განუზომელია, რადგან ის მთლიანად დამოკიდებულია მხარეთა მიერ შემოქმედებითი გამოსავლის პოვნასა და სამომავლო თანამშრომლობაზე ორიენტირებულობის უნარზე.³³

1.2 ინტერესებსა და უფლებებზე დამყარებული პროცესების სხვაობა

სამართლებრივი დავის გადაწყვეტის საშუალებათა სამყარო მბოჭავი და არამბოჭავი საშუალებების გარდა, ასევე, იყოფა ინტერესებსა და უფლებებზე დამყარებული პროცესებად, რაც მისი ფორმის განმსაზღვრული მეორე ელემენტია.³⁴ როგორც თავად ტერმინი – „ინტერესებზე დამყარებული პროცესი“ – მიუთითებს, დავის გადაწყვეტის საშუალებათა ერთი ნაწილი მხარეთა ინტერესების, ხოლო მეორე ნაწილი – მხარეთა უფლებების მიხედვით ცდილობს კონფლიქტის რეგულირებას,³⁵ რაც პროცესის მსვლელობისას, განაპირობებს მესამე, ნეიტრალური პირის მიერ დასმულ განსხვავებულ აქცენტებს. უფლებებზე დაფუძნებული დავის რეგულირების პროცესში, მათ შორის, არბიტრაჟისა და სასამართლოს პროცესის დროს, მთავარი აქცენტი სამართლებრივ საკითხებზეა გადატანილი. შესაბამისად, პროცესის მსვლელობისას საერთაშორისო, ადგილობრივი თუ სახელშექრულებო სამართლის ნორმებით წარმოშობილი უფლებებისა და მოვალეობების განხილვას ეთმობა ასპარეზი. ამასთან, სამართლებრივ პროცესში პროცესუალური წესები არ იძლევა მხარეთათვის მნიშვნელოვანი ინტერესებისა და საჭიროებების განხილვის საშუალებას, ვინაიდან ინტერესებზე დამყარებული პროცესი საკითხს ავიწრო-

³¹ ასე მოიხსენიებენ დავის გადაწყვეტის ხაზს, რომელზეც განთავსებულია კონფლიქტის გადაწყვეტის ყველა სამართლებრივი საშუალება ფორმალურიდან არაფორმალურის (მბოჭავიდან – არამბოჭავის, უფლებებზე დამყარებულიდან – ინტერესებზე დამყარებულის) მიმართულებით.

³² Folberg J., Golann D., Kloppenberg A. L., Stipanowich J. T., Resolving Disputes: Theory, Practice and Law, 2nd ed., Aspen Publishers, New York, 2010, 06.

³³ იქვე, 08.

³⁴ ხოგიერთი აგტორი თვლის, რომ კიდევ ერთი მიმართულებაც არსებობს. ეს არის ძალის გამოყენებით კონფლიქტის რეგულირება, მაგ.: ომი, გაფიცვა, ბლოკირება და აშ. ამ დროს კონფლიქტის გადაწყვეტა ხდება ბერკეტების, სტატუსისა და რესურსების მიხედვით, ადამიანის უფლებებისა და ურთიერთობების გაფუჭების ხარჯზე. ვინაიდან კონფლიქტის ძალისმიერი გადაწყვეტის საშუალებები ცდება მართმლმსაჯულების ფარგლებს, ამიტომ ის არც თქმის, განხილვის საგანი იქნება.

³⁵ Smith S., Martinez J., An Analytical Framework for Dispute System Design, Harvard Negotiation Law Review, Vol. 14, 2009, 126.

ვებს მხოლოდ სამართლებრივ ჭრილში,³⁶ ის მხოლოდ იურიდიული შედეგის დადგომას განაპირობებს, რომელიც, თავის მხრივ, მხარეთა სამართლებრივი პოზიციების შეფასების საფუძველზეა მიღებული.

ინტერესებზე დამყარებულ დავის გადაწყვეტის პროცესში მხარეთა შორის წარმართული მსჯელობა სცილდება უფლებებისა და სხვა სამართლებრივი ასპექტების განხილვის ჩარჩოს და უერადება მხარეთა ინტერესებზე, საჭიროებებსა და ემოციებზე მსჯელობას ეთმობა (სწორედ ამიტომ მედიაციას „ადამიანური სახის მქონე მართლმსაჯულებას“ უწოდებენ³⁷). ინტერესები შეიძლება მოიცავდეს ნებისმიერ საკითხს, განპირობებულს ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური ინტერესებითა თუ ფასებულობებით, რაც მხარეებისათვის მნიშვნელოვანია, რაზეც ისინი ზრუნავენ ან წუხან. შესაბამისად, მედიაციის დროს დავის გადაწყვეტის პროცესში ჩართული ნეიტრალური პირი ცდილობს კონფლიქტური სიტუაციიდან შემოქმედებითი გამოსავლის პოვნას მხარეთა რეალური ინტერესებზე დაყრდნობით. ამასთან, მედიატორი, წარსულში მომხდარი ფაქტების სამართლებრივი შედეგების გარკვევის ნაცვლად, უდრმავდება მხარეთა მოტივაციებს, ცდილობს გაერკვეს დაფარულ ინტერესებსა და ორიენტირი აიღოს მომავალში მხარეთა შორის თანამშრომლობაზე, რაც თავის-თავად ქმნის შესაძლებლობას სადაცო საკითხისადმი დამატებითი ფასეულობის შექენისა. სასამართლოსაგან განსხვავებით, მედიაციის ზემოჩამოთვლილი უპირატესებებიდან გამომდინარე, კონფლიქტოლოგების ნაწილს³⁸ მიაჩნია, რომ მედიაციის ძალა სწორედ კონფლიქტის ფსიქო-სოციალური ასპექტების მოგვარებაშია, რის შემდგომ დავის სამართლებრივ გადაწყვეტას მხოლოდ დამხმარე, შემავსებელი ფუნქცია აქვს. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ უფლებებზე დამყარებულ პროცესთან შედარებით ინტერესებზე დამყარებული პროცესის უპირატესობა მის „თავისუფლებაში“ მგდომარეობს. სასამართლო ან საარბიტრაჟო პროცესში მოსამართლები (არბიტრები) უმთავრესად ინტერესდებიან იურიდიულად რელევანტური საკითხებით, იქიდან გამომდინარე, რომ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს მხარეთა უფლებებს, ხოლო მედიატორებს და მხარეებს მედიაციის მსვლელობისას, მედიაციის ბუნებიდან გამომდინარე, აბსოლიტური თავისუფლება აქვთ. უფლებებზე დამყარებული დავის გადაწყვეტის საშუალებათა „ფილოსოფია“ სასამართლოსთვის საკუთარი სიმართლის დამტკიცების მიზნით ყოველგვარი მტკიცებულების, არგუმნების თუ შეხედულების ოპონენტის საწინააღმდეგოდ გამოყენებაშია.³⁹ ასევე მნიშვნელოვანია, რომ ხშირად მხარეებს შორის დამოკიდებულება და განწყობა არ იცვლება მაშინაც კი, როცა მათ შორის სასამართლო მორიგების აქტი იდება, რადგან სასამართლო დარბაზში, მოსამართლის მონაწილეობით წარმართულ პროცესში, მხარეები კვლავ საკუთარ უფლებებზე არიან კონცენტრირებულნი. ამის საპირისპიროდ, მედიაციის მიზანი მოდავე მხარეთა რეალური ინტერესებისა და საჭიროებების გაგებით დაპირისპირებული დამოკიდებულების შეცვლა, მოდავე მხარეებს შორის სწორი კომუნიკაციისა და თანამშრომლობითი გან-

³⁶ ლამპერერი ა., კოლესონი თ., მოლაპარაკების მეთოდები, ჯიხია, თბილისი, 2009, 31.

³⁷ Zalar A., Managing Judicial Change Through Mediation – Part 1, ADR Bulletin, Vol. 6, No. 8, 2004, 1.

³⁸ Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 12.

³⁹ Bevan A., Alternative Dispute Resolution, Sweet & Maxwell, London, 1992, 1.

წყობის ჩამოყალიბებაა.⁴⁰ შესაბამისად, მედიაციის პროცესის ერთ-ერთი გამოწვევა სწორედ მასში მონაწილე იურისტებისათვის განსხვავებული „თამაშის წესების“ ახსნასა და პროცესისადმი სწორი დამოკიდებულის ჩამოყალიბებაშია, ვინაიდან შეხედულება, რომ დაგაზე მხოლოდ ერთი გამოსავალი არსებობს, რომელიც მოსამართლეს შეუძლია მიიღოს, ხშირად იღუზორულია.⁴¹ აღნიშნული მოცემულობა განაპირობებს იმ ფაქტს, რომ ინტერესებზე დამყარებული დავის გადაწყვეტის მექანიზმები ნაკლებად უფექტურია, როცა მხარეებს სურთ:

- ა) პრეცედენტის დამკვიდრება, როცა მხარეთათვის სადაც საკითხთან დაკავშირებით მოსამართლის ან არბიტრის გადაწყვეტილება პრინციპული მნიშვნელობისაა;
- ბ) როცა პროცესზე ერთ-ერთი მხარის ნებაყოფლობით მოყვანა ვერ ხერხდება;
- გ) როცა ერთ-ერთი მხარე არასერიოზულ და დაუფიქრებელ ბრალდებებს უყენებს მეორე მხარეს.⁴²

ზემოხამოთვლილ შემთხვევებში, ერთი მხრივ, ვერ ხერხდება კონფლიქტის ფისქო-სოციალური და პიროვნული ფაქტორების გამორკვევა, გაანალიზება და მათი დახმარებით კონფლიქტის რეგულირება. მეორე მრივ, პრეცედენტის დამკვიდრება იმდენად მნიშვნელოვანია მხარისათვის (მაგ. რეპუტაციის შენარჩუნების მიზნით), რომ მორიგების ვერც ერთი პირობა მას ვერ შეეძრება. ასევე აღსანიშნავია, რომ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების პიბრიდული მოდელები შეიძლება იყოს როგორც უფლებებზე, ისე ინტერესებზე დამყარებული და ერთდროულად ორივეც.⁴³ მაგ. მედიაცია, როგორც წესი, ინტერესებზე დამყარებულ პროცესს წარმოადგენს, არბიტრაჟი – უფლებებზე დამყარებულს, თუმცა მედარბი⁴⁴ ორივეს მოიცავს.

ინტერესებზე დამყარებული დავის რეგულირების საშუალების გამოყენებისას სამართლებრივი ნორმები მისი მსვლელობის მბოჭავ პროცესუალურ წესებს არ განსაზღვრავს, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ მასში მონაწილე მხარეები თავად შეთანხმდნენ მათზე. აქედან გამომდინარე, მე-

⁴⁰ პარტნიორებს შორის წარმოშობილი დავები კარგი მაგალითია ამ შემთხვევაში. რამდენადაც კომპანიის ინტერესებისათვის (კორპორაციული მართვისათვის) მშნიშვნელოვანია პარტნიორებს შორის ურთიერთობების მოწესრიგება, მათ შორის, დავის შემთხვევაშიც თანამშრომლობით და არა დაპირისპირებული გზით მათი გადაწყვეტა. შეჯიბრებითი მეთოდის გამოყენებით უკეთაზე მეტად პარტნიორებს შორის ურთიერთობა ზიანდება, ხოლო მედიაციის გზით (თანამშრომლობითი მეთოდის გამოყენებით) დავის გადაწყვეტა ხელს უწეობს მათ მომოვალ თანამშრომლობას, რაც ნიშნავს, რომ ის უფრო მეტად დახმარებაუნარიანია მოდავე მხარეებისათვის, ვიდრე სასამართლო.

⁴¹ Blackshaw I. S., *TMC Asser Instituut (La Haye)*, Sport, Mediation and Arbitration, T.M.C. Asser Press, Hague, 2009, 251.

⁴² Partidge M. V., Alternative Dispute Resolution: an Essential Competency for Lawyers, Oxford University Press, New York, 2009, 95.

⁴³ Rozdeiczer L., de la Campa A. A., Alternative Dispute Resolution Manual: Implementing Commercial Mediation, USA: Small and Medium Enterprise Department, World Bank Group, Washington DC, 2006, 03.

⁴⁴ მედარბი – ასე მოისხიობენ მედიაციისა და არბიტრაჟის ერთ-ერთ შერეულ, პიბრიდულ მოდელს, რომლის თავისებულება ის არის, რომ მესამე ხეიტრალური პირი, ჯერ როგორც მედიატორი, ცდილობს მხარეთა მორიგებას, ხოლო მედიაციის პროცესის წარუმატებლად დამთავრების შემთხვევაში საქმის განმხილველი არბიტრის მსგავსად ერთპიროვნულად გამოიტანს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილებას.

დიაციის პროცესის საწყის ეტაპზე მედიტორების ერთ-ერთი მთავარი გა-
მოწვევა მხარეთა შორის ურთიერთგაგების გზით პროცესის მსვლელო-
ბის ფორმაზე მხარეთა შორის კონსენსუსის მიღწევაა.

1.3 კონფიდენციალობა ორგორც მედიაციის შემადგენელი ნაწი- ლი

მედიაციის ინსტიტუტი უწინარეს ყოვლისა კონფიდენციალურობი-
თაა მიმზიდველი. მედიატორსა და მხარეს შორის ურთიერთნდობის ჩამო-
საყალიბებლად კონფიდენციალურობის საკითხს ენიჭება გადამწყვეტი
მნიშვნელობა, რომლის დაცვა მხარეებსა და მედიატორს შორის ურთიერ-
თობის საყრდენ წერტილს წარმოადგენს.⁴⁵ მედიაციის პროცესის სრულ-
ფასოვნად წარმართვისათვის აუცილებელია, მხარეები გრძნოდნენ, რომ
მათ მიერ მედიაციის პროცესზე გამხელილი ინფორმაციისათვის ისინი
მომავალში არ დაზარალდებიან, სასამართლო ან სხვა პროცესზე მათ
წინააღმდეგ ეს ინფორმაცია არ იქნება გამოყენებული.⁴⁶ მედიაციის პრო-
ცესისათვის არსებითად მნიშვნელოვანია, რომ მხარეებს მიეცეთ შესაძ-
ლებლობა, გულწრფელად და ლიად ისაუბრონ სადაცო საკითხებთან და-
კავშირებულ ინტერესებსა და საჭიროებებზე, პროცესის წარმატებით თუ
წარუმატებლად დასრულების მიუხედავად,⁴⁷ არ ეშინოდეთ იმისა, რომ მე-
დიაციის პროცესში გამჟღავნებულმა ინფორმაციამ შესაძლოა მომავალში
ისინი დააზარალოს.⁴⁸ ამისთვის, როგორც კონტინენტური, ისე ანგლო-
საქსური სამართლის ქვეყნები გამოიყენებენ მედიაციის კონფიდენციალო-
ბის პრინციპს.⁴⁹ კონფიდენციალურობის დაცვისათვის მნიშვნელოვანია,
კანონმდებელი ჩამოყალიბებს შემდეგ საკითხებზე:⁵⁰

- რა სახის ინფორმაცია უნდა იქნეს დაცული;
- რა არის საჭირო კონფიდენციალურობის დასაცავად;
- ვის შეუძლია დაცვის მოთხოვნა;
- ვისგან და რისგან უნდა იყვნენ დაცული მხარეები.

როგორც ექიმთან, მდვდელთან, ფსიქოლოგთან ან ადვოკატთან,
ასევე, მედიატორთან გამხელილი ინფორმაცია არ შეიძლება იყოს გარეშე
პირებისათვის ხელმისაწვდომი. მედიაციის პროცესში კონფიდენციალუ-
რობის დაცვის საკითხი (მნიშვნელობითან გამომდინარე), როგორც წესი,
პირდაპირ კანონმდებლობითა და პროფესიული ეთიკის ნორმებით არის
მოწესრიგებული. შესაბამისად, შექმნილია სხვადასხვა მექანიზმები მედი-

⁴⁵ Roberts M. M., *Mediation in Family Disputes*, Ashgate Publishing Ltd., Burlington, 2014, 183.

⁴⁶ იქვე.

⁴⁷ ოსტერმილერი მ. ს., სექსონი რ. დ., დაგის გადაწყვეტის ალტერნატიული
საშუალებები საქართველოში, მერიდიანი, თბილისი, 2014, 139.

⁴⁸ Goldsmith J. C., Ingen-Housz A., Pointon G. H., *ADR in Business: Practice and Issues Across Countries and Cultures*, Vol. II, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2011, 184.

⁴⁹ აშ-ზე კონფიდენციალურობის პრინციპთან ერთად იყენებენ მედიატორის
პრივილეგიის ცნებას, რაც გულისხმობს მედიატორის უფლებას, უარი თქვას
მედიაციის პროცესში მისთვის გამხელილი ინფორმაციის სასამართლოსათვის
გაცნობაზე. შესაბამისად, მედიატორები, როგორც იურისტები და ფსიქოლოგები,
გარევეული პრივილეგიით სარგებლობენ.

⁵⁰ Goldsmith J. C., Ingen-Housz A., Pointon G. H., *ADR in Business: Practice and Issues Across Countries and Cultures*, Vol. II, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2011, 185.

ატორსა და მხარეებს შორის გამედავნებული ინფორმაციის დასაცავად. კონფიდენციალურობის დაცვა აუცილებელია ისეთი ურთიერთობისას, როცა მხარეები არ არიან ვალდებული, თავი შეიკავონ ინფორმაციის გამხელისაგან და როცა მათ შორის ურთიერთობის შენარჩუნება საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანია.⁵¹ ამასთან, მხარეებისათვის მნიშვნელოვანია, იყვნენ ინფორმაციის გამხელისაგან დაზღვეულები, ამიტომ პროცესის კონფიდენციალურობა მიწნეულია მედიაციის მთავარ, აუცილებელ პირობად, რაც უზრუნველყოფს როგორც პროცესის, ისე მედიატორისა და მხარის დაცვას, თუმცა ამ მოსაზრების მოწინააღმდეგებისაც გააჩნიათ საკუთარი არგუმენტაცია. კერძოდ, კონფიდენციალურობის დაცვით შესაძლოა დაზიანდეს „სიმართლის“ გასაჯაროების უფლება, ასევე, სასამართლო პროცესზე გარკვეულ შემთხვევებში მოქალაქეთა „ვალდებულება ჩვენების მიცემისა“⁵² საბოლოო ჯამში, ინფორმაციის ყველასთვის ხელმისაწვდომობით მოპოვებული საჯარო სიკეთე, კონფიდენციალურობის დაცვით იზღუდება.⁵³ აქედან გამომდინარე, კონფიდენციალურიბის რეგულირების დროს მთავარი სირთულე ბალანსის შენარჩუნებაშია. ერთი მხრივ, მედიაციის პროცესს ესაჭიროება კონფიდენციალურობის დაცვა, ხოლო, მეორე მხრივ, საზოგადოებას შეიძლება ესაჭიროებოდეს მედიაციის პროცესზე გამედავნებული ინფორმაციის ცოდნა. შესაბამისად, კანონმდებელმა უნდა ოქროს შუალედი იპოვოს ისე, რომ არც ერთი მხარე არ დარჩეს დაზარალებული. როგორ ახერხებენ ამას განვითარებული ქვეყნები, დეტალურად ქვემოთ იქნება განხილული.

⁵¹ Sternlight J. R., Menkel-Meadow C. J., Porter Love L., Kupfer Schneider A., Dispute Resolution: Beyond the Adversarial Model, Aspen Publishers, New York, 2005, 420.

⁵² მედიატორის მიერ სასამართლო პროცესზე რომელიმე მხარისათვის სასარგებლოდ ჩვენების მიცემა, რასაკვირველია, მოახდენდა მედიაციის ინსტიტუტის დისკრედიტაციას.

⁵³ Sternlight J. R., Menkel-Meadow C. J., Porter Love L., Kupfer Schneider A., Dispute Resolution: Beyond the Adversarial Model, Aspen Publishers, New York, 2005, 421.

2. ნებაყოფლობითობა როგორც მედიაციის მოდელის განმსაზღვრელი კომპონენტი

კონფიდენციალურობასთან ერთად ნებაყოფლობითობა მედიაციის ერთ-ერთ ქვეკუთხედს წარმოადგენს. შესაბამისად, მისი დეტალურად განხილვა არათუ მიზანშეწონილი, არამედ სავალდებულოცაა. იმასთვის, რომ მედიაციის პროცესმა მიაღწიოს სასურველ შედეგს, საჭიროა მხარეები მასში მონაწილეობდნენ საკუთარი ნებით, თუმცა აღნიშნულ მოსაზრებას ოპონეტებიც⁵⁴ უხვად ჰყავს. „სრულყოფილ მსოფლიოში მხოლოდ ნებაყოფლობითი მედიაცია იარსებებდა, მაგრამ მე არ ვფიქრობ, რომ დღევანდელი საზოგადოება და ჩეკი სამართლებრივ კულტურა ამ დონემდე მისული...“⁵⁵ – აღნიშნავს პროფოსიონი რელიზი თავის წიგნში. იმავე იდეის დასამტკიცებლად ზოგიერთი მისი კოლეგა⁵⁶ სტატისტიკურ მონაცემებს იხმობს, რომლებიც ნათლად მიგვანიშნებს, რომ მედიაცია დავების გადაწყვეტის უფექტურ ალტერნატიულ საშუალებაა, რასაც ადასტურებს მედიაციით მორიგებულ მხარეთა სტატისტიკური მაჩვენებელი, დავის მშვიდობიანი გადაწყვეტით კმაყოფილ მომხმარებელთა რაოდენობა და სასამართლო განხილვის მომლოდინე საქმეთა ნაკადის მნიშვნელოვნად შემცირება. სწორედ, მედიაციის უფექტიანობიდან გამომდინარე, მართლმსაჯულების პოლიტიკის შემმუშავებელმა პირებმა მიიჩნიეს, რომ აუცილებელი იყო მედიაციის ინსტიტუტის კიდევ უფრო მეტი მხარდაჭერა. აქედან გამომდინარე, მოფიქრებულ იქნა მედიაციის ისეთი ფორმა, რომლის წამოწევება შესაძლებელი იქნებოდა არა მხოლოდ მხარეთა ნებაყოფლობითი სურვილის საფუძველზე, არამედ მოსამართლის გადაწყვეტილებითაც, შესაბამისად, სამედიაციო ცენტრებისათვის საქმის გადამისამართება მაშინაც კი, როცა ამის მომხრე თავად მხარეები არ იყვნენ. უდავოა, რომ სავალდებულო მედიაციის წარმოშობას ერთადერთი მიზანი პქონდა – მედიაციის პროცესში მეტი სამართლებრივი კონფლიქტის მქონე პირის ჩართვა.

ნებაყოფლობითობის საკითხის იდეა ე.წ. „სურვილის ფაქტორში“⁵⁷ მდგომარეობს, რაც შეიძლება შეიზღუდოს სამედიაციო ცენტრისადმი მიმართვის თვალსაზრისით, მაგრამ ყოველთვის დაცული უნდა იყოს თვით მედიაციის პროცესში გადაწყვეტილების მიღების საკითხთან მიმართებით. რამდენადაც მედიაციის პროცესში მესამე ნეიტრალური პირის შეთავაზება არ არის მბოჭავი, ერთი მხრივ, მასზე უარის თქმის უფლება, ხოლო, მეორე მხრივ, მხარეებისათვის მედიაციის პროცესში გადაწყვეტილების ნებაყოფლობით მიღების უფლება „სავალდებულოდ“ დასაცავია.⁵⁸ აღნიშნული ნათლად გამოჩნდა იტალიის რესპუბლიკის მართლმსაჯულებაში

⁵⁴ Spencer D., Brogan M., Brogan C. M., Mediation Law and Practice, Cambridge University Press, New York, 2006, 271.

⁵⁵ Relis T., Perceptions in Litigation and Mediation: Lawyers, Defendants, Plaintiffs and Gendered Parties, Cambridge University Press, New York, 2009, 65.

⁵⁶ Goldberg S., Sander F., Rogers N., Cole S. R., Dispute Resolution: Negotiation, Mediation and other Processes, Wolters Kluwer Law & Business, Six Ed., New York, 2012, 519.

⁵⁷ Spencer D., Brogan M., Brogan C. M., Mediation Law and Practice, Cambridge University Press, New York, 2006, 265.

⁵⁸ ინგლისური ანდაზა: „ჩვენ შეგვიძლია მივიყვანოთ ცხენი წყალთან, მაგრამ ვერ ვაიძულებოთ მას წყლის დაღევას“ – საჭაორო ზუსტად გადმოცემს სავალდებულო მედიაციის არსებ.

განვითარებული მოვლენებით. კერძოდ, იტალიის აღმსარულებელმა ხელისუფლებამ, გადატვირთული მართლმსაჯულების განტვრთვის მიზნით, 2010 წელს 4 მარტს მიიღო №28 სამართლებრივი აქტი (*Decreto Legislativo*)⁵⁹ მედიაციის თაობაზე; რომლითაც: 1) გარკვეულ კატეგორიების საქმეებზე სასამართლო უფლებამოსილი იყო, პირდაპირ გადაეგზავნა საქმე სამედიაციო ცენტირსათვის. შესაბასამისად, დაინერგა სავალდებულო მედიაციის ინსტიტუტი; 2) თუ მხარეები თავად ვერ მორიგდებოდნენ შეთანხმების ხელსაყრელ პირობებზე, მაშინ მედიატორს ეძლეოდა შესაძლებლობა, მხარეთათვის შეეთავაზებინა შეთანხმების პირობები, რომელზეც დაუთანხმებლობა და საქმის სასამართლოში დაბრუნება მოსამართლეს აძლევდა უფლებამოსილებას მედიატორის შეთავაზებაზე უარის განმაცხადებელი მხარის წინააღმდეგ მიეღო გარკვეული სანქციები. აღნიშნული ხორმის მე-2 ნაწილი, 2012 წლის №272 საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით,⁶⁰ არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი, არა იმიტომ რომ ის ზღუდავდა სამართლიანი სასამართლოს უფლებას, არა მედ იმიტომ რომ აღნიშნული ხორმა აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მიღებული სამართლებრივი აქტით რეგულირდება და არა – საკანონმდებლო ხელისუფლებისა. შესაბამისად, თუ რამდენიმე წლის წინ ჯერ კიდევ სადაცო საკითხს წარმოადგენდა სამართლის იტალიელი სპეციალისტებისათვის სავალდებულო მედიაციის როგორც არსებობა, დღეს შეიძლება დაბეჭიოთებით ითქვას, რომ მედიაციის პროცესში მხარეებს ყოველთვის აქვთ უფლება, უარი თქვან მორიგებაზე, მაგრამ მათ ყოველთვის არ აქვთ უფლება, უარი თქვან მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე. ასე, რომ სავალდებულო მედიაციის პროცესში სავალდებულო (არანებაყოფლობით) მონაწილეობას გულისხმობს და არა – სავალდებულო მორიგებას. ამასთან, მაშინაც კი, როცა მედიაციის პროცესში მონაწილეობა სავალდებულოა, ვალდებულების ფარგლები ხშირად სხვადასხვაგვარია. თუ ერთ შემთხვევაში მხარეებს მხოლოდ საინფორმაციო (საორიენტაციო) შეხვედრაში მონაწილეობა ევალებათ, მეორე შემთხვევებში ის სასამართლოში დავის წამოწყების აუცილებელი პრე-რეკვიზიტია. შესაბამისად, მხარეებს ევალებათ მინიმუმ ერთ სამედიაციო შეხვედრაში მონაწილეობის მიღება. მაშინაც კი, როცა მედიაცია ნებაყოფლობითია, მისი ფარგლებიც შეიძლება იყოს განსხვავებული. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით, სასამართლოს შეუძლია „ძლიერი ზეწოლა“ მოახდინოს მარებზე, რათა სასამართლოს მომხმარებლებმა მიმართონ მედიაციას, ხოლო ზოგიერთი ქვეყნის სასამართლო მხოლოდ შეთავაზებით (ზოგადი რეკომენდაციით) შემოიფარგლება ხოლმე.⁶¹

სავალდებულო და ნებაყოფლობით მედიაციას აქვს როგორც დადგბითი და ისე უარყოფითი მხარეები. მათი გაცნობისა და გაანალიზების გარეშე რთულია სწორი დასკვნის ან დაშვების გაკეთება, თუ რომელი

⁵⁹ იტალიის აღმსარულებელი ხელისუფლების, 2010 წელს 4 მარტის №28 სამართლებრივი აქტი, იხ:

<<http://www.normattiva.it/uri-res/N2Ls?urn:nir:stato:decreto.legislativo:2010-03-04;28!vig=>>, [30/10/2015].

⁶⁰ იტალიის საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის №272/2012 გადაწყვეტილება, იხ:

<<http://www.cortecostituzionale.it/actionSchedaPronuncia.do?anno=2012&numero=272>>, [30/10/2015].

⁶¹ Goldberg S., Sander F., Rogers N., Cole S. R., Dispute Resolution: Negotiation, Mediation and other Processes, Wolters Kluwer Law & Business, Six Ed., New York, 2012, 520.

უფრო მისაღები იქნება საქართველოში. ფაქტი ერთია – ორივე მათგანს როგორც მომხრეები, ისე მოწინააღმდეგები უხვად ჰყავს როგორც საქართველოში, ისე – მის ფარგლებს გარეთ.

2.1 სავალდებულო მედიაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები

რა არის სავალდებულო მედიაციის უპირატესობა და რა ნაკლოვანებები გააჩნია მას? ორივე მოდელის მომხრეთა და მოწინააღმდეგებთა არგუმენტები საკმაოდ საინტერესოა. შედეგის თვალსაზრისით, ნათელია, რომ სავალდებულო მედიაციის დაწესება მხარეთა და საზოგადოების ინტერესებისათვის სასარგებლოა. შესაბამისად, მართლმსაჯულების ინტერესებში უნდა შედიოდეს მისი არსებობა იმ პირობით, რომ იარსებებს სახელმწიფოს მიერ მოდავე მხარეებზე ზემოქმედების მექანიზმები მედიაციის პროცესში მათი მონაწილეობისთვის და არა სავალდებულო მორიგებისათვის. ხშირად გამოითქმის მოსაზრება, რომ „სავალდებულო მედიაცია გამართლებულია, როცა ის სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულია და არ იწვევს დანაკარგებს მოდავე მხარეთათვის“,⁶² რაც გულისხმობს სასამართლო ბაჟისაგან გათავისუფლებას, მედიატორისათვის პონორარის გადახდას, ხანდაზმულობის ვადის დინების შეჩერებას და აშ. ამ შემთხვევაში სავალდებულო მედიაციას უარყოფითი ასპექტები შემცირებულია (ეკონომიკური, თუ სამართლებრივი თვალსაზრისით). იმ შემთხვევაში, როცა სამედიაციო ცენტრისათვის მიმართვა მხარეთათვის სავალდებულოა, ხოლო მხარეებისათვის არ არსებობს მათი სამართლებრივი თუ ეკონომიკური ინტერესების მასტიმულირებელი მექანიზმი, რასაკვირველია, სავალდებულო მედიაციის მომხრეთა ოდენობა კლებულობს.

სავალდებულო მედიაციის პრაქტიკამ აჩვენა,⁶³ რომ უმეტეს შემთხვევაში მხარეებისთვის მისაღებია მოსამართლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილება – საქმის სამედიაციოდ სავალდებულო მიმართვის თაობაზე და მოსამართლის ამ გადაწყვეტილებას ისინი ხშირად სიხარულით ხვდებიან, რადგან რიგ შემთხვევაში მხარის მიერ მორიგების სურვილის გაცხადება (მედიაციისადმი მიმართვის შეთავაზება) მოწინააღმდეგე მხარის მიერ აღიქმება როგორც სუსტი სამართლებრივი პოზიციით გამოწვეული კომპრომისი.⁶⁴ შესაბამისად, მაშინ, როცა ოპონენტის თვალში სხვა შინაარსის მქონე „სიგნალი“ არ აღქმის შიშით მხარეები თავს იკავებენ საკუთარი ინიციატივით მედიაციის შესახებ საუბრის დაწყებისაგან, მოსამართლის დავალებით მედიაციის პროცესში ჩართვა ეხმარება ორივე მხარის „სახის შენარჩუნებასა“ და მორიგების შესაძლებლობის გამოყენებაში. ამასთან, რამდენადაც ადვოკატებს შესისხლხორცებული აქვთ დავის გადასაწყვეტად სასამართლოსათვის მიმართვა, ხშირად ისინი მოლაპარაკების მცდელობისა და აღტერნატიულ შესაძლებლობებზე დაფიქრების გარეშე, ჩვეულებისამებრ მიმართავენ ხოლმე მას. შესაბამისად, სასა-

⁶² Spencer D., Brogan M., Brogan C. M., Mediation Law and Practice, Cambridge University Press, New York, 2006, 268.

⁶³ Nolan-Haley M. J., Court Mediation and The Search for Justice Through Law, Washington University Law Quarterly, Vol. 74, 1996, 61.

⁶⁴ Blackshaw I. S., TMC Asser Instituut (La Haye), Sport, Mediation and Arbitration, T.M.C. Asser Press, Hague, 2009, 243.

მართლოში წასვლა არ ნიშნავს, რომ მხარეებს დავის მორიგებით დამთავრების მიზნით „არცერთი ქვა დაუტოვებიათ ამოუტრიალებელი“, „ყველა შესაძლებლობა გამოიყენეს“ და მაინც, მცდელობის მიუხედავად, ვერ მოახერხეს კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტა. რა თქმა უნდა, ასეთი შემთხვევები ნებისმიერი ქეყნის სასამართლოში უხვადაა, რაც სავალდებულო მედიაციისადმი ლოიალური დამოკიდებულების მქონე პირთა სიუხვეს განაპირობებს.

ამასთან, სავალდებულო მედიაციის მომხრეები საკუთარი არგუმენტის დასაცავად ხშირად მოუხმობენ ხოლმე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქმეში ეშნივდეითი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ, გაკეთებულ განმარტებას: სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება არ არის აბსოლუტური და ის შეიძლება ექვემდებარებოდეს შეზღუდვას, თუ ეს შეზღუდვა ემსახურება კანონიერ მიზანს და დაცულია პროპორციულობა გამოყენებულ ზომასა და მისაღწევ მიზანს შორის.⁶⁵

თითოეული საქმის სასამართლოში წარმოება მართლმსაჯულებისაგან მოითხოვს ადამიანურ, მატერიალურ და დროის საკმაოდ დიდ რესურს. შესაბამისად, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების დახმარებით სამართლებრივი დავების რეგულირება მართლმსაჯულებისათვის გამართლებულია როგორც ეკონომიკური პარამეტრებით, ასევე – ხარისხობრივითაც. სასამართლო განხილვის მომლოდინე საქმეთა რაოდენობის შემცირება ნიშნავს წარმოებაში არსებულ საქმეთა უფრო მშვიდი და სიღრმისეული გაანალიზების საშუალებას. მართალია, სასამართლოთა განტვირთვა და სახელმწიფო რესურსების დაზოგვა როგორც სავალდებულო, ისე ნებაყოფლობითი მედიაციის დამახსასიათებელი ფაქტორია, თუმცა სავალდებულო მედიაციით ზემოაღნიშნული უპირატესობები გაცილებით ფართო მასშტაბებს იღებს. პარალელურად, მედიაციის ეფექტური მუშაობა საჭიროებს სასამართლოების აღმინისტრაციულ მხარდაჭერას, რაც სავალდებულო მედიაციის დროს, როგორც წესი, უფრო მეტად არის უზრუნველყოფილი, ვიდრე ნებაყოფლობითი მედიაციისას.

მედიაციის ინსტიტუტი მით უფრო სიკეთის მომტანია, რაც უფრო ადრეულ ეტაპზე ხდება მისი ჩართვა სამართლებრივი კონფლიქტის რეგულირების პროცესში.⁶⁶ აქედან გამომდინარე, გამართლებულია, როცა მოსამართლე მხარეებს ავალებს საქმის არსებითად განხილვის წამოწებამდე სავალდებულო მედიაციის პროცესში მონაწილეობას. მორიგების შემთხვევაში აღნიშნული მიღვიმა მოდავე მხარეებს თავიდან აცილებს კონფლიქტის ექსკალაციასა და რესურსების ხარჯვას. მით უფრო, როცა მედიაციის პროცესში დავის თანამშრომლობითი გზით გადაწყვეტის, მოსმენის, გაგებისა და საკუთარი თავის გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებით აღჭურვის შესახებ ხდება მხარეთა ინფორმირება, მხარეები იოლად ახერხებენ კონფლიქტიდან ურთიერთსასარგებლო და შემოქმედებითი გამოსავლის პოვნას.⁶⁷ შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ

⁶⁵ Ashingdane vs. The United Kingdom, Judgment of the European Court of Human Rights, Application No. 8225/78, 1985, para., 57.

⁶⁶ Roberts M. M., Mediation in Family Disputes, Ashgate Publishing Ltd., Burlington, 2014, 180.

⁶⁷ Spencer D., Brogan M., Brogan C. M., Mediation Law and Practice, Cambridge University Press, New York, 2006, 269.

საქმის ადრეულ ეტაპზე სავალდებულო გადამისამართება ქმნის მედიაციის დადებითი მხარეების მაქსიმალურად გამოყენების შესაძლებლობას. აქვე აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ზემოჩამოთვლილი უპირატესობებისა, სავალდებულო მედიაციის დანერგვის მთავარ ლაიტმოტივად რჩება ის, რომ მედიატორებს შეუძლიათ მხარეებს აღმოუჩინონ დახმარება საწყისს ეტაპზე მათი წინააღმდეგობის მიუხედავად.

აღსანიშნავია, რომ პურისტების შეხედულებით, სავალდებულო მედიაცია საზოგადოებაში მედიაციის კულტურის დამკვიდრების პროცესში უკან გადადგმული ნაბიჯია. ცხადია, სავალდებულო ხასიათი მედიაციის კონსესუალურ ბუნებას ვნებს, თუმცა, მეორე მხრივ, რაციონალისტების მიაჩნიათ, რომ მედიაციის პროცესის არაფორმალური ხასიათისა და მხარეთა მიერ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უფლებიდან გამომდინარე, პროცესში სავალდებულო მონაწილეობის დაწესება ვერ მოახდენს გავლენას მის ნებაყოფლობით ბუნებაზე იმდენად, რომ ხაზი იქნება გადასმული იმ სიკეთეზე, რისი მიღწევაც მისი დახმარებითაც შეიძლება.⁶⁸ თუ კონსენტრაციის მიმდევარებით იმაზე, რომ სავალდებულო მედიაციას შეუძლია დაეხმაროს მხარეებს კომუნიკაციაში, მოწინააღმდეგე მხარის პრობლემებისა და ინტერესების შეცნობაში, მორიგებისათვის საერთო ნიადაგის მომზადებასა და იმაში, რომ პროცესში მონაწილეობის სავალდებულობა და არა გადაწყვეტილების მიღების, არ ეწინააღმდეგება მედიაციის იდეას, მაშინ შესაძლოა მის მომხრეებათაც ვიქცეთ.

უფრო მეტიც, მედიაციის პრობლემებზე მომუშავე ავსტრალიელი ავტორები⁶⁹ ფიქრობენ, რომ სასამართლოებს აქვთ სავალდებულო მედიაციის განწესების თანდაყოლილი უფლებამოსილება, როგორც მათი საქმიანობის შემადგენელი ნაწილის და რომ ის საქმეთა მართვის ადმინისტრაციული ფუნქციის კომპონენტია. შესაბამისად, დღეისათვის ავსტრალიაში ცდილობენ, ხელი შეუწყონ მოსამართლეებს სავალდებულო მედიაციისათვის გამოსაყენებლად. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმ ქვეყნებში, სადაც სავალდებულო მედიაცია მოქმედებს, შეიძლება ითქვას, რომ მედიაციის პროცესის ნებაყოფლობითობის იდეა გადაწონა საჯარო ინტერესმა გადატვირთული სასამართლოების პროცესებისაგან გათავისუფლების შესახებ. შედარებითი ანალიზის შედეგად სასურველი შედეგის მიღების სტატისტიკურმა მაჩვენებელმა გადაწონა სურვილი, რომ მხარეებმა ნებაყოფლობით მიიღონ მონაწილეობა მასში,⁷⁰ თუმცა, ამგვარ მიდგომას ავტორთა ნაწილი⁷¹ არ იზიარებს. მათი მოსაზრებით სავალდებულო მედიაცია ეწინააღმდეგება მედიაციის იდეას, ვინაიდან შემცირების ნაცვლად ის ზრდის პროცესის ხარჯებს, ვადებს და განმუხტვის მაგიერ ამწვავებს მხარეთა შორის დაბაბულობას. ამასთან, სახელმწიფო მოხელის მხრიდან ნებისმიერი ფორმით ზემოქმედება ან დავალება მხარეებისათვის მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე, მათი მოსაზ-

⁶⁸ Spencer D., Brogan M., Brogan C. M., *Mediation Law and Practice*, Cambridge University Press, New York, 2006, 270.

⁶⁹ Alexander N., Four Mediation Stories from Across the Globe, *Rabels Zeitschrift fur Auslanisches und Internationals Privatrecht* (the Rabel Journal), No. 4, 2010, 745.

⁷⁰ Spencer D., Brogan M., Brogan C. M., *Mediation Law and Practice*, Cambridge University Press, New York, 2006, 271.

⁷¹ Alexander N., Four Mediation Stories from Across the Globe, *Rabels Zeitschrift fur Auslanisches und Internationals Privatrecht* (the Rabel Journal), No. 4, 2010, 755.

რებით, გამორიცხავს მის კონსენსუალურ ბუნებას, რის გამოც მიაჩნიათ,⁷² რომ სავალდებულო მედიაცია გარკვეულწილად ოქსიმორონია – კონსენსუალური პროცესის იძულებით წამომწყებია. ვინადიან სავალდებულო მედიაცია მხარეთა სურვილს უგულვალვალყოფს, მხარეები აღარ არიან მოტივირებულები მორიგებაზე.⁷³ მეტიც, ხშირად ის გამოიყენება ადვოკატების მიერ სასამართლო პროცესის გაწელვის საშუალებად და განამტკიცებს სახელმწიფოს დომინირებას ინდივიდების უფლებებზე. შესაბამისად, ნაკლებადაა სიკეთისა და პროგრესის მომტანი, ვინაიდან არღვევს მედიაციის პროცესის სულისკვეთებას, ეთიკასა და მხარეთა ინტრესებზე მორგებული მორიგების პროცესის ნაცვლად, მართლმსაჯულების ინტერესბზე მორგებულ პროცესად იქცევა.⁷⁴

სავალდებულო მედიაციის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა არგუმენტები მუდამ იარსებებს. ერთი შეხედვით, სავალდებულო მედიაციას შეუძლია, ზიანი მიაყენოს მედიაციის იდეას, თუმცა, მეორე მხრივ, მას შეუძლია მნიშვნელოვანი დახმარების გაწევაც. თუ სავალდებულო მედიაციის პროცესი ერთ მორიგებს მხარეებს, მათ შორის პოზიციების დახლოებას მაინც უნდა შეუწყოს ხელი, რომლის დადებით შედეგსაც ხშირად მხარეები სასამართლო პროცესის დროს იღებენ.⁷⁵ გამოდის, რომ გარკვეულ წილად მედიაციის იდეის მიღწევა სავალდებულო მედიაციით მაშინაც კი ხერხდება, როცა პროცესი ერთი შეხედვით წარუმატებლად – მორიგების გარეშე სრულდება.

როგორც შემგომ თავებში იქნება მიმუხილული, სავალდებულო მედიაციის დამკვიდრებას სხვადასხვა ქვეყნის მართლმსაჯულებაში სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს. ასევე განსხვავდება იმ დავათა კატეგორიებიც, რომლებიც შესაძლოა სავალდებულო მედიაციას გადაეცეს, თუმცა ყველაზე მეტად სავალდებულო მედიაციას საოჯახო და სამემკვიდრეო დავების გადასაწყვეტად მიმართავენ,⁷⁶ პრობლემის ფსიქო-სოციალური ფაქტორის მნიშვნელობიდან გამომდინარე. ასევე, კვლევის შედეგებმა ცხადყო,⁷⁷ რომ მოსარჩელე მხარის წარმომადგენლები უფრო მეტად უკმაყოფილოები იყვნენ სავალდებულო მედიაციით, ვიდრე – მოპასუხე მხარისა, რაც იმით აისხება, რომ მედიაციის პროცესზე დახარჯული დრო მოპასუხე მხარისათვის გარკვეული ფორმით საკუთარი პოზიციის ჩამოსაყალიბლებად დამატებით შესაძლებლობად იქცა.

⁷² Spencer D., Brogan M., Brogan C. M., *Mediation Law and Practice*, Cambridge University Press, New York, 2006, 266.

⁷³ რაც სტატისტიკური მაჩვენებლებითაც დასტურდება. კერძოდ, მორიგების პროცენტული მაჩვენებელი ხებაყოლობით მედიაციის პროცესებზე უფრო მაღალია, ვიდრე – სავალდებულო მედიაციის პროცესებზე.

⁷⁴ Spencer D., Brogan M., Brogan C. M., *Mediation Law and Practice*, Cambridge University Press, New York, 2006, 268.

⁷⁵ Quek D., *Mandatory Mediation: An Oxymoron? Examining The Feasibility of Implementing a Court-Mandated Mediation Program*, Cardozo Journal of Conflict Resolution, Vol. 11, 2010, 481.

⁷⁶ Rogers H. N., McEwen A. C., *Mediation: Law, Police, Practice*, The Lawyers Co-operative Publishing Company, Rochester, 1989, 44.

⁷⁷ Relis T., *Perceptions in Litigation and Mediation: Lawyers, Defendants, Plaintiffs and Gendered Parties*, Cambridge University Press, New York, 2009, 82.

2.2 ნებაყოფლობითი მედიაციის დადგებითი და უარყოფითი მხარეები

შეიძლება ითქვას, რომ ნებაყოფლობითი მედიაციის დადგებით მხარეებს არა მარტო ეს ქვეთავი, არამედ ნაშრომის რამდენიმე თავი ეძღვნება. ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ მედიაციის, როგორც დავების ეფექტური გადაწყვეტის მექანიზმის, სრულყოფილი გამოყენება სწორედ ნებაყოფლობითი მედიაციით ხორციელდება, რაც გულისხმობს შემდეგს: ნებაყოფლობითი მედიაციის დროს, მაშასადამე მაშინ, როცა მედიაცია თვით მხარეთა ინიციატივით არის წამოწყებული, იქმნება სივრცე, რომელშიც მხარეები ორიენტირებულები არიან პრობლემის გადაწყვეტაზე – კონფლიქტის გარდაქმნაზე და არა დიდ ფსიქო-სოციალურ-სამართლებრივ ომში ერთი ბრძოლის მოგებაზე. სწორედ ნებაყოფლობითი მედიაციის დროს მხარეთა გახსნილობა ქმნის შემოქმედებითი გამოსავლის პოვნისათვის ხელსაყრელ გარემოს და აღჭურავს პროცესში მონაწილე მხარეებს გადაწყვეტილების მიღების ძალით.

ამასთან, სავალდებულო მედიაციის ნაკლოვანებები, რა თქმა უნდა, ნებაყოფლობით მედიაციის პროცესს არ გააჩნია, თუმცა, ამავე დროს ლეგიტიმურია სავალდებულო მედიაციის იდეის დამცველთა⁷⁸ კითხვა: მაშინ, როცა მხარეები წინასწარ არ შეთანხმებულან დავის წარმოშობის შემთხვევაში მედიაციისათვის მიმართვის თაობაზე, როგორ უნდა შეთანხმდნენ მოდავე მხარეები მედიაციის ცენტრისადმი მიმართვის თაობაზე (ან მედიატორის არჩევაზე), თუ მათ შორის უკვე კონფლიქტია გაღვივებული? აღნიშნულ კითხვაზე მრავალი პასუხი არსებობს, თუმცა ერთ-ერთი ყველაზე სარწმუნოა ის მოსაზრება, რომ ნებაყოფლობითმა მედიაციის ინსიტუტმა საზოგადოებასთან სწორი კომუნიკაციით თავად უნდა მოახერხოს თავისი დადგებითი მხარეების შესახებ საზოგადოების ცნობიერების გაზრდა. მორიგებით დამთავრებული ყოველი საქმე სწორედ რომ ყველაზე კარგი საშუალებაა მედიაციის პოპულარობის გაზრდისა.⁷⁹ აქედან გამომდინარე, სავალდებულო მედიაციის დანერგვა მედიაციის პრაქტიკის არმქონე ქვეყნებში სწორედაც რომ გამართლებულია.⁸⁰ სავალდებულო მედიაციის ინსიტუტის მომხმარებელთა კმაყოფილების მაჩვენებლებით თუ ვიმსჯელებთ, მიღწეული შედეგი ამართლებს იმ ზომებს, რომელებსაც სასამართლო გამოიყენებს მხარეთა იძულებისათვის, მიიღონ მედიაციის პროცესში მონაწილეობა, თუმცა კრიტიკოსთა ნაწილისათვის⁸¹ ეს ჯერ კიდევ არ არის საკმარისი არგუმენტი იმისათვის, რომ გამართლდეს ისეთი ინსტიტუტის არსებობა, რომელიც მედიაციის პროცესში მხარეთა ნების თავისუფლებას შეზღუდავს.

არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ სავალდებულო მედიაციის მოქმედება პოზიტიურად ისახება ნებაყოფლობით მედიაციაზეც. კერძოდ, იტალიაში 2011 წლამდე, სანამ მედიაცია არ გახდებოდა სავალდებულო,

⁷⁸ McIlwraith M., Savage J., International Arbitration and Mediation: a Practical Guide, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2010, 187.

⁷⁹ წარმატებით დასრულების მაჩვენებელი „ADR Group-ის“ მონაცემებით მხოფლიოს მასშტაბით 80%-ია, ხოლო CEDR და JAMS-ის მონაცემებით – 85-90%-მდე მერყეობს;

⁸⁰ Allen T., A Closer Look at Halsey and Stell, 2004, <http://www.cedr.com/articles/?item=A-closer-look-at-Halsey-and-Steel>, [10/10/2014].

⁸¹ Alexander N., Four Mediation Stories from Across the Globe, Rabels Zeitschrift fur Ausländisches und Internationals Privatrecht (the Rabel Journal), No. 4, 2010, 745.

მედიაციისადმი მიმართულ საქმეთა რაოდენობა წელიწადში არ აღემატებოდა 2000-ს, ხოლო 2011–2012 წლებში, მაშინ, როცა ამოქმედდა სავალდებულო მედიაციის შესახებ კანონი, ნებაყოფლობითი მედიაციის რაოდენობა გაიზარდა 45 000-მდე. 2013 წლის დასაწყისში დროებით შეჩერდა სავალდებულო მედიაციის მოქმედება. შედეგად ნებაყოფლობითი მედიაციისადმი მიმართული საქმეების რაოდენობა ფაქტობრივად ნულამდე დავიდა, ხოლო 2013 წლის ბოლოს, როცა ახალი რეგულირებით იგი კვლავ ამოქმედდა, ნებაყოფლობითი მედიაციისადმი მიმართვის რაოდენობა კვლავ ასცდა 10 000-ს.⁸²

⁸² De Palo G., D'Urso L., Trevor M., Branion b., Canessa R., Cawyer B., Florence R., “Rebooting” the Mediation Directive: Assessing the Limited Impact of its Implementation and Proposing Measures to Increase the Number of Mediations in the EU, Directorate General for Internal Policies, European Parliament’s Committee on Legal Affairs, Brussels, 2014, 8.

3. ნორმატიული რეგულირება როგორც მედიაციის მოდელის განვითარების კომპონენტი

საუკუნეების მანძილზე დავის სასამართლოს გზით გადაწყვეტის წესი კანონმდებლობით არის მოწესრიგებული. მესამე ნეიტრალური პირის დახმარებით მოლაპარაკების პროცესის ხელშეწყობა, ტრადიციულად, მხარეთა შეთანხმებით ხდებოდა, თუმცა თანამედროვე მართლმსაჯულების სისტემაში ინტეგრირებულ მედიაციის მოდელის იმპლემენტაციას, რასაკვირველია, საკანონმდებლო დონეზე სჭირდება რეგულირება. სასამართლოსა და არბიტრაჟის პროცესთან შედარებით მედიაციის პროცესის უპირატესობის მიუხედავად, იგი გარკვეულ რისკს შეიცვას, ამიტომ მომხმარებელთა დაცვის მიზნით, მედიაციის პროცესს სწორი რეგულირება სჭირდება. კერძოდ, ვინაიდან მედიაციის პროცესი კონფიდენციალურია, ხოლო მასში ადვოკატები ყოველთვის არ მონაწილეობენ (მხარები დამოუკიდებლად არიან წარმოდგენილი), ასევე, არაფორმალური და მოქნილია (ჯეროვანი პროცესის პრინციპები მასზე არ ვრცელდება), ყოველთვის არსებობს საშიშროება სუსტ მხარეზე ძლიერის გავლენის მოხდენისა.⁸³ ზემოაღნინულიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ არარეგულირებულ მედიაციის პროცესს თანხდევს სამართლიანობის პრინციპის დარღვევის რისკი. მედიაციის პროცესის სამართლიანობა ვერ იქნება უზრუნველყოფილი, თუ იგი არ იქნა რეგულირებული. მხარეებს უნდა სჯეროდეთ, რომ ისინი სამართლიან პროცესში მონაწილეობენ, ხოლო მიღწეული მორიგება სამართლიანი და გამართლებულია. შესაბამისად, სამართლიანობა მედიაციის პროცესის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია. მხარეები უნდა გრძნობდენენ, რომ მათ სამართლიანად ექცევიან და მორიგება გამართლებულია.⁸⁴ სამართლიანი მედიაციის პროცესის უზრუნველსაყოფად საჭიროა საკანონმდებლო დონეზე ისეთი დამცავი მექანიზმების შემუშავება, რომელებიც შექმნის მედიაციის პროცესის, სტრუქტურისა და მედიატორის პროფესიონალიზმის დაცვის გარანტიებს.⁸⁵

მედიატორის მთავარი მისწრაფება მოდავე მხარეთა მიმართ დირსეულად მოპყრობაა, რაც გულისხმობას მათი შეხედულებების, მოსაზრებების, გადაწყვეტილებებისა და არჩევანის პატივისცემას. მედიაციის ერთ-ერთი უპირატესობა სწორედ იმ დროს ვლინდება, როცა ადამიანებს ეძლევათ შესაძლებლობა, გამოხატონ სიმართლის საკუთარი ხედვა იმ ფორმითა და წესებით, რომლებიც ხშირად არ არის კანონმდებლობით დაგენილი. სიმართლის ინდივიდუალურ აღქმას და მის გამოხატვას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სწორედ მხარეთა შორის ურთიერთგაგების მიღწევის ეტაპზე,⁸⁶ რამდგან მასზე იგება შემდეგ მორიგების აქტი.

მედიაციის პროცედურების გარკვეული ფორმით მოწესრიგება რომ საჭიროა, ეს არ წარმოადგენს სადისკუსიო თემას, თუმცა ერთი შეხედვით მარტივი საკითხის რეგულირებაც კი კანონმდებლისათვის ერთგართავსატეხად იქცევა. რამდენადაც მხარეთა შეთანხმება განსაზღვრავს მედიაციის მსვლელობის ფორმასა და მისი შედეგების სამართლებრივ ძალას, ამდენად, მაღალია მხარეთა ნების ავტონომიურობის პრინციპის

⁸³ Roberts M. M., Mediation in Family Disputes, Ashgate Publishing Ltd., Burlington, 2014, 213.

⁸⁴ იქვე.

⁸⁵ იქვე.

⁸⁶ იქვე.

გავრცელება მედიაციის მთელ პროცესზე. რასაკვირველია, პრინციპებისა და პროცედურების დამკვიდრება იმ საკითხებთან მიმართებით, რაც ტრადიციულად ნორმატიული აქტებით იყო რეგულირებული, გაცილებით იოლია, ვიდრე იმ საკითხისა, რომელიც კონსესუალური შეთანხმების საგანი იყო მუდამ. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ მედიაციის რეგულირება სასამართლოსა და არბიტრაჟის საპროცესო ნორმებისაგან განსხვავებული ფორმისა და შინაარსის მქონე სამართლებრივი ნორმების შემუშავებას მოითხოვს. სისტემური გამოწვევების გარდა, მრავალია შინაარსობრივ მხარესთან დაკავშირებული პროცედურებიც. კერძოდ, ვერც პრაქტიკოსებსა და ვერც თეორეტიკოსებს შორის კონსენსუსი ვერ იქნა მიღწეული მედიაციის უნივერსალურ დეფინიციასთან დაკავშირებით. შესაბამისად, არავის შეუძლია თქვას, რომელია „ნამდვილი მედიაციის“ პროცესი და რომელი – არა, რომელი მედიატორი იყენებს სწორ სტილს ან მეთოდს და რომელი არა. როგორც ამბობენ⁸⁷, „მედიაციის რაც უფრო განსხვავებული ფორმისა და სტილის ცოდნა და წარმართვის უნარი გააჩნია მედიატორს, საქმის ჯეროვნად შესრულების მით უფრო მეტი შანსი აქვს მას.“ აღნიშნული იდეის მომხრეებს მიაჩნიათ, რომ თუ მედიატორი ახერხებს სამართლიან და გამოყენებად მორიგების აქტზე მხარეთა შეთანხმებას, მაშინ ის სწორ მეთოდს იყენებს, მიუხედავად იმისა, თუ რა სტილს ან ფორმას მიმართავს იგი პროცესის მსვლელობისას.

მედიაციის რეგულირების საკითხი იყოფა ორ ჯგუფად: ვრცელ და შეზღუდულ რეგულაციებად. პირველი ჯგუფის წევრი ქმედები იხრებიან მედიაციის მოწესრგებელი ნორმების ფართო, ამომწურავ რეგულირებისაკენ. ამ შემთხვევაში მედიაციის კანონმდებლობის თავისებურება ისაა, რომ მნიშვნელოვანი დებულებები სავალდებულო შესასრულებელია, შესაბამისად, იმპერატიული ტონი ჭარბობს მათში; მეორე – მედიაციის მომაწესრიგებელი ნორმები გაშლილია სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებში. მედიაციის მწყობრი და ვრცელი საკონომდებლო რეგულირების არგუმენტებია მომხმარებელთა უფლებების დაცვა, სახელმწიფოსაგან მედიაციის ხელშეწყობისა და მხარდაჭერის აუცილებლობა, საკანონმდებლო სიცხადე და ა.შ. სამაგალითოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ ავსტრიის პრაქტიკა,⁸⁸ სადაც მედიაცია მოწესრიგებულია სამოქალაქო სამართლის მედიაციის აქტით (*Civil Law Mediation Act*)⁸⁹, სამოქალაქო სამართლის მედიატორების ტრეინინგის რეგულაციებით (*Civil Law Mediation Treinitig Regulation*)⁹⁰, რომელშიც გაწერილია მედიატორთა ტრეინიგის პირობები და წესები; მედიატორთა პროფესიული ორგანიზაციების მიერ შემუშავებული ეთიკის კოდექსით⁹¹ და ევროკავშირის დირექტივით.⁹² საფრანგეთიც მედიაციის კანონმდებლობის ვრცლად რეგულირების ჯგუფს მიეკუთვნება, თუმცა იქ,

⁸⁷ Brown J. H., Marriott A., *ADR Principles and Practice*, Third Ed., Sweet & Maxwell, London, 2011, 44.

⁸⁸ Hopf J. K., Steffek F., *Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective*, Oxford University Press, Oxford, 2013, 18.

⁸⁹ (გერ.) Zivilrechts-mediations-Geset, დაწერილებით შეგიძლიათ იხ.:<

<http://www.ris.bka.gv.at/Dokumente/BgbI/Pdf/2003_29_1/2003_29_1.pdf>, [01/11/2015].

⁹⁰ (გერ.) Zivilrechts-Mediations-Ausbildungsverordnung - ZivMediat-AV, შეგიძლიათ იხ.:<

<http://mit-austria.at/sites/default/files/pages/attachments/mediation-ausbildungsverordnung_0.pdf>, [01/11/2015].

⁹¹ იხ.: <http://ec.europa.eu/civiljustice/adr/adr_ec_code_conduct_en.pdf>, [29/07/2014].

⁹² იხ.: <<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:32008L0052>>, [01/10/2015].

ავსტრიისაგან განსხვავებით, მედიაციის პროცესის მომწესრიგებელი ნორმები სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, შრომისა კოდექსსა და სამოქალაქო კოდექსშია თავმოყრილი.⁹³ ასევეა იაპონიშიც, თუმცა იქ შედარებით ნაკლები რეგულაციებია შემოღებული, ვიდრე ავსტრიაში.⁹⁴

მეორე ჯგუფს მიეკუთვნებიან ის სახელმწიფოები, რომლებმაც სისტემური და დაწვრილებითი რეგულირების ტენდენციის საპირისპიროდ გადაწყვიტეს მედიაციის განზრახ „მსუბუქი“ რეგულირება. ამ მიღვომის მომხრეთა არგუმენტი იყო ის, რომ მედიაციის ინსტიტუტი არ არის ჯერჯერობით იმდენად ჩამოყალიბებული ანდა გავრცელებული, რომ მას დეტალური რეგულირება სჭირდებოდეს.⁹⁵ შესაბამისად, მედიატორთა ტრეინინგი და მედიაციის პროცესუალური წესები ამ ქვეყნებში კერძო ასოციაციებისა და ინსტიტუტების ხელში რჩება. მსუბუქი რეგულაციის მომხრებისაგან ხშირად გაისმის მოსაზრება, რომ მედიაციის პროცესს „ბაზარი დაარეგულირებს“.⁹⁶ კერძოდ, მიაჩნიათ, რომ ფორმალური რეგულირების გარეშეც ის პრაქტიკისი მედიატორები, რომლებიც ბაზარზე ხარისხიან პროდუქტს სთავაზობენ მომხმარებელს, მიაღწევენ წარმატებას, ხოლო ისინი, ვინც არაკომპეტენტურები არიან, თავად ჩამოშორდებიან მას.⁹⁷ ამის კარგ საიდუსტრიაციო მაგალითად ინგლისისა და პოლანდიის მედიაციის მარგულირებელი კანონმდებლობა გამოდგება. ავტორთა გარკვეული ნაწილი⁹⁸ არ იზიარებს აღნიშნულ პოზიციას შემდეგი მოსაზრებათა გამო:

- სახელმწიფოსაგან განსხვავებით, მხარებს (კერძო და იურიდიულ პირებს) ნაკლებად გააჩნიათ კონტროლისა და დაცვის მექანიზმები. მათ აქვთ მოლოდინი ხარისხისანი და ეთიკის სტანდარტების დაცვით წარმართული სერვისის, მით უფრო, თუ ის სახელმწიფოსგანაა დაფინანსებული;
- საოჯახო თუ ნებისმიერ კომერციული დავის შედეგი მნიშვნელოვნად ზემოქმედებს მოდავე მხარეების ცხოვრებაზე, ამიტომ მხარეები არ შეიძლება დაუკავშირო იყვნენ რისკის ქვეშ, რომ შესაძლოა არ შეხვდეთ პროფესიონალი, მაღალი დონის მედიატორი, რომელიც მედიაციის პროცესს ხარისხიანად წარმართავს. ამასთან, დიდ ქალაქებში სტანდარტების არ არსებობის შემთხვევაში, ეთიკისა თუ სხვა სტანდარტების დამრღვევი მედიატორი შესაძლოა თავისუფლად და საკმაოდ წარმატებითაც განაგრძობდეს საქმიანობას ისე, რომ მის მიერ ჩადენილი ქმედებების შესახებ ინფორმაციას არავინ ფლობდეს. იმ დრომდე, სანამ ბაზარი დაარეგულირებს მედიაციის ინსტიტუტზე მოთხოვნა-მიწოდების საკითხს, არაპროფესი-

⁹³ Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 18.

⁹⁴ იქვე, 1011.

⁹⁵ იქვე, 19.

⁹⁶ Brown J. H., Marriott A., ADR Principles and Practice, Third Ed., Sweet & Maxwell, London, 2011, 615.

⁹⁷ ამ შემთხვევაში ე.წ. „ფუტკრის ინტელექტი“ მოჰყავთ ხოლმე არგუმენტად, რაც გულისხმობს, რომ ფუტკარი ყოველგვარი მითითებისა და დახმარების გარეშე თავად აგნებს მისთვის საუკეთოსო ყვავილის ნექტარს. შესაბამისად, მედიაციის პროცესის მსურველებმა თუ მონაწილეებმა ყველაზე კარგად თავად უწყიან, როგორი პროცესი და მედიატორი სჭირდებათ.

⁹⁸ Brown J. H., Marriott A., ADR Principles and Practice, Third Ed., Sweet & Maxwell, London, 2011, 615.

ონალი და არაეთიკური მედიატორების საქმიანობით შესაძლოა მთელი ინსტიტუტის დისკრიმინირება მოხდეს.

ადსანიშნავია, რომ რეგულირების ფორმებზე დისკუსია მიმდინარეობს იქ, სადაც კოგნიტური, მეცნიერული, დასავლური მედიაციაა დამკვიდრებული, ხოლო იქ, სადაც ჯერ კიდევ მედიაციის ტრადიციული ფორმა – ინტიუტიური (არაფორმალური) მოდელი მოქმედებს, რეგულირების პრობლემებზე საუბარი ნადრევია.⁹⁹ საინტერესოა ის ფაქტი, რომ, სადაც კანონმდებლობა არ განსზღვრას მედიაციის ცნებას, მედიატორებს, როგორც არამბოჭავი უფლებამოსილების მქონე შუამავლებად მოიხსენიებენ.¹⁰⁰

3.1 საერთაშორისო რეგულირება

მედიაციის საერთაშორისო რეგულირების აქტი გაერთიანებული ერების საერთაშორისო საფაჭრო სამართლის კომისიის (*UNCITRAL*) მიერ 2002 წელს საერთაშორისო კონსილიაციის შესახებ მიღებული მოდელური კანონია (*Modal Law on International Conciliation*)¹⁰¹. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მედიაციის პოლიტიკაზე მოდელურმა კანონმა გავლენა მოახდინა.¹⁰² მისი საერთაშორისო მნიშვნელობიდან გამომდინარე, იგი დეტალურად მომდევნო ქვეთავში იქნება მიმოხილული.

მოდელურ კანონს წინ უსწრებდა ამერიკის შეერთებულ შტატების უნიფიცირებული კანონმდებლობის კომისიის მიერ შემუშავებული მედიაციის უნიფიცირებული აქტი,¹⁰³ რომელიც 2001 წელს მიიღეს და აშშ-ის ყველა შტატისა და ფედერალური სასამართლოს მიერ გამოსაყენებლად იყო გამიზნული. მედიაციის უნიფიცირებული რეგულირება ფაქტობრივად სწორედ აქედან დაიწყო და შემდგომ ევროკავშირის მასშტაბითაც გაგრცელდა. უნიფიცირებული აქტი ისეთ საკითხებს აწესრიგებს, როგორიცაა: მედიაციის პროცესი, პროცედურული საკითხები, მედიატორის სასამართლოში ჩვენების მიცემაზე უარის თქმის პრივილეგია, მედიატორის აცილების, ინტერესთა კონფლიქტისა და კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება, თუმცა არ შეიძლება უნიფიცირებულ აქტს საერთაშორისო რეგულაცია ეწოდოს, ვინაიდან ის მხოლოდ შეერთებული შტატებით შემოიფარგლება და იქაც ყველა შტატის მიერ არ არის გაზიარებული. პარალელურად, იმავე პერიოდში, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების (მედიაციის) დანერგვის შესახებ ევრო საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა შეიმუშავა შემდეგი ოთხი რეკომენდაცია: საოჯახო

⁹⁹ Goldsmith J. C., Ingen-Housz A., Pointon G. H., *ADR in Business: Practice and Issues Across Countries and Cultures*, Vol. II, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2011, 268.

¹⁰⁰ Rogers H. N., McEwen A. C., *Mediation: Law, Police, Practice*, The Lawyers Co-operative Publishing Company, Rochester, 1989, 1.

¹⁰¹ UNCITRAL Modela Law on International Commercial Conciliation 2002, იხ.: <http://www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/ml-conc/03-90953_Ebook.pdf>, [09/07/2014].

¹⁰² Alexander N., *Four Mediation Stories from Across the Globe*, Rabels Zeitschrift fur Auslanisches und Internationals Privatrecht (the Rabel Journal), No. 4, 2010, 755.

¹⁰³ Uniform Mediation Act, 2001, იხ.: <<http://www.mediate.com/articles/umafinalstyled.cfm>>, [01/01/2015].

სამართლის საქმეებზე მედიაციის შესახებ;¹⁰⁴ სისხლის სამართლის საქმეებზე მედიაციის შესახებ;¹⁰⁵ აღმინისტრაციულ ორგანოებსა და კერძო პირებს შორის მედიაციის შესახებ;¹⁰⁶ სამოქალაქო საქმეებზე მედიაციის შესახებ;¹⁰⁷ სწორედ მათი მიღების შემდეგ საერთაშორისო დონეზე კიდევ უფრო აქტიურად დაიწყო მედიაციის ინსტიტუტის დანერგვისა და კანონდებლობის შემუშავების პროცესი.¹⁰⁸ რას მოჰყვა, 2008 წელს ევროპარლამენტის მიერ „სამოქალაქო და კომერციულ საქმეებზე მედიაციის გარკვეული ასპექტების შესახებ“ დირექტივის მიღება.¹⁰⁹ დირექტივის გამოცემის შემდეგ, 2012 წლის ბოლოსთვის, ევროკავშირის თითქმის ყველა წევრ სახელმწიფოს პქონდა იმპლიმენტირებული დირექტივით გათვალისწინებული მოთხოვნები. აღსანიშნავია, რომ, თავის მხრივ, ევროპულმა დირექტივამ არამარტო ევროპულ სახელმწიფოებს მისცა სტიმული მედიაციის მარეგულირებელი კანონმდებლობის მოწესრიგებისა, არამედ საქმაოდ ბევრმა არაევროპულმა სახელმწიფომაც მიიღო მედიაციის კანონი იმ პერიოდში, მათ შორის: ავტსრალიამ, ჩინეთმა, რუსეთმა და ა.შ. მედიაციის შესახებ ევროკავშირის რეგულაცია წევრ ქვეყნებს შორის უპირველეს ყოვლისა ტრანს-სასაზღვრო დავებზე გამართულ მედიაციებს ეხება.¹¹⁰ არბიტრაჟისაგან განსხვავებით, მორიგების ბუნებიდან გამომდინარე, ის ფაქტი, რომ საერთაშორისო მედიაციის პროცესის მარეგულირებელი აქტები არც თუ ბევრია, გასაკვირი არ არის, ვინაიდან, როგორც წესი, სახელმწიფოთა უმრავლესობა მედიაციის პროცესს როგორც შიდა, ისე სა-

¹⁰⁴ Council of Europe Committee of Ministers, Recommentaion No. R (98) 1 of the Committee of Ministers to Member States on Family Mediation; ob.:<<https://wcd.coe.int/com.intranet.IntraServlet?command=com.intranet.CmdBlobGet&IntranetImage=1153972&SecMode=1&DocId=450792&Usage=2>>, [01/11/2015].

¹⁰⁵ Council of Europe Committee of Ministers, Recommentaion No. R (99) 19 of the Committee of Ministers to member States concerning Mediation in Penal Matters; ob.:<[https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?p=&Ref=Rec\(99\)19&Sector=secCM&Language=lanEnglish&Ver=original&BackColorInternet=eff2fa&BackColorIntranet=eff2fa&BackColorLogged=c1cbe6&direct=true](https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?p=&Ref=Rec(99)19&Sector=secCM&Language=lanEnglish&Ver=original&BackColorInternet=eff2fa&BackColorIntranet=eff2fa&BackColorLogged=c1cbe6&direct=true)>, [01/11/2015].

¹⁰⁶ Council of Europe Committee of Ministers, Recommentaion No. R (2001) 9 of the Committee of Ministers to member states on alternatives to litigation between administrative authorities and private parties; ob.:<[https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?p=&Ref=Rec\(2001\)9&Sector=secCM&Language=lanEnglish&Ver=original&BackColorInternet=eff2fa&BackColorIntranet=eff2fa&BackColorLogged=c1cbe6&direct=true](https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?p=&Ref=Rec(2001)9&Sector=secCM&Language=lanEnglish&Ver=original&BackColorInternet=eff2fa&BackColorIntranet=eff2fa&BackColorLogged=c1cbe6&direct=true)>, [01/11/2015].

¹⁰⁷ Council of Europe Committee of Ministers, Recommentaion No. R (2002) 10 of the Committee of Ministers to Member States on Mediation in Civil Matters; ob.:<[https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?p=&Ref=Rec\(2002\)10&Sector=secCM&Language=lanEnglish&Ver=original&BackColorInternet=eff2fa&BackColorIntranet=eff2fa&BackColorLogged=c1cbe6&direct=true](https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?p=&Ref=Rec(2002)10&Sector=secCM&Language=lanEnglish&Ver=original&BackColorInternet=eff2fa&BackColorIntranet=eff2fa&BackColorLogged=c1cbe6&direct=true)>, [01/11/2015].

¹⁰⁸ Brown J. H., Marriott A., ADR Principles and Practice, Third Ed., Sweet & Maxwell, London, 2011, 628.

¹⁰⁹ Directive 2008/52/EC, of the European Parliament and the of the Council; ob.:<<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2008:136:0003:0008:En:PDF>>, [01/11/2015].

¹¹⁰ იხ.: Cross-Border Mediation.

ერთაშორისო დავებზე ერთგვაროვნად აწესრიგებს.¹¹¹ აღსანიშნავია, რომ მედიაციის აღიარებული სტანდარტებისა და კრიტერიუმების საერთაშორისო დონეზე შემუშავების მიზნით დაარსდა მედიაციის საერთაშორისო ინსტიტუტი (IMI),¹¹² თუმცა ჯერჯერობით მსგავსი აქტი, „რბილი სამართლის“ ნორმებს თუ არ ჩავთვლით, არ შემუშავებულა. ვინაიდან, მედიაციის უნიფიცირებულ აქტი აშშ-ის მასშტაბით ვრცელდება, ის დეტალურად „აშშ-ის მედიაციის მოდელის“ თავში იქნება მიმოხილული.

3.1.1 UNCITRAL

საერთაშორისო საგაჭრო სამართლის მოდერნიზების, პარმონიზებისა და უნიფიცირების მიზნით, 1966 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ დაარსდა საერთაშორისო საგაჭრო სამართლის კომისია – უნიტრალი¹¹³. კომისიის ამოცანა საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობაა. ვინაიდან საერთაშორისო ვაჭრობა და თანამშრომლობა ხელს უწყობს ქვეყნებს შორის მშიდობიანი ურთიერთობების განვითარებას და ის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია გლობალური უსაფრთხოებისა,¹¹⁴ არ არის გასაკვირი, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ამ მიმართულებით აქტიურად მუშაობს. უნიტრალის მოდელური კანონები არის საკანონმდებლო ტექსტები, რომლებიც გაეროს გენერალურ ანსამბლების რეზოლუციით მიიღება მისი წევრი სახელმწიფოების შიდა კანონმდებლობისათვის მოდელურ კანონმდებლობად. აღნიშნული მოტივით, უნიტრალის მიერ 2002 წელს შემუშავებულ იქნა მოდელური კანონი საერთაშორისო საგაჭრო კონსილიაციის შესახებ (MLICC),¹¹⁵ რომელიც მისი მიმღები ქვეყნის კანონმდებელს ანიჭებს სრულ უფლებამოსილებას, შეცვალოს ტექსტი თავისი საჯარო წესრიგისა და პროცედურილი ნორმების შესაბამისად.¹¹⁶ მრავალმა ქვეყანამ მიიღო მედიაციის კანონი მოდელურ

¹¹¹ Brown J. H., Marriott A., ADR Principles and Practice, Third Ed., Sweet & Maxwell, London, 2011, 612.

¹¹² იბ.:<<http://www.immediation.org/home>>, [10/12/2015].

¹¹³ UNCITRAL – უნიტრალი (გაერთიანებული ერების საერთაშორისო საგაჭრო სამართლის კომისია) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამსმარე ორგანო, იბ.:<www.uncitral.org>, [24/04/2013].

¹¹⁴ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 21-ე სესიის რეზოლუცია უნიტრალის დაარსებასთან დაკავშირებით, იბ.:

<<http://www.un.org/documents/ga/res/21/ares21.htm>>, [01/11/2015].

¹¹⁵ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 75-ე სესიის რეზოლუცია უნიტრალის მიერ შემუშავებულ მოდელურ კანონზე საერთაშორისო საგაჭრო კონსილიაციის შესახებ, იბ.:<http://www.un.org/ga/search/view_doc.asp?symbol=A%2FRES%2F57%2F18&Submit=Search&Lang=E>, [24/04/2013].

¹¹⁶ უნიტრალს აქვს ასევე შემუშავებული კონსილიაციის არასაკანონმდებლო წესებიც (Conciliation Rules, UAR 1980), რომელიც პროცესში მონაწილე პირებისთვის არის განკუთვნილი, იბ.:<<http://www.uncitral.org/uncitral/en/commission/sessions.html>>, [24/04/2013].

კანონზე დაყრდნობით, მათ შორის: კანადამ, აშშ-მ,¹¹⁷ რუსეთმა, სერბეთმა, სლოვენიამ, თურქეთმა, ნორვეგიამ, რუმინეთმა და ა.შ.¹¹⁸

რეზოლუციაში ხაზგასმულია, რომ საერთაშორისო ვაჭრობაში მედიაციის ამოქმედება შეამცირებს მართლმსაჯულების აღმინისტრირების ხარჯებს და ხელს შეუწყობს სავაჭრო ურთიერთობების აღდგენას მოდავე მხარეებს შორის. ამასთან, კომისიის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში აღნიშნულია მართლმსაჯულების მიზნებისათვის მედიაციის პროცესის როგორც რაოდენობრივი (სისწავე და სიიაფე), ისე ხარისხობრივი (მხარეთა ნების ავტონომია, ურთიერთობების აღდგენა) უპირატესობები. მოდელური კანონი, სტრუქტურული თვალსაზრისით, შედგება სამი ნაწილისაგან. პირველი ნაწილის 1-ელ-მე-3 მუხლებში განმარტებულია კანონის მიზნები და მნიშვნელოვანი ტერმინები. მეორე ნაწილის, მე-4-მე-11 მუხლები ეხება კონსილიაციის პროცესის ვადებს, პროცედურულ ასპექტებს (პროცესის დაწყებას და დამთავრებას), კონსილიატორის დანიშვნას, პროცესის წარმართვას, კომუნიკაციასა და კონფიდენციალურობის საკითხს. მესამე, დასკვნითი ნაწილის მე-12-მე-14 მუხლები კი პროცესის დასრულების შემდგომ საკითხებს: აღსრულებას, კონსილიატორის მონაწილეობას შემდგომ პროცესებში და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ მოდელური კანონი მედიაციის პროცესში წარმოშობილ საკითხთა ფართო წრეს ეხება, მასში მედიატორთა და სამედიაციო ინსტიტუტების აკრედიტირების წესის საკითხი არ არის მოცემული.

პროცესორ ნ. ალექსანდერის მოსაზრებით¹¹⁹ მოდელური კანონი ხუთ მნიშვნელოვან საკითხს ეხება, რომელთა განმარტებებშიც ჩანს მისი ხასიათი. პირველი მათგანი ტერმინ „კონსილიაციის“ განმატრებაა, კერძოდ მე-3 მუხლით:

„კონსილიაცია ნიშავს პროცესს (იქნება იგი მოხსენიებული კონსილიაციად, მედიაციად თუ სხვა მხგავსი მნიშვნელობის ტერმინით), რომელშიც მოდავე მხარეთა თხოვნით მოხაწილებს მესამე პირი (ან პირები), რათა დაეხმაროს მათ სახელშეკრულებო ან სხვაგვარი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავის მორიგებით დახრულებაში. კონსილიატორს არ აქვს დავის საგანზე საკუთარი გადაწყვეტილების გავრცელების უფლებამოსილება.“¹²⁰

ზემოთ მოცემული დეფინიციიდან ჩანს, რომ უნისტრალი შეეცადა, ერთი განმატრებით მოეცვა „ხელშემწყობი“ და არაგადაწყვეტილების მიმდები პირის მიერ წარმართული დავის გადაწყვეტის ყველა ალტერნატიული საშუალება, მათ შორის, ნეიტრალური პირის მიერ დავის შეფასების ინსტიტუტი (*Early Neutral Evaluation*).¹²¹ მეორე საკითხი არის მხარეთა ავტონომიის პრინციპი, რომელიც მედიაციისა და კონსილიაციის პროცესის მთავარი დამახასიათებელი თვისება და საყრდენია და ხელშემქვრელ

¹¹⁷ აშშ-ს მოდელურ კანონამდე პქონდა შემუშავებული მედიაციის შესახებ უნიფიცირებული აქტი, თუმცა მოდელური კანონის გავლენით მასში შეიცვალა საერთაშორისო დავების ნაწილი, რის შედეგადაც მას მე-9 თავი ჩაემატა.

¹¹⁸ Alexander M. N., International and Comparative Mediation: Legal Perspectives, Vol. 4, Kluwer Law International, Austin, 2009, 343.

¹¹⁹ იქვე, 345.

¹²⁰ მუხლი 3. მოდელური კანონის, იხ.: <http://www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/ml-conc/03-90953_Ebook.pdf>, [30/07/2015].

¹²¹ Alexander M. N., International and Comparative Mediation: Legal Perspectives, Vol. 4, Kluwer Law International, Austin, 2009, 345.

მხარეებს აძლევს საშუალებას, გვერდი აუარონ ნებისმიერ მუხლს ან მთლიან მოდელურ კანონს.¹²² მხარეთა სურვილის შემთხვევაში მათ შეუძლიათ მთლიანად შეცვალონ მედიაციის პროცესის მარეგულირებელი ნორმები. გამონაკლისი მხოლოდ მე-6 მუხლია, რომელიც მოითხოვს მხარეების მიმართ სამართლიან მოპყრობის პრინციპის დაცვას მედიატორის მიერ.¹²³ სამართლიანი მოპყრობის პრინციპი მოდელური კანონის მესამე მნიშვნელოვანი მახასიათებელია. ის განსაზღვრავს პროცედურული სამართლიანობის სტანდარტს, რომელიც მედიატორების მიერ უნდა იყოს დაცული. მეოთხე საკითხი მედიაციის პროცესის კონფიდენციალურობის დაცვა. ეს პრინციპი როგორც მედიაციის პროცესის განმასხვავებელი ნიშანი, მოდელურ კანონში, რასაცვირველია, დაცულია, თუმცა როგორც ბევრ სხვა საკითხზე, მხარეებს შეუძლიათ კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ სხვაგვარ შეთანხმებას მიაღწიონ, ვიდრე ის კანონშია მოცემული. მოდალური კანონის მეხუთე და 6. ალექსანდერის შეხედულებით ბოლო მახასიათებელი ნიშანი არის მორიგების აღსრულების საკითხი. მოდელური კანონი არ გვთავაზობს მორიგების აქტის არც სავალდებულო და არც იძულებით აღსრულების სტანდარტულ მექანიზმს. ის მოდელური კანონის მიმღები ქვეყნის კანონმდებელს უტოვებს გადასაწყვეტად მედიაციაზე მიღწეული მორიგების იმგვარი ფორმით აღსრულებას, როგორიც მათ კანონმდებლობისათვის არის მისაღები.¹²⁴ მართალია, ამგვარმა მიღგომამ მედიაციის აღსრულების კუთხით სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვაგვარი პრაქტიკა განავითარა, მაგრამ უნიტრალის მოდელური კანონის ეფექტიანად განვრცობა მსოფლიოს მასშტაბით სხვაგვარად გაჭირდებოდა. შესაბამისად, ზემოაღნიშნული ხუთი მნიშვნელოვანი საკითხი ერთიანობაში გვაძლევს მოდელური კანონის, უფრო ზუსტად კი მედიაციის მიმართ უნიტრალის მიღგომის შესახებ ზოგად სურათს. თუ მხარეთა მიმართ სამართლიანი მოპყრობის უფლების დაცვის სავალდებულო ხასიათი გარკვეულ წილად ამტკიცებს მედიაციის პროცესის წარმართვისა და ჩატარების სტანდარტებს ისეთი საკითხებისადმი, როგორიცაა: კონფიდენციალურობა, აღსრულება და ხანდაზმულობის ვადები, კანონის ლოიალური მოდგომა მისი შემუშავებლის მიერ მიმღები ქვეყნების ინტერესებისა და განსხვავებული დამოკიდებულებებზე მორგების სურვილით უნდა იქნეს ახსნილი.¹²⁵ მოდალური კანონის კრიტიკოსებს მთავარ პრობლემად, სწორედ მხარეთა ავტონომიის პრინციპისა და მოქნილი პროცესის დაცვის მცდელობის მიზნით, მკაცრი საერთაშორისო სტანდარტების შეუმუშავებლობა მიაჩნიათ. შესაბამისად, მათი მოსაზრებით, მოდელური კანონის ავტორების მიერ სტანდარტების საერთო ნიშნულზე დაბლა დაწევამ იმედგაცრუება გამოიწვია უნიტრალის მიმართაც, ვინაიდან მან ვერ მოახერხა, მიეღწია იმ სიმაღლემდე, რომლისკენაც საერთაშორისო ონამეგობრობა მიისწრაფვოდა.

¹²² მუხლი პირველი, მე-7 პუნქტი.

¹²³ Alexander M. N., International and Comparative Mediation: Legal Perspectives, Vol. 4, Kluwer Law International, Austin, 2009, 345.

¹²⁴ მუხლი 14. მოდელური კანონის, იხ.: <http://www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/ml-conc/03-90953_Ebook.pdf>, [30/07/2015].

¹²⁵ Alexander M. N., International and Comparative Mediation: Legal Perspectives, Vol. 4, Kluwer Law International, Austin, 2009, 346.

კრიტიკის მნიშვნელოვანი საგანი გახდა, ასავე, მოდელური კანონით მოწესრიგებულ საკითხთა მოცულობა, კერძოდ, ორი საკითხი.¹²⁶ პირველი – მე-2 თავის სულისკვეთება, რომ მედიაციის გარკვეული ასპექტების კანონმდებლობით რეგულირებას სჯობს ამ პროცესების ბაზარზე თვითრეგულირება; მეორე – პროცედურული საკითხების კანონით მოწესრიგება. ვინაიდან მედიაციის წესების ფორმირებას მართლმსაჯულების „ინდუსტრია“ განაპირობებს, რაც შეიძლება დამაბნეველი გახდეს პროცესში მონაწილე პირებისათვის.¹²⁷ უნიტრალის კანონმდებლობის ამ ფორმით შექმნას თავისი განმაპირობებელი ფაქტორები პქონდა, რომელთა შორის, უპირველს ყოვლისა, აღსანიშნავია უნიტრალში გადაწყვეტილების მიღების პროცესი, კერძოდ, მისი კონსესუალური ბუნება. შესაბამისად, კომისიის ყველა წევრისათვის მისაღები დოკუმენტის კომპრომისულ ვარიანტს ხშირად აკლია ხოლმე ის მნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა ირგვლივაც შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული.¹²⁸ ფაქტია, რომ უნიტრალის მოდელური კანონი საკმაოდ მოქნილია და აძლევს მის ბაზაზე მედიაციის კანონის მიმღებთ რეგულირების იმ ფორმის არჩევანის შესაძლებლობას, რომელიც მათ საჭიროებებზე უფრო მეტად იქნება მორგებული.

3.12 ევროკავშირის დირექტივები

ევროპულ სახელმწიფოებში მედიაციის ინსტიტუტის ხელახლა დამკვიდრებას ხელი შეუწყო 2002 წელს ევროპარლამენტის მიერ მიღებულმა „მწვანე ფურცელმა“,¹²⁹ რომელსაც 2008 წელს მოჰყვა „სამოქალაქო და კომერციულ საქმეებზე მედიაციის გარკვეული ასპექტების შესახებ“ ევროპული დირექტივა.¹³⁰ დირექტივის მიზანი იყო, ხელი შეუწყო ევროპაში მედიაციის, როგორც დავის გადაწყვეტის საშუალების, დამკვიდრებისა და განვითარების პროცესისათვის.¹³¹ კერძოდ, ევროკომისიისა და ევროპარლამენტის წევრებს სურდათ, დახმარებოდნენ სასამართლოს გარეთ მოღავე მხარეთა შორის მორიგების პროცესს სასამართლო პროცესის მნიშვნელობის დაკინების გარეშე; ხელი შეუწყოთ და განემტკიცებიათ დაბალანსებული ურთიერთობა სამედიაციო ინსტიტუტებსა და სასამართლო სისტემას შორის;¹³² ადნიშნული რეგულაციით გაუმჯობესები-

¹²⁶ Alexander M. N., International and Comparative Mediation: Legal Perspectives, Vol. 4, Kluwer Law International, Austin, 2009, 347.

¹²⁷ იქვე.

¹²⁸ აღნიშნულის კარგი ილუსტრაციაა შეერთებული შტატების მაგალითი. ვინაიდან აშშ-მა უნიტრალის მოდელური კანონის (MLICC) მიღებამდე უნიფიცირებული მედიაციის აქტი (UMA) ერთი წლით ადრე, 2001 წელს, მიიღო. შესაბამისად იყო მცდელობა მოღებული კანონის ამერიკული ტექსტის გავლენის ქვეშ მოქვევისა.

¹²⁹ Green Paper on ADR 19.04.2002, იხ.:<<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX:52002DC0196>>, [30/07/2015].

¹³⁰ Directive 2008/52/EC, on certain aspects of mediation in civil and commercial matters, of the European Parliament and of the Council, 21 May 2008, იხ.:<<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:32008L0052:en:NOT>>, [30/07/2015].

¹³¹ მედიაციის დირექტივის მიზანი ევროკავშირის თავისუფალ, დაცულ და სამართლიან ზონად ჩამოყალიბების ხოგადი ამოცანიდან გამომდინარეობს.

¹³² Uzelac A., Knezevic G., Austermiller S., Hadzic M., Ribica J., Zivanovic A., Mrdovic F., Skoko B., Busevac L., Paths of Mediation in Bosnia and Herzegovina, International Finance Corporation, Sarajevo, 2009, 175.

ნათ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის მართლმსაჯულების სფეროში ინსტიტუციური ონამშრომლობა და ხელმისაწვდომობა.¹³³ დირექტივის მოქმედების სფერო სამი მიმართულებით შემოისაზღვრა:

1. ის მხოლოდ სამოქალაქო და კომერციულ დავებს შეეხება, მთლიანად ფოკუსირებულია სამოქალაქო სამართალზე. შესაბამისად, ადმინისტრაციული და სისხლის სამართალის საქმეები მის ფარგლებს გარეთაა დარჩენილი;
2. მისი მოქმედება ვრცელდება მხოლოდ იმ დავებზე რომელიც ერთი ევროპული სახელმწიფოს ფარგლებს სცდება, მაგრამ არა ევროკავშირისას. შესაბამისად, ტრანს-სასაზღვრო დავების დროს მისი გავრცელება სავალდებულოა (შიდა დავებზე დირექტივის პირობების გავრცელება ნებაყოფლობითი იყო და არა სავალდებულო);
3. დირექტივა არ იძლევა მედიაციასთან დაკავშირებული საკითხების ამომწურავ გადაწყვეტას (მაგალითისათვის, მედიატორთა პორფესიული ეთიკის საკითხი თითქმის ხელშეუხებელია). ამასთან, აღსანიშნავია, რომ ის პროცესის ისეთ ასპექტებსაც არეგულირებს, როგორიცაა მიღწეული მორიგების აღსრულება.

თავდაპირველი ვადებით ევროკავშირის წევრი ქავნები ვალდებული იყვნენ, დირექტივა აქსახათ საკუთარ კანონმდებლობაში 2011 წლის 20 მაისამდე. სახელმწიფოთა უმრავლესობამ გამოიყენა ეს პერიოდი დავის ალტერნატიული გადაწყვეტის (ADR-ის) კანონმდებლობის დასახვეწად განსაკუთრებით ტრანს-სასაზღვრო დავების კუთხით. ზოგიერთმა მათგანმა კი ამ პერიოდში მედიაციის შესახებ საკუთარი (შიდა) ამომწურავი კანონმდებლობის შექმნაც მოახერხა,¹³⁴ რითიც გასცდნენ კიდეც დირექტივს მიერ დადგენილ რეგულირების მინიმალურ ჩარჩოებს. შეიძლება ითქას, რომ დირექტივამ მნიშვნელოვანი პოზიტიური გავლენა მოახდინა დავის გადაწყვეტის საშუალებებსა და მის პრაქტიკაზე.¹³⁵ იგი იყო მნიშვნელოვანი შემობრუნების წერტილი, ვინაიდან მისი ამოქმედების შემდეგ ნათელი გახდა, რომ ახალი გამოწვევები და პერსპექტივები დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მიმართულებით გახსნილი იყო.¹³⁶ თუმცა მის პირველსაც მუხლში დასახული მიზნის მიღწევად როგორც ევროკავშირს ისე მის წევრ სახელმწიფოებს კვლავ ბევრი სამუშაო აქვთ. გამოწვევების გადაწყვეტის უსწრაფეს და ყველაზე ეფექტურ გზად სავალდებულო მედიაციის დამკვიდრებას ასახელებენ. აღნიშნულ იდეა ევროკავშირის ტერიტორიაზე ექცერტო საკმაოდ დიდი ნაწილი ემხრობა.¹³⁷ თვით დირექტივის მე-11 მუხლით, ევროკომისიამ უნდა წარმოადგინოს დირექტივის შეფასება 2016 წლის 21 მაისამდე.

¹³³ Art. 1(1) Mediation Directive, იხ.:<<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:32008L0052:en:NOT>>, [30/07/2015].

¹³⁴ ბაგ. საფრანგეთმა და გერმანიამ.

¹³⁵ Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 6.

¹³⁶ იქვე, 15.

¹³⁷ De Palo G., D'Urso L., Trevor M., Branion b., Canessa R., Cawyer B., Florence R., "Rebooting" the Mediation Directive: Assessing the Limited Impact of its Implementation and Proposing Measures to Increase the Number of Mediations in the EU, Directorate General for Internal Policies, European Parliament's Committee on Legal Affairs, Brussels, 2014, 127.

მედიაცის დირექტივასთან¹³⁸ ერთად ევროპარლამენტმა ცალკე შეიმუშავა სამომხმარებლო ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავების ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებების შესახებ პოლიტიკა.¹³⁹ 2011 წლის ნოემბერში მას მოჰყვა ევროკომისიის მიერ გამოცემული შეთავაზება „სამომხმარებლო დავების ალტერნატიული საშუალებებით გადაწყვეტისა“ და „სამომხმარებლო დავების ონლაინ გადაწყვეტის“ შესახებ დირექტივის სამუშაო ვერსია, ხოლო 2013 წლის 21 მაისს ევროკავშირის პარლამენტმა მიიღო კიდევ ერთი დირექტივა 2013/11 სამომხმარებლო დავებზე დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების შესახებ.¹⁴⁰ ზემოაღნიშნული დირექტივის, უპირველეს ყოვლისა, მომხმარებელთა უფლებების დაცვაა, კერძოდ, ნასყიდობისა და მომსახურების ხელშეკრულებიდან მხარეებს შორის წარმოშობილ უთანხმოებათა დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებებით რეგულირება, რადგან დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების გამოყენება მომხმარებლისათვის უფრო ხელმისაწვდომი, სწრაფი და იოლია, ვიდრე სასამართლოში დავის წარმართვა.

3.1.3 საერთაშორისო კომერციული სამედიაციო ცენტრების რეგულაციები

მთავარი რისკი, რაც საერთაშორისო დონეზე მედიაციის რეგულირებას აქვს, არის გავლენა, რაც მან შეიძლება იქონიოს მედიაციის პროცესზე საზღვრებს მიღმა გადატანის დროს.¹⁴¹ რამდენადაც მედიაციის ხიბლი სწორედ მისი მოქნილობაა,¹⁴² საერთაშორისო რეგულაციებით სწორედ იგი არ უნდა დადგეს საფრთხის ქვეშ. საერთაშორისო რეგულაციებმა, თავის მხრივ, ხელი შეუწყო კერძო სამედიაციო ინსტიტუტების საერთაშორისო დონეზე ფუნქციონირებას, ხოლო კერძო სამედიაციო ინსტიტუტების მიერ შემუშავებულმა წესებმა დააბალანსა და აღმოფხვრა მომაწესრიგებელ ნორმათა ხარვეზები.¹⁴³ აშშ-სა და ევროკავშირის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ წამყვან სამედიაციო ინსტიტუტებს,¹⁴⁴ შიდა, აღილობრივი დავების გარდა, მდიდარი საერთაშორისო გამოცდილებაც დაუგროვდათ.¹⁴⁵ მათ შორის აღსანიშნავია საერთაშორისო სავაჭრო პალატის (ICC-ის) დავის გადაწყვეტის სერვისი,¹⁴⁶ რომელიც 2001 წლიდან

¹³⁸ Alexander N., Four Mediation Stories from Across the Globe, Rabels Zeitschrift für Ausländisches und Internationales Privatrecht (the Rabel Journal), No. 4, 2010, 755.

¹³⁹ 2005 წელს ევროკავშირში შეიქმნა ევროპელ მომხმარებელთა გაერთიანება (European Consumers Network (Ecc-Net) წარმოშობილ დავებში მომხმარებელთა ინფორმირებისა და დახმარების მიზნით).

¹⁴⁰ იბ.: <<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex:32013L0011>>, [01/11/2015].

¹⁴¹ Alexander N., Four Mediation Stories from Across the Globe, Rabels Zeitschrift für Ausländisches und Internationales Privatrecht (the Rabel Journal), No. 4, 2010, 756.

¹⁴² იქვე, 757.

¹⁴³ Kelly D., Holmes A., Hayward R., Business Law, Fifth Ed., Cavendish Publishing Limited, London, 2005, 97.

¹⁴⁴ JAMS; Chartered Institute of Arbitrators (მხოლოდ ამ ორგანიზაციის 12 000 აკრედიტირებული პროფესიონალი პყავს მხოლოდ სხვადასხვა კუთხეში); CEDR; ADR Group and etc.

¹⁴⁵ Brown J. H., Marriott A., ADR Principles and Practice, Third Ed., Sweet & Maxwell, London, 2011, 630.

¹⁴⁶ International Chamber of Commerce, Dispute Resolution Service, იბ.:

მედიაციისა და კონსილიაციის გზით დავების გადაწყვეტის საერთაშორისო ბაზარზე ერთ-ერთი ყველაზე დიდი წილის მქონე ორგანიზაციაა, აშშ-ში კონფლიქტების პრევენციისა და რეგულირების საერთაშორისო ინსტიტუტი,¹⁴⁷ საერთაშორისო მედიატორების აკადემია¹⁴⁸ და მსოფლიოს მედიაციის ფორუმი,¹⁴⁹ რომელიც არაკომერციული ორგანიზაციებია გლობალური მიზნებითა და ამოცანებით.¹⁵⁰ დავების ეფექტური დაგაწყვეტის ცენტრი (CEDR), რომლის სათაო ოფისი ლონდონშია და ჯემსი (JAMS), რომელიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების ერთ-ერთი ყველაზე დიდი პროვაიდერია. ასევე, აღსანიშნავია ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის¹⁵¹ მიერ უენევაში დაარსებული მედიაციის ცენტრი, რომელიც კერძო პირებს საერთაშორისო სავაჭრო დავების გადაწყვეტის მექანიზმებს სთავაზობს. ამ ორგანიზაციაში 70-ზე მეტი ქვეყნიდან 1500-ზე მეტი დამოუკიდებელი და გამოცდილი პროფესიონალი გაწევრიანდა. ზემოხამოთვლილი ყველა სამედიაციო ორგანიზაცია საკუთარი წესებითა და სტანდარტებით მოქმედებს, რომლებიც უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ პროცესის წარმართვისას.

3.2 „რბილი სამართალი“ (Soft Law) როგორც მედიაციის მოდელის განმსაზღვრელი კომპონენტი

მედიაციის ფორმას სახელმწიფოს მიერ შემუშავებული საკანონმდებლო ნორმები და თვით სამედიაციო ორგანიზაციების მიერ პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებული რეგულაციები განაპირობებს, რომელთაც „რბილი რეგულაციებს“ უწოდებენ. მედიაციის სფეროს განვითარებას თავისთავად მოყვა მისი პროცედურების ფორმალიზება, ქცევის წესებისა და პროფესიული სტანდარტების დადგენა,¹⁵² მედიატორთა ასოციაციების ჩამოყალიბება, ეთიკის კოდესისა და პრაქტიკის მოდელური წესების შემუშავება, ტრეინინგების, სემინარებისა და სხვა სასწავლო პროგრამების გამართვა; კონკრეტული სფეროებში კვალიფიკაციისა და სტანდარტების დაწესება, რომლებიც ხელს უწყობს მედიატორის ეთიკურ და პროფესიონალურ საქმიანობას, მათ შორის, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა – მედიატორთა ქვევის კოდექსს¹⁵³. მედიატორთა ქცევის კოდექსი შინაარსობრივად ხარისხიანი მედიაციის სერვისის მისაწოდებლად სამედიაციო ცენტრების მიერ მედიატორებისათვის შექმნილი

<<http://www.iccwbo.org/about-icc/organization/dispute-resolution-services/icc-international-centre-for-adr/>>, [11/03/2015].

¹⁴⁷ International Institute for Conflict Prevention and Resolution, იხ.: <<http://www.cpradr.org/>>, [12/12/2014].

¹⁴⁸ International Academy of Mediators, იხ.: <<http://www.iamed.org/>>, [12/12/2014].

¹⁴⁹ World Mediation Forum, იხ.: <<http://www.worldmediationforum.com/en/>>, [10/12/2014].

¹⁵⁰ Brown J. H., Marriott A., ADR Principles and Practice, Third Ed., Sweet & Maxwell, London, 2011, 632.

¹⁵¹ World Intellectual Property Organization Mediation Center, იხ.: <<http://wipo.int/amc/en/>>, [11/12/2014].

¹⁵² Moore W. C., The Mediation Process: Practical Strategies for Resolving Conflicts, Third Ed., Jossey-Bass, San Francisco, 2003, 442.

¹⁵³ მას ასევე უწოდებენ პრაქტიკის წესს (Code of Practice) და მოდელურ პროცედურებს (model Procedure).

ქცევის წესებია, რომლებიც მოიცავს მედიაციის ჩატარების სტანდარტების ფართო წრეს ეთიკური საკითხებიდან დაწყებული, პრაქტიკული და ადმინისტრაციული საკითხებით დამთავრებული. კერძოდ, მედიატორის კვალიფიკაციის, ინტრესთა კონფლიქტის, კონფიდენციალურობისა და მიუკერძოებლობის საკითხებს. სამედიაციო ორგანიზაციები, მათი ორგანიზაციის ეგიდით მოქმედ მედიატორებისაგან, როგორც წესი, მოითხოვენ, ხელი მოაწერონ და დაიცვან ქცევის წესებით გათვალისწინებული სტანდარტები;

კიდევ ერთი, ასევე ძალზედ მნიშვნელოვანი შიდა რეგულირებას განკუთვნილი საკითხია მედიატორთა აკრედიტირება, ტრენინგი და განგრძობადი პროფესიული სწავლება. შეიძლება ითქვას, რომ ისინი ნებისმიერი სისტემისათვის კველაზე რთულად დასარეგულირებელ საკითხთა წრეს მიეკუთვნება.¹⁵⁴ რეგულაციის საკითხი მოიცავს ტრენინგ – ორგანიზაციებში ტრენინგის გავლისა და წარმატებით დასრულების პირობების, მედიატორისათვის აუცილებელი თეორიული საკითხებისა და პრაქტიკული უნარების, ეთიკისა და ქცევის კოდექსების ცოდნას, ტრენინგის სანგრძლივობისა და პრაქტიკული მედიაციის კურსების (მათ შორის – თანამედიატორთან ერთად გასავლელი) პრაქტიკოსი მედიატორის მოხსენებას აკრედიტირებული პირის მზადყოფნის შესახებ, გასაუბრებას აკრედიტაციის საბჭოსთან, აკრედიტაციის მოსაკრებლის, აკრედიტაციის შეჩრებისა და განახლების წესებს. აღნიშნულ საკითხებს შორის, ტექნიკური პირობების გარდა, არის რეგულირებისათვის იმდენად რთული საკითხი, როგორიცაა მედიატორის კომპეტენციის ტესტირება, პრაქტიკული მედიაციის პროცესში მედიატორობის მსურველი პირის მიერ ამოცანებისათვის თავის გართმევის შეფასება¹⁵⁵ (სწორედ ამიტომ, მედიატორი პრაქტიკულ მუშაობაზე კონტროლის შენარჩუნების მიზნით, ზოგიერთმა სისტემამ პრაქტიკოსების ლიმიტირებული პერიოდით აკრედიტირების წესი შემოიღო, პერიოდულად ხელახალი აკრედიტირების მოთხოვნით და არა სიცოცხლის ბოლომდე აკრედიტირებით); პრაქტიკოსებისათვის ქცევის კოდექსის დაცვის მოთხოვნა; მედიაციის ცენტრისა თუ მედიატორთა ასოციაციებში მედიატორის მიმართ მხარეთა პრეტენზიებისა და საჩივრების შეგანისა და განხილვის პროცედურების შემუშავება, რომელიც შესაძლოა დამთავრდეს მედიატორისათვის აკრეტიდაციის შეჩერებით, რაც კოდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია მედიაციის რეგულირების სფეროში.

3.2.1 მედიატორთა პროფესიული სტანდარტი როგორც მედიაციის მოდელის განმსაზღვრელი ფაქტორი

მედიაციის სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციები ცდილობენ, ჩამოაყალიბონ კვალიფიციური სასწავლო კურსები და მედიატორთა ქცევის კოდექსი, რათა თავიდან აიცილონ მედიატორისათვის არა პროფესიონალიზ-

¹⁵⁴ Brown J. H., Marriott A., ADR Principles and Practice, Third Ed., Sweet & Maxwell, London, 2011, 618.

¹⁵⁵ რამდენადაც მედიაციის პროცესების კონფიდენციალურია, სააკრედიტაციო ორგნებს უჭირთ პირის მიერ შესრულებული სამუშაოს შესაფასებლად სრულყოფილი ინფორმაციის მოგროვება.

¹⁵⁶ Brown J. H., Marriott A., ADR Principles and Practice, Third Ed., Sweet & Maxwell, London, 2011, 621.

მით გამოწვეული იმედგაცრუება. მედიაციის პროცესის წარმატებით ჩატარებისათვის მედიატორს, უპირველეს ყოვლისა, ესაჭიროება კარგი მომზადება,¹⁵⁷ თუმცა პროფესიული სტანდარტები სასწავლო მოდელების გარდა მოიცავს ისეთი საკითხებს, როგორებიცაა: აკრედიტირების მოთხოვენები, საკვალიფიკაციო გამოცდების დირექტულება და კრიტერიუმები.

ცნობილი იურისტის, დე ბონოს, მოსაზრებით, „ნებისმიერ დავა, რომელშიც ოპონენტი მხარეები ვერ ახერხებენ გამოსავალის პოვნას, წარმოშობს მესამე ნეიტრალური მხარის საჭიროებას“¹⁵⁸ თუმცა მედიატორის როლი მხოლოდ (შემოქმედებითი) გამოსავლის პოვნით არ შემოიფარგლება. მისი მთავარი ამოცანა პროცესისათვის განსხვავებული დინამიკის მიცემაა. მედიატორისათვის ერთ-ერთი ყველაზე რთული და მნიშვნელოვანი ამოცანა არის ის, რომ თავად აღიქვას „სამყარო“ მხარის პოზიციიდან და ხელი შუეწყოს მოწინააღმდეგებ მხარეებს, კრიტიკულად გაანალიზონ საკუთარი შეხედულებები, რათა დაინახონ ის მეორე მხარის პოზიციიდან.¹⁵⁹ 1971 წელს, ჯერ კიდევ მედიაციის საწყის ეტაპზე, ამერიკელმა მედიატორმა კილიამ სიმკინმა მედიატორისათვის საჭირო უნარებად დაასახელა: იობის მოთმინება, ინგლისელის გულწრფელობა, შოტლანდიელის შეუპოვრობა, ირლანდიელის გონებამახვილობა, მარათონელის გამძლეობა, მაკიაველის ვერაგობა, ფსიქიატრის უნარი პიროვნების სიღრმისეული წვდომის, მუნჯის კონფიდენციალურობა, მარტორქის გამძლეობა და სოლომონის სიბძნე.¹⁶⁰

ვინაიდან მედიაცია დავის რეგულირების შედარებით ახალი საშუალებაა, ხოლო მედიატორებად სხვადასხვა პროფესიის პირები მუშაობენ, ხშირად მხარეები უარს აცხადებენ მასში მონაწილეობის მიღებაზე სწორედ მედიატორის პროფესიონალიზმში ეჭვის შეტანის გამო.¹⁶¹ ფაქტობრივად, ერთი-ერთი მთავარი საკითხი, რითიც თანამედროვე მედიაცია განსხვავდება ტრადიციული მედიაციისაგან, არის სწორედ მისი პროფესიონალური აკრედიტირების სისტემის დაწერგვის ტენდენცია. აქედან გამომდინარე, სამედიაციო ცენტრები საკმაოდ მაღალ მოთხოვნებს უყენებენ მომავალ მედიატორებს.¹⁶²

ავსტრიასა და სლოვენიას საკანონმდებლო დონეზე აქვთ მედიატორთა პროფესიონალიზმის საკითხი მოწესრიგებული. მათგან განსხვავებით, ინგლისში მედიაციის პოლიტიკის შემუშავებელი პირები უარ ამბობეს აკრედიტირების საკითხის ხისტ რეგულირებაზე. ლოგიკურია, რომ მსუბუქი რეგულაციის მომხრე ქვეყნები სახელმწიფოს მიერ რეგულაციებით უხეში ჩარევის ნაცვლად უპირატესობას ანიჭებს თვით მედიაციის ინსტიტუტების მიერ შემუშავებულ პროფესიულ სტანდარტებს, რომელებიც, ასევე, აწესრიგებს მედიატორთა აკრედიტაციის საკითხსაც.¹⁶³ შინა-

¹⁵⁷ Blackshaw I. S., *TMC Asser Instituut (La Haye), Sport, Mediation and Arbitration*, T.M.C. Asser Press, Hague, 2009, 29.

¹⁵⁸ Brown J. H., Marriott A., *ADR Principles and Practice*, Third Ed., Sweet & Maxwell, London, 2011, 158.

¹⁵⁹ იქვე, 480.

¹⁶⁰ Bevan A., *Alternative Dispute Resolution*, Sweet & Maxwell, London, 1992, 68.

¹⁶¹ Blackshaw I. S., *TMC Asser Instituut (La Haye), Sport, Mediation and Arbitration*, T.M.C. Asser Press, Hague, 2009, 26.

¹⁶² Alexander N., *Four Mediation Stories from Across the Globe*, Rabels Zeitschrift für Ausländisches und Internationales Privatrecht (the Rabel Journal), No. 4, 2010, 749.

¹⁶³ თავდაპირველ ეტაპზე აღნიშნული მიღვომა გამოიყენებოდა ავსტრალიის მართლმსაჯულებაში, თუმცა მოგვიანებით შეიცვალა აკრედიტაციის საკითხთისადმი

არსობრივად პროფესიული სტანდარტები, რა თქმა უნდა, განსხვავებულია, თუმცა, როგორც წესი, ის მიუთითებს მედიაციის სტილზე, აკრედიტაციისათვის აუცილებელ თეორიული ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებაზე, პროფესიულ დაზღვევაზე. სამედიაციო ცენტრებს მოთხოვნები შესაძლოა რადიკალურად განსხვავებულიც კი პქონდეთ. მაგ., ინგლისში სამოქალაქო მედიაციის საბჭომ (*Civil Mediation Council*) შეიმუშავა მედიატორების რეგისტრირების ნაციონალური გეგმა, რომელიც ასევე ტრეინინგის, გამოცდილებისა და განგრძობად განათლების მინიმალური სტანდარტებს მოითხოვს.¹⁶⁴

განსხვავებით მოსამართლეებისაგან, მედიატორებს არ გააჩნიათ იმუნიტეტი და ისინი პირადად არიან პასუხისმგებლები საკუთარი მოქმედებებზე.¹⁶⁵ აღნიშნული განაპირობებს მედიატორებისათვის სავალდებულო პროფესიული დაზღვევის მოთხოვნას. რისკი იმისა, რომ მედიატორს პასუხისმგებლობა დაეკისროს არაეთიკური და არაპროფესიონალური მოქმედებისათვის, საკმაოდ დიდია, რამეთუ მედიატორსა და მხარეებს შორის სადაცო შესაძლოა გახდეს: ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევა; მხარეთათვის ან მათი ბიზნესისათვის ზიანის მიყენება; თაღლითობა; ტყუილი რეკლამირება; ცილისწამება; კონფიდენციალურობის დარღვევა; პროფესიული დაუდევრობა; სხვისი პირადი ცხოვრების ხელყოფა და ა.შ.

დამოგიდებულება და 2008 წელს ავსტრალიამ მიიღო ნაციონალური სტანდარტი (Australian National Approval Standards) მედიატორების დამტკიცებისათვის;

¹⁶⁴ რაც მოიცავს 24—საათიან ტრეინინს და 6—საათიან ყოველწლიურ განგრძობად განათლების პროგრამაში მონაწილეობას. მათ, ვინც რეგისტრირებული არიან ინგლისის სამოქალაქო მედიაციის საბჭოში შეუძლიათ გამოიყენონ ორგანიზაციის ლოგო როგორც ხარისხის ნიშანი.¹⁶⁴ შესაბამისად, ინგლისში ტენდენციაა მედიაციის ნაციონალური აკრედიტირების სისტემაში ხელშემწყობი (facilitative) სტილის დანერგვისა.

¹⁶⁵ Chern C., International Commercial Mediation, Informa, London, 2008, 232.

4. მედიატორის სტილი როგორც მოდელის განმსაზღვრელი კომპ-კონენტი

მედიაციის ჯეროვანი ჩატარება მნიშვნელოვან წილად დამოკიდებულია როგორც სისტემის მიერ დადგენილ მედიაციის პროცესის მომწევერიგებელ ნორმებზე, მედიატორის კვალიფიკაციასა და უნარებზე, ასევე, მის მიერ პროცესის მსვლელობისას გამოყენებულ სტილსა და მიღმებზე. მედიატორის სტილი განსაზღვრავს მესამე ნეიტრალური პირის ხელშეწყობით წარმართულ მოლაპარაკებების პროცესის დინამიკას.¹⁶⁶ ვინაიდან არ არსებობს მედიაციის ჩატარების უნივერსალური ფორმა,¹⁶⁷ მედიატორის ტექნიკა იცვლება მოდავე მხარეების, დავის სპეციფიკისა და მედიაციის პროგრამის მიხედვით.¹⁶⁸ მედიატორი არჩევანის გაკეთებისას ითვალისწინებს, როგორც წესი, სამართლებრივ საკითხებს, მხარეთა ინტერესებსა და ემოციებს. თუმცა არსებობენ მედიატორები, რომლებიც მუდამ ერთი სტილით წარმართოვენ მედიაციის სესიებს, მიუხედავად მხარეთა პრეფერენციებისა, ვინაიდან სჯერათ, რომ ეს არის ყველაზე ეფექტური და მედიაციის ჩატარების იდეურად გამართლებული ფორმა.

პრაქტიკაში მედიაციის პროცესის წამი ძირითადი სტილი გამოიკვეთა: „ხელშეწყობი“, „შეფასებითი“, და „გარდაქმნითი“.¹⁶⁹ მათ შორის ყველაზე გავრცელებულია „ხელშეწყობი“ (*Fasilitative*) მედიაციის სტილი. „შეფასებითი“ (*Evaluative*) მედიაციის სტილის განვითარება მედიატორთა შორის იურისტების დომინირებული პოზიციის დაკავების შემდეგ დაიწყო.¹⁷⁰ სამშენებლო¹⁷¹ მედიაციის პროცესებზე დღემდე სწორედ სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით წარმართული მედიაციის სტილი დომინირებს.¹⁷² მოგვიანებით, 1990-იანი წლებიდან, „ხელშეწყობი“ და „შეფასებითი“ მედიაციის საფუძვლებზე წარმოიშვა მედიაციის მესამე, დღეისათვის ასევე საკმაოდ გავრცელებული სტილი – „გარდაქმნითი“ (*Transformative*) მედიაცია, რომელიც მხარეთა აღჭურვისა და აღიარების კონცეფციებზე ამავეილებს უურადდებას, რაც გულისხმობს მხარის მიერ საკუთარი თუ სხვისი სურვილების, საჭიროებებისა და ინტერესების გაგებას და მათი მნიშვნელობის აღიარებას, ხოლო დავის გადაწყვეტისათვის საჭირო კომუნიკაციის, ანალიზის, გადაწყვეტილების მიღების უნარით აღჭურვასა და მოწინააღმდეგის მხარის შეხედულებების, აზრებისა და მოქმედებების გაგება – აღიარებას.¹⁷³ მოგვიანებით ფლორიდის უნივერსიტეტის სამართლის კოლეჯის პროფესორმა

¹⁶⁶ Goldberg S., Sander F., Rogers N., Cole S. R., Dispute Resolution: Negotiation, Mediation and other Processes, Wolters Kluwer Law & Business, Six Ed., New York, 2012, 121.

¹⁶⁷ იქვე, 123.

¹⁶⁸ შრომით დავაზე მედიაციის პროცესი უფრო ხშირად დაპირისპირებული, შეჯირებით და პოზიციონალურია, მაშინ, როცა ბავშვის მეურვეობის საკითხზე დავა უფრო თანამშრომლობით ხასიათს ატარებს.

¹⁶⁹ Partidge M. V., Alternative Dispute Resolution: an Essential Competency for Lawyers, Oxford University Press, New York, 2009, 93.

¹⁷⁰ თავდაპირველ ეტაპზე, როცა მედიატორობა ნებაყოფლობითი საქმიანობა იყო, აშშ-ში ნებისმიერი პროფესიის პირს შეეძლო ყოფილიყო მედიატორი, თუ იგი სპეციალური მომზადების კურს გაივლიდა.

¹⁷¹ „შეფასებითი“ მედიაციის სტილის პრაქტიკოს მედიატორების მოსაზრებით, მათი უპირველესი ფუნქცია მხარეთათვის, სწორედ, საკუთარი მოსაზრებების მიწოდებაა.

¹⁷² Chern C., International Commercial Mediation, Informa, London, 2008, 133.

¹⁷³ იქვე, 135.

ლეონარდ რისკინმა¹⁷⁴ მედიატორები თუ ჯგუფად დაყო – ფართო და ვიწრო მიღომის მედიატორებად.¹⁷⁵ ვიწრო მიღომის მქონე მედიატორი მიიჩნევს, რომ მხარეები დახმარების მისაღებად მივიდნენ, რაც გულისხმობს ტექნიკური (სამართლებრივი) პრობლემის გადაჭრას, ხოლო პრობლემა, ჩვეულებრივ, წარმოდგენილია ადვოკატების მიერ მათ სარჩელებსა თუ სხვა დოკუმენტებში. ამის საპირისპიროდ ფართო მიღომის მედიატორი ინტერესების არამხოლოდ მხარეთა სამართლებრივი პოზიციებით, არა-მედ ფსიქო-სოციალური და მატერიალური ინტერესებით და ცდილობს გაიგოს, რა საჭიროებები უდევს საფუძვლად მათ. შესაბამისად, ინტერესების იმგვარ გამოვლენას ახდენს, რასაც შეუძლია ხელი შეუწყო დავის ორმხრივად სასარგებლო შედეგით დამთავრებას. მედიატორის მიღომის შესახებ პროფესორი რისკინის მიერ შემუშავებული ინდიკატორები იცვლება ხელშეწყობითი და შეფასებითი მედიაციის სტილებს შორის. კინაიდან განსხვავება მათ შორის არ არის ყოველთვის ნათელი და ზუსტი, რისკინმა მოიშველია ცხრილი (დღეისათვის „რისკინის გრიდის“ სახელით ცნობილი), რომელიც გვეხმარება მედიატორის სტილის იდენტიფიცირებაში. ადსანიშნავია, რომ მედიატორთა უმრავლესობა თრივე სტილის ტექნიკას იყენებს, მათ შორის, მედიაციის ერთ პროცესშიც კი. რასაკვრიველია, მედიაციის წარმართვის სტილთან დაკავშირებით არსებობს სხვა მოსაზრებებიც, თუმცა სამოქალაქო სამართლებრივ დავებზე წარმოებული მედიაციის პროცესების დროს, როგორც წესი, „ხელშემწყობი“, „შეფასებითი“ და „გარდაქმნითი“ მედიაციის სტილი გამოიყენება.¹⁷⁶ მართალია, ხელშემწყობი მედიაციის სტილი დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ყველაზე უფრო პოპულარულია, თუმცა ის მოწონებით არ სარგებლობს აღმოსავლეთის ქვეყნებში (მათი წარმოდგენით მესამე ნეიტრალური პირი სწორედ იმისთვის მონაწილეობს პროცესში, რათა გამოხატონ საკუთარი აზრი, თუ როგორ უნდა დამთავრდეს საქმე). შესაბამისად, დავის ეფექტური გადაწყვეტის მიზნით საჭიროა სხვადასსხვა კულტურათა თავისებურების გათვალისწინება. ის, რაც ერთი მხარისათვის საუკეთესო მეთოდია, შესაძლოა, მეორე მხარისათვის სრულებით არაეფექტური იყოს.

სამედიაციო ცენტრისა და მედიატორის ასარჩევად მნიშვნელოვანია მედიაციის სტილებს შორის განსხვავებათა ცოდნა, რამდენადაც ის შესაძლოა გახდეს მედიაციის პროცესით მხარეთა კმაყოფილების მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი. სამივე სტილი განსხვავებულ აქცენტებს აკეთებს მედიაციის პროცესში. აქედან გამომდინარე, იცვლება ნეიტრალური პირის როლი, პროცესის მსვლელობის სტრუქტურა და მიღწეულ შედეგის ხასიათი.¹⁷⁷ შესაბამისად, მომდევნო ქვეთავებულ განხილულ იქნება სხვაობა სამივე მათგანს შორის.

¹⁷⁴ ლეონარდ რისკინის შესახებ დაწვრილებით შეგიძლიათ იხ.:<<http://www.mediate.com/people/personprofile.cfm?auid=207>>, [02/11/2015].

¹⁷⁵ Riskin L., Understanding Mediators' Orientations, Strategies and Techniques: A Grid for the Perplexed, "Harvard Negotiation Law Review, Vol.1:7, 1997, იხ.:<http://www.mediate.com/pdf/riskinL2_Cfm.pdf>, [02/11/2015].

¹⁷⁶ Fenn P., Commercial Conflict Management and Dispute Resolution, Routledge, Oxon, 2011, 62.

¹⁷⁷ Cloke K., Level of Resolution, Pepperdine Dispute Resolution Law Journal, No.4, 2004, 240.

4.1 ხელშემწყობი მედიაციის სტილი

აშშ-ში თანამედროვე მედიაციის ინსტიტუტის განვითარების საწყის ეტაპზე, 70-იან წლებში, მხოლოდ ხელშემწყობი სტილით მედიაციის პროცესი იყო მიღებული,¹⁷⁸ ამიტომაც 50 წლის წინ მედიატორთა ტრენინგებზე მედიაციის მხოლოდ ერთ მეთოდს ასწავლიდნენ, რომელსაც დღეს „ხელშემწყობ“ სტილს უწოდებენ და რომლის მიხედვით, მედიატორი მხარეებს ეხმარება, რათა მათ თვითონ იპოვონ სიტუაციიდან გამოსავალი.¹⁷⁹ როგორც წესი მედიაციის ხელშემწყობი სტილით წარმართული მედიაციის პროცესი იწყება ერთობლივი შეხვედრით, რა დროსაც მედიატორი მხარეებს განუმარტავს საკუთარ როლს, პროცესის მსვლელობის სტრუქტურასა და მედიაციის პროცესის მთავარ მახასიათებლებს. ვინაიდან ხელშემწყობი მედიაცია ფოკუსირებულია მხარეთა ინტერესების გაგებაზე, მედიატორმა საერთო სესიის შემდეგ, რა დროსაც ძირითადად მხარეები საკუთარ სამართლებრივ პოზიციებს წარმოადგენენ, შესაძლოა ითხოვოს მხარეებთან ინდივიდუალური შეხვედრა, რათა კონფიდენციალურად, კერძო შეხვედრის რეჟიმში გაერკვეს მხარეთა რეალურ საჭიროებებსა და დაფარულ ინტერესებში. რამდენადაც ხელშემწყობი სტილის მედიატორი მედიაციის პროცესის დროს არ იძლევა რჩევებს და მორიგების საკუთარ ვერსიას არ სთავაზობს მხარეებს,¹⁸⁰ ინფორმაციის შეგროვების შემდეგ მედიატორი საერთო ინტერესებისა და მიზნებზე დაყრდნობით ცდილობს მხარეთა დახმარებას სიტუაციიდან ისეთი გამოსავლის მოქებაში, რომელიც ორივე მხარის რეალურ საჭიროებებსა და ინტერესებს დააკმაყოფილებს. ხელშეწყობითი მედიაციის პროცესში ნეიტრალური მესამე მხარე, ხელს უწყობს მხარეთა მოლაპარაკებას აქტიური შემფასებლის პოზიციის გარეშე. ვინაიდან დისკუსია და, საბოლოოდ, კონფლიქტის გადაწყვეტა შესაძლოა უფრო მეტად განპირობებული იყოს მხარეთა ინტერესებით, ვიდრე სამართლებრივი პრობლემებით. ხელშეწყობითი მედიატორი ძირითადად განსაზღვრავს საბაზისო წესებს, მოდერაციას უწევს დისკუსიას, მონაწილეობს დღის წესრიგის შემუშავებაში, ავლენს მხარეებს შორის პიროვნულ კონფლიქტს, რამდენადაც შესაძლებელია, უზრუნველყოფს სასაუბროდ კომფორტული გარემოს შექმნას, ხელს უწყობს მოლაპარაკების გაგრძელებას და საბოლოოდ – დავის მოგვარებას. ამ მიზნით მედიატორმა შესაძლებელია შეარჩიოს მხარეებთან ცალ-ცალკე საუბრის ფორმა ინტერესების გამოკვლევისთვის საკითხების გაანალიზებაში დასახმარებლებლად, წინადადებების ურთიერთგაცვლის უზრუნველსაყოფად. შესაძლებელია ითქას, რომ მედიატორი კონფიდენციალური მსმენელია, როცა მხარეებს არ სურთ ერთმანეთს გაუმჯდავნონ შესათანხმებელი წინადადების ის ვერსია, რომელშიც დაფიქსირდება დათმობის უკიდურესი ზღვარი. ამასთან, ხელშეწყობით მედიაციაში პროცესი ყველაზე არაფორმალურია, რის გამოც, იგი, მედიატორის პიროვნებისა და კონკრეტული საქმის დავის საგნიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად განსხვავდება. პროცესი, უმეტესად, შეესაბამება მედიაციის ზოგად აღწერას, თუმცა ფოკუსირება ხდება კომუნიკაციის ხელშეწყობაზე, არასწორი შეხედულებების

¹⁷⁸ ამ ფორმას „ინტერესებზე დამყარებულ“ მედიაციას პროცესსაც უწოდებდნენ (Interest Based Mediation).

¹⁷⁹ Chern C., International Commercial Mediation, Informa, London, 2008, 130.

¹⁸⁰ მედიატორების დიდი ნაწილი დღესაც ამ სტილს იყენებს იმავე პრინციპების დაცვით.

გამოსწორებაზე, იმის ახსნაზე, თუ რამ მიიყვანა საქმე დავამდე და თოთოეული მხარის პერსპექტივის გამოკვეთაზე. მედიატორის როლი არ არის შემტევი, იგი არ გამოხატავს აზრს ან არ პროგნოზირებს შედებებს. უპირველესი კრიტერიუმი დავის შესაძლო გადაწყვეტის გზის შეფასებისას არის ის, თუ რამდენად აკმაყოფილებს ის ორივე მხარის ინტერესებს.¹⁸¹ სხვადასხვა ავტორი ხელშემწყობი მედიატორის უნარებს შორის გამოყოფს მოსმენის უნარს და ამ სტილის მედიატორებს როგორც ყველაზე „უფრო „გულისხმიერ მსმენელებს“ ისე ახასიათებს.¹⁸²

4.2 შეფასებითი მედიაციის სტილი

ხელშემწყობი მედიაციის სტილის შემდეგ იურისტ (მოსამართლე) მედიატორების ინიციატივით¹⁸³ პრაქტიკაში განვითარდა შეფასებითი მედიაციის სტილი. გინაიდან ისინი (განსხვავებით ფსიქოლოგი ან ბულალტერი მედიატორებისაგან) იცნობდნენ რა სასამრთლო პრაქტიკას, მედიაციის მსვლელობის პროცესში იძლეოდნენ პრაქტიკიდან გამომდინარე რჩევებს.¹⁸⁴ შეფასებითი მედიაციის პროცესის დროს მედიატორი ცდილობს მორიგების მიღწევას, საქმის სასამართლოს გზით განხილვის შემთხვევაში მოსალოდნელ შედეგზე მითითებით. ამ დროს მედიატორი უფრე მეტად მხარეთა უფლებებსა და სამართლიანობაზე დაყრდნობით ახდენს მორიგების აქტის ფორმირებას, ვიდრე მათ ინტერესებსა თუ საჭიროებებზე. შეფასებითი მედიაცია ფოკუსირებას ახდენს საქმეში მხარეთა ძლიერ და სუსტ მხარეებზე, ამიტომ ის უფრო პრაგმატული მედიაციის სტილად მიიჩნევა და უფრო ხშირად კომერციული დავების გადასაწყვეტად გამოიყენება, ვიდრე საოჯახო ან სამეზობლო დავებისა. შეფასებითი მედიატორი სთავაზობს მხარეებს ფორმალურ და არაფორმალურ შეფასებებსა და საქმის ანალიზს, გამოთქვამს ვარაუდს სასამართლოში დავის შესაძლო შედეგებზე, ვინაიდან მედიატორი გამოთქვამს თავის მოსაზრებას, ჩვეულებრივ, მხარეთა წარდგენის შემდეგ, ზოგჯერ შეფასებითი მედიაცია შეცდომით აღიქმება როგორც სასამართლო პროცესთან მიახლოებული დავის გადაწყვეტის საშუალება, რაც არაკორექტულია, რადგან ზემოხსენებული შეფასებები არაა მიმართული „დათანხმდი ან წადი“ ტიპის წინადადებაზე. უფრო მეტად ის სთავაზობს ნეიტრალურ „რეალობას“ იმისთვის, რომ მხარეები წააქეზოს დავის მოგვარებისთვის საჭირო პოზიციების ფორმირებაში.¹⁸⁵ შეფასებითი მედიაციისას მედიატორი ხშირად სვამს კითხვებს და საერთო შეხვედრაზე აქტიურად განიხილავს საკითხებს მონაწილეებთან ერთად. შეფასებითი უკუკავშირის საჭიროებიდან გამომდინარე, მედიატორი იღებს პასუხისმგებლობას მხარეთა ფაქტობრივი და სამართლებრივი არგუმენტების სრულად გააზრუბაზე; აფა-

¹⁸¹ Partidge M. V., Alternative Dispute Resolution: an Essential Competency for Lawyers, Oxford University Press, New York, 2009, 94.

¹⁸² Goldberg S., Sander F., Rogers N., Cole S. R., Dispute Resolution: Negotiation, Mediation and other Processes, Wolters Kluwer Law & Business, Six Ed., New York, 2012, 128.

¹⁸³ Partidge M. V., Alternative Dispute Resolution: an Essential Competency for Lawyers, Oxford University Press, New York, 2009, 93.

¹⁸⁴ Chern C., International Commercial Mediation, Informa, London, 2008, 133.

¹⁸⁵ Riskin L., Understanding Mediators' Orientations, Strategies and Techniques: a Grid for the Perplexed, "Harvard Negotiation Law Review", Vol. 1:7, 1997, o.b.: <http://www.mediate.com/pdf/riskinL2_Cfm.pdf>, [02/11/2015].

სებს, რამდენად და როგორ იმოქმედებს არსებული ფაქტები სასამართლოში დავის საბოლოო გადაწყვეტაზე. მედიატორი სთავაზობს მხარეებს საკითხების მისეულ შეფასებას, გამოთქვამს ვარაუდს შედეგებზე სასამართლო დავის შემთხვევაში.¹⁸⁶

როგორც წესი, შეფასებითი მედიაციის პროცესი იწყება კერძო, იდივიდუალური შეხვედრებით. მედიატორი ეცნობა ცალ-ცალკე ორივე მხარის პოზიციას. შესაძლოა, მედიაციის პროცესი ისე დამთავრდეს, რომ მხარეები არც ერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს და მხოლოდ წარმომადგენლების საერთო შეხვედრა გაიმართოს.¹⁸⁷ ხშირად მას შემდეგ, რაც მედიატორის მიერ შეთავაზებული მორიგების პირობები ორივე მხარისათვის მისაღები იქნება, მედიატორი საერთო შეხვედრაზე გააცნობს მხარეებს ინფორმაციას მედიაციის წარმატებით დასრულების შესახებ. როგორც წესი, შეფასებების გაცნობასთან ერთად მედიატორი მხარეებს წარუდგენს საკუთარ მოსაზრებას საქმის სასამართლოში განხილვის რისკების შესახებ და განმარტავს, რომელ მხარეს აქვს მეტი შანსი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებისა.¹⁸⁸ უნდა აღინიშნოს, რომ შეფასების პროცესი მედიატორისთვის გარკვეულ გამოწვევებს შემცველია, რაც მოითხოვს ანალიტიკურ გამჭრიახობას, ვერბალურ უნარებს, ტაქტსა და დიპლომატიას. მედიატორები, ძირითადად, მაგრამ არა ყოველთვის ამჯობინებენ, შეფასება წარუდგინონ მხარეებს კერძო შეხვედრის დროს, რაც მათ საშუალებას აძლევს, მაქსიმალურად გაითვალისწინონ მხარის ინტერესები და ფრთხილად ახსნან, რაში და რატომ არ ეთანხმებიან მის პოზიციას. განსაკუთრებით მაშინ, როცა მონაწილეები ემოციურად არიან დატვირთული სადაცო საკითხთან მიმართებით, საერთო შეხვედრაზე შეფასების წარმოდგენას შეუძლია გამოიწვიოს რომელიმე მათგანის „სახის დაკარგვა“ და უარყოფითი ემოციების მოზღვავება. ასეთ დროს მედიატორი შეიძლება აღქმულ იქნეს როგორც მოწინააღმდეგებე, რომელიც არ იყენებს მხარეთა შეთანხმების ხელშეწყობის შესაძლებლობას. შეფასებითი მედიაციისას მოსალოდნელია, რომ მხარეთა მოხსენებები საერთო შეხვედრაზე იქნება უფრო სრული, ვიდრე ხელშეწყობითი მედიაციის მსვლელობისას, სამართლებრივ საკითხებზე უურადღების გამახვილებით, ექსპერტების მოსაზრებების განხილვით, ზიანის შეფასებით და ა.შ. ამასთან, მედიატორმა შესაძლოა უფრო აქტიურად გამოიკითხოს მხარეთა პოზიციები ფაქტების შესახებ, მიიღოს ინფორმაცია სამართლებრივად განსჯად საკითხებზე, ვიდრე სხვა სტილის მედიაციის დროს. აღნიშნულიდან გამომდინარე, იმ საქმეების განხილვისას, სადაც მნიშვნელოვანია ფაქტები და მოწმეები, შესაძლოა ისინი ჩართული იყვნენ პროცესში. საბოლოო შეთანხმების მიღწევის მიზნით, შეფასების გაკეთების შემდეგ მედიატორი შეიძლება გადაიხაროს უფრო ხელშეწყობის როლისკენ. ამდენად, პრაქტიკაში მედიაცია არც წმინდად შეფასებითა და არც წმინდად ხელშეწყობითი. მედიაციის პროცესი დინამიკურია და ვარირებს შეფასებით და ხელშეწყობით მოდელებს შორის.

¹⁸⁶ Love P. L, Stulberg B. J., Practice Guidelines for Co-Mediation: Making Certain that “Two Heads Are Better Than One”, Mediation Quarterly, Vol. 13, No. 3, 1996, 179.

¹⁸⁷ ასეთ ზომებს მედიატორები მაშინ მიმართავენ, ხოლმე როცა მხარეთა შორის კონფლიქტი ისეთ დონემდევა ექსკალირებული, რომ საერთო შეხვედრას შესაძლოა მათ შორის ფიზიკური დაპირისპირება მოყვეს.

¹⁸⁸ Partidge M. V., Alternative Dispute Resolution: an Essential Competency for Lawyers, Oxford University Press, New York, 2009, 93.

„იურისტთა ლიდერობით“ წარმართულ პროცესს მაღვევე გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგებიც. კერძოდ, აღნიშნული სტილის მედიაციის ნაკლოვანებებს შორის გამოყოფებ შემდეგს: შეფასებითი მედიაცია მხარეებს ნაკლებად აძლევს კრეატიული გამოსავლის აღმოჩენის შესაძლებლობას; მედიატორს არ შეუძლია მხედველობაში მიიღოს ადვოკატთა უნარები მოსამართლის საკუთარ სიმართლეში დარწმუნების შესახებ; და ბოლოს, მხარეებმა შეიძლება არ ირწმუნონ მედიატორის შეფასებები და ამით პრაქტიკულად ხელიდან გაუშვან მედიაციის უპირატესობები, მათ შორის, ერთმანეთის არგუმენტების მშვიდად მოსმენისა და გაანალიზების შესაძლებლობა.¹⁸⁹ აშშ-ში მედიაციის სტილთან დაკავშრიებით ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, პროცესში მონაწილე იურისტ-წარმამადგენლების უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს შეფასებითი მედიაციის სტილს.¹⁹⁰ უფრო მეტიც, ვინაიდან ისინი მედიაციას აღიქვამენ როგორც წმინდა სამართლებრივ ინსტიტუცის, მათი შეხედულებით, ხელშემწყობი და გარდაქმნითი მედიაციის სტილები სცილდება მართლმსაჯულების განხორციელების ფარგლებს.¹⁹¹ შეფასებითი, უფლებებზე ბაზირებული მედიაციის სტილის ყველაზე უფრო მისადებ ფაქტორად მიიჩნევენ იმ ფაქტს, რომ მედიატორის მიერ წარმოდგენილი შეფასებები იურისტებს აძლევთ გარკვეულ რჩევებსა და მინიშნებებს სამომავლო სასამართლო პროცესისათვის.

4.3 გარდაქმნითი მედიაციის სტილი

1990-იანი წლებიდან მედიაციის პრაქტიკოსებმა განავითარეს ახალი – გარდაქმნითი მედიაციის სტილი.¹⁹² გარდაქმნითი სტილის მედიაციის პროცესის დროს მედიატორი მხარეებს მაქსიმალურად აღჭურავს პროცესის კონტროლის მექანიზმებით, ცდილობს დაეხმაროს მოდავე მხარეებს მოწინააღმდეგ მხარის საჭიროებების, ინტერესებისა და ფასეულობების აღქმაში, რის საფუძვლადაც მხარეებს შორის ნებატიური ურთიერთობა ტრანსფორმირდება პოზიტიურად.¹⁹³ გარდაქმნითი მედიაცია ფოკუსირებულია მხარეებს შორის ინტერაქციებისა და კონფლიქტის რეგულირებაზე, ურთიერთობების აღდგენასა და ნორმალიზებაზე. ნებისმიერ დავაში, იქნება ეს ფიზიკურ პირებსა თუ კორპორაციებს შორის, აღნიშნული მეთოდი ეფექტურია, თუ დავაში ემოციური მხარე მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ემოციები ნებისმიერი დავის განუყოფელი ნაწილია, მათ შორის, კომერციული დავის კი ხშირად მშრალი ციფრები და

¹⁸⁹ Partidge M. V., Alternative Dispute Resolution: an Essential Competency for Lawyers, Oxford University Press, New York, 2009, 94.

¹⁹⁰ Relis T., Perceptions in Litigation and Mediation: Lawyers, Defendants, Plaintiffs and Gendered Parties, Cambridge University Press, New York, 2009, 233.

¹⁹¹ იქვე.

¹⁹² ტერმინ „ტრანსფორმირების“ გაგება ორგვარად შეიძლება დავების გადაწყვეტის სფეროში. ერთი – როცა დავა ტრანსფორმირდება დაპირისპირებული პროცესის მოდელიდან თანამშრომლობით, პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებულ პროცესად. ასევე, როცა ხდება უფლებებზე დაფუძნებული პროცესის ინტერესებზე დაფუძნებულ პროცესად ტრანსფორმირება, ხოლო ტერმინი „ტრანსფორმირება“ მეორე მნიშვნელობით გამოიყენება თვით მედიაციის „გარდაქმნით“ სტილზე საუბრისას.

¹⁹³ Fenn P., Commercial Conflict Management and Dispute Resolution, Routledge, Oxon, 2011, 62.

არითმეტიკა არ არის მთავარი.¹⁹⁴ როცა სადავო საკითხი მძაფრ ემოციებს ადრაგს მოდავე მხარეებში, მისი რეგულირება კომუნიკაციის ხელშეწყობით და კრეატიული გამოსავლის პოვნით რთულია. საჭიროა ამ ემოციებთან გამკლავება, რის გამოც გარდაქმნითი მედიაციის პროცესის დასაწყისში მედიატორი ცდილობს, გაიგოს მხარეთა ემოციები, ხოლო შემდეგ – მათი ინტერესები.¹⁹⁵

გარდაქმნითი მედიაცია „უფრო მხარეთა „აღმჭურველი“ და „მაღიარებელი“ მედიაციის პროცესია, ვიდრე პრობლემის გადაჭრაზე (დავის მოგვარებაზე) ორიენტირებული.¹⁹⁶ გარდაქმნითი მედიაციის ფილოსოფია მხარეთა დავის გადაწყვეტის უფლებებით აღჭურვისა და ურთიერთ საჭიროებების აღიარების იდეის მატარებელია. მისი მიზანი უფრო მეტად მხარეთა ტრანსფორმირებაა, ვიდრე მორიგების მიღწევა სადავო საკითხების პროცესზე მხარეებმა ერთმანეთის საჭიროებები და ფასეულობები აღიარეს, გარდაქმნითი მეთოდის გამოყენებელ მედიატორისათვის ეს პროცესის წარმატებით ჩატარებას ნიშნავს, ხოლო მორიგება როგორც ბონუსი ისე აღიქმება.¹⁹⁷

გარდაქმნითი მედიაცია, როგორც წესი, გახსნის მომენტიდან დასრულებამდე მთლიანად ერთობლივი შეხვედრებით წარიმართება, ვინაიდან გარდაქმნითი მედიაციის სტილის პრაქტიკოს მედიატორებს მიაჩნიათ, რომ კონფლიქტის რეალური ტრანსფორმაცია მხარეთა ერთობლივი მუშაობით მიიღწევა და არა ჩუმად, მალულად მედიატორთან კონფიდენციალური საუბრებით.¹⁹⁸ ასევე აღსანიშნავია, რომ გარდაქმნითი სტილის მედიაცია გაცილებით დიდხანს გრძელდება, ვიდრე ხელშეწყობი ან შეფასებითი მედიაციები. მისი თავისებურებებიდან გამომდიანობება, პროცესს ფსიქოლოგი მედიატორები უკეთ უძღვებიან, ვიდრე სხვა პროფესიის მედიატორები. არსებობს მოსაზრება, რომ იურისტი მედიატორები არ არინ საკმარისად მომზადებული მედიციის პროცესში მონაწილე მხარეების ემოციების აღსაქმელად. კერძოდ, ვერ აღიქვამენ სახის მიმიკებს, ხმოვან და ფსიქოლოგიურ მანიშნებლებს. შესაბამისად, კარგავენ არავერბალური კომუნიკაციით გადაცემულ მნიშვნელოვან ინფორმაციას,¹⁹⁹ რადგან მხოლოდ კომუნიკაციის ვერბალური არხით მიღებული ინფორმაცია არ არის ასეთ დროს მედიატორისათვის საკმარისი. მოდავე მხარის ემოციური მდგომარეობის გაგებისათვის მნიშვნელოვანია, მედიატორმა მოახერხოს კოგნიტური შეფასებებისადმი ყურადღების მიქცევით პიროვნება ემოციურად გახსნას, რადგან ყველა ნეგატიური ემოცია გამომდინარეობს პირის ინტერესებზე რაიმე მოქმედების ან შემთხვევის უარყოფითი გავლენით, შეფასებით ან მიზნის მიღწევის გართულებით.²⁰⁰ შესაბამისად, ერთი

¹⁹⁴ Partidge M. V., Alternative Dispute Resolution: an Essential Competency for Lawyers, Oxford University Press, New York, 2009, 94.

¹⁹⁵ Partidge M. V., Alternative Dispute Resolution: an Essential Competency for Lawyers, Oxford University Press, New York, 2009, 95.

¹⁹⁶ Folberg J., Robert A., Bush B., Transformative Mediation and Third-Party Intervention: Ten Hallmarks of a Transformative Approach to Practice, *Mediation Quarterly*, Vol. 13, No. 4, 1996, 263.

¹⁹⁷ Brown J. H., Marriott A., ADR Principles and Practice, Third Ed., Sweet & Maxwell, London, 2011, 1.

¹⁹⁸ Folberg J., Golann D., Lawyer Negotiation: Theory, Practice and Law, 2nd Ed., Wolters Kluwer Law & Business, New York, 2011, 25.

¹⁹⁹ Herrman S. M., The Blackwell Handbook of Mediation: Bridging Theory, Research and Practice, Blackwell Publishing, Malden, 2006, 287.

²⁰⁰ იქვე, 294.

მხრივ, მხარეებთან გრძნობებზე საუბარი იურისტი მედიატორების პრობლემად რჩება, ვინაიდან ისინი ამას არ სწავლობდნენ იურიდიულ სკოლებში. მეორე მხრივ, იურისტები კარგად არიან დახელოვნებული და იციან, როგორ უნდა მიიღონ ინფორმაცია რაიმე ფაქტის ან მოქმედების შესახებ (დაკითხვის ან გამოკითხვის საშუალებით).²⁰¹ შესაბამისად, სადაც ვოა, რამდენად კარგად მედიატორობენ იურისტები გარდაქმნითი სტილით მუშაობისას. მედიაციის სტილის თუ სტრატეგიის წარმატება დამოკიდებულია მოლაპარაკებების პროცესში მონაწილე პირებისა და დავის ხასიათზე. სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები, მათი ინტერესებიდან გამომიდინარე, მოლაპარაკების პროცესში სხვადასხვა საკითხზე ამახვილებენ ყურადღებას. შესაბამისად, ვაჭრობის სხვადასხვა სტილს იყენებენ. ბიზნესმენებს, როგორც წესი, უფრო მეტად ოპტიმისტური დამოკიდებულება აქვთ მოლაპარაკებებით სასურველი შედეგის მიღების მიმართ, ვინაიდან ეს მათი ყოველდღიური საქმიანობის ძირითადი მახასიათებელია.²⁰²

ხელშემწყობი და გარდაქმნითი სტილის მედიაციის პროცესები ხშირად დიდ დროს მოითხოვს.²⁰³ ამასთან, მიღწეული მორიგება შესაძლოა იყოს „არასამართლიანი“. შეფასებითი მედიაციის კრიტიკოსების აზრით კი შეფასებითი მედიაციის პოპულარობა ადგოკატების და იურისტების დამსხურებაა, ვინაიდან სამართლებრივი საკითხების შეფასების პროცესში ისინი კვლავ ინარჩუნებენ დომინანტ როლს, რომელიც მათ მოსწონთ. შესაბამისად, ბოროტად იყენებენ მხარის არაინფორმირებულობას მედიაციის ინსტიტუტისა და მისი ფორმების შესახებ. საბოლოო ჯამში, ხელშემწყობი სტილის მედიაცია არის დომინანტი, რამდენაც მისი გამოყენება ნებისმიერი ტიპის დაგაზის შესაძლებელი. ამასთან, შეფასებითი მედიაციის სტილს ჰყავს ყველაზე მეტი მოწინააღმდეგე, რადგან მათი აზრით, მედიატორი ახდენს გავლენას მხარებზე, ხოლო კრიტიკოსთა ნაწილის შეფასებით, გარდაქმნითი მედიაცია ზედმედატ იდეალისტურია და არაეფექტურია ბიზნეს დავების გადასაწყვეტად.²⁰⁴ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს მედიაციის უნაკლო სტილი, ყველა მათგანი ეფექტური და ნაყოფიერია სხვადასხვა შემთხვევაში, ამიტომ საჭიროა, რომ მედიატორი აღჭურვილი იყოს ვითარების შესაბამისად ნებისმიერი სტილის გამოყენების უნარით. კერძოდ, მედიატორს უნდა შეეძლოს პროცესის განსხვავებულად წარმართვა, გამომდინარე დავის საგნიდან, მოდავე მხარეთა კულტურიდან, მსოფლიხედგელობიდან, მუშაობის სტილისა და ინდივიდუალური მიღგომებიდან.²⁰⁵

²⁰¹ თუმცა აქაც მნიშვნელოვანია, რომ დაიცვან ზღვარი და ზედმეტად ბევრი არ ესაუბროს მხარეებს წარსულის შესახებ.

²⁰² *Frascogna M. X., Hetherington H. L.*, The Lawyer's Guide to Negotiation, Second Ed., American Bar Association, Chicago, 2009, 188.

²⁰³ *Chern C.*, International Commercial Mediation, Informa, London, 2008, 138.

²⁰⁴ *Fenn P.*, Commercial Conflict Management and Dispute Resolution, Routledge, Oxon, 2011, 64.

²⁰⁵ *Brown J. H., Marriott A.*, ADR Principles and Practice, Third Ed., Sweet & Maxwell, London, 2011, 169.

III. ევროპული მოდელი

ევროპაში პირველი სამართლებრივი დოკუმენტი, რომელშიც მედიატორის დახმარებით (*mediator pacis*) მიღებულ კონფლიქტის მშვიდობიან გადაწყვეტაზეა საუბარი, თარიღდება 1648 წლის 24 ოქტომბრით. აღნიშნული მორიგების აქტი ვენეციელი დიპლომატების²⁰⁶ ხელშეწყობით დაიდო, რომლითაც დასრულდა 30-წლიანი ომი ესპანეთსა და გაერთიანებული ნიდერლანდეს რესპუბლიკას შორის.²⁰⁷ ამის შემდეგ ოფიციალურ ხელმისაწვდომ წაყროებში მედიაციის ტექნიკის გამოყენებით კონფლიქტის რეგულირების შესახებ ინფორმაცია ნაკლებად მოიპოვება.²⁰⁸ შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მე-20 საუკუნემდე მედიაციის საშუალებით არც თუ ხშირად გვარდებოდა სადაც საკითხები.

მიუხედავად იმისა, რომ მე-20 საუკუნის ბოლომდე მედიაცია სამართლებრივ სივრცეში მივიწყებული იყო,²⁰⁹ თანამედროვე ევროპელებს არცოუ ისე დიდი დრო დასჭირდათ იმისათვის, რომ ხელახლა მიემართათ მედიაციის ინსტიტუტისათვის და გაეგოთ, რა უპირატესობების მატარებელია იგი. ამას, რასაკვირველია, ხელი შეუწყო 2002 წელს ევროპარლამენტის მიერ მიღებულმა „მწვანე ფურცელმა“²¹⁰ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების შესახებ, რომელსაც 2003 წელს მოჰყვა „მედიატორთა ნებაყოფლობითი ქცევის კოდექსის“ გამოქვეყნება.²¹¹ „მწვანე ფურცლის“ შემუშავებისას ევროკომისიის მიზანი მედიაციის ინსტიტუტსა და სასამართლოს შორის ურთიერთკავშირის მარეგულირებელი ნორმების ისეთი მოწესრიგება იყო, რომ დელიკატურ საკითხებთან მიმართებით ბალანსი არ დარღვეულიყო. კერძოდ, სახელმწიფოებს უნდა ჰქონოდათ საკუთარი მოქალაქეებისათვის მოქნილი (მხარეთა ინტერესებზე მორგებული) და ამავდროულად ხარისხიანი მართლმსაჯულების როგორც შეთავაზების, ისე უზრუნველყოფის შესაძლებლობა.²¹²

„ქცევის კოდექსის“ შემუშავების დღიდან ერთი წლის თავზე, 2004 წელს, ევროპელმა კანონმდებლებმა შეიმუშავეს მედიაციის ევროპული დირექტივის პირველადი ვარიანტი²¹³, რომელიც 2008 წელს გამოიცა როგორც „სამოქალაქო და კომერციულ საქმეებზე მედიაციის გარკვეული ასპექტების შესახებ“²¹⁴ ევროპული დირექტივა.²¹⁵

²⁰⁶ ალვიზ კონტარინი (Alvise Contarini) და ფაბიო ჩიგი (Nuntius Fabio Chigi).

²⁰⁷ იხ.: <http://en.wikipedia.org/wiki/Westphalia_Treaty>, [12/05/2014].

²⁰⁸ Filler A. E., Commercial Mediation in Europe, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2012, xxi.

²⁰⁹ აღსანიშნავია, რომ საწყის ეტაპზე ზოგიერთ იურისტს ტერმინები მედიაცია და მედიაცია ერთმანეთშიც ერეოდათ.

²¹⁰ Green Paper on ADR 19.04.2002, იხ.:

<<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:52002DC0196:EN:NOT>>, [12/05/2014].

²¹¹ EU Code of Conduct for Mediation, იხ.:

<http://ec.europa.eu/civiljustice/adr/adr_ec_code_conduct_en.pdf>, [12/05/2014].

²¹² Filler A. E., Commercial Mediation in Europe, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2012, 3.

²¹³ Brown J. H., Marriott A., ADR Principles and Practice, Third Edition, Sweet & Maxwell, London, 2011, 629.

²¹⁴ Directive 2008/52/EC, on certain aspects of mediation in civil and commercial matters, of the European Parliament and of the Council, 21 May 2008, იხ.:

<<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:32008L0052:en:NOT>>, [30/07/2015].

1. მედიაციის რეგულირების გერმანული მოდელი

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მედიაციის თანამედროვე მოდელი გასული საუკუნის ბოლოდან იღებს სათავეს. კერძოდ, სასამართლო მედიაცია²¹⁵ გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაში ევროპული დირექტივის და გერმანიის მედიაციის აქტის მიღებამდეც არსებობდა. სასამართლო მედიაცია და სასამართლოს გარეთ მოქმედი (შემდგომში: დამოუკიდებელი) მედიაციის ინსტიტუტები გერმანიის ფედერაციაში ერთმანეთისგან გამიჯნულია. მედიაციის აქტი სწორედ დამოუკიდებელად მოქმედ მედიაციის ინსტიტუტების საქმიანობას აწესრიგებს,²¹⁷ რომელიც, რა თქმაუნდა, მედიაციის შესახებ 2008 წელს მიღებულ №52/EC ევროპულ რეგულაციასთან შესაბამისობაშია მოყვანილი. მიუხედავად იმისა, რომ შეზღუდულ საკითხთა წრის მიმართ სასამართლო მედიაცია მანამდეც ვრცელდებოდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, 2008 წლის ევროპულმა დირექტივამ მედიაციის განვითარებას მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა, მათ შორის, სასამართლო სისტემაში. კერძოდ, გერმანელმა კანონმდებელმა სასამართლოს განტვირთვისა და ხარჯების შემცირების ოვალსაზრისით სასამართლოსგან დამოუკიდებლად მოქმედი სამედიაციო ინსტიტუტები სცნო დავის გადაწყვეტის ეფექტიან საშუალებად. ამასთან, მომრიგებელი მოსამართლის ფუნქციების გაზრდის, დახვეწისა და მოდერნიზებით შეინარჩუნა მომრიგებელი მოსამართლის ინსტიტუტი.²¹⁸ მეტიც, გაიზარდა ამ ინსტიტუტის მნიშვნელობა საქმეთა მორიგებით წარმატებით დამთავრებისა და მართლმსაჯულების ხარჯების დაზოგვის პუთით.

იქედან გამომდინარე, რომ გერმანიაში მედიაციის გავრცელების მთავარი მოტივატორი სასამართლო ხარჯების შემცირება იყო, ლოგიკურია, რომ გერმანიაში მედიაციის ინსტიტუტის დანერგვა მართლმსაჯულების სფეროში გატარებულ სხვა ეკონომიკურ რეფორმებთან ერთად განხორციელდა. რის გამოც მოსაზრებაც კი გამოითქვა, რომ რაც უფრო დიდი იქნებოდა ბიუჯეტის დეფიციტი, გერმანიის ხელისუფლება მით უფრო აქტიურად შეუყობდა ხელს მედიაციის ინსტიტუტის განვითარებას.²¹⁹

აღსანიშნავია, რომ ევროპულ სახელმწიფოებს შორის გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ მედიაციის ევროპული დირექტივა ერთ-ერთმა ყველაზე ბოლომ მიიღო, რის გამომწვევ მიზეზად გერმანელი იურისტების საკითხისადმი სერიოზულ და დინამიკურ მიზოდმას ასახელებენ.²²⁰ მედიაციის აქტის გარდა, სასამართლო მედიაციასთან დაკავშირებული საკითხები გერმანიის სამოქალაქო საპროცესი კოდექსითაც არის რეგულირებული (ZPO).

²¹⁵ დაწვრილებით იხ. ამავე ნაშრომის მე-2 თავი.

²¹⁶ ინგ.: Court Annexed Mediation.

²¹⁷ Act for the Encouragement of Mediation and other Extrajudicial Conflict Resolution Procedures, იხ.: <http://www.gesetze-im-internet.de/englisch_mediationsg/englisch_mediationsg.html>, [09/09/2014].

²¹⁸ Espilugus C., Iglesias J. L., Palao G., Civil and Commercial Mediation in Europe: National Mediation Rules and Procedures, Vol. I, Intersentia, Cambridge, 2013, 185.

²¹⁹ იქვე, 162.

²²⁰ Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 34.

1.1 ძირეული საკითხების რეგულირების ფორმა

2002 წელს გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (ZPO) 278-ე მუხლის მქ-5 და მქ-6 ნაწილებსა და 279-ე მუხლის პირველ ნაწილში განხორციელებულდა ცვლილებები და შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

278-ე მუხლი: დავის მეგობრული გადაწყვეტა – კონსილიაცია:

(5) სასამართლოს შეუძლია მოდავე მხარეთა გადამისამართება იმ მოსამართლესთან, რომელსაც დელეგირებული აქვს ან სასამართლოს მოთხოვნით აწარმოებს მედიაციის სხდომებს.

(6) სასამართლოში შესაძლოა მორიგების აქტის გაფორმება, თუ მოდავე მხარეები წერილობით თანხმობას გამოხატვენ მომრიგებელი მოსამართლის (მედიატორის) ან ერთ-ერთი მხარის მიერ შეთავაზებული მორიგების აქტის პროექტზე.

279-ე მუხლი: სასამართლო (ზეპირი) სხდომა:

(1) მედიაციის პროცესზე მხარის გამოუცხადებლობის ან მისი წარუმატებლად დამთავრების შემთხვევაში სასამართლო სხდომა ინიშნება დაუყონებლივ.²²¹

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი მოსამართლეებს აძლევს საშუალებას მხარეთა ნების მიუხედავად გადაემისამართებინათ საქმე მომრიგებელი მოსამართლისათვის, რომელიც აღჭურვილია მედიატორის უნარებით. ამასთან, დამოუკიდებელი მედიაციისაგან განსხვავებით, მოსამართლე მედიატორებს გააჩნიათ მხარეებსათვის მორიგების პირობის შეთავაზების უფლებაც. ვინაიდან გერმანიის სასამართლო პრაქტიკისათვის სასამართლო მორიგება წლების მანძილზე გამოცდილი და ქმედითი ინსტიტუტი იყო, სასამართლოს გარეთ მოქმედი დამოუკიდებელი მედიაციის ინსტიტუტების გარდა, გერმანელმა კანონმდებლებმა კვლავ ძალაში დატოვა და განავითარა მომრიგებელი მოსამართლის ინსტიტუტი, რომელსაც სასამართლოში საქმის მსგლელობის მთელ პერიოდში შეუძლია მიმართონ მხარებმა. პრაქტიკაში აღნიშნული ინსტიტუტის ეფექტიანობა არამხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოებში, არამედ, ასევე, სააპელაციო ინსტანციებშიც გამოვლინდა. რისი მიზეზიც პირველ ინსტანციაში საქმის დასრულებამდე საკუთარი პოზიციების მიმართ მხარეთა არარიალისტური დამოკიდებულებაა. მედიაციის პროცესის დადებითი მხარეების წარმოჩენის მიზნით, გერმანიის სასამართლოებში ჩამოყალიბდა ტრადიცია (საგულისხმოა, რომ წინასწარ არ იყო კანონმდებლობით გათვალისწინებული), რომლითაც გამართულ სასამართლო მედიაციის პროცესებს უძღვება ის მოსამართლე, რომელიც საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიმღები არ არის. აღნიშნულ ინსტიტუტს, კერძოდ, მოსამართლე მედიატორებს კრიტიკოსებიც ბევრი ჰყავს, მედიატორისა და მოსამართლის პროფესიული როლების შეუთავსებლობის გამო.²²²

დამოუკიდებელი (კერძო) მედიაციისიგან განსხვავებით მომრიგებელი მოსამართლის ინსტიტუტი (*court-based mediation*) გერმანული სასამარ-

²²¹ იხ.: <http://www.gesetze-im-internet.de/englisch_zpo/englisch_zpo.html#p0020>, [02/12/2015].

²²² Espilugus C., Iglesias J. L., Palao G., Civil and Commercial Mediation in Europe: National Mediation Rules and Procedures, Vol. I, Intersentia, Cambridge, 2013, 182.

თლო სისტემის წარმატებულ პროექტად ითვლება,²²³ რომელიც სათავეს 1990-იანი²²⁴ წლებიდან იღებს. დღეისათვის თექვემეტივე ფედერალური მხარე სთავაზობს მომხმარებელს მომრიგებელი მოსამართლის სერვისს არა მარტო სამოქალაქო არამედ ადმინისტრაციულ დავებზეც. მედიაციის გერმანული მოდელის თავისებურებად სწორედ სასამართლოში მოსამართლეების მიერ გამართული მედიაციის პროცესები ითვლება, რის გამოც მომრიგებელი მოსამართლეების ინსტიტუტს სწორედ „გერმანულ მოდელს“ უწოდებენ²²⁵

მას შემდეგ, რაც მედიაციის აქტიური დანერგვა დაიწყო გერმანულ სასამართლო სისტემაში, ბოლო ათწლეულის მანძილზე ასობით მოსამართლემ გაირა მედიაციის ტრენინგი. აღნიშნული პროცესიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ მომრიგებელ-მოსამართლებმა მედიაციის პროცესი თანდათანობით „შეფასებითი“ სტილის გახადეს. კერძოდ, წინასწარ გცნობოდნენ საქმის მასალებს და მორიგების პროცესში ისინი უფრო და უფრო ემსგავსებოდნენ მოსამართლეებს, ვიდრე მედიატორებს. აღნიშნულის გამო არაერთხელ იქნენ ისინი გაკრიტიკებული კერძო მედიატორების მიერ. საბოლოო ჯამში, მომრიგებელი მოსამართლეების პრაქტიკა პოზიტიურად ფასდება. რაც შეეხება დამოუკიდებელ კერძო სამედიაციო ცენტრებს, მათ მიმართ გერმანიის ფედერალურ რესპბლიკაში ინტერესმა იკლო, რისი გამომწვევი მიზეზიც ნეიტრალური პირის დახმარებით კონფლიქტების მართვის სხვადასხვა გვარი მოდელის ერთდროული დამკვიდრება და არათანმიმდევრული პოლიტიკა იყო.

აღსანიშნავია, რომ 2008 წელს გერმანიის იურისტთა ასოციაციის გამართულ წლიურ შეხვედრაზე ადგოკატებმა დიდი უმრავლესობის მხარდაჭერით, თხოვნით მიმართეს ფედერალურ ხელისუფლებას, მიეღო ერთიანი ფედერალური რეგულაცია მედიაციის კანონმდებლობის და არ ყოფილიყო ის ფედერალური მხარის ინდივიდუალური გადაწყვეტილების საგანი. აღნიშნული თხოვნისათვის ყურადღება არ მიუქცევია ფედერალურ ხელისუფლებას,²²⁶ რის გამოც გერმანიის ფედერალური რესპუბლიკაში მედიაციის ინსტიტუტის მხარდამჭერები თვლიდნენ, რომ 2008 წლის ეპროცესი დირექტივა უნიკალური შანსი იყო, რომლის გამოყენებაც ხელიდან არ უნდა გაეშვათ. შესაბამისად, ეცადნენ, ახალი კანონით არა მხოლოდ საკითხთა ის წრე დაერეგულებიათ, რასაც ეპრორეგულაცია მოითხოვდა, არამედ გასცდენოდნენ მის ფარგლებს და დაემკვიდრებინა ისეთი წესები რომლებიც წაახალისებდა გერმანიაში მედიაციის განვითარებას. აღნიშნული პოლიტიკის შედეგად 2012 წელს მიიღეს ახალი კანონი,²²⁷ რომელსაც დიდი იმედით უყურებს მედიაციის ინსტიტუტის ბეჭით დაინტრენებული გერმანული საზოგადოება.

²²³ De Palo G., Trevor B. M., EU Mediation: Law and Practice, Oxford University Press, Oxford, 2012, 134.

²²⁴ პირველი სამედიაციო ორგანიზაციები 1992 წელს იქნენ დაარსებული, გერმ. Bundesverband Mediation da Bundes Arbeitsgemeinschaft für Familienmediation.

²²⁵ De Palo G., Trevor B. M., EU Mediation: Law and Practice, Oxford University Press, Oxford, 2012, 134.

²²⁶ Hopt J. K., Steffek F., *Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective*, Oxford University Press, Oxford, 2013, 534.

227 ob:

<http://www.gesetze-im-internet.de/englisch_mediationsg/englisch_mediationsg.html>, [09/11/2014].

1.1.1 საგალდებულო მედიაცია

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მედიაციის მარეგულირებელი კანონმდებლობა გაყოფილია ფედერალურ და ადგილობრივ დონეებად. 1999 წელს მიღებულ „სამოქალაქო საპროცესო კოდექსის“²²⁸ (EGZPO) მე-15 მუხლის განმარტებით ბარათში, რომელიც მედიაციის რეგულირებას ეხებოდა, აღინიშნა, რომ ფედერალური ხელისუფლების ნებაა, მხარის ადგილობრივ ორგანოებს მედიაციის ინსტიტუტის გაცნობის შემდეგ თავად მიეღოთ გადაწყვეტილება, ყოფილიყო თუ არა საგალდებულო მედიაცია მათ ტერიტორიაზე.²²⁹ აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ, ერთი მხრივ, განსხვავებული პრაქტიკის განვითარება გამოიწვია სხვადასხვა ფედერალურ მხარეში, ხოლო, მეორე მხრივ, გერმანია იმ რამდენიმე ქვეყანას მიაკუთვნა, რომლებიც ითვალისწინებდნენ სასამართლო პროცესამდე საგალდებულო მედიაციის ინსტიტუტის გავლით კონფლიქტის რეგულირების მცდელობას. კერძოდ, EGZPO-ს მუხლი 15(ა) მოსამართლებს დავის საგალდებულო მედიაციაზე გადამისამართების უფლებას აძლევდა, თუმცა, ამის გაკეთებას ყველა შემთხვევაში არ ავალდებულებდა.²³⁰ ვინაიდან კანონმდებელმა ფედერალური მხარის²³¹ წარმომადგენლობითი ორგანოების უფლებამოსილებად დატოვა საგალდებულო მედიაციის თავიანთ ტერიტორიაზე შემოდების საკითხი,²³² ამიტომ 2012 წლის იანვრის მდგომარებით 16-დან 11-მა ფედერალურ მხარემ, მიიღო საგალდებულო მედიაცია საკუთარ ტერიტორიაზე.

საგალდებულო (არანებაყოფლობითი) მედიაციის საკითხი იწვევდა აზრთა სხვადასხვაობას გერმანელ იურისეტბს შორის. 2007 წელს საკითხი გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომდეც მივიდა, რომელმაც ჩათვალა, რომ EGZPO-ს მე-15 მუხლის (ა) ქვეპუნქტი კონსტიტუციურია.²³³ კერძოდ, მან არ გაიზიარა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საგალდებულო მედიაციის ინსტიტუტი არღვევდა სამართლიანი სასამართლოსა და სწრაფი მართლმსაჯულების უფლებას (*Speedy Trial*). პირიქით, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსაზრებით, მართლმსაჯულება არ არის შეზღუდული მხოლოდ მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპით წარმართულ მოდელზე აგებული დავის გადაწყვეტის საშუალებების შეთავაზებით. მეტიც, მას შეუძლია წამახალისებელი მექანიზმების შემუშავებაშიც მიიღოს მოხაწილეობა, რათა დავა მეგობრული მორიგებით, სწრაფად და იაფად დამთავრდეს, მით უფრო, თუ ეს ქმედებები, ასევე, სასამართლოს განტვირთვის საშუალებადაც გამოდგება.

²²⁸ ი. ა. <<http://dejure.org/gesetze/EGZPO/15a.html>>, [09/11/2014].

²²⁹ Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 525.

²³⁰ Espilugos C., Iglesias J. L., Palao G., Civil and Commercial Mediation in Europe: National Mediation Rules and Procedures, Vol. I, Intersentia, Cambridge, 2013, 175.

²³¹ გერ.: Bundesländer.

²³² უნდა აღინიშნოს, რომ ფედერალური ადგილობრივ ხელისუფლებას ძალიან იშვიათად აძლევს სამოქალაქო სამართლის პროცესუალური ნორმების საქალარი შეხედულებისამებრ მიღების საშუალებას. თუმცა გერმანელმა კანონმდებელმა ამ შემთხვევაში სწორედ რომ საჭიროდ ჩათვალა ამის გაკეთება, საგალდებულო მედიაციის ინსტიტუტის მედიაციის ნებაყოფლობითი ბუნებასთან წინააღმდეგობით გამოწვეული აზრთა სხვადასხვაობიდან გამომდინარე.

²³³ Bundesverfassungsgericht, Neue juristische Wochenschrift – Rechtsprechungsreport (NJW-RR), 2007, 1073.

ამასთან, გერმანიის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს მოსაზრებით, მთავარია, რომ მორიგებით დავის დამთავრება არ იქცეს დავის გადაწყვეტის ერთადერთ საშუალებად. შესაბამისად, თუ მხარეები მედიაციის დახმარებით ვერ მორიგდებიან, მათ უნდა ჰქონდეთ სასამართლოსადმი მიმართვის ყველა საშუალება. ვინაიდან აღნიშნული სტანდარტი დაცული იყო, საკონსტიტუციო სასამრთლომ უცვლელი დატოვა EGZPO-ს მე-15 მუხლი.²³⁴

2012 წლამდე, საოჯახო და მშრომითი დავების გარდა, გერმანიის ფედერალური ოესპუბლიკის კანონმდებლობა იძლეოდა სავალდებულო მედიაციის პროცესის დანიშნის შესაძლებლობას სამოქალაქო სამართლის ყველა კატეგორიის დავების მიმართ. სავალდებულო მედიაციისათვის საქმის მიმართვა არ ხდებოდა მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში: შეგძებებული სარჩელის შეტანისას; დავის განახლების შემთხვევაში; გამარტივებული სამართალწარმოებით განხილვად საქმეებზე; გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით შეტანილ სარჩელებზე (განცხადებებზე).

2012 წელს, მედიაციის ახალი აქტის შემუშავებისას, სავალდებულო მედიაციის საკითხმა დიდი დებატები გამოიწვია გერმანულ იურიდიულ საზოგადოებაში.²³⁵ იდეის მოწინააღმდეგეთა სიმრავლის გამო, საბოლოოდ კანონმდებელმა უარი თქვა მასზე და ნებაყოფლობითი მედიაციის მოდელი აირჩია. დღეისათვის გერმანული კანონმდებლობა აღარ იცნობს სავალდებულო მედიაციის ცნებას,²³⁶ გარდა მომრიგებელი მოსამართლის (Gutgerichter) ინსტიტუტისა, რომელიც, მართალია, იყენებს მედიაციის ტექნიკას, მაგრამ, ვინაიდან მისი პროცესი ხასითდება მტკიცებულებების შეფასებით, იმართება ჩვეულებრივ სასამართლო დარბაზში და მოსამართლე არის წამყვანი პირი, ითველება რომ იგი სასამართლოს შემადგენელი ნაწილია, განხსნავებით სამედიაციო ცენტრებისა. კერძოდ, საქმის განმხილველ მოსამართლე მედიატორს მოდავე მხარეთა თანხმობის გარეშე გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (ZPO) 278-ე მუხლით, შეუძლია დანიშნოს მომრიგებელ მოსამართლესთან (Gutgerichter) შეხვდრა, ხოლო მომრიგებელ მოსამართლეს, თავის მხრივ, შეუძლია საქმის მასალების სამართლებრივი ასპექტების შეფასება; მოსთხოვოს მოდავე მხარეებს მედიაციის პროცესზე პირადად გამოცხადება და თუ მხარე არ შეასრულებს მომრიგებელი მოსამართლის მოთხოვნებს, მას შეუძლია დააჯარიმოს კიდევ იგი.

დღეის მდგომარეობით გერმანიაში მოდავე მხარეები აღარ არიან ვალდებული, მიმართონ მედიაციის ინსტიტუტს სარჩელს სასამართლოში შეტანამდე, თუმცა მედიაციის ახალი აქტით სასარჩელო განცხადებაში უნდა იყოს განმარტებული, ჰქონდათ თუ არა მხარეებს მედიაციის მცდელობა და თუ არა, რატომ, არ მიმართეს მხარეებმა ან რა უშლით ხელს მათ ამაში.²³⁷ ამასთან, კანონმდებელმა გერმანიის აღვოკატოა პროცესი-

²³⁴ Espilugos C., Iglesias J. L., Palao G., Civil and Commercial Mediation in Europe: National Mediation Rules and Procedures, Vol. I, Intersentia, Cambridge, 2013, 178.

²³⁵ Filler A. E., Commercial Mediation in Europe, "Kluwer Law International", Alphen aan den Rijn, 2012, 91.

²³⁶ Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 550.

²³⁷ იქვე, 551.

²³⁸ იქვე, 534.

ულ რეგულაციებში ცვლილებების შეტანით²³⁹ ადვოკატებს დააკისრა ვალდებულება, გაუწიონ საკუთარ კლიენტს კონსულტაცია მედიაციის ინსტიტუტის გამოყენების თაობაზე. კერძოდ, ადვოკატი ვალდებულია, საკუთარ კლიენტს აუხსნას მედიაციის უპირატესობები და განიხილოს მისი გამოყენების შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგები.²⁴⁰

დღეისათვის გერმანიის არც ერთი ფედერალური მხარე ადარ იცნობს სავალდებულო მედიაციას ყველა კატეგორიის სამოქალაქო სამართლის საქმეზე, თუმცა არის რამდენიმე საკითხი, რომელთა განხილვა მნიშვნელოვანია. კერძოდ, სპეციალიზირებულ შრომითი დავების გამხილველ სასამართლოებს შეუძლიათ საქმის სავალდებულო მედიაციის პროცესზე გადამისამართება,²⁴¹ რომლის ჩატარების უფლება აქვთ კერძო სამედიაციო ცენტრებს.²⁴² ასევე, „საოჯახო საქმეთა პროცედურების კოდექსის“ 135-ე მუხლით,²⁴³ განქორწინების საქმეზე მოსამართლეს შეუძლია მოდავე მხარეებს დაავალოს მედიაციის საკონსულტაციო შეხვედრაზე მონაწილეობის მიღება. მხარეებისათვის აღნიშნული კონსულტაციის პროცესი (მედიაცია) არის უფასო, მისი დასრულების შემდეგ კი მონაწილე პირებს გადაეცემათ ცნობა, რომელიც აუცილებელია მხარეებმა წარადგინონ სასამართლოში. სასამართლოში საქმის განხილვის დაწყებამდე მედიაციით საქმის მორიგების მცდელობა, ასევე, სავალდებულოა 750 ევროზე ნაკლები დირებულების მქონდე დავებზე, სამეზობლო, ცილის წამებისა და დირსების შელახვის გამო წარმოშობილ დავებზე.

ზემოაღნიშნულ სავალდებულო მედიაციის მარეგულირებელ ნორმებში არსებულ თანხობრივ შეზღუდვებთან დაკავშირებით გარკვეული უკმაყოფილებებიც გამოითქა იმ თვალსაზრისით, რომ პრაქტიკაში დავის საგნის ოდენობაზე არ იყო დამოკიდებული მედიაციის მორიგებით დამთავრების სტატისტიკა. აქედან გამომდნარე, ფართოდ მხარდაჭერილი იყო თანხობრივი შეზღუდვის გაუქმება.²⁴⁴

მედიაციის აქტის მიღებამდე საოჯახო დავებზე მოსამართლეებს შეეძლოთ დამოუკიდებელი და არასავალდებულო მედიაციის ინსტიტუტების საინფორმაციო შეხვედრებზე მხარეთა დასწრების დავალება. ახალი ცვლილებებიც იმავე სულისკვეთებით მხარს უჭრს მოსამართლეების მიერ მოდავე მხარეებისათვის მედიაციის შეთავაზებას, მაგრამ ადარ ითვალისწინებს მისი დავალების შესაძლებლობას. შესაბამისად, გერმანიის ფედერალურ რესაუბლივაში საოჯახო დავებზე გამართული მედიაციის პროცესი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ მხარეთა ნებას, მათ შორის, საინფორმაციო შეხვედრაში მონაწილეობაც. ამასთან, მასში მონაწილეობის

²³⁹ სექცია 1 (3) გერმანიის ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული რეგულაცია (BORA - Professional Regulation for the German Bar), იხ.:<http://www.brak.de/w/files/02_fuer_anwaelte/berufsrecht/bora_stand_1.3.2011_englisch.pdf>, [12/12/2015].

²⁴⁰ პრაქტიკაში აღნიშნულის განხორციელება და კონტროლი არც თუ იოლი აღმოჩნდა. შესაბამისად, ხშირად ვხვდებით გერმანული სასამართლოებში შეტანილ სარჩელებში მარტივ ფრაზას: „ფაქტობრივი მასალებისა და გარემოებების გათვალისწინებით, წინამდებარე დავაზე მეგობრული მოგვრების მიღწევა შეუძლებელია“.

²⁴¹ 54 § Arbeitsgerichtsgesetz, იხ.:<<http://www.gesetze-im-internet.de/abgg/>>, [09/09/2015].

²⁴² De Palo G., Trevor B. M., EU Mediation: Law and Practice, Oxford University Press, Oxford, 2012, 135.

²⁴³ 2009 წელს მოქმედი რედაქციით.

²⁴⁴ Espilugus C., Iglesias J. L., Palao G., Civil and Commercial Mediation in Europe: National Mediation Rules and Procedures, Vol. I, Intersentia, Cambridge, 2013, 177.

შემთხვევაშიც მხარეს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს თქვას უარი და საქმე დაუბრუნოს სასამართლოს განსახილველად.

1.1.2 მედიაციის ცნება

ტერმინ „მედიაციას“ ახლად ამოქმედებულ მედიაციის კანონი²⁴⁵ განმარტავს როგორც „კონფიდენციალურ და სტრუქტურირებულ პორცესს, რომელშიც მხარები ნებაყოფლობით და საკუთარი პასუხისმგებლობით ცდილობენ მიაღწიონ დავის მეგობრულ გადაწყვეტას, ერთი ან რამდენიმე მედიატორის დახმარებით“. მართალია, მედიაციის აქტი მედიაციის პროცესს განმარტავს როგორც კონფიდენციალურ და სტრუქტურირებულ პროცესს, თუმცა კონფიდენციალობის საკითხისაგან განსხვავებით არ აწესებს სტრუქტურის შესახებ დამატებით მოთხოვნებს. შესაბამისად, მედიატორებს საკუთარი შეხედულებისამებრ შეუძლიათ პროცესის სტრუქტურირება, რაც, როგორც წესი, მხარეთა საჭიროების გათვალისწინებით ხდება. კერძოდ, დანერგილი პრაქტიკის მიხედვით, მედიატორები გახსნითი სიტყვის დროს მხარეებს განუმარტავენ პროცესში მედიატორის როლსა და პროცესის წესებს, აკეთებენ საკუთარი გამოცდილებისა და პროფესიონალიზმის შესახებ პრაქტიკას, აცხადებენ ყველა საფუძველს, რაც შეიძლება გახდეს პირადად მისი აცილების საგანი და ბოლოს, სთავაზობენ მხარეებს კონფიდენციალურობის შესახებ შეთანხმებაზე ხელმოწერას (იმ შემთხვევაში, თუ უკვე არ აქვთ მსგავს ხელშეკრულებაზე ხელი მოწერილი). ასევე, პროცესის დასაწყისშივე მედიატორი კითხულობს, არიან თუ არა მხარეები ინდივიდუალური შეხვედების ჩატარების მომხრეები და შესაბამისად, გეგმავს მედიატორი პროცესის მსვლელობას.

მიუხედავას უნიტრალის მცდელობისა, უვროპულ პრაქტიკაში და ემკვდირებინა ტერმინი „კონსილიაცია“, გერმანულმა კანონმდებელმა მაინც ამერიკულ ტერმინს – „მედიაციას“ მიანიჭა უპირატესობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „კონსილიაციას“ გერმანიაში იშვიათად იყენებენ და როცა იყენებენ, იგი იმავე შინაარსის მატარებელია, რისიც – „მედიაცია“. გარდა ერთი გამონაკლისისა – გერმანიის სამომხმარებლო სამართალში ტერმინი „კონსილიაცია“ კონკრეტული ბიზნეს სექტორებში არსებულ და გების განმხილველ ორგანოს ეწოდება.

1.1.3 კონფიდენციალობის პრინციპი

მედიაციის პროცესის სანდო გარემოში ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით, გერმანული კანონმდებლობა განსაკუთერბულ ყურადღებას უთმობს პროცესის კონფიდენციალობას. კერძოდ, მედიაციის აქტის მე-4 (1) მუხლით, მედიაციის პროცესში მონაწილე ნებისმიერი პირი (მათ შორის, სამედიაციო ცენტრის ის თანამშრომლები, რომელთაც შეხება აქვთ საქმის მასალებთან) ვალდებულია, მედიაციის პროცესში მისთვის გამდიდგებული ინფორმაცია კონფიდენციალურად დაიცვას. თვით მხარეებ-

²⁴⁵ გერ.: Mediationsgesetz. იხ.:

<http://www.gesetze-im-internet.de/mediationsg/_1.html>, [12.12.2014].

ზე მსგავსი შეზღუდვა არ კრცელდება, რაც არაერთხელ გაქრიტიკებულა. მოწინააღმდე მხარეს შეუძლია სასამართლო პროცესზე გამოიყენოს მედიაციის პროცესში მისთვის განდობილი ინფორმაცია. აღნიშნულისაგან თავდასაცავად მხარეებს დამატებით ხელშეკრულების დადება ესაჭიროებათ.²⁴⁶ მომრიგებელ მოსამართლეს ასეთი ვალდებულება არ ეკისრება, თუმცა მორიგების პროცესის მსვლელობისას მხარეებს უფლება აქვთ, მოითხოვონ არ შედგეს სხდომის ოქმი (ჩანაწერი). შესაბამისად, იქ გამჟღავნებული ინფორმაცია არ იქნება მტკიცებულების სახით დაფიქსირებული.

მედიაციის აქტის მე-4 მუხლი საკმაოდ მკაცრად ავალდებულებს მედიატორებს კონფიდენციალურობის დაცვას. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება ამ ვალდებულებისაგან მედიატორის გათავისუფლება და მხოლოდ იმ ფარგლებში, რაც აუცილებელია მორიგების მისაღწევად ან, თუ საჯარო წესრიგი აიძულებს მას ამის გაკეთებას.²⁴⁷ კერძოდ, გერმანული კანონმდებლობა მიჰყება ევროპულ რეგულაციის მე-7 მუხლს და ანალოგიურად უშეებს იმ ფაქტების მაჟღავნების შესაძლებლობას, რომლებიც:

1. მისი აღსრულებისათვის არის საჭირო;
2. საჯარო წესრიგის დაცვა მოითხოვს ამას (მაგ. ბავშვის უფლებების დაცვა ან ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური მდგრადი მარეობა);
3. ისედაც ყველასათვის ცხადია ან აღარ არსებობს ლეგიტიმური ინტერესი მათი კონფიდენციალური ინფორმაციის სახით შენახვისა.²⁴⁸

იმ პირებს, რომლებიც ვალდებული არიან, დაიცვან კონფიდენციალური ინფორმაცია გასაჯაროებისაგან, შეუძლიათ უარი თქვან სასამართლოში ჩვენების მიცემისაგან, გარდა სისხლის სამართლის საქმეებისა.

1.1.4 სამედიაციო შეთანხმება

საუკეთესო შემთხვევაში მედიაციის პროცესის წამოსაწყებად მთავარი გზა მხარეთა შეთანხმებაზე (მედიაციის დათქმაზე) გადის. დღეისათვის გერმანულ პრაქტიკაში მედიაციის შესახებ დათქმები არც თუ შეიძლია, თუმცა მედიაციის პოპულარობის ზრდასთან ერთად მოსალოდნელია, რომ ეს ვითარება შეიცვალოს. აღსანიშნავია, გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება²⁴⁹ დავის გადაწყვეტის აღტერნატიული საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით, რომლის განმარტებითაც, მედიაციის შესახებ დათქმის არსებობა ხელშეკრულებაში, ნათლად გამოხატვას ხელმომწერ მხარეთა ნებას მხოლოდ უციდურეს შემთხვევაში სასამართლოსადმი მიმართვის შესახებ. შესაბამისად, უნდა აღსრულდეს იგი, თუმცა პრაქტიკაში პირიქით ხდება

²⁴⁶ Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 546.

²⁴⁷ Espilugus C., Iglesias J. L., Palao G., Civil and Commercial Mediation in Europe: National Mediation Rules and Procedures, Vol. I, Intersentia, Cambridge, 2013, 170.

²⁴⁸ Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 546.

²⁴⁹ იქვე, 539.

– მოდავე მხარები ჯერ სასამართლოს მიმართავენ ხოლმე, ხოლო მას შემდეგ, რაც სასამართლო გასახილველად არ დაუშვებს სარჩელს მედიაციის ინსტიტუტის გამოტოვების გამო, მიმართავენ ხოლმე მას.

გერმანული კანონმდებლობით, მხარეებისათვის მედიაციის შესახებ შეთანხმება იქნება თუ არა მბოჭავი, შეთანხმების შინაარსზეა დამოკიდებულია. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები აიღებენ სასამართლომდე მედიაციის ინსტიტუტისათვის მიმართვის ვალდებულებას, მაშინ ისინი მოვალენი არინ, მედიატორის არჩევისა და მინიმუმ ერთი სესიაზე (შეხვედრაში) მაინც მონაწილეობისა. აღნიშნული ვალდებულების შესრულების შემდეგ მხარეებს შეუძლიათ უარი თქვან მედიაციის პროცესის გაგრძელებაზე, ამ შემთხვევაშიც ისინი ვალდებული არიან, წინასწარ გადაიხადონ მედიაციის საფასური.²⁵⁰ სადაცო, არის თუ არა სავალდებულო მსგავს შემთხვევაში მოლაპარაკების პროცესში ჩართვა.²⁵¹ მიუხედავად იმისა, რომ მხარეს შეიძლება პქონდეს ნაკისრი მედიაციის პროცესში ჩართვის ვალდებულება, ეს არ ართმევს მას უფლებას, შეიტანოს სასამართლოში განცხადება სარჩელის ან მოთხოვნის უზრუნველყოფის წინასწარი დონისძიების გამოყენებაზე.²⁵² როცა მედიაციის შესახებ შეთანხმება სხვა ხელშეკრულების ნაწილია, მასზე ვრცელდება ხელშეკრულების ზოგადი პირობები. შესაბამისად, განსხვავებით საარბიტრაჟო შეთანხმებისაგან, მის არსებობასა თუ ვალიდურობაზე იგივე პირობები ვრცელდება, რაც ხელშეკრულების სხვა მუხლებზე. ასევე აღსანიშნავია, რომ, კონკრეტული საქმის ვითარებიდან გამომდინარე, მედიაციის შესახებ შეთანხმება ბათოლად იქნება ცნობილი იმ შემთხვევაში, თუ მხარები ისეთ მედიაციის პროცესზე შეთანხმდებიან, რომელშიც ნეიტრალური პირის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სავალდებულო იქნება შესასრულებლად.²⁵³

მხარეთა უფლებები და მოვალეობები პროცესის მანძილზე შესაძლოა განისაზღვროს სამედიაციო შეთანხმებითაც. როგორც წესი, სამედიაციო შეთანხმებები ითვალისწინებს შემდეგ საკითხებს: მხარეების ვალდებულებებას დაესწონ მედიაციის მინიმუმ ერთი შეხვედრას, მედიატორის არჩევის წესსა და ინდივიდუალურ შეხვედრებში მონაწილეობის მიღებას. რაც შეეხება მედიატორსა და მხარეებს შორის დადებულ შეთანხმებას, ის მომსახურების ხელშეკრულებაა, რომლის დადება ასევე შესაძლებელია ზეპირადაც. როგორც წესი, მსგავსი ხელშეკრულებები მოიცავს შემდეგ ძირითად საკითხებს:

- მედიატორის ანაზღაურების წესს;
- მედიატორის ვალდებულებებს (მედიატორის როლი, კონფიდენციალურობის დარღვევის შემთხვევაში მის პასუხისმგებლობას და ა.შ.);
- მედიატორის უფლებას, შეაჩეროს პროცესის მსვლელობა.

ეს უკანასკნელი მითითებულიც რომ არ იყოს ხელშეკრულებაში, მედიატორს მაინც აქვს პროცესის შეჩერების უფლება ZPO-ს 627-ე მუხ-

²⁵⁰ Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 549.

²⁵¹ იქვე.

²⁵² იქვე, 550.

²⁵³ იქვე, 554.

ლით.²⁵⁴ მხარეები ასევე ვალდებული არიან, აუნაზღაორონ მედიატორს გაწეული ხარჯები და მომსახურების საფასური, მიუხედავად იმისა, იქნება ეს აღნიშნული ხელშეკრულებაში, თუ არა.

საჭიროებს თუ არა მედიაციის შესახებ შეთანხმება, რაიმე განსაკუთრებულ ფორმას? ეს საკითხი სადაცო ნაკლებადაა გერმანელ იურისტებს შორის, ვინაიდან არ არის დადგენილი მედიაციის შესახებ შეთანხმების რაიმე უნივერსალური ფორმა და მასზე სახელშეკრულებო სამართლის (BGB-ის მუხლი 145) ზოგადი წესები ვრცელდება. უფრო ხშირად საკამათოა, საარბიტრაჟო შეთანხმების მსგავსად სასამართლოსადმი მიმართვის უფლების შემზღვეველია თუ არა მედიაციის შეთანხმება.²⁵⁵ ავტორთა მოსაზრებით,²⁵⁶ პასუხი უნდა იყოს დამოკიდებული იმაზე, შეუძლია თუ არა მედიაციის შესახებ შეთანხმებაზე ხელმომწერ ერთ მხარეს, დამოუკიდებლად უარი თქვას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე. თუ კი ეს შესაძლებელია, მაშინ სამედიაციო შეთანხმების ფორმასთან დაკავშირებით ისეთივე მოთხოვნების წაყენაბა როგორც ეს არბიტრაჟის შემთხვევაშია ზედმეტი იქნება.²⁵⁷ მიუხედავად იმისა, რომ მხარეებს არ აქვთ სავალდებულო მედიაციაზე უარის თქმის უფლებამოსილება, მედიაციის აქტის მე-2 (5) მუხლი მხარეებს, მედიაციის პროცესის ნებისმიერ ეტაპზე დატოვების შესაძლებლობას აძლევს. შესაბამისად, მხარები ვალდებული არიან მედიაციის პროცესში მონაწილეობის და არა მორიგების. სახელშეკრულებო მედიაციის პროცესში თუ ერთი მხარე, სახელშეკრულებო სამართლიდან გამომდინარე, მიუხედავად აღებული ვალდებულებისა, მაინც უარს ამბობს მასში მონაწილებაზე, მეორე მხარეს უფლება აქვს, მოითხოვოს ხელშეკრულების დარღვევით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება.²⁵⁸ ასეთი საქმის განხილვისას მოსამართლემ სავარაუდოდ უნდა გაითვალისწინოს, რომ მხარეს შეეძლო ნებისმიერ ეტაპზე დაეტოვებინა პროცესი, შესაბამისად, გაუმართლებელი იქნება მხარის მიერ „*pro forma*“ ვალდებულების დარღვევას მოჰყვეს მნიშვნელოვანი ოდენობით ზიანის ანაზღაურება. ასევე აღსანიშნავია, რომ მედიაციის შესახებ მხარეთა შეთანხმება არავითარ ვალდებულებას წარმოშობს მედიატორისა და სამედიაციო ინსტიტუტისათვის. შესაბამისად, სამედიაციო ინსტიტუტთან ან მედიატორთან დამოუკიდებელი ხელშეკრულების დადება არის საჭირო.²⁵⁹

²⁵⁴ Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 557.

²⁵⁵ Espilugos C., Iglesias J. L., Palao G., Civil and Commercial Mediation in Europe: National Mediation Rules and Procedures, Vol. I, Intersentia, Cambridge, 2013, 165.

²⁵⁶ იქვე.

²⁵⁷ იქვე.

²⁵⁸ ზოგადად, სადაცო, რამდენად გონივრულია მედიაციის ხელშეკრულების იდულებით შესრულება, როცა მედიაციის პროცესი თვითონ ნებაყოფლობითობისა და თანამშრომლობის იდეას ემყარება. ზუსტად ამ მოსაზრებიდან გამომდინარეობდა მხარისათვის მედიაციის შესახებ შეთანხმების ცალმხრივად გაუქმების უფლების მინიჭების იდეა.

²⁵⁹ Espilugos C., Iglesias J. L., Palao G., Civil and Commercial Mediation in Europe: National Mediation Rules and Procedures, Vol. I, Intersentia, Cambridge, 2013, 166.

1.2 მედიატორთა პროფესიული სტანდარტი

1.2.1 აკრედიტაციის საკითხი

ვინ შეიძლება იყოს მედიატორი გერმანიაში? მედიაციის აქტის მე-5 (1) მუხლი მოითხოვს, რომ მედიატორობის მსურველმა პირმა დააკმაყოფილოს შემდეგი მოთხოვნები: გაიაროს მედიაციის ტრეინინგი, სადაც შეისწავლის მედიაციის ძირეულ პრინციპებს, მოლაპარაკებების წარმართვისა და კომუნიკაციის ტექნიკას, კონფლიქტის მართვას და მედიაციის კანონს. ასევე, გაიაროს მედიაციის პრაქტიკა ზედამხედველის დაკვირვებით, მათ შორის, როლური გათამაშებების გამოყენებით. მნიშვნელოვანი შეზღუდვა, რასაც გერმანული კანონმდებლობა აწესებს, არის ის, რომ გერმანიის 7 ფედერალური მხარის იურისტებსა და ნოტარიუსებს აქვთ მხოლოდ სერტიფიცირებული მედიატორობის უფლება,²⁶⁰ ხოლო დარჩენილ ცხრა მხარის კანონმდებლობა დამატებით, ასევე, აძლევს მედიატორობის უფლებამოსილებას საარბიტრაჟო ტრიბუნალების წევრ არაიურისტებსაც. ამასთან, მედიაციის აქტი აკისრებს მედიატორს ვალდებულებას, ინტერესეთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში სრული ინფორმაციის გამხელის. შესაბამისად, მედიატორებმა უნდა განაცხადონ ყველა იმ ფაქტისა და გარემოების შესახებ, რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს მათ პროცესის მიუკერძოებლად წარმართვაში.²⁶¹

გერმანიაში დიდხანს მსჯელობდნენ, უნდა ყოფილიყო თუ არა მედიატორის განათლების, ცოდნის კრიტერიუმები საკანონმდებლო აქტით მოწესრიგებული. კანონპროექტის თავდაპირველ ვერსიაში აკრედიტაციისათვის აუცილებელ მოთხოვნად მედიაციის საკმარისი ცოდნასა და გამოცდილება იყო ზოგადად მითითებული,²⁶² თუმცა, ვინაიდან გერმანიის ბაზარზე მედიატორის სერტიფიკატს სხვადასხვა ასოციაციები განსხვავებული პირობებით თავაზობდნენ, კერძოდ, აკრედიტირებული მედიატორის სტატუსის მოსაპოვებლად ზოგიერთი ერთკვირიან ტრენინგის გავლას ითხოვდა, ზოგი კი ერთწლიან აკადემიური პროგრამის, კანონმდებელმა დაინახა, რომ საჭირო იყო ზოგადი კრიტერიუმების შემუშავება. შესაბამისად, მედიაციის აქტის მე-5 მუხლი ამომწურავ ჩამონათვალს აკეთებს იმ მოთხოვნებისა, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს მედიატორის სასწავლო კურსი.²⁶³ ლობისტების მცდელობის მიუხედავად, რომ ასეთი ტრეინინგის ხანგრძლივობა 200-საათიანი ყოფილიყო, კანონმდებლმა ჩათვლა რომ 120-საათიანი ტრეინინგი საკმარისად უზრუნველყოფდა მედიაციის პროცესის გაძლიერისათვის საჭირო უნარების შესწავლას. ამავე დროს, მედიაციის კანონით არ არის გაწერილი მედიატორის სერტიფიკატის გაუქმების (ლიცენზიის ჩამორთმევის) კონკრეტული საფუძვლები.

²⁶⁰ გერ.: Gesetz über außergerichtliche Rechtsdienstleistungen, ob.: <<http://www.gesetze-im-internet.de/rdg/>>, [11/10/2015].

²⁶¹ მუხლი 3 (1). მედიაციის აქტი.

²⁶² Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 562.

²⁶³ იქვე.

12.2 მედიატორის ვალდებულებები

გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაში საკანონმდებლო დონეზე არ არის შემუშავებული მედიატორთა ეთიკის კოდექსის ნორმები. აქედან გამომდინარე, მედიატორები მხოლოდ იმ რამდენიმე ვალდებულებით არიან შებოჭილი, რაც კანონშია გაწერილი,²⁶⁴ თუმცა უმრავლესობა სამედიაციო ორგანიზაციებისა თავისი წევრი მედიატორებისგან მოითხოვს საკუთარი ან მედიატორთა ქცევის ეკროპული კოდექსის დაცვას.²⁶⁵

გერმანულ რეგულაციებში ასევე არ არის გაწერილი, თუ ვინ და როგორ უნდა აირჩიონ მხარეებმა მედიატორად. შესაბამისად, მხარეებს აქვთ სრული თავისუფლება, აირჩიონ ის, ვინც მათ მიაჩნიათ საუკეთესო კანდიდატად. ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად ნებისმიერ მედიატორი ვალდებულია, გადაუგზონოს საკუთარი გამოცდილების, გავლილი ტრენინგებისა და პროფესიონალიზმის შესახებ ინფორმაცია მხარეებს მათი მოთხოვნისთანავე. ასევე აღსანიშვანია, რომ იმ მედიატორებს, რომელთაც გერმანული კანონმდებლობით არ აქვთ სამართლაწარმოების უფლება (*Rechtsdienstleistungsgesetz*), არ აქვთ იურიდიული რჩევების მიცემისა და მორიგების აქტის გაფორმების უფლება.²⁶⁶ არაიურისტი მედიატორის მიერ საქმის სამართლებრივი შეაფასება ჩაითვლება არალიცენზირებულ იურიდიულ პრაქტიკად და მის განმახორციელებელს დაეკისრება ჯარიმა 5000 ევროს ოდენობით.

მედიატორი ვალდებულია, სანამ შეთავაზებულ წინადადებას დათანხმდება, გაამხილოს ყველა გარემოება, რამაც შესაძლოა მისი ობიექტურობა და მიუკრედოებლობა რისკის ქვეშ დაიყენოს. ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში, მედიატორს პროცესში მონაწილეობის უფლება მხოლოდ მხარეთა წინასწარი თანხმობით აქვს. ამასთან, მხარეთა თანხმობის შემთხვევაშიც კი პირს არ აქვს მედიატორობის უფლება, თუ მანამდე ის იმავე საქმეზე რომელიმე მხარის წარმომადგენელი, მრჩეველი ან კონსულტანტი იყო. მაშინაც კი, თუ დავაში მონაწილე რომელიმე მხარის წარმომადგენელი იმავე ოფისში ან იურიდიულ კომპანიაში მუშაობს, სადაც მედიატორი. ვინაიდან მედიაციის აქტით მედიატორის როლი მედიაციის პროცესში ზუსტად განსაზღვრული არ არის, მას შეუძლია გამოიყენოს ნებისმიერი მედიაციის სტილი, რომელიც მისი შეხედულებით მხარეთა ინტერესბზე ყველაზე მეტად მორგებულია. ასევე, შეუძლია ინდივიდუალური შეხვედრების ჩატარება, თუ მხარეები თანახმანი იქნებიან მასზე.

ერთადერთი დათქმა, რაც პროცესის წარმართვასთან დაკავშირებით კანონს გააჩნია, არის შემდეგი: მედიატორი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მხარეებს კარგად აქვთ გაცნობიერებული საქმის გარემოებები და მორიგების აქტში მითითებული პირობები.²⁶⁷ ამ პირობიდან გამომდი-

²⁶⁴ Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 564.

²⁶⁵ ob.: <http://ec.europa.eu/civiljustice/adr/adr_ec_code_conduct_en.pdf>, [11/10/2015].

²⁶⁶ რამდენადაც არბიტრებზე არ ვრცელდება *Rechtsdienstleistungsgesetz*-ი, აღნიშნული პირობებით მედიატორების შეზღუდვა მრავალ ავტორმა გააკრიტიკა, არათანასწორი მოპყრობის გამო.

²⁶⁷ Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 553.

ნარე, მედიატორის ვალდებულებაა, შეთავაზოს მხარეებს მათი ადგოკატების მიერ მორიგების პროექტის გადახედვა. თანამედიატორებს ძალიან იშვიათად იყენებენ გერმანიაში, რაც უმთავრესად გამოწვეულია ფინანსური ფაქტორით. ვინაიდან მეორე მედიატორის მონაწილეობა პროცესს საგრძნობლად აძვირებს, მასზე ხშირად მხარეები უარს ამბობენ.

1.3 მედიაციის პროცესუალური საკითხები

1.3.1 პროცესის ხარჯები და გადები

გერმანიის ფედერალური მოწყობის სისტემიდან გამომდინარე, მხარის ადგილობრივი ხელისუფლება წყვეტს ადგილობრივი სასამართლო სისტემის დაფინანსების საკითხს. აღნიშნული მიღვომის შედეგად სხვადასხვა მხარეში სასამართლო მედიაციის დაფინანსების განსხვავებული მოდელები დამკვიდრდა.²⁶⁸

სასამართლოს გარეთ მედიაციის პროცესის ხარჯებს, თუნდ იგი რეკომენდირებული იყოს მოსამართლის მიერ, არ ანაზღაურებს სასამართლო, თუმცა, თუ მხარეები მიაღწევენ მორიგებას თუნდ სასამართლოს გარეთ მყოფ მედიაციის მეშვეობით, მაშინ მათ სასამართლოში გადახდილი ბაჟი უკან უბრუნდებათ. ეს საკითხი სწორედ მედიაციის ინსტიტუტების განვითარების ხელშეწყობის მიზნით გადაწყვიტა გერმანელმა კანონმდებელმა.²⁶⁹

გერმანიის საპროცესო კანონმდებლობით, მხარეებმა სასამართლოს რომელ სტადიაზეც არ უნდა მიაღწიონ მორიგებას, მათ უკან უბრუნდებათ გადახდილი ბაჟის 1/3-ი. შესაბამისი პირობები ვრცელდება მედიაციით მორიგების შემთხვევაშიც. ფედერალურმა ხელისუფლებამ ადგილობრივი მხარის ხელისუფალთ დამატებით მიანიჭა უფლებამოსილება ბაჟის საკითხთან დაკავშირებით რეგულაციების შემოღებისა. კერძოდ, მათი გადასაწყვეტი გახდა, მთლიანად თუ ნაწილობრივ გაათავისუფლებდნენ მოდავე მხარეებს სასამართლო ბაჟისაგან მედიაციით დავის მორიგებით დამთავრების შემთხვევაში.²⁷⁰ ამასთან, მედიაციის პროცესში იურისტების მონაწილეობის წასახალისებად, იურისტების მომსახურების ანაზღაურების სქემას დაემატა მორიგების პროცესში მონაწილეობის დროს გაწეული იურიდიული მომსახურებისათვის საფასური. შესაბამისად, იურისტებს აქვთ საშუალება, საქმის მორიგებით დამთავრების შემთხვევაში, მოითხოვნ მედიაციის პროცესში დახარჯული²⁷¹ დროის ანაზღაურებაც.²⁷² ასევე, აღსანიშნავია, რომ ახლად მიღებულ სამოქალაქო და საოჯახო საქმეების საპროცესო კოდექსში (*FamFG*)²⁷³ შეიცვალა 150-ე (4) მუხლი, რომლის მიხედვით, მედიაციის პროცესის საინფორმაციო შეხვედრაში მონაწილეობაზე დაუსაბუთებელ უარს შესაძლოა მოჰყეს ფინანსური სანქცია.²⁷⁴

²⁶⁸ De Palo G., Trevor B. M., EU Mediation: Law and Practice, Oxford University Press, Oxford, 2012, 131.

²⁶⁹ Espilugus C., Iglesias J. L., Palao G., Civil and Commercial Mediation in Europe: National Mediation Rules and Procedures, Vol. I, Intersentia, Cambridge, 2013, 185.

²⁷⁰ Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 539.

²⁷¹ რამდენადაც გერმანიის კანონმდებლობით დეტალურად არის მოწესრიგებული იურისტის მომსახურების ტარიფები, მასში მედიაციის პროცესზე დახარჯული დროის ასახვა მნიშვნელოვანი იყო.

²⁷² Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 540.

²⁷³ Gesetz über das Verfahren in Familiensachen und in den Angelegenheiten der freiwilligen Gerichtsbarkeit, იბ.: <http://www.gesetze-im-internet.de/englisch_famfg/index.html>, [09/08/2015].

²⁷⁴ მედიაციის აქტის კანონპრემერი ითვალისწინებდა მსგავს სანქციებს სამოქალაქო და სავაჭრო სამართლის სფეროში წარმოშობილ ნებისმიერი დავის მიმართაც, თუმცა

მედიატორის ანაზღაურების წესი არ არის მოწესრიგებული რომელიმე ზოგადი საკანონმდებლო აქტით, თუმცა, როცა მედიაციის პროცესში მედიატორები გერნამენილი იურისტები არიან, ისინი იურისტების ანაზღაურების აქტით გათვალისწინებულ ჰონორარს იდებენ.²⁷⁵ ამასთან, არაიურისტი მედიატორები ცდილობენ, რომ მათი ანაზღაურების წესი გათვალისწინებული იყოს მორიგების აქტში და თუ ეს ვერ მოხერხდა, მაშინ ანაზღაურება უნდა მოხდეს იურისტის ჰონორარის ოდენობის მსგავსად.²⁷⁶ პრაქტიკაში მედიატორის ანაზღაურება დავის საგნის მიხედვით განისაზღვრება. კერძოდ, კომერციულ ბიზნეს - დავებზე საათობრივი ანაზღაურება მერყეობს 200-დან 600-ს ევრომდე, სხვა კატეგორიის დავებზე 100-დან 400-ს ევრომდე. ამასთან, ანაზღაურების წესი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მედიატორის კვალიფიკაციასა და დავის სირთულეზე (კოპლექსურობაზე). მედიატორის მომსახურების ანაზღაურების გარდა, შესაძლოა მხარეებს დაეკისროთ მედიატორის მგზავრობისა და კომუნიკაციის ხარჯების ანაზღაურება. ადვოკატის მომსახურების ოდენობის განსაზღვრა, დავის სირთულის და დავის საგნის ღირებულების მიხედვით, ანალოგიურად ხდება ზემოთ აღნიშნული, იურისტის მომსახურების ანაზღაურების აქტის მიხედვით.²⁷⁷ იურისტს მხოლოდ სასამართლო მედიაციის პროცესში მონაწილეობისათვის არ აქვს ცალკე მომსახურების საფასურის მოთხოვნის უფლება, რამდენადაც ეს ინსტიტუტი წარმოადგენს თვით სასამართლო სისტემის ნაწილს. მასში მონაწილეობისათვის წარმომადგენლის ჰონორარი სასამართლო პროცესზე მონაწილეობის ჰონორარის ოდენობის ტოლია.

გერმანიის კანონმდებლობა მცირე ქონებრივ, ეკონომიკურ, ცილისწამების, საავტორო უფლებებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის საქმეებზე მოსამართლეებს აძლევთ საშუალებას, არ შეუდგნენ საქმის განხილვას იქადე, სანამ მხარეები არ წარმოადგენენ ცნობას, რომ მედიაციით სცადეს დავის მორგიებით დასრულება, მაგრამ მორიგება ვერ იქნა მიღწეული.²⁷⁸ ამასთან, თუ სამედიაციო ინსტიტუტისადმი მიმართვიდან სამი თვის გასვლის შემდეგ, კიდევ არ დაიწყება მედიაციის პროცესი, მაშინ მხარეს შეუძლია მისი გეერდის ავლით მიმართოს სასამართლოს.²⁷⁹

ამასთან, მედიაციის აქტის მე-2 მუხლის მიხედვით, მედიაციის პროცესის ნებისმიერ ეტაპზე შეწყვეტის უფლებამოსილება აქვთ როგორც მხარეებს, ასევე – მედიატორს. თუ საქმის მასალებიდან გამომდინარე, მედიატორი ჩათვლის რომ მედიაციის პროცესი უშედეგო იქნება ან სხვადასხვა მიზეზის გამო მხარეს არ აქვს გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა (მაგ. ნარკოტიკებზე დამოკიდებულობის გამო). ერთ-ერთი მხა-

საბოლოო ვარიანტიდან ის ამოიღეს. აღნიშნული იდეის ავტორებს მიაჩნდათ, რომ ფინანსური სანქციის შიშით, მოდავე მხარეები და მათი წარმომადგენლები უფრო მეტი სერიოზულობით მოვალეობაზე დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმებს, მაგრამ იდეის დაცვა ვერ შეძლეს.

²⁷⁵ ინგ. German lawyer's remuneration act.

²⁷⁶ Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 542.

²⁷⁷ იქვე, 544.

²⁷⁸ მუხლი 15 (ა) სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესავალი (EGZPO).

²⁷⁹ Espilugus C., Iglesias J. L., Palao G., Civil and Commercial Mediation in Europe: National Mediation Rules and Procedures, Vol. I, Intersentia, Cambridge, 2013, 191.

რის მოთხოვნით, სასამართლო მედიაციის პროცესის შეწყვეტის შემთხვევაში დავა ჩვეულებრივ გაგრძლებული მომრიგებელი მოსამართლის ინსტიტუტი სასამართლო პროცესის ნაწილია, მისი წარუმატებლად დამთავრება არ საჭიროებს დამატებით ქმედებებს, პროცესი ავტომატურად გრძელდება. კერძო მედიაციორთან მორიგების პროცესის წარუმატებლად დასრულების შემთხვევაში მხარეებმა ყურადღება უნდა მიაქციონ საქმის წარმოების შეჩერების ვადებს, ვინაიდან საქმის განხილვა, როგორც წესი, შეჩერებულია მედიაციის მსვლელობის პერიოდში.²⁸⁰ ასევე, მომრიგებელი მოსამართლის მიერ მედიაციის წარმართვის დროს სასამრთლო პროცესის ვადის დინება არ ჩერდება, ვინაიდან ითვლება რომ ის იმავე სასამართლო პროცესის ნაწილია და ამ დროს სასამრთლო ყველა პროცესუალური ნორემების დაცვით, ჩვეულებრივ მიმდინარეობს. ადსანიშნავია, რომ მედიაციის პროცესზე დახარჯული დროის საშუალო ოდენობა გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაში 10 საათს შეაგდენს, რაც, როგორც წესი, 5-საათიან ორ სესიაზე ნაწილდება.²⁸¹ ადსანიშნავია, რომ ამ შეხვედრების ოქმს მედიაციორი მხოლოდ იმ შემთხვევაში ადგენს, თუ წინასწარ ამას მხარეები მოითხოვენ.

1.3.2 მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების ფორმა და მისი აღსრულება

გერმანიაში რაიმე სპეციალური ფორმა და მოთხოვნები მედიაციაზე მიღწეული მორიგების გასაფორმებლად არ არსებობს. მასზე, ისევე როგორც გერმანიაში დადგებულ ნებისმიერ სხვა ხელშეკრულებაზე (თუ მხარეებს სხვა რაიმე არ აქვთ მითითებული), ხელშეკრულების დადების შესახებ გერმანიის კანონმდებლობის ზოგადი მოთხოვნები ვრცელდება. გამომდინარე აქედან, თუ მედიაციაზე მიღწეული შეთანხმება შეეხება მაგ., უძრავი ქონების გასხვისებას, მაშინ ეს შეთანხმება დამოწმებულ უნდა იქნეს ნოტარიუსის მიერ.²⁸² მედიაციაზე მიღებულ შეთანხმებას ისეთივე ძალა აქვს, როგორც ზოგადად ნებისმიერ ხელშეკრულებას. შესაბამისად, ის სასამართლოს მიერ ცნობილი და აღსრულებული უნდა იქნეს როგორც ნებისმიერი სხვა ხელშეკრულება. აქედან გამომდინარე, თუ მედიაციის პროცესში მიღწეული მორიგების ხელმომწერი რომელიმე მხარე მომავალში კვლავ მიმართავს სასამართლოს, მაშინ სასამართლო ვალდებულია, მედიაციის პროცესში მიღებული შეთანხმებიდან გამომდინარე იმსჯელოს მათ მოთხოვნებსა და ვალდებულებებზე.²⁸³ უფრო მეტიც, მხარეებს შეუძლიათ ამ მორიგების აქტში ჩადონ საარბიტრაჟო დათქმა, რა შემთხვავაშიც, საარბიტრაჟო დავის საგანი შესაძლოა გახდეს მედიაციის პროცესში მიღწეული შეთანხმება. რასაკვრველია, ამ შემთხვევაში მხარე-

²⁸⁰ Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 546.

²⁸¹ Filler A. E., Commercial Mediation in Europe, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2012, 120.

²⁸² Espilugus C., Iglesias J. L., Palao G., Civil and Commercial Mediation in Europe: National Mediation Rules and Procedures, Vol. I, Intersentia, Cambridge, 2013, 172.

²⁸³ იქვე, 175.

ებმა უნდა დაიცვან საარბიტრაჟო დათქმასთან დაკავშირებით გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (ZPO) 1053 მუხლით დადგენილი წესები.²⁸⁴

გერმანული კანონმდებლობის მიხედვით, მხარეებს რამდენიმე შესაძლებლობა აქვთ მედიაციის პროცესში მიღწეული მორიგების აქტის პირდაპირ იძულებით აღსასრულებელ დოკუმენტად ქცევისა, მათ შორის, სასამართლო ხელისუფლების გვერდის ავლითაც. მედიაციაზე მიღებული მორიგების აღსრულება არ ხდება რაიმე სპეციალური წესით. შესაბამისად, მასზეც ZPO-ს ზოგადი ნორმები ვრცელდება, თუმცა არსებობს გამონაკლისებიც. ესენია:²⁸⁵

1. სასამართლო მედიაციაზე (მორიგებელი მოსამართლის დახმარებით) მიღებული მორიგების აქტის აღსრულება იმავე ფორმით ხორციელდება, როგორც სასამართლო მორიგების აქტის (ZPO მუხლი 278-ე);
2. მხარეებს შეუძლიათ მედიაციის პროცესში ჩართონ ნოტარიუსი, რა შემთხვევაშიც მიღებულ მორიგების აქტის პირდაპირი აღსრულებაა შესაძლებელი;
3. თუ მედიაციის პროცესში მონაწილეობენ იურისტებიც, როგორც მოდავე მხარეთა წარმომადებლები, მათ შეუძლიათ მოთხოვნით მიმართონ სასამართლოს მოთხოვნით მორიგების აქტის იძულებით აღსრულებადად გამოცხადების შესახებ (ZPO მუხლი 794-ე).²⁸⁶

სასამართლო მედიაციაზე მიღწეული მორიგება დაუყონებლივ აღსრულებადი არ ხდება იმ შემთხვევაში, თუ მხარეებმა მოსამართლის რჩევით სასამართლო პროცესი შეაჩერეს და მიმართეს კერძო, დამოუკიდებელ და არა სასამრთლო მედიაციას, თუმცა ამ შემთხვევაშიც, თუ მათ აკრედიტირებულ მედიატორს მიმართეს ZPO-ს 794-ე მუხლის საფუძვლზე აქვთ სააღსრულებო ფურცლის აღების შესაძლებლობა.

მორიგების აქტის საფუძვლად სააღსრულებო ფურცლის გაცემაზე უარის თქმის უფლება სასამართლოს აქვს იმ შემთხვევაში, თუ მორიგება ბათილია, დაკარგული აქვს მოქმედების ძალა ან ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს. მხარეებს მორიგების აქტისათვის იძულებით აღსრულებადი ძალის მინიჭების მიზნით, ასევე, შეუძლით მიმართონ ნოტარიუსს უკვე ხელმოწერილი მორიგების აქტით. ამ დროს ნოტარიუსი ამოწმებს მხარეთა ნებას ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში უპირობა აღსრულების შესახებ და ამოწმებს მორიგების აქტს.²⁸⁷ მსგავსი შესაძლებლობა აქვთ ნოტარიუსებს მაშინაც, როცა თვითონ მონაწილეობენ პროცესში მედიატორებად. გამომდინარე იქნებან, რომ გერმანიაში საკმაოდ ბევრი მექანიზმი არსებობს მედიაციით მიღებული მორიგების დარღვევის შემთხვევაში მისი იძულებით და დაუყონებლივ აღსრულებისა, გერმანელმა კანონ-

²⁸⁴ იქვე, 173.

²⁸⁵ Espilugos C., Iglesias J. L., Palao G., Civil and Commercial Mediation in Europe: National Mediation Rules and Procedures, Vol. I, Intersentia, Cambridge, 2013, 176.

²⁸⁶ მედიაციის აქტის თავდაპირეული ვერსია ითვალისწინებდა ZPO-ს 790-ე მუხლის ცვლილებებს, რომლის მიხედვითაც, ორივე მხარის თანხმობის შემთხვევაში მათ შეეძლოთ პირდაპირ მიემართათ სასამართლოსთვის მედიაციაზე მიღწეული მორიგების აქტის იძულებით აღსრულებადობის ცნობის შესახებ, თუმცა გერმანის პარლამენტის იურიდულმა კომიტეტში კანონპროექტის განხილვის დროს ეს ინიციატივა ამოღებული იქნა ცვლილებების აქტიდან.

²⁸⁷ Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 542.

მდებელმა ადარ ჩათვალი საჭიროდ²⁸⁸ საკუთარ კანონმდებლობაში ეკრო-პული დირექტივის მე-6 მუხლის დამატებითი ინპლემენტაცია. კერძოდ, ეპ-როპული დირექტივის მე-6 მუხლით, ხელშემკვრელი სახელმწიფოები ვალდებული იყვნენ, განესაზღვრათ, მხარეთა მოთხოვნის შემთხვევაში მედიაციის პროცესზე მიღებული მორიგების აქტის სასამართლოს დახმარებით აღსრულების პროცედურები. მედიაციის აქტის თავდაპირველი ვერსია, დირექტივის მოთხოვნების შესაბამისად, მოიცავდა მორიგების იძულებით აღსრულებადი ძალის შეძენის მიზნით განსახორციელებელ სპეციალურ პროცედურას,²⁸⁹ თუმცა კოდიფიცირებული ვერსიიდან მორიგების იძულებით აღსრულების შესახებ დათქმა ამოღებულ იქნა, ვინაიდან გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 796-ე მუხლი ამის საშუალებას ისედაც იძლეოდა. მართალია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 796-ე მუხლი იურისტებს აძლევთ საშუალებას მათ შორის მიღწეული მორიგების იძულებით აღსრულებად ქცევისა, მაგრამ თუ მედიაციის პროცესში მხარეები იურისტების გარეშე მონაწილეობდნენ, ამ შემთხვევაში მხარეებს მოუწევთ დამატებით ხარჯის გაწევა მათი დაქირავების მიზნით, რაც გამოწვეულია მედიაციის აქტიდან მორიგების აქტით პირდაპირ სასამართლოსათვის მიმართვის შესახებ დათქმის ამოღებით.²⁹⁰

²⁸⁸ ოქვე, 542.

²⁸⁹ De Palo G., Trevor B. M., EU Mediation: Law and Practice, Oxford University Press, Oxford, 2012, 136.

²⁹⁰ ოქვე.

1.4 მედიაციის განვითარების ტენდენციები გერმანიის ფედერაციაში

გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაში სავალდებულო მედიაციის ინსტიტუტმა მოლოდინი ვერ გაამართლა და მისი დახმარებით მართლმსაჯულების ხარჯების დაზოგვა ვერ მოხერხდა.²⁹¹ რაც შესაძლოა გარკვეულწილად გამოწვეული იყო იმ ფაქტითაც, რომ მხარეები მორიგებისაკენ უფრო იხრებიან, როცა დავა სასამართლოში განხილვის პროცესშია და არა პროცესის დასაწყის სტადიაზე. შესაბამისად, სასამარათლოში საქმის განხილვის დაწყებამდე სავალდებულო მედიაციაში მედიაციის ინსტიტუტის დისკრედიტაცია გამოიწვია, ხოლო დაწესებულმა კრიტერიუმებმა ის აქცია „მეორე ხარისხოვან მართლმლსაჯულების“ ინსტიტუტად. მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ ნაკლებად მოსალოდნელი იყო, რომ გერმანელი კანონმდებელი სავალდებულო მედიაციასთან დაკავშირებით რაიმეს შეცვალიდა (როგორც ზემოთ აღინიშნა), მაგრამ მოხდა პირიქით საკმაოდ დავიწროვდა საკითხთა ის წრე, რომელიც სავალდებულო მედიაციას შეიძლებოდა გადაცემოდა,²⁹² რითიც სავალდებულო მედიაციის იდეის მომხრეთა მოლოდინი არ გამართლდა.

არსებული პრაქტიკა ცხადყოფს, რომ გერმანული კომპანიები ნება-ყოფლობით მედიაციის ინსტიტუტს კომერციულ დავებზე არც თუ ხშირად მიმართავენ და მორიგებით დავის რეგულირებაზე მხოლოდ მაშინ დაფიქრდებიან ხოლმე, როცა მოსამართლე ურჩევთ მათ ამის გაკეთებას.²⁹³ ამასთან, კომერციულ დავების გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზებს შორის მედიაცია ნაკლებად, პოპულარულია, ვიდრე – არბიტრაჟი,²⁹⁴ თუმცა ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა მომსახურეობის სფეროში წარმოშობილი დავების კერძო მედიაციით გადაწყვეტის სტატისტიკა.²⁹⁵ კერძოდ, მედიაციის განვითარების ტემპის თითქოს შენელების მიუხედავად, გერმანიაში სამშენებლო სექტორებში ნებაყოფლობითი მედიაციისადმი მიმართვიანობა მატულობს.²⁹⁶ მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ გერმანიის ფედერაციაში მედიაციის დადებით თვისებებს უკვე ბევრი აღიარებს, ადგილობრივი ექპერტების მოსაზრებით, კომერციული მედიაციას საკუთარი პოტენციალის გამოვლენის სრული საშუალება სამშენებლო დავებთან ერთად, მიეცემა სადაზღვევო დავებზეც.²⁹⁷ სავარულოდ, სწორედ მომსახურების სფეროში მედიაციის მზარდი ტენდენციის შედეგია მედიატორთა სალიცენზიონ კურსის გავლის მსურველთა რაოდენობის ზრდაც.²⁹⁸

²⁹¹ Espilugus C., Iglesias J. L., Palao G., Civil and Commercial Mediation in Europe: National Mediation Rules and Procedures, Vol. I, Intersentia, Cambridge, 2013, 180.

²⁹² იქვე.

²⁹³ Filler A. E., Commercial Mediation in Europe, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2012, 86.

²⁹⁴ Warne J., International Commercial Dispute Resolution, Tottel Publishing, West Sussex, 2009, 338.

²⁹⁵ Filler A. E., Commercial Mediation in Europe, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2012, 100.

²⁹⁶ Warne J., International Commercial Dispute Resolution, Tottel Publishing, West Sussex, 2009, 338.

²⁹⁷ Filler A. E., Commercial Mediation in Europe, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2012, 403.

²⁹⁸ Espilugus C., Iglesias J. L., Palao G., Civil and Commercial Mediation in Europe: National Mediation Rules and Procedures, Vol. I, Intersentia, Cambridge, 2013, 185.

გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაში დამოუკიდებელ კერძო სა-
მედიაციო ცენტრებს ჯერ კიდევ არ დაუკავებია მნიშვნელოვანი ადგილი
მართლმსაჯულების სფეროში, რაც სტატისტიკური მონაცემებითაც²⁹⁹
დასტურდება. 2010 წელს სასამართლოში 1.6 მილიონი სამოქალაქო სა-
მართლის დავაზე იქნა შეტანილი სარჩელი, საიდანაც კერძო მედიატორს
მხოლოდ 2500 საქმე გადაეცა. ამ მონაცემის არსებობა სხვადასხვა მიზუ-
ზითაა განპირობებული, პირველ რიგში, იმით, რომ სასამართლო წარმოე-
ბა გერმანიაში არც თუ ძვირი პროცედურაა და უფასო სამართლებრივი
დახმარებით მოქალაქეთა ფართო წრეს შეუძლია ისარგებლოს. ამასთან,
პირველი ინსტანციის სასამართლოები უფასებიანად მუშაოდენ და გადაწ-
ყვეტილებას სარჩელის შეტანიდან რამდენიმე თვეში აბარებენ მოქალაქე-
ებს. მოსამართლეები სარგებლობენ მაღალი ნდობით, ობიექტური და მი-
უკერძოებელი ავტორიტეტით, მით უფრო, როცა ისინი თავად გამოდიან
მომრიგებელი მოსამართლეების (სასამართლო მედიატორების) როლში.³⁰⁰
შესაბამისად, გერმნიაში სასამართლოს გზით დავის მოგვარება საკმაოდ
მიმზიდველი, იაფი და სწრაფი საშუალებაა. რაც, თავის მხრივ, არც თუ
ისე დიდ სივრცეს უტოვებს დავის გადაწყვეტის კერძო ალტერნატიულ
საშუალებებს. უნდა აღინოშნოს, რომ ყველაზე დიდი მოთხოვნა მორიგე-
ბის გზით კონფლიქტის რეგულირებისა საოჯახო დავებზეა. ჩატარებულ-
მა კველამ, რომელიც განსხვავებული სეგმენტისა და ზომის კომპანიებს
მოიცავდა, აჩვენა, რომ კომპანიების წარმომადგენლები, ერთი მხრივ, მე-
დიაციის ინსტიტუტის უპირატესობებსა და მის იმედისმომცემ მომავალზე
საუბრობდნენ, ხოლო, მეორე მხრივ, იშვიათად მიმართავდნენ მას.³⁰¹

ჯერ კიდევ ბევრი მოსამართლე და პრაქტიკოსი იურისტი, მედიაციის შესახებ არასაკმარისი ინფორმაციის გამო, უჭირის თვალით უყურებს მის შესაძლებლობებს. პილოტური პროექტის გაშვების შემდეგ ბევრი მათგანის პოზიცია შეიცვალა. მეტიც, მოსამართლეთა ნაწილმა ჩათვალა, რომ მოსამართლის როლზე უფრო მეტად დადებითი შედეგის (უკუკავშირის) მომტანი მედიატორობა იყო, რის გამოც უარი თქვეს მოსამართლეობაზე და მედიატორებად გააგრძელეს საქმიანობა, თუმცა ეს ჯერ მედიაციის პრაქტიკაზე ციფრული არ ასახულა. რისი მიზეზიც მედიაციის განსავითარებლად არასაკმარისი მასტიმულირებელი მექანიზმების არსებობა უნდა იყოს.³⁰²

²⁹⁹ Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 566.

³⁰⁰ იქვე.

³⁰¹ იქვე, 567.

³⁰² იქვე, 568.

2. მედიაციის რეგულირების ავსტრიული მოდელი

ავსტრია პიონერია ევროპულ სახელმწიფოებს შორის, რომელმაც მედიაციის კანონი მიიღო. კერძოდ, ავსტრიულმა კანონმდებლობამ 1999 წლიდან დაუდო სათავე საოჯახო დავების მედიაციის გზით რეგულირებას, ხოლო „სამოქალაქო სამართლის მედიაციის აქტი“ (*Civil Law Mediation Act*) მათ 2004 წელს მიიღეს.³⁰³ მედიაციის გერმანული³⁰⁴ აქტისაგან განსხვავებით, რომელიც ევრორეგულაციის მოთხოვნებს მოიცავს და ერთი აქტით აწესრიგებს შიდა და ტრანს-სასაზღვრო კომერციულ დავებზე მედიაციის პროცესის ჩატარების წესებს, ავსტრიის მედიაციის კანონი მხოლოდ სამოქალაქო სამართლის დავებზე წარმოშობილ კონფლიქტების მედიაციის გზით გადაჭრას არეგულირებს.³⁰⁵

ევროპის მასშტაბით წარმოშობილ ტრანს-სასაზღვრო დავების მედიაციის გზით მორიგების საკითხებს აწესრიგებს ევროკავშირის მედიაციის კოდექსი,³⁰⁶ რომელიც მოიცავს მედიაციის ევროპული დირექტივით გათვალისწიებულ საკითხთა წრეს მხოლოდ ერთი დათქმით – რეგისტრირებული მედიატორებს ამ კანონის მიზენებისათვისაც იგივე უპირატესობები გააჩნიათ, როგორც შიდა დავების შემთხვევაში.³⁰⁷ ავსტრიულ კანონმდებლობაში ევროპის ფარგლებს გარეთ წარმოშობილ საერთაშორისო დავებზე მედიაციის გამართვის წესები ცალკე არ არის გაწერილი. შესაბამისად, თუ არც ერთ მოდავე მხარეზე არ ვრცელდება ევროკავშირის სამართალი, მაშინ მასზე გავრცელდება იგივე პირობები, რაც შიდა მედიაციის პროცესზე.³⁰⁸ შესაბამისად, ნათელია, რომ ავსტრიულ კანონმდებლობაში ორმაგი სტანდარტი არსებობს. შიდა მედიაციაზე ვრცელდება მედიაციის აქტის რეგულაციები, ხოლო ევროპულზე ევროკავშირის მედიაციის კოდექსის.³⁰⁹

როგორც აღვნიშნეთ, მედიაციის ინსტიტუტი ავსტრიაში არც თუ ახალი დანერგილია, კერძოდ, ავსტრიის მედიაციის აქტი ძალაში 2004 წლის 1 იანვრიდა შევიდა.³¹⁰ აქტის ამოქმედების მიზანი მედიაციის გამოყენების ხელშეწყობა იყო. ამასათან, მედიაციის აქტით ავსტრიის იუსტიცი-

³⁰³ გერ. Zivilrechts-mediations-Gesetz, ob.:<http://www.ris.bka.gv.at/Dokumente/BgbI/Pdf/2003_29_1/2003_29_1.pdf>, [01/11/2015].

³⁰⁴ აღსანიშნავია რომ პორტუგალიის კანონმდებლო 2001 წლიდან იცნობს სასამართლო მედიაციის ინსტიტუტს, თუმცა მედიაციის მომწერიგებელი აქტი ევროპის მასშტაბით პირველი სწორედ ავსტრიის მედიაციის აქტია და მასზე დაყრდნობით მიიღო მედიაციის კანონი ლიხტენშტადტი (2005 წელი), სლოვენია (2008 წელი) და ბოლოს გერმანია (2012 წელი).

³⁰⁵ Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 249.

³⁰⁶ Code of EU Mediation or EU-Mediationsgesetz – BGBl I 2000/89, ob.: <<http://eur-lex.europa.eu/search.html?qid=1438324204159&text=BGBl%20I%202000&scope=EURLEX&type=quick&lang=de>>, [23/02/2014].

³⁰⁷ ევროკავშირის მედიაციის კოდექსი მუხლი მ-5, ი. ა. <<http://eur-lex.europa.eu/search.html?qid=1438324204159&text=BGBl%20I%202000&scope=EURLEX&type=quick&lang=de>>, [23/02/2014].

³⁰⁸ Espilugus C., Iglesias J. L., Palao G., Civil and Commercial Mediation in Europe: National Mediation Rules and Procedures, Vol. I, Intersentia, Cambridge, 2013, 6.

³⁰⁹ ევროკავშირის დირექტივის საკუთარ კანონმდებლობაში იმპლემენტაციამდე მსგავსი რამ არ არსებობდა.

³¹⁰ Filler A. E., Commercial Mediation in Europe, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2012, 402.

ის სამინისტროში ჩამოყალიბდა მედიაციის მრჩეველთა საბჭო. ის ასევე, არეგულირებს მედიატორთა რეგისტრირების საკითხს, მათ შორის, მოთხოვნებს, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს მედიატორთა ტრეინინგის ჩატარების უფლების მქონე ცენტრები.³¹¹ მედიაციის აქტის თავდაპირველი ვერსიის მე-5 მუხლით, სასამართლოს შეეძლო მხარეები მიეწვია მედიაციის პროცესზე, ასევე, მედიაციის პროცესის საინფორმაციო შეხვედრაზე, თუ მსგავსი შეხვედრები აღვილად ხელმისაწვდომი იქნებოდა მხარეებისათვის. აღნიშნული აქტი არ ითვალისწინებდა საგალდებულო მედიაციის ფართო გამოყენებას, ის მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება გამართულიყო,³¹² თუმცა მედიაციის აქტის საბოლოო ვერსიიდან საგავლდებულო მედიაცია მთლიანად აამოიღეს.

ავსტრიაში, ასევე, მოწესრიგებულია მედიატორთა მომზადების (*Civil Law Mediation Treinitig Regulation*),³¹³ მეიდიაციის პროცესში იურისტებისა და ნოტარიუსების ქცევის წესები და მედიატორთა პროფესიული ეთიკის საკითხები.³¹⁴ რის გამოც, ავსტრიას მოხსენიებენ როგორც მედიაციის ფართო რეგულაციის მომხრე ქვეყანას.

³¹¹ De Palo G., Trevor B. M., EU Mediation: Law and Practice, Oxford University Press, Oxford, 2012, 11.

³¹² იქვე, 12.

³¹³ იბ.: <http://mit-austria.at/sites/default/files/pages/attachments/mediationsausbildungsverordnung_0.pdf>, [31/07/2015].

³¹⁴ იბ.: <http://ec.europa.eu/civiljustice/adr/adr_ec_code_conduct_en.pdf>, [29/07/2014].

2.1 ძირეული საკითხების რეგულირების ფორმა

2.1.1 მედიაციის ცნება

ავსტრიული კანონმდებლობა მედიაციის დეფინიციას შემდეგნაირად ახდენს:

„მედიაცია არის აქტივობა, რომელშიც მხარეები ნებაყოფლობით ერთვებიან. პროფესიონალი, გაწვრთნილი და ხეიტრალური შუამაგალი (მედიატორი) ცნობილი მეთოდების გამოყენებით სისტემატურად ხელს უწყობს კომუნიკაციას მხარეებს შორის, რათა მათ მიეცეთ შესაძლებლობა, თავად გადაწყვიტონ დავა“.

ავსტრიელი იურისტების მოსაზრებით,³¹⁵ მედიაციის ცნების საკმაოდ რთული ფორმულირება მედიაციის და ზოგადად დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების უქონლობით იყო განპირობებული. კანონმდებელმა თვით მედიაციის ცნებაშივე ხაზი გაუსვა მედიატორის მიერ კომუნიკაციის ხელშეწყობის ფუნქციას; დავის მოდავე მხარეთა და არა მედიატორის მიერ გადაწყვეტის საკითხს; მედიაციის პროცესში მხარეთა ნებაყოფლობითი მონაწილეობის აუცილებლობას; მედიატორის ნეიტრალურობასა და მედიატორის მიერ პროფესიული ტრენინგის გავლის (აკრედიტაციის) საკითხებს.

მედიაციის აქტი არეგულირებს როგორც სასამართლო მედიაციას, ასევე სასამართლოს გარეთ დამოუკიდებულ მედიაციის ინსტიტუტებს. ავსტრიაში, იმთავითვე ცდილობდნენ, ხელი შეეწყოთ სასამართლოს გარეთ არასავალდებულო (ნებაყოფლობითი) მედიაციის ინსტიტუტის დამკვიდრებისათვის. აქედან გამომდინარე, მოსამართლეებს მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოს გარეთ დავის ალტერნატიული საშუალებების გამოყენების შეთავაზება შეუძლიათ მხარეებისათვის.³¹⁶ კონკრეტულად, საქმის განხილვისას მოსამართლე ვალდებულია, აცნობოს მხარეებს, რომ არსებობს ინსტიტუტი, რომელსაც შეუძლია მათი დახმარება ისე, რომ დავაორივე მხარისათვის ხელსაყრელი მორიგებით დამთავრდეს.³¹⁷ ვინაიდან მოსამართლეს მხარეთა თანხმობის გარეშე არ აქვს მედიაციისთვის საქმის გადაგზავნის უფლებამოსილება, იგი მხოლოდ მხარეთა კონსულტაციით შემოიფარგლება. ავსტრიის მედიაციის აქტი ეხება მხოლოდ და მხოლოდ სამოქალაქო სამართლის დავებს, შესაბამისად, ზემოაღნიშნული ვალდებულებაც მხოლოდ სამოქალაქო სამართლის მოსამართლეებზე ვრცელდება.³¹⁸

ადსანიშნავია, რომ თვით მედიაციის ცნებიდან გამომდინარე, მედიატორს არ შეუძლია შეფასებითი სტილის გამოყენება. შესაბამისად, პრაქტიკაშიც ავსტრიელი მედიატორები მხოლოდ ხელშემწყობ და გარდაქმნითი მედიაციის სტილს იყენებენ.³¹⁹ მედიატორის, როგორც კომუნიკა-

³¹⁵ Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 250.

³¹⁶ Espilugus C., Iglesias J. L., Palao G., Civil and Commercial Mediation in Europe: National Mediation Rules and Procedures, Vol. I, Intersentia, Cambridge, 2013, 26.

³¹⁷ Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 258.

³¹⁸ იქვე, 259.

³¹⁹ Espilugus C., Iglesias J. L., Palao G., Civil and Commercial Mediation in Europe: National Mediation Rules and Procedures, Vol. I, Intersentia, Cambridge, 2013, 3.

ციასა და მოლაპარაკებებში ხელმშემწყობი მესამე ნეიტრალური პირის, თაობაზე ავსტირული კანონმდებლობის დათქმა მომდინარეობს ფლორიდის მედიაციის სტატუსიდან, რომლის მიხედვითაც, „მედიატორი უნდა დაეხმაროს მხარეებს საერთო ინტერესების და კონფლიქტის ესკალაციაში საკუთარი წვლილის დანახვაში, პრობლემიდან გამოსავლის პოვნასა და მათ შეფასებებში“.³²⁰ მედიაციის პროცესში მოლაპარაკებების წარმათვის ეს მეთოდი, თავის მხრივ, დაფუძნებულია „დაპირისპირებულ საკითხებზე თანამშრომლობის“ პრინციპზე.³²¹

2.1.2 ნებაყოფლობითი მედიაცია

ავსტრიელი კანონმდებლის შეეცადა სავალდებულო მედიაციის ინსტიტუტის უპირატესობების კომპენსირება ნებაყოფლობითი მედიაციის კარგად მოწესრიგებული სამართლებრივი ბაზით (ფართო რეგულირებით) მოეხდინა,³²² რამაც, სხვა საკითხებთან ერთად, განაპირობა იუსტიციის სამინისტროს ბაზაზე მედიატორების რეგისტრაციის სისტემის დანერგვა. მედიატორების რეგისტრირების იდეის არსი, ერთი მხრივ, არაპროფესიონალი მედიატორების პრაქტიკისაგან სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესის დაცვას ემსახურება, ხოლო, მეორე მხრივ, მედიაციის ინსტიტუტის და მედიატორის იმიჯის გაფრთხილებას.³²³ ამასთან, მედიატორთა ქცევის ევროპული კოდექსის მიხედვით, ავსტრიელ მედიატორთა კავშირმა³²⁴ დამატებით შეიმუშავა მედიატორთა ქცევის კოდექსი, რომელიც მედიატორების მიერ დასაცავ ზოგად მოთხოვნებს მოიცავს.³²⁵

ავსტრიაში მედიაციის პილოტური პროექტის მიმდინარეობისას, 1997 წელს, ნებაყოფლობითი მედიაციის ფორმირების ერთ-ერთ მთავარ განმაპირობებელ ფაქტორად ავსტრიის უზენაესი სასამართლოს მიერ სავალდებულო მედიაციის უკანონოდ გამოცხადება იქცა.³²⁶ სწორედ აღნიშნული გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, მედიაციის კანონზე მუშაობისას კანონპროექტიდან ამოღებულ იქნა საინფორმაციო შეხვედრებში მონაწილეობის ვალდებულება.

ასევე აღსანიშნავია, რომ მედიაციის პროცესში მონაწილეობა გაფლენას არ ახდენს სასამართლოსათვის მიმართვის უფლებაზე. შესაბამისად, მოდავე მხარეებს შეუძლიათ მედიაციის პროცესის პარალელურად

³²⁰ მუხლი 44.1011 (2), ფლორიდის სტატუსი (2011), იხ.:<<http://www.flsenate.gov/Laws/Statutes/2011/44.1011>>, [12/10/2014].

³²¹ Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 258.

³²² Espilugus C., Iglesias J. L., Palao G., Civil and Commercial Mediation in Europe: National Mediation Rules and Procedures, Vol. I, Intersentia, Cambridge, 2013, 3.

³²³ იმისათვის, რომ პირმა რეგისტრაცია გაიაროს როგორც პროფესიონალმა მედიატორმა, დადგენილია საკმაოდ რთული მოთხოვნები. შესაბამისად, პრაქტიკაში სშირად ჩნდებიან არარეგისტრირებული მედიატორებიც, რომლებიც თავის თავს მოლაპარაკებების წარმატვაში დამხმარე პირებს უწოდებენ.

³²⁴ Netzwerk Mediation, <<http://www.netzwerk-mediation.org/>>, [31/07/2015].

³²⁵ Espilugus C., Iglesias J. L., Palao G., Civil and Commercial Mediation in Europe: National Mediation Rules and Procedures, Vol. I, Intersentia, Cambridge, 2013, 4.

³²⁶ აღნიშნული საქმე ბავშვის მოვლასთან დაკავშირებით დავის სავალდებულო მედიაციისათვის გადაცემას შეეხებოდა, თუმცა უზენასმა სასამართლო ის უკანონოდ სცნო, OGH, 15 July 1997, 1 Ob 161/97a, OJZ 1998, 24, იხ.: <<http://ris.bka.gv.at/default.aspx>>, [30/07/2015].

სარჩელით მიმართონ სასამართლოს. გერმანულისაგან განსხვავებით, ავსტრიული კანონმდებლობა იმ უფლებამოსილების დროებით შეზღუდვასაც კი არ ითვალისწინებს, რომელიც იძლევა ჩივილისაგან თავის შეკავების შეთანხმების (*pactum de non petendo*) დადების შესაძლებლობას.³²⁷ მიუხედავად იმისა, რომ მედიაციის შესახებ შეთანხმება შესაძლოა ითვალისწინებს მხარეთა ვალდებულებას, პირადად მიიღონ მედიაციის პროცესში მონაწილეობა, ავსტრიული კანონმდებლობა სავალდებულო ძალას არც ამ შეთანხმებას ანიჭებს. შესაბამისად, თუ მხარე არ გამოცხადდა მედიაციის პროცესზე, სასამართლოს არ აქვს მედიაციაში მონაწილეობის მიღების შესახებ (ქმედების დავალების) გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება.³²⁸

ზემოაღნიშნული ფორმით მედიაციის ფორმირებამ ავსტრიის ფედერალურ რესპუბლიკაში განაპირობა დღეისათვის ავსტრიულ მართლმსაჯულების „ბაზარზე“ უფრო მეტი მედიატორის არსებობა, ვიდრე მედიაციის მიმართვის მსურველის. ავსტრიაში მთავარი მოტივი, რის გამოც შეიძლება მხარემ არჩიოს მედიაციის ინსტიტუტისათვის მიმართვა, არის სასამართლო ბაჟისა და საპროცესო ხარჯების თავიდან არიდება,³²⁹ რის გამოც მედიაციით დაინტერესებული პირები მიესალმნენ კანონმდებლის მიერ სასამართლო სავალდებულო მედიაციის დანერგვის ინიციატივას, ვინაიდან ისინი სწორედ სავალდებულო მედიაციის არარსებობას მიიჩნევენ³³⁰ მედიაციის ინსტიტუტის არაეფექტურობის მიზეზად.

2.1.3 კონფიდენციალობა

მედიაციის პროცესში კონფიდენციალობის პრინციპის დაცვა ავსტრიელი კანონმდებლის მიერ დადგენილი ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. მედიაციის ნებისმიერი პროცესში გაცხადებული ინფორმაცია კონფიდენციალურია. შესაბამისად, არ უნდა გასაჯაროვდეს, თუ ამის შესახებ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან. იმის მიხედვით, თუ ვინ ჰყავდათ არჩეული მხარების მედიატორად, განსხავებული შედეგი მოყვება ამ პრინციპის დარღვევას. არარეგისტრირებული მედიატორების მიერ კონფიდენციალურობის დაცვა შესაძლოა გარანტირებული იყოს მედიაციის შესახებ ხელშეკრულებით, რადგან მის შესახებ დამატებით ნორმატიულ აქტებში არაფერი სწერია,³³¹ ხოლო რეგისტრირებული მედიატორების შესახებ მედიაციის აქტის მე-18 მუხლით, მედიატორი ვალდებულია, საიდუმლოდ შეინახოს ის ინფორმაცია, რაც მას მედიაციის პროცესში მხარებმა გაანდეს ან სხვაგვარად გახდა მისთვის ცნობილი. ის, ასევე, ვალდებულია, კონფიდენციალურად შეინახოს მისთვის მედიაციის პროცესში განდობილი დოკუმენტაცია და მასალა. კონფიდენციალობის დაცვა მედიატორის აბსულუტური ვალდებულებაა, მასზე მხარეებს არ აქვთ უარის

³²⁷ Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 267.

³²⁸ იქვე.

³²⁹ იქვე, 262.

³³⁰ Espilugus C., Iglesias J. L., Palao G., Civil and Commercial Mediation in Europe: National Mediation Rules and Procedures, Vol. I, Intersentia, Cambridge, 2013, 27.

³³¹ არარეგისტრირებულ მედიატორები არ არიან გათავისუფლებული მათი მონაწილეობით ჩატარებულ საქმესთან დაკავშირებით სასამართლოში ჩვენების მიცემისაგანაც.

თქმის უფლება.³³² იგივე მოთხოვნები კრცელდება მედიატორის დამხმარე იმ პირებზეც, რომლებისთვისაც ასევე შესაძლოა ხელმისაწვდომი გახდეს ეს ინფორმაცია. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მედიატორს ათავისუფლებს სამოქალაქო და სისხლის სამართლის პროცესზე საქმეს-თან დაკავშირებით ნებისმიერი კონფიდენცილური ინფორმაციის გაცემის ვალდებულებისაგან ნებისმიერი გარემოებაში, გარდა საჯარო წესრიგის დარღვევის შემთხვევისა.³³³ ამასთან, მედიატორს უფლება, უარი თქვას სა-სამართლო პროცესზე ჩვენების მიცემისაგან, არ კრცელდება მედიაციის პროცესის დაწყების, მიმდინარეობისა და დამთავრების შესახებ ინფორ-მაციაზე, რამდენადაც აღნიშნული მნიშვნელოვანია სასამართლოსათვის ხანდაზმულობის ვადის დასადგენად.³³⁴ აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კანონმდებლობა რეგისტრირებული მედიატორის მიერ კონფიდენციალობის პრინციპის მაქსიმალურ დაცვას უზრუნველყოფს.³³⁵

ავსტრიაში კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება, პროფესიუ-ლი წესებითაც არის უზრუნველყოფილი. პროფესიით იურისტ მედიატო-რებს კონფიდენცილურობის დაცვის ვალდებულებას „იურისტების კოდექ-სიც“ ავალებთ,³³⁶ ნოტარიუსებს – „ნოტარიუსთა კოდექსი“ (*Notariatsordnung*),³³⁷ ფსიქოთერაპევტებს – „ფსიქოთერაპიის აქტი“ (*Psychotherapiegesetz*),³³⁸ ხოლო ბუღალტრებს – „ბუღალტრების აქტი“ (*Bilanzbuchhaltungsgesetz*)³³⁹. მედიატორის მიერ კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება ავსტრიის კანონმდებლობაში დამატებით განმტკიცებულია სისხლის სამართლის კოდექსით, რომლის მიხედვითაც, მედიატორის მი-მართ, საიდუმლოების გაცემისა და კონფიდენციალობის ვალდებულების დარღვევისათვის, სანქციის სახით შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ექვს თვემდე თავისუფლების აღკვეთა და 360 დღიური შემოსავლის ოდენობით ჯარიმა.³⁴⁰ რამდენადაც სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება მედიატორს კერძო საჩივრის შეტანის შემთხვევაში, დაზარალე-ბულის ინიციატივაზეა დამოკიდებული ვალდებულების დამრღვევი მედია-ტორის ბედი.

³³² De Palo G., Trevor B. M., EU Mediation: Law and Practice, Oxford University Press, Oxford, 2012, 12.

³³³ Espilugus C., Iglesias J. L., Palao G., Civil and Commercial Mediation in Europe: National Mediation Rules and Procedures, Vol. I, Intersentia, Cambridge, 2013, 21.

³³⁴ Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 276.

³³⁵ Espilugus C., Iglesias J. L., Palao G., Civil and Commercial Mediation in Europe: National Mediation Rules and Procedures, Vol. I, Intersentia, Cambridge, 2013, 21.

³³⁶ მ-8 მუხლი, იბ.: <<http://www.ccbe.eu/index.php?id=107>>, [09/10/2015].

³³⁷ მ-5 მუხლი, იბ.: <[http://www.jusline.at/Notariatsordnung_\(NO\).html](http://www.jusline.at/Notariatsordnung_(NO).html)>, [09/10/2015].

³³⁸ მ-15 მუხლი, იბ.:

<<http://www.psychotherapie.at/psychotherapeutinnen/rechtsinformationen/psychotherapiegesetz>>, [09/10/2015].

³³⁹ 68-ე მუხლი, იბ.: <[http://www.jusline.at/Bilanzbuchhaltungsgesetz_\(BibuG\).html](http://www.jusline.at/Bilanzbuchhaltungsgesetz_(BibuG).html)>, [09/10/2015].

³⁴⁰ Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 302.

2.1.4 სამედიაციო შეთანხმება

ავსტრიული კანონმდებლობა არ მოითხოვს რაიმე სპეციალური ფორმის დაცვას მედიაციის შეთანხმების დადგების მიზნით. ავსტრიული პრაქტიკით, მედიაციის შეთანხმება გარკვეულ წილად ავალდებულებს მხარეებს სადაცო სიტუაციიდან ურთიერთსასარგებლო გამოსავლის ძიებას, რაც, ასევე, გულისხმობს ისეთი მოქმედებებისაგან თავის შეკავებას, რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს კონფლიქტის მოგვარებას. ხელშეკრულებაზე ხელმომწერი მხარეები ვალდებული არიან, პირადად დაესწრონ მედიაციის სესიებს, თუმცა ამ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში იმულების არავითარ მექანიზმს ავსტრიული კანონმდებლო არ იცნობს.³⁴¹

ავსტრიელ იურისტებს შორის სადაცო საკითხად იქცა სამედიაციო ცენტრებსა და მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულების კლასიფიკაციის საკითხი, რადგან ის არც ტიპური მომსახურების (*employment contract*) ხელშეკრულებაა და არც – შრომითი. ერთი მხრივ, ამ ხელშეკრულებით ვერ განისაზღრება შრომითი პროდუქტი და მედიატორი ვერ უზრუნველყოფს რაიმე რეზულტატს. ამასთან, მას გააჩნია უფლებამოსილება ხელშეკრულების ხებისმიერ დროს შეწყვეტისა, ხოლო, მეორე მხრივ, იგი არც წმინდა მომსახურების ხელშეკრულება არ არის, რამდენადაც არ განსაზღვრავს პირად დამოკიდებულებას (*personal dependancy*) მენარდესა და შემკვეთს შორის. აქედან გამომდინარე, მას ახასიათებენ, როგორც „თავისუფალ“ ხელშეკრულებას, რომელიც დიდ წილად მომსახურების ხელშეკრულების ნიშნებს შეიცავს.³⁴² მედიაციის ცნებით, მედიატორი ვალდებულია, განსაზღვრული მეთოდების გამოყენებით წარმართოს პროცესი. აქედან გამომდინარე, არსებობს მოსაზრება სამედიაციო შეთანხმებისა და სამედიცინო მომსახურების შესახებ შეთანხმებებს შორის მსგავსების შესახებ.³⁴³ დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მედიატორსა (ან სამედიაციო ინსტიტუტსა) და მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულება მედიაციის პროცესის გამართვის შესახებ შერეული ბუნებისაა, რომელიც შრომითი და მომსახურების ხელშეკრულების ნაერთს წარმოადგენს.

³⁴¹ Espilugus C., Iglesias J. L., Palao G., Civil and Commercial Mediation in Europe: National Mediation Rules and Procedures, Vol. I, Intersentia, Cambridge, 2013, 12.

³⁴² Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 284.

³⁴³ იქვე.

2.2 მედიატორთა პროფესიული სტანდარტი

2.2.1 აკრედიტაციის საკითხი

ავსტრიის მედიაციის კანონის მიხედვით, იმისათვის, რომ პირი გახდეს რეგისტრირებული მედიატორი, საჭიროა: а) იყოს არა უმცირეს 28 წლისა; ბ) სარგებლობდეს მაღალი სანდოობით; გ) აკმაყოფილებდეს პროფესიონალიზმის კრიტერიუმებს; დ) საკუთარი პასუხიმგებლობა დაზღვეული პქნოდეს 400 000 ევროდ. მედიატორთა პროფესიულ კვალიფიკაციის საკითხთან დაკავშირებით ავსტრიელმა კანონმდებელმა ცალკე კანონქვემდებარე აქტი³⁴⁴ შეიმუშავა, რომლის მიხედვითაც, მედიაციის ტრეინინგი მოიცავს 365 ერთეულ 45-სათიან ტრეინინგს. კერძოდ, 200 ერთეულ თეორიულ და 165 ერთეულ პრაქტიკულ ტრეინინგს. ამასთან, ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ აუცილებელია 50-სათიანი ტრეინინგის გავლა განგრძობადი განათლების ფარგლებში. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, მედიაციის ტრენინგის გამვლელთა მხოლოდ 10%-ს სურდა, ესწავლა მედიაცია მომავალში³⁴⁵ მედიატორობის მიზნით. ტრეინინგის მონაწილე დანარჩენ მონაწილეებს ცხოვრებისეული უნარების მისაღებად და პროფესიული საქმიანობიას გაუმჯობესების მიზნით სურდათ მისი გავლა.³⁴⁶

მედიაციის კანონის პროექტი მოიცავდა პირობას, რომლის მიხედვითაც, მხოლოდ რეგისტრირებულ მედიატორებს პქნოდათ მედიაციის ჩატარების უფლება. არარეგისტრირებული მედიატორის მიერ მედიაციის პროცესის წარმართვა ითვალისწინებდა სანქციას 10 000 ევრომდე, თუმცა აღნიშნული პირობა საბოლოო ვერსიიდან ამოიღეს.³⁴⁷ შესაბამისად, დღეისთვის (ავსტრიის იუსტიციის სამინისტროს ბაზაში) არარეგისტრირებულ პირებსაც აქვთ მედიაციის წარმართვის უფლება, იმ შემთხვევაში, თუ ისინი ზოგად პირიციპებს აკმაყოფილებენ (მაგ., რეგისტრირებული როგორც გადასახადის გადამხდელი, მაგრამ არ არის რეგისტრირებული როგორც მედიატორი).³⁴⁸ იუსტიციის სამინისტროს მედიატორთა რეგისტრირებულ სიაში მოსახვედრად ერთ-ერთი მოთხოვნაა პროფესიული კვალიფიკაციის ქონა.³⁴⁹ პირი მედიაციის პროცესის კვალიფიციურ პროფესიონალად ითვლება, თუ იგი ფლობს სპეციალური ტრეინინგების შედეგად მიღებულ ცოდნასა და უნარებს.³⁵⁰ ამასთან, მედიაციის აქტის მე-14 მუხლის მიხედვით, პირს შეიძლება გაუუქმდეს რეგისტრაცია თუ: а) ვეღარ

³⁴⁴ The Law on Training for Mediation in Civil Matters, BGBl II 2004.47 -1.2.2.1 <<http://mit-austria.at/ausbildung/mediator>>, [01/11/2015].

³⁴⁵ ინგ.: Full-time.

³⁴⁶ Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 314.

³⁴⁷ იქვე, 306.

³⁴⁸ გერ.: Gewerbeordnung, იხ.:<

[http://www.jusline.at/index.php?cpid=f04b15af72dbf3fdc0772f869d4877ea&law_id=12>](http://www.jusline.at/index.php?cpid=f04b15af72dbf3fdc0772f869d4877ea&law_id=12), [09/10/2015].

³⁴⁹ კანონმდებლის განხილვისას შეთავაზებული იყო რეგისტრაციის სის კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ წარმოება, თუმცა ავსტრიელმა კანონმდებლემა ეს იდეა დაიწუნა, რის მიზანად ისეთი ორგანიზაციის უქონლობა დაასახელა, რომელსაც მედიაციის ინსტიტუტების ქოლგის როლი ექნებოდა და შეძლებდა რეგისტრაციისთვის საჭირო ამოცანების გადაწყვეტას.

³⁵⁰ Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 307.

აკმაყოფილებს მედიატორის მოთხვნებს; ბ) როცა თავისი სურვილით გააუქმებს რეგისტრაციას; გ) გარდაიცვლება; დ) გავა რეგისტრაციის ვადა;³⁵¹ ე) ვერ დააკმაყოფილებს განგრძობადი იურიდიული განათლების მოთხოვნებს; ვ) განმეორებით დაარღვევს ანდა ჩაიდენს მნიშვნელოვან გადაცდომას საკუთარი ვალდებულებებიდან.³⁵²

კანონმდებლის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნაა მედიატორის მსურველი კანდიდატის მიერ ტრენინგის გავლა იმ ტრენინგ ცენტრებში, რომლებიც იუსტიციის სამინისტროს მიერ არის აკრედიტებული. მსგავსად მედიატორების რეგისტრისა, იუსტიციის სამინისტრო ასევე აწარმოებს სამოქალაქო სამართლის საქმეებზე მედიატორთა დასატრენინგებელი ორგანიზაციების რეესტრს.³⁵³ შესაბამისად, მხოლოდ ამ სასწავლო ცენტრებში სერტიფიცირებულ მედიატორს ეძლევა საშუალება, მოხვდეს იუსტიციის სამინისტროს მედიატორთა რეესტრში. ასევე აღსანიშნავია, რომ არც მედიაციის ევროპული დირექტივა და არც ავსტრიის მედიაციის აქტი არავითარ კრიტიკუმს მედიაციის პროცესში მონაწილე წარმომადგენლების მიმართ არ აწესებს. მთავარია, ისინი აკმაყოფილებდნენ პროფესიული ვალდებულებებს.³⁵⁴

2.2. მედიატორის ვალდებულებები

მედიატორი ვალდებულია, პროცესი წაიყვანოს თავისი ცოდნისა და სინდისის კარნახით, ნეიტრალურობისა და კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვით. მედიაციის კანონის მე-16 მუხლის მიხედვით, მედიატორი პროცესის გახსნისას ვალდებულია, აუხსნას მხარეებს მედიაციის სამართლებრივი ხასიათი და მისი შედეგები. ამასთან, ვინაიდან ტრანს-სასაზღვრო დავებზე გამართულ მედიაციის პროცესში შესაძლოა მონაწილეობდეს არერეგისტრირებული მედიატორიც, ევროკავშირის მედიაციის კოდექსი არარეგისტრირებულ მედიატორებს ავალდებულებს, მხარეებს აცნობონ როგორც ინტერესთა კონფლიქტის, ისე ავსტრიის იუსტიციის სამინისტროს მიერ რეგისტრირებულ მედიატორთა სიაში მათი არყოფნის შესახებ.

ავსტრიული მედიაციის საინტერესო თავისებურება არის ის, რომ იმავე მე-16 მუხლის მიხედვით, მედიატორი ვალდებულია, მედიაციის პროცესის გახსნა, დამთავრება ან გადადების შემთხვევები დააფიქსიროს სხდომის ოქმში, რომელიც შვიდი წლის მანძილზე ინახება მასთან. რაც შეეხება მორიგების ტექტს, ის სხდომის ოქმში შესაძლოა აისახოს მხოლოდ მხარეთა თანხმობით. საქმის მედიაციისათვის მიმართვისა და დამთავრების დათარიღება და შენახვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხან-

³⁵¹ მედიატორთა პირველადი რეგისტრაცია ხდება 5 წლის ვადით, ხოლო ყოველი მომდევნო – 10 წლის ვადით. აღსანიშნავია, რომ პირველი რეგისტრაციის ვადისს გასვლის შემდეგ განმეორებითი რეგისტრაციის მსურველების რაოდენობამ მნიშვნელოვნად იკლო ავტრიის რესპუბლიკაში.

³⁵² იხ.:<[http://www.jusline.at/Zivilrechts-Mediations-Gesetz_\(ZivMediatG\).html](http://www.jusline.at/Zivilrechts-Mediations-Gesetz_(ZivMediatG).html)>, [09/10/2015].

³⁵³ მე-10 მუხლი მედიაციის კანონის იხ.: <[http://www.jusline.at/Zivilrechts-Mediations-Gesetz_\(ZivMediatG\).html](http://www.jusline.at/Zivilrechts-Mediations-Gesetz_(ZivMediatG).html)>, [09/10/2015].

³⁵⁴ De Palo G., Trevor B. M., EU Mediation: Law and Practice, Oxford University Press, Oxford, 2012, 16.

დაზმულობის ვადისა და პროცესის ხანგრძლივობის დასადგენად. ასევე, ვინაიდან მედიატორთა ქცევის კოდექსი არ არის საკანონმდებლო დონეზე შემუშავებული აქტი, ის ყველა მედიატორისათვის სავალდებულო არ არის და იგი, უმრავლესობისათვის მისაღებ, „რბილი სამართლით“ მოწესრიგებულ პრინციპებს წარმოადგენს.

რეგისტრირებულ მედიატორს უფლება არ აქვს, მოითხოვოს ანაზღაურება სამედიაციო ცენტრის რეკომენდირებისათვის. ასევე, მედიატორს განხილულ თუ განსახილველ პროცესში სხვა სტატუსით (წარმომადგენული, კონსულანტი, არბიტრი) მონაწილეობა ეკრძალება მის მიერ მედიაციის პროცესში მოპოვებული ინფორმაციის გამოყენების პრევენციის მიზნით. გამონაკლის წარმოადგენს მედ-არბიტრაჟი და ისიც იმ შემთხვევაში, თუ მხარეები წინასწარ შეთანხმებულები არინ, თავდაპირველად სცადონ მედიაცია, ხოლო პროცესის წარუმატებლად ვერ დამთავრების შემთხვევაში მედიატორივე იქნება უფლებამოსილი, მიიღოს საქმეზე გადაწყვეტილება, როგორც ნეიტრალურმა არბიტრმა.³⁵⁵

³⁵⁵ Hopt J. K., Steffek F., *Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective*, Oxford University Press, Oxford, 2013, 287.

2.3 მედიაციის პროცესუალური საკითხები

2.3.1 მედიაციის პროცესის წამოწყება

ავსტრიის მედიაციის აქტში ძალიან ცოტა რამ არის ნათქვამი მედიაციის პროცესის სტრუქტურისა და პროცედურების შესახებ, რასაც, ერთი მხრივ, მედიაციის პროცესის მოქნილობის უზრუნველყოფით ხსნიან, ხოლო, მეორე მხრივ, მხარეთა ავტონომიურობისა და ნების თავისუფლების პრინციპით. კერძოდ, მხარეებს შეთანხმებით თავად შეუძლიათ განსაზღვრონ პროცედურული წესები. მთავარია, მხარეთა მიერ შეთანხმებული წესები არ ეწინააღმდეგებოდეს მედიატორთა ქცევის კოდექსით გათვალისწინებულ მედიატორთა ვალდებულებებს.

ავსტრიის კანონმდებლობა არ იცნობს სასამართლოს განჩინებით (გადაწყვეტილებით) მედიაციის პროცესის დაწყებას, რაც გამომდინარეობს მედიაციის ცნების განმარტებიდანვე, რამდენადაც კანონმდებელმა აუცილებელ კომპონენტად განსაზღვრა მხარეთა თანხმობა.³⁵⁶ ვინაიდან ავსტრიაში მედიაციის ინსტიტუტი ნებაყოფლობითია და ამასთან, სასამართლოსა და მედიაციის ინსტიტუტებს შორის ინსტიტუციური კავშირი არ არსებობს, მედიაციის პროცესის დაწყება გავლენას არ ახდენს სასამართლოში საქმის მსველობაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არც მედიაციის შესახებ შეთანხმება ზღუდავს მხარეებს სასამართლოსათვის მიმართვის უფლებისაგან, თუ პარალელურად მიმდინარეობს მედიაციის პროცესი. აქედან გამომდინარე, სასამართლოსათვის პირდაპირ მიმართვა არ განიხილება როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა,³⁵⁷ რაც ნიშნავს, რომ ავსტრიის კანონმდებლობით მედიაციის შესახებ შეთანხმება არ არის სავალდებულო შესასრულებელი საარბიტრაჟო შეთანხმებისაგან განსხვავებით.

მედიაციის პროცესი იწყება მაშინ, როცა მხარეები მას მიმართავენ, ხოლო მთავრდება მაშინ, როცა ერთ-ერთი მხარე უარს იტყვის მის გაგრძელებაზე ანდა მხარეები მორიგდებიან. პროცესის შეწყვეტა, რასაკვირველია, მხარეთა ავტონომიურობისა და დამოუკიდებლობის პრინციპის ნაწილია. აქიდან გამომდინარე, მათ ნებისმიერ დროს შეუძლიათ დატოვონ პროცესი, მაგრამ, თუ მხარეებს შორის დადებული შეთანხმება ითვალისწინებს კონკრეტულად ორ ან მეტ მედიაციის სესიაზე დასწრებას, მაშინ მხარეები შებოჭილნი არიან ამ სახელშეკრულებო ვალდებულებით.³⁵⁸

ავსტრიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 204-ე³⁵⁹ მუხლით, მოსამართლე ვალდებულია, ეცადოს საქმის მორიგებით დასრულებას და თუ სათანადოდ მიიჩნევს, შეუძლია მხარეებს მიაწოდოს ინფორმაცია მორიგების პროცესის ხელშემწყობი კვალიფიციური ინსტიტუტის შესახებ.

³⁵⁶ OGH, 15 July 1997, 1 Ob 161/97a, OJZ 1998, 24, ob.: <<http://ris.bka.gv.at/default.aspx>>, [30/07/2015].

³⁵⁷ Espilugus C., Iglesias J. L., Palao G., Civil and Commercial Mediation in Europe: National Mediation Rules and Procedures, Vol. I, Intersentia, Cambridge, 2013, 14.

³⁵⁸ იქვე.

³⁵⁹ ob.: <http://www.wipo.int/wipolex/en/text.jsp?file_id=230305>, [09/10/2015].

2.3.2 პროცესის ხარჯები და გადები

მედიატორის ანაზღაურებასთან დაკავშირებით არაფერია ნახსენები მედიაციის აქტში. მედიატორების ქცევის კოდექსი კი პირდაპირ მიუთითებს მედიატორებს, რომ არ დაიწყონ მედიაციის პროცესი, სანამ არ მორიგდებიან მედიატორის ანაზღაურების პირობებზე. რაც შეეხება იურიდიული დახმარების პროგრამებს, ავსტრიაში საოჯახო დავების მედიაციის გზით მორიგება შესაძლოა სახელმწიფოს მიერ დაფინანსდეს, მათ შორის, იმ შემთხვევაშიც, თუ მედიაციის პროცესს არასამეწარმეო იურიდიული პირად დაარსებული ინსტიტუტი ახორციელებს.³⁶⁰ დაფინანსების მოსაპოვებლად მოდავე მხარე მიმართავს კონკრეტულ ინსტიტუტს და თუ დავა განსაზღვრულ კრიტერიუმებში ჯდება, თვითონ ინსტიტუტი მიმართავს სახელმწიფოს. სახელმწიფოს მიერ მედიაციის პროცესი შესაძლოა დაფინანსდეს სრულად ან ნაწილობრივ.³⁶¹ როცა ხელშეკრულებით მედიატორის ანაზღაურების ოდენობა არ არის განსაზღვრული, ის გონივრული ოდენობით უნდა განისაზღვროს.³⁶²

მედიაციის აქტში სამართლებრივი დახმარების შესახებ არაფერია ნათქვამი, თუმცა სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შესული ცვლილებებით, უფასო იურიდიული დახმარების საკითხთა წრეს დაემატა მედიაციის პროცესში სახელმწიფოს მხრიდან უფასო იურიდიული დახმარების პროცედურებიც. სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შესული აღნიშნული ცვლილებების აქტი სამართლებრივი დახმარების ევროპულ დირექტივის მიხედვით შემუშავდა.³⁶³ უნდა აღინიშნოს, რომ უფასო იურიდიული დახმარების პროგრამა მოიცავს კონსულტაციას სასამართლოსათვის მიმართვამდე პერიოდისათვის, მათ შორის, დავის ალტერნატიული საშუალებებით რეგულირების შესახებ კონსულტაციას და არა თვითონ მედიაციის პროცესში წარმომადგენლობისათვის საფასურს. ამ უკანასკნელს ავსტრიის კანონმედებლობა ითვალისწინებს მხოლოდ საოჯახო დავებზე, რომლის პირობებსაც „საჯახო დახმარების აქტი“ აწესრიგებს.³⁶⁴

ავსტრიის „არაგანგრძობადი პროცედურების შესახებ“ აქტში (*Außerstreitgesetz*) აღნიშნულია, რომ სასამართლო პროცესი მედიაციის მიზეზით შეიძლება შეჩერდეს მაქსიმუმ 6 თვით.³⁶⁵ მედიაციის პროცესის წამოწყება და მსვლელობა აჩერებს სასამართლოსათვის მიმართვის ხანდაზმულობის ვადის დენას, მაგრამ არა საქმის პროცედურულ ვადებს³⁶⁶ (სარჩელის ხანდაზმულის ვადის დინებას ავსტრიაში მედიაციის პროცესი

³⁶⁰ Espilugus C., Iglesias J. L., Palao G., Civil and Commercial Mediation in Europe: National Mediation Rules and Procedures, Vol. I, Intersentia, Cambridge, 2013, 26.

³⁶¹ ი. ა. <<http://www.kinderplattform.tsn.at/>>, [09/10/2015].

³⁶² ავსტრიის სამოქალაქო კოდექსის 1152-ე მუხლი, ი. ა.:

<[http://www.jusline.at/Allgemeines_Buergerliches_Gesetzbuch_\(ABGB\)_Langversion.html](http://www.jusline.at/Allgemeines_Buergerliches_Gesetzbuch_(ABGB)_Langversion.html)>, [09/10/2015].

³⁶³ European Legal Aid Directive, ი. ა. <<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2003:026:0041:0047:EN:PDF>>, [09/10/2015].

³⁶⁴ ი. ა. Family Assistance Act, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლი.

³⁶⁵ 29-ე მუხლი, ი. ა. <<https://www.dss.gov.au/about-the-department/policies-legislation/legislation/family-assistance-legislation-and-consolidated-disallowable-instruments>>, [09/10/2015].

³⁶⁶ De Palo G., Trevor B. M., EU Mediation: Law and Practice, Oxford University Press, Oxford, 2012, 14.

ვერ აჩერებს,³⁶⁷ მაგრამ საპატიო მიზეზად ითვლება რეგისტრირებულ მედიატორთან მედიაციის პროცესის გამო გასული ვადა). შესაბამისად, მისი დამთავრებიდან უმოკლეს დროში მოდავე მხარე ვალდებულია, შესაბამისი განცხადება შეიტანოს სასამართლოში.³⁶⁸ უნდა აღინიშნოს, რომ ვადის ათვლის დროებით შეჩერება ეხება მხოლოდ მატერიალური სამართლის ვადებს და არ ვრცელდება პროცესუალურ ვადებზე.

ავსტრიაში მედიაციის მსვლელობის პროცესში ჩატარებული სესიების საშუალო რაოდენობა 3-დან 8-მდე მერყეობს. პრაქტიკიდან გამომდინარე, ადოგაკატები საკუთარ კლიენტებს არ უქმნიან წინასწარ მოლოდინს, რომ მედიაციის პროცესი პირველივე შეხვედრაზე მორიგებით დასრულდება. ასევე მნიშვნელოვანია სტატისტიკური მაჩვენებელი, რომელიც მხოლოდ მედიატორების მიერ გაცემული ინფორმაციაზე დაყრდნობით შემუშავდა და რომლის მიხედვით, მედიაციის პროცესების წარმატებით დამთავრების სტატისტიკა 90%-მდე აღწევს.

2.3.3 მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების ფორმა და მისი აღსრულება

როგორც საყოველთაოდ მიღებულია, მედიაციის პროცესი ითვლება წარმატებით დამთავრებულად, თუ მხარეები მორიგებით დაამთავრებენ პროცესს. მორიგების ფორმა, ტიპი და არსობრივი შემცველობა ავსტრიული კანონდებლობით განსაზღვრული არ არის, თუმცა მედიატორი ვალდებულია, მხარეებს გააცნოს მისი სამართლებრივი შედეგები და მიაწოდოს ინფორმაცია მორიგების აღსრულების მექანიზმების შესახებ, მათ შორის, იმ საკითხები, თუ როგორ შეიძლება მორიგების აქტისათვის იძულებით აღსრულებადი ძალის მინიჭება.³⁶⁹ ვინაიდან შეთანხმების აღსრულება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ სამართლებრივ ფორმას აირჩევენ მოდავე მხარეები, მორიგების აქტის დადებისას მედიატორი ვალდებულია, აუსსნას მხარეებს მორიგების დადების სხვადასხვა ფორმათა თავისებურებები. ავსტრიული კანონმდებლობით, მხოლოდ სასამართლოსა და ნოტარიუსის წინაშე დადებული მორიგების აქტებს შესაძლოა ჰქონდეთ პირდაპირ იძულებით აღსრულებადი ძალა.

მედიაციის აქტის მიღების დღიდან დღემდე მასში აღსრულების საკითხებთან დაკავშირებით ცვლილებები და დამატებები არ შესულა, თუმცა მოგვიანებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორცილდა ცვლილებები მორიგების აქტის აღსრულებასთან დაკავშირებით.³⁷⁰ ავსტრიის კანონმდებლობა სასამრთლოს გარდა სააღსრულებო ფურცლის ამოწერის შესაძლებლობას აძლევს არბიტრებს, მუნიციპალურ ორგანოებსა და ნოტარიუსებს. მედიაციის პროცესზე მორიგების შემდეგ, თუ მხარეებს სურთ, რომ მიღწეული მორიგების პირობების დარღვევის შემთხვევაში მეორე მხარის მოთხოვნით შესაძლებელი იყოს დაუყონებლივ სააღ

³⁶⁷ Espilugus C., Iglesias J. L., Palao G., Civil and Commercial Mediation in Europe: National Mediation Rules and Procedures, Vol. I, Intersentia, Cambridge, 2013, 22.

³⁶⁸ Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 264.

³⁶⁹ Espilugus C., Iglesias J. L., Palao G., Civil and Commercial Mediation in Europe: National Mediation Rules and Procedures, Vol. I, Intersentia, Cambridge, 2013, 23.

³⁷⁰ ავსტრიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 433-ე მუხლი.

სრულებო ფურცლის ამოწერა, მაშინ მათ დამატებით მოუწევთ გარკვეული პროცედურების გავლა.³⁷¹ ამასთან, ავსტრიის სააღსრულებო ბიურო, განსხვავებით გერმანიის სააღსრულებო ბიუროსაგან, არ ცნობს იურისტების თანდასწრებითა და დამოწმებით შედგენილი დოკუმენტების პირდაპირ აღსრულებას. შესაბამისად, დაუყონებლივ იძულებით აღსრულებადი მორიგების აქტის მიღებისათვის მხარეები ვალდებული არიან, განსჯადობის მიხედვით მიმართონ იმავე რაონის სასამართლოს მორიგების აქტის დამოწმების თხოვნით. მოსამართლე განუმარტავს მხარეებს მათ მიერ დადებული გარიგების პირობებს, გააცნობს დამოწმების მოსალოდნელ შედეგებს და მხარეთა თანხმობის შემთხვევაში დაამოწმებს მორგების აქტს. ამასთან, მორიგების პირობებიდან გამომდინარე, იგი უფლებამოსილია, უარი უთხრას მხარეებს დოკუმენტის დამოწმებაზე. ასევე აღსანიშნავია, რომ, თუ ევროპული დირექტივა, სასამართლოსადმი მიმართვამდე მოითხოვს ორივე მხარის წინასწარ თანხმობას აღსრულების შესახებ ცნობის გაცემაზე, ავსტრიის მედიაციის აქტი ითვალისწინებს მიმართვის შესაძლებლობას ერთი მხარის მოთხოვნითაც, თუმცა მისი გაცემისთვის ორივე მხარის თანხმობაა საჭირო.³⁷² სასამართლოს იდენტური პროცედურები ტარდება ნოტარიუსის მიერ მორიგების დამტკიცებისას, მაგრამ, იმისათვის რომ ნოტარიუსმა ის დაამტკიცოს, მორიგების აქტში ნათლად უნდა იყოს მითითებული:

- ერთი-ერთი მხარის მიერ ქმედების განხორციელების ან თავის შეკავების ვალდებულების შესახებ;
- ეს ვალდებულება უნდა იყოს მორიგების (დავის) საგანი;
- კრედიტორის უფლებამოსილების შესახებ, მოითხოვოს მორიგების დაუყონებლივ აღსრულება.

მედიაციის ევროპული დირექტივის მიღებამდე ავსტრიის კანონდებლობა არ ითალისწინებდა მორიგების აქტის იძულებით აღსრულების მექანიზმებს, თუ იგი ნოტარიუსის მიერ არ იყო დამტკიცებული, თუმცა ევროპული დირექტივის იმპლემენტაციის შემდეგ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 433-ე მუხლში შევიდა ცვლილება, რომელიც იძლევა მედიაციით მიღწეული მორიგების აქტის ნებისმიერ რეგიონალურ სასამართლოში დამტკიცების საშუალებას, თუ შეთანხმება არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას. აღნიშნული მუხლი ეხება ნებიერი მედიაციის პროცესის შედეგად მიღწეულ მორიგებას, მიუხედავად იმისა, გავლილი აქვს თუ არა მედიატორს რეგისტრაცია.

³⁷¹ Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 275.

³⁷² Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 276.

³⁷³ იქვე.

³⁷⁴ De Palo G., Trevor B. M., EU Mediation: Law and Practice, Oxford University Press, Oxford, 2012, 13.

2.4 მედიაციის განვითარების ტენდენციები ავსტრიის რესპუბლიკაში

მიუხედავად იმისა, რომ მედიაციის ინსტიტუტი 90-იანი წლებიდან ნელ-ნელა ფეხს იკიდებდა ავსტრიის რესპუბლიკაში, მედიაციის ნამდვილი ბუმი სწორედ მედიაციის აქტის მიღების შემდეგ დაიწყო. ავსტრიელ მედიატორთა ასოციაციის ცნობით, წევრების რაოდენობა 2003 წელს 500 მედიატორს შეადგენდა, 2004 წელს – 900, 2005 წელს – 2500, ხოლო პიკს 2007 წელს მიაღწია, როცა წევრების რაოდენობამ 3600-ს გადააჭარბა.³⁷⁵ რასაკვირველია, მედიაციის კულტურის დამკავიდრებისათვის მხოლოდ კვალიფიციურ მედიატორების არსებობა საკმარისი არ არის. არასაკმარისი სამედიაციო საქმეების არსებობის გამო, ბოლო წლებში მედიატორების მსურველთა რაოდენობამ იკლო, რაც მოსალოდნელიც იყო, რამდენადც პრაქტიკის არქონის გამო ყველწლიურად საწევრო მოსაკრებლის, დაზღვევისა და განგრძობად განათლებაზე ფულისა და დროის დახარჯვა ყველასათვის მისაღები არ იყო.³⁷⁶ ავსტრიაში თანამშრომლობითი მეთოდის გამოყენებით მიღწეული მორიგებით დავის რეგულირება დავის გადაწყვეტის არც თუ ტრადიციული იყო,³⁷⁷ რის გამოც მედიაციის ინსტიტუტს წინაშე კვლავ გამოწვევად რჩება მოდავე მხარეთათვის მედიაციის ინსტიტუტის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობის პრობლემისა და სტიგმის დაძლევა – მოწინააღმდეგე მხარისათვის მედიაციის შეთავაზება საკუთარი პოზიციის სისუსტის აღიარებად აღიქმება.³⁷⁸

საგულისხმოა ავსტრიელი კანონმდებლების მიდგომა მედიაციის ფრთხილი და აუჩქარებელი განვითარების პოლიტიკის შემუშავების კუთხით, თუმცა დღეს სულ უფრო და უფრო მეტად ფიქრობენ მედიაციის გამოყენების წახალისების მიზნით ახალ საკანონმდებლო ცვლილებებზე. განიხილება სავალდებულო მედიაციის შემოღება ან გერმანული მოდელის მსგავსად კომერციულ ან საოჯახო დავებზე, კერძოდ, განქორწინების შესახებ წარმოშობილი დავებზე საინფორმაციო შეხვედრებში მონაწილეობის დავალება. ასევე, შეთავაზებულ³⁷⁹ იქნა „მედიაცია პლიუსის“ იდეა. აღნიშული იდეა გულისხმობდა მედიაციის პროცესში მედიაციას, კერძოდ, როცა მხარეები თვითონ ვერ ახერხებენ დავის მორიგებით დასრულების მიზნით ურთიერთსასარგებლო გამოსავლის პოვნას, საქმის მასალებიდან გამომდინარე, მედიატორი თვითონ სთავაზობს მათ, მისი აზრით, საუკეთესო მორიგების აქტის პროექტს.

გერმანელი ექსპერტების მოსაზრებით, ავსტრიის მედიაციის ინსტიტუტის სისტემური პრობლემა არის, ერთი მხრივ, მედიატორების სიჭარბე და, მეორე მხრივ, კანონმდებლობა, რომელიც ვერ ახერხებს ინსტიტუტის

³⁷⁵ ევრო საბჭოს (Council of Europe) მონაცემებით, 2010 წლამდე ევროპაში ავსტრიას ყვალაზე მეტი აპრედიტირებული მედიატორი ჰყავდა 100 000 მოსახლეზე, ხოლო 2012 წლის მონაცემებით ამ მაჩვენებელით პოლანდია ლიდერობს. European Commission for the Efficiency of Justice (CEPEJ) European Judicial Systems 2010, იხ.:<<http://www.coe.int/T/dghl/cooperation/cepej/evaluation/2012/PowerpointJPJ.pdf>>, [09/10/2015].

³⁷⁶ მედიატორთა ასოციაციაში საწევრო შეადგენს 293 ევროს, წლიური დაზღვევა – 70 ევროს და ყოველ 5 წელიწადში ერთხელ სავალდებულოა ტრეინინგის გავლა.

³⁷⁷ Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 313.

³⁷⁸ იქვე, 314.

³⁷⁹ იქვე, 318.

სადმი მოთხოვნის შექმნას – მომხმარებლის დაინტერესებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცვლილებები ავსტრიულ კანონმდებლობაში მოსალოდნელია მაღვე განხორციელდეს, რამდენადაც ზემოთ აღნიშნული უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით უკანონოდ ჩაითვალა სავალ-დებულო მედიაცია, მაშინ, როცა იგი კანონით არ იყო რეგულირებული. აქედან გამომდინარე, ავსტრიაში შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შექმნის შემთხვევაში სავალდებულო მედიაციის ინსტიტუტის ჩამოყალიბება თანხვედრაში იქმნება ევროპულ კანონმდებლობასთან.

იქედან გამომდინარე, რომ მედიაციის ავსტრიული მოდელი სხვადასხვა სამართლებრივ სიბრტყეზე აყენებს (სხვადასხვაგარად არეგულირებს) შიდა და საეთაშორისო მედიაციის ინსტიტუტებს, ის ზოგადად მედიაციის ინსიტუტის აღქმას ართულებს. მართალია, ევროპული დირექტივის მიღებამდეც მედიაციის აქტი ავსტრიაში მაღალი ხარისხის სტანდარტსა და კონკრეტულ პირობებს აწესებდა, მაგრამ დირექტივის იმპლემენტაციით ავსტრიის მთავრობამ გააუმჯობესა მისი მთავარი იდეის – მედიაციის საშუალებით მოქალაქეებისათვის მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. იმედოვნებენ, რომ დირექტივა კიდევ უფრო ხელს შეუწყობს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, შესაბამისად, გაიზრდება მედიაციის ინსტიტუტის მომხმარებელთა რაოდენობა და იგი სასამართლოს რეალურ აღტერნატივად ჩამოყალიბდება.

IV. ამერიკის შეერთებული შტატების მედიაციის მოდელი

1. მედიაციის გზით დავის გადაწყვეტის პულტურის ფორმირება და მისი მახასიათებლები

სასამართლოში მართლმსაჯულების განხორციელების პროცესის თანმხლები ნაკლოვანებების (დროისა და ადამიანური რესურსების ხარჯვის, მხარეთა რეალური ინტერესებისა და საჭიროებების უგულებელყოფის, „მოჩვენებითი“ გამარჯვების, სასამართლოს მომხმარებელთა უქმაყოფილების) აღმოსაფხვრელად გასული საუკუნის 70-იან წლებში აშშ-ის სასამართლო სისტემის წინაშე დავის გადაწყვეტის ისეთი ალტერნატიული საშუალებების საჭიროება შეიქმნა, რომლებიც მოდავე მხარეებს ოპტიმალური გამოსავლის მოძიების, მათ შორის ურთიერთობის შენარჩუნებისა და ორივე მხარისათვის მისადები დავის მორიგებით დასრულების შესაძლებლობას მისცემდა. მედიაცია, როგორც მხარეთა მორიგების მიზნით მესამე ნეიტრალური პირის (მედიატორის) დახმარებით წარმართული პროცესი, აშშ-ში კოლონისტების დროიდან არსებობდა,³⁸⁰ თუმცა მედიაცია, როგორც სასამართლოს მექანიზმებული დავის გადაწყვეტის ალტერნატივა, მე-20 საუკუნის 70-იან წლებში აღმოცენდა, სწორედ იმ დროს, როდესაც აშშ-ში სასამართლო ხელისუფლებისადმი უნდობლობამ და უცმაყოფილებამ იმატა.³⁸¹ კერძოდ, 1976 წლის აპრილში ჩატარებულმა ფაუნდის კონფერენციის (Pound Conference) სახელით ცნობილმა ნაციონალურმა კონფერენციამ. კონფერენციაზე მართლმსაჯულებისადმი მოსახლეობის უცმაყოფილების მიზეზებსა და სასამართლო სისტემის ეფექტიანობის საკითხს 200-ზე მეტი მოსამართლე, მეცნირები და ადვოკატთა კორპუსის წარმომადგენლები განიხილავდნენ, სათავე დაუდო მედიაციის განვითარებას.³⁸² აღნიშნულ კონფერენციაზე აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მოქმედმა თავმჯდომარებ ვორენ ბურგერ (Warren E. Burger) მართლმსაჯულების სისტემის გადახედვა მოითხოვა, ვინაიდან არსებობდა საშიშროება, რომ მოსამართლეთა რაოდენობის გაზრდის შემთხვევაშიც კი სასამართლოები ვერ შეძლებდნენ ეფექტურ თავრირებას და სასამართლო სისტემას კიდევ უფრო მეტი საფრთხე შეექმნებოდა.³⁸³ იგი გამოვიდა ინიციატივით, სასამართლოებს მოდავე მხარეებისათვის დავის გადაწყვეტის არსებულზე უფრო იაფი და ეფექტური საშუალება შეეთავაზებონათ.³⁸⁴ მისი აზრით: „სამართლებრივი პროცედურების მქონე ადამიანს, ისე კეთევ, როგორც ჯანმრთელობის პროცედურების მქონე ადამიანს, სჭირდება შეებარება რაც შეიძლება მალე და ნაკლები დანახარჯებით“³⁸⁵.

³⁸⁰ Ingen-Housz A., ADR in Business: Practice and Issues Across Countries and Cultures, Vol. II, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2011, 423.

³⁸¹ Rogers H. N., McEwen A. C., Mediation: Law, Policy, Practice, The Lawyers Co-operative Publishing Company, Rochester, 1989, 34.

³⁸² Hebert C., Introduction - The Impact of Mediation: 25 Years After the Pound Conference, Ohaio State Journal of Dispute Resolution, Vol. 17, 2001-2002, 527.

³⁸³ Rogers H. N., McEwen A. C., Mediation: Law, Policy, Practice, The Lawyers Co-operative Publishing Company, Rochester, 1989, 34.

³⁸⁴ აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდისათვის აშშ-ის სასამართლო სისტემა არ იყო საქმეების სიმრავლით გადატვირთული, თუმცა საქმეების რაოდენობა ყოველწლიურად მატულობდა.

³⁸⁵ Rogers H. N., McEwen A. C., Mediation: Law, Policy, Practice, The Lawyers Co-operative Publishing Company, Rochester, 1989, 34.

ამავე კონფერენციაზე პარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა ფრენკ სანდერმა საკუთარ მიმართვაში პირველად წამოჭრა „მრავალსარკმლიანი სასამართლოს“ (*Multy-Door Courthouse*) იდეა, რომლის ერთ-ერთი მთავარი კონპონენტი სწორედ სასამართლო სერვისებში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების დანერგვა იყო.³⁸⁶ მრავალსარკმლიანი სასამართლოს იდეა, რომელიც პროფესორ ფრენკ სანდერმა შეიმუშავა, გულისხმობდა სასამართლოს დახმარებით მოქალაქეების მიერ დავის გადაწყვეტის ისეთი საშუალების არჩევას, რომლის გამოყენებითაც როგორც მოდავე მხარე, ისე მართლმსაჯულება მაქსიმალურ სარგებელს მიიღებდა.³⁸⁷

შედეგად, მედიაციის, როგორც კიდევ ერთი სასამართლო მომსახურების, მართლმსაჯულების არსენალში მოხვედრას წინ უსწრებდა დავის გადაწყვეტის სხვა ალტერნატიული მექანიზმების, მათ შორის, ნეიტრალური პირის მიერ დავის ადრეული შეფასებისა (Early Neutral Evaluation) და ექსპერტის დახმარებით დავის გადაწყვეტის (Expert Determination) დამკვიდრება. ამრიგად, საწყის ეტაპზე, ამერიკული სასამართლოები მოდავე მხარეებს მედიაციის დახმარებით კონფლიქტის რეგულირების შეთავაზებამდე, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სხვა მექანიზმებს სთავაზობდნენ. მათ შორის მედიაციამ თანდათანობით წამყვანი ადგილი მოიპოვა, რასაც ბოლო ათწლეულების ფინანსურმა კრიზისებმაც შეუწყო ხელი. საბიუჯეტო სახსრებისა და მართლმსაჯულების ბიუჯეტის შემცირების გამო სასამართლოს დავების ეფექტური და ქმედითი გადაწყვეტის საშუალებები კიდევ უფრო მეტად მოთხოვნადი გახდა, ვიდრე მანამდე.³⁸⁹

ფრენკ სანდერის იდეა იურისტებს შორის დიდი მოწონებით სარგებლობდა, მაგრამ მედიაციის განვითარების პოლიტიკის შემუშავების საწყის ეტაპზე დაძაბულობა მაინც დიდი იყო. ეს გამოწვეული იყო მედიაციისადმი განსხვავებული დამოკიდებულების მქონე იმ იურისტების პოზიციით, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ მედიაციის ინსტიტუტი გაართულებდა, გაზრდიდა სამართლებრივი დავების რაოდენობას და მიღწეული მორიგებები პრაქტიკაში არ შესრულდებოდა. ასევე, იყვნენ სკეპტიკოსები, რომლებიც დავის გადაწყვეტის უპირველეს მიზნად პრეცედენტის შექმნას მიიჩნევდნენ და დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების დამკვიდრებას რადიკალურად ეწინააღმდეგებოდნენ.³⁹⁰ კრიტიკოსებს შორის იყო იელის უნივერსიტეტის პროფესორი ოვენ ფიზი, რომელმაც 1984 წელს იელის უნივერსიტეტის სამართლის უურნალში გამოაქვეყნა სტატია „მორიგების წინააღმდეგ“. ³⁹¹ სტატიაში ავტორი დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების მხარდამჭერებს მიუთითებდა, რომ „მორიგება ვერ უზრუნველყოფს სამართლიანობას“. შესაბამისად, ერთი შეხედვით, საზოგადოებრივი მშვიდობა, რომელსაც დავის მორიგებით დამთავ

³⁸⁶ Ingen-Housz A., ADR in Business: Practice and Issues Across Countries and Cultures, Vol. II, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2011, 423.

³⁸⁷ Chern C., International Commercial Mediation, Informa, London, 2008, 7.

³⁸⁸ Kimberlee K. K., Mediation in a Nut Shell, 2nd Ed., West – A Thomson Reuters Business, St. Paul, 2003, 11.

³⁸⁹ Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 1246.

³⁹⁰ Rogers H. N., McEwen A. C., Mediation: Law, Policy, Practice, The Lawyers Co-operative Publishing Company, Rochester, 1989, 41.

³⁹¹ Fiss O., Against Settlement, The Yale Law Journal, Vol. 93, #6, 1984, 1073.

რება წარმოქმნის, სასამართლოს ართმევს სამართლის ნორმების, მათ შორის, კონსტიტუციის განმარტების საშუალებას, რის გამოც ვერ მოხერხდებოდა იმ ღირებულებების დამკვიდრება, რომელიც აუცილებელია სამართლებრივი სახელმწიფოსათვის.

განვლილმა წლებმა ცხადყო, რომ სკეპტიკოსთა მოსაზრებები არ გამართლდა. პირიქით, მედიაციამ მართლმსაჯულებას მრავალი სიკეთე მოუტანა. მათ შორის აღსანიშნავია სასამართლოს მომხმარებელთა კმაყოფილება, ნდობის მატება და მხარეთა მიერ აღქმული „სიმართლით“ საქმეთა გადაწყვეტა. აშშ-ში მედიაცია წარმატებულ ინსტიტუტად იქცა.³⁹² მედიაციის პროცესი სხვადასხვა შტატში სხვადასხვა ტრაექტორიით წარიმართა, რაც მედიატორთა, მოსამართლეთა, აკადემიური წრეების წარმომადგენელთა განსხვავებული შეხედულებებისა და მიდგომების არსებობით იყო განპირობებული.³⁹³

მიუხედავად წინააღმდეგობებისა, აშშ პირველი სახელმწიფო, სადაც სასამართლო სისტემაში მედიაციის ინსტიტუციონალიზაცია მოხდა³⁹⁴ 1980-იანი წლებიდან, სასამართლოს განტვირთვის მიზნით, აშშ-ს სასამართლებმა საოჯახო და სამოქალაქო დავებზე მედიაციის ინსტიტუტის გამოყენება დაიწყეს. ამ დროიდან მოყოლებული მედიაცია სასამართლოს განუყოფელ ნაწილად იქცა. თავის მხრივ, 1990-იანი წლებიდან აშშ-ის სასამართლო, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება ყველანაირად უწყობდა ხელს მედიაციის საშუალებით ნებისმიერი კატეგორიისა და სირთულის დავის გადაწყვეტას.³⁹⁵ დღეისათვის მედიაცია გამოიყენება როგორც სასამართლოსათვის მიმართვამდე, ასევე, პირველი ინსტანციის, აპელაციის და შტატების უზენაეს სასამართლოებში საქმის მსვლელობისას. ამასთან, მის გამოყენებას მხარს უჭერს სხვადასხვა სტატუტები და სასამართლო აქტები, რომლებიც ეტაპობრივად და თანმიმდევრულად შეიქმნა.

დღეისათვის აშშ ერთ-ერთი იმ სახელმწიფოთაგანია, რომელსაც თამამად შეუძლია თქვას, რომ მედიაციის დამკვიდრებული კულტურა აქვს, რაც გულისხმობს როგორც პრობლემის გადაწყვეტასა და ორმხრივად მოგებიანი გამოსავლის პროცენტირებულ ადვოკატებს, ასევე, მედიაციის უპირატესობების მცოდნე მოსამართლეთა კორპუსსა და მომხმარებელს. აღნიშნულს ადასტურებს როგორც სამედიაციო ცენტრებისადმი მიმართულ დავათა ოდენობა, ასევე, მიმართვის დრო (როგორც კონფლიქტის ადრეულ, ისე სასამართლოში დავის განხილვისა და აღსრულების ეტაპზე) და მორიგებათა საერთო პროცენტულ მაჩვენებლები.³⁹⁶

აღსანიშნავია, რომ სამართლებრივი საზოგადოების მცდელობას, დაემკვიდრებინა მედიაციის საშუალებით დავის გადაწყვეტის კულტურა,

³⁹² Ingen-Housz A., ADR in Business: Practice and Issues Across Countries and Cultures, Vol. II, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2011, 421.

³⁹³ იქვე, 422.

³⁹⁴ Moore W. C., The Mediation Process: Practical Strategies for Resolving Conflicts, Third Edition, Jossey-Bass, San Francisco, 2003, 23.

³⁹⁵ Ingen-Housz A., ADR in Business: Practice and Issues Across Countries and Cultures, Vol. II, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2011, 423.

³⁹⁶ სტატიის შესახებ ინფორმაცია ის:

<<http://www.uscourts.gov/Statistics/FederalJudicialCaseloadStatistics/caseload-statistics-2014.aspx>>, [30/12/2014].

ხელი შეუწყო როგორც ისტორიულმა ფონმა, მომავალზე ორიენტირებულმა მოსამართლეთა³⁹⁷ ხედვამ და თავდაუზოგავმა შრომამ, ასევე, ამერიკული სამართლის გარკვეულმა მახასიათებლებმა და იმპლემენტაციის პროცესში ადგოკატოა ასოციაციისა და სამეცნიერო წრეების წარმომადგენელთა ჩართულობამ. ვინაიდან მედიაციის კულტურის ფორმირებაში თითოეულმა მათგანმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა, მიზანშეწოლია მათი უფრო დეტალურად განხილვა:

1. მედიაციის წარმოშობის პარალელურად აშშ-ის სამეცნიერო წრეებში სულ უფრო მეტ მოწონებას იმსახურებდა „პლურალიზმზე დამყარებული პროცესის“³⁹⁸ (ინგლ. *Process Pluralism*) იდეა, რომელიც ხსნის, თუ რატომ არის უმჯობესი სამართლებრივი კონფლიქტის გადაჭრა დავის გადაწყვეტის სხვადასხვა მეთოდებით, პროცესითა და მიღომით. ამდენად, მიუხედავად გარკვეული წინააღმდეგობისა, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების იდეას არც სამეცნიერო წრეებსა და არც მართლმსაჯულების პოლიტიკის შემმუშავებელ პირთა რიგებში არ გაუჭირდა მხარდამჭერთა მოპოვება. ამასთან, სასამართლო მედიაციის დანერგვისას ამერიკული მართლმსაჯულების მიზანი მხოლოდ საქმეთა ნაკადის მართვა და სასამართლოში განხილვის მომლოდინე საქმეთა რაოდენობის შემცირება არ იყო, როგორც ეს ბევრ სხვა ევროპულ ქვეყანაში ხდებოდა. აშშ-ში თავიდანვე ნათლად განისაზღვრა, რომ მედიაციის მიზანი იყო მოქალაქეებს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში სასამართლოს გარდა სხვა ალტერნატიულ ფორუმებზე პქონოდათ წვდომა, რომელიც მათ მოთხოვნილებებზე უფრო მორგებული იქნებოდა.³⁹⁹
2. ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რომელმაც ასევე ხელი შეუწყო დავის მორიგებით დასრულების პოპულარიზაციას, ამერიკული სამართალწარმოებისათვის დამახასიათებელი რამდენიმე თავისებურება იყო: პირველ რიგში აღსანიშნავია მოგებული მხარის მიერ გაწეული სამართლებრივი ხარჯების დამარცხებულ მხარეზე დაკისრების წესის არარსებობა.⁴⁰⁰ აშშ-ის თითქმის ყველა შტატში, შედგების მიუხედავად, სასამართლო პროცესის წარმოებისას გაწეულ ხარჯებს მხარეები თავად ისტუმრებენ. აქედან გამომდინარე, დავისათვის გაწეული დანახარჯები მოგებულ მხარეს უკან არ უბრუნდება, განსხვავებით გერმანული სამართლის ქვეყნებისგან, სადაც მოგებული მხარის მიერ გაწეული სამართლებრივი მომსახურების ხარჯის გარკვეულ ოდენობას (თუ მთლიანს არა) წაგებული მხარე ანაზღაურებს.⁴⁰¹ ამას ემატება ისიც, რომ აშშ-ში იურიდიული მომსახურება საკმაოდ ძვირია და მოდავე მხარები, ეკონომიკური თვალსაზრისით, დროულად და ნაკლები დანახარჯებით დავის

³⁹⁷ Wayne D. B., For Judges: Suggestions About What to Say About ADR at Case Management Conferences and How to Respond to Concerns or Objections Raised by the Counsel, *Ohio State Journal on Dispute Resolution*, No. 16, 2000, 14.

³⁹⁸ Menkel-Meadow J. C., Love P. L., Schneider K. A., Sternlight R. J., *Dispute Resolution: Beyond the Adversarial Model*, Aspen Publishers, New York, 2005, 4.

³⁹⁹ Smith S., Martinez J., An Analytical Framework for Dispute System Design, *Harvard Negotiation Law Review*, Vol. 14, 2009, 146.

⁴⁰⁰ Blackshaw S. I., *Sport, Mediation and Arbitration*, T.M.C. Asser Press, Hague, 2009, 243.

⁴⁰¹ Hodge C., Vogenauer S., Tulibacka M., *The Costs and Funding of Civil Litigation*, Hart Publishing, Oregon, Oxford and Portland, 2010, 28.

საწყის ეტაპზე მორიგებას ამჯობინებენ, ვიდრე წლების შემდეგ სასამართლოში საქმის მათ სასარგებლოდ დასრულებას. მეორე ის, რომ ამერიკული სამართლის კიდევ ერთი მახასიათებელია მტკიცუბულების შეგროვების პროცესის სიძვირე.⁴⁰² და ბოლოს, აშშ-ში ნაფიცი მსაჯულები მონაწილეობენ არა მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეებში, არამედ სამოქალქო სამართლის დავების განხილვაშიც, რაც მნიშვნელოვნად ართულებს (მოსალოდნელი შეღების განჯვრეტადობის თვალსაზრისით) და აძვირებს სამართალწარმოებას.

3. ამერიკის ადვოკატთა ასოციაციამ და იურიდიულმა სკოლებმა იმთავითვე დაიწყეს მედიაციის პოპულარიზაცია. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დაიწყეს „კარგი“ იურისტის, ადვოკატის, დამცველის ცნების მოდიფიცირება. კერძოდ, თუ ადრე კარგი ადვოკატი ასოცირდებოდა კარგ მებრძოლთან, მსროლელთან და გლადიატორთან, რომელიც თავდაუზოგავად იბრძოდა შეჯიბრებითობის პრინციპზე დამყარებული სასამართლო და საარბიტრაჟო პროცესების მოსაგგბად, მედიაციის (და თანამშრომლობის იდეაზე დამყარებული კონფლიქტის გადაწყვეტის მეთოდების) განვითარების პარალელურად მათ წამოწიეს იურისტის უნარი, იყოს „პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული“. შესაბამისად, არა „მებრძოლი“, „გლადიატორი“, არამედ – „მკურნალი“ და „მშვიდობისმყოფელი“. ეს კი გამოიხატება მათ მიერ სასამართლოსადმი მიმართვამდე საკუთარი კლიენტისათვის მედიაციის (საქმის მორიგებით დასრულების) უპირატესობების განმარტებაში და, რაც მთავარია, სასამართლოს გზით დავის გადაწყვეტის მხოლოდ მას შემდეგ მოთხოვნაში, როცა დარწმუნდებიან, რომ საკუთარი კლიენტისათვის დავის ხელსაყრელი მორიგებით დამთავრების ყველა გზა მოსინჯულ იქნა და ყველა შესაძლებლობება – გამოყენებული.

ამრიგად, აშშ-ში სხვადასხვა პირობა არსებობდა იმისათვის, რომ მხარეებს სასამართლოს გვერდის ავლით დავის მორიგებით დამთავრება აერჩიათ, რომელთა ერთობლიობამაც გამოიწვია სასამართლოს მომხმარებლებს შორის მედიაციით დაინტერესება, ხოლო შემდგომში – მიღწეული შედეგით კმაყოფილება.

ამერიკელი იურისტების გარკვეული ნაწილის მოლოდინი, რომელიც იმედოვნებდნენ, რომ საზოგადოების დამოკიდებულება სამართლებრივი კონფლიქტისადმი შეიცვლებოდა და მოდავე მხარეების მიერ პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღების კულტურა თანდათანობით დამკვიდრდებოდა, გამართლდა.⁴⁰⁴ ეს კი მეტწილად მედიაციის ინსტიტუტის დაწერგვის პროცესში ჩართულ პირებს შორის მჭიდრო თანამშრომლობით მოხერხდა. ყოველივე ზემოაღნიშნულმა განაპირობა ის, რომ დღეს აშშ-ში მედიაცია აღიქმება სხვადასხვა ფუნქციის მატარებელ ინსტუტად. მისი დანიშნულებაა მხარეთა მორიგება, სასამართლოს განტვირთვა,

⁴⁰² ამასთან დაკავშირებული ფედერალური წესები იხ.: <<http://www.law.cornell.edu/rules/fre>>, [30/12/2014].

⁴⁰³ Abramson I. H., Mediation Representation, Second Edition, Oxford University Press, New York, 2011, 123.

⁴⁰⁴ Rogers H. N., McEwen A. C., Mediation: Law, Policy, Practice, The Lawyers Co-operative Publishing Company, Rochester, 1989, 41.

მხარეთა და სასამართლოს დროისა და ფულის დაზოგვა. ამასთან, მხარეთა მორიგების ფუნქციასთან ერთად, მას განიხილავენ კიდევ უფრო მეტის მიღწევის საშუალებად, კერძოდ, როგორც მხარეთა მოსმენის, საქმესთან დაკავშირებული არასამართლებრივი, მაგრამ მნიშვნელოვანი ინფორმაციისა და ინტერესების განხილვის შედეგად ინფორმირებული და ნებაყოფლობითი გადაწყვეტილების მიღებით დავის ტრანსფორმირების საშუალებად.⁴⁰⁵

⁴⁰⁵ *Ingen-Housz A.*, ADR in Business: Practice and Issues Across Countries and Cultures, Vol. II, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2011, 422.

2. მედიაციის სამართლებრივი რეგულირება

2.1 ფედერალური რეგულირება

შეერთებული შტატებში სასამართლოებში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების დამკვიდრების ათვლის წერტილად 1990 და 1996 წლებს მიიჩნევენ, რადგან 1990 წელს საკანონმდებლო დოკუმენტები „სამოქალაქო სამართლის რეფორმირების აქტი“⁴⁰⁶, ხოლო 1996 წელს – პრეზიდენტ კლინტონის აღმინისტრაციის მიერ „სამოქალაქო სამართლის რეფორმის“ ბრძანებულება⁴⁰⁷. პირველი მათგანით ყველა ფედერალურ ოლქს დაევალა სასამართლო პროცესის ხარჯებისა და საქმის განხილვის დროის შემცირებასათან ერთად სამართლიანი, ჩქარი და იაფი დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების შემუშავების სამოქმედო გეგმის მიღება,⁴⁰⁸ ხოლო მეორე მათგანით პრეზიდენტი ფედერალურ სამსახურებს ავალებდა, კერძო სამართლებრივი დავები გადაეწყვიტათ მშვიდობიანი და ნაკლებ ხარჯიანი ალტერნატიული საშუალებებით.

მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი ზემოაღნიშნული აქტი დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებებს შორის უპირატესობას არ ანიჭებდა რომელიმე ფორმას, მედიაციამ თავად მოიპოვა დომინირებული აღგილი. 1997 წლისათვის საოლქო სასამართლოების ნახევარზე მეტს მედიაციის პროგრამა შემუშავებული ჰქონდა. 1998 წლის „დავების გადაწყვეტის აქტით“⁴⁰⁹ ყველა ფედერალურ სასამართლოს მედიაციის ცენტრის ცალკე განვითარება მოეთხოვა.⁴¹⁰ ამასთან, „დავების გადაწყვეტის აქტით“ კონგრესმა ყველა სახელმწიფო უწყებას (არა მხოლოდ სასამართლოებს) დაავალა, რომ ხელი შეეწყოთ დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების განვითარებისათვის და საკუთარ უწყებაში აერჩიათ ამ პროექტზე პასუხისმგებელი ერთი პირი – დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების ოფიცერი.

ამბობენ, რომ როგორც „სამოქალაქო სამართლის რეფორმირების აქტმა“ შეუწყო ხელი სასამართლო სისტემაში მედიაციის განვითარებას, ისე, „დავების გადაწყვეტის აქტმა“ განაპირობა მის აღმასრულებელ ხელისუფლებაში დამკიდრება.⁴¹¹ შედეგად, დღეისათვის აღმასრულებელ ხელისუფლებაში მედიაციის გზით რეგულირდება შრომის, ლიცენზირების, წიაღის მოპოვების, საგადასახადო, ეკოლოგიურ და ენერგორესურსების საკითხებთან დაკავშირებული დავები.

⁴⁰⁶ ინგლ. Civil Justice Reform Act, ი.ხ.:

<<http://www.uscourts.gov/Statistics/civilJusticeReformActReport.aspx>>, [24/12/2014].

⁴⁰⁷ ინგლ. Executive Order # 12988, Civil Justice Reform, ი.ხ.:

<<http://www.gpo.gov/fdsys/pkg/FR-1996-02-07/pdf/96-2755.pdf>>, [24/12/2014].

⁴⁰⁸ Spencer D., Brogan M., Brogan C. M., *Mediation Law and Practice*, Cambridge University Press, New York, 2006, 29.

⁴⁰⁹ ინგლ. Dispute Resolution Act, ი.ხ.:

<<http://www.adr.gov/ADR%20ACT%201998.pdf>>, [24/12/2014].

⁴¹⁰ Spencer D., Brogan M., Brogan C. M., *Mediation Law and Practice*, Cambridge University Press, New York, 2006, 29.

⁴¹¹ იქვე, 30.

მედიაციის და დავის გადაწყვეტის სხვა ალტერნატიული საშუალებების განვითარების საწყის ეტაპზე აშშ-ის ხელისუფლება ფედერალური აქტების შემუშავებით ცდილობდა, ჩართული კოფილიყო რეგულირების პროცესში და გარკვეულწილად ეკონტროლებინა ის, თუმცა ტენდენცია თანდათან იცვლებოდა⁴¹² და დავების ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებები სულ უფრო და უფრო მეტად დამოუკიდებელი (თვითრეგულირებადი) ხდებოდა. შედეგად, შტატების ინდივიდუალური სასამართლოების მიერ შემუშავებული პროცედურული წესებით მინიმალურად შემცირდა ფედერალური ორგანოების მხრიდან ბიუროკრატიული ჩარევა.

2.1.1 უნიფიცირებული აქტი

აშშ-ში მედიაციის ინსტიტუტის განვითარების პროცესის გარკვეულ ეტაპზე მედიაციის უნიფიცირების პრობლემა დადგა, რადგან უნიფიცირებული კანონმდებლობის არარსებობის გამო, მედიაციის პროცესის ისეთი ფუნდამენტური საკითხიც კი, რომორიცაა კონფიდენციალურობის დაცვა, განსხვავებულად იყო აღქმული პრაქტიკოსი მედიატორების მიერ. მე-20 საუკუნის მიწურულს 2500-ზე მეტი სამართლებრივი აქტი ეხებოდა აშშ-ის ტერიტორიაზე მედიაციის ინსტიტუტს, რომელთაგან 250-ზე მეტი აწესრიგებდა⁴¹³ მედიაციის პროცესში კონფიდენციალურობის დაცვის საკითხს. აღნიშნული მიზეზით, სახელმწიფო კანონმდებლობის რწმუნებულთა ნაციონალურმა კონფერენციამ⁴¹⁴ 2001 წლის აგვისტოში „მედიაციის უნიფიცირებული აქტი“⁴¹⁵ შეიმუშავა. იმის გათვალისწინებით, რომ სხვადასხვა სამართლებრივ აქტში მარეგულირებელი ნორმების დაქსაჭულობა ართულებდა მედიაციის პროცესს, უნიფიცირებული აქტის მიღების მიზანი მედიაციის პროცესის მონაწილეთა პრივილეგიისა⁴¹⁶ და კონფიდენციალობის დაცვის ერთიანი, ნათელი და ამომწურავი კანონმდებლობის შექმნა იყო.

აღსანიშნავია, რომ 2003 წელს უნიფიცირებულ აქტში ცვლილებები შევიდა, რომლის მთავარი მიზეზიც 2002 წელს გაერთიანებული ერების საერთაშორისო საგაჭრო სამართლის კომისიის მიერ „საერთაშორისო სავაჭრო მორიგების შესახებ“ მიღებულ მოდელურ კანონთან თანხვედრაში მოყვანა იყო.⁴¹⁷ ვინაიდან მედიაციის პროცესის ჯეროვნად ჩატარებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ მხარეებმა შეძლონ დიად საუბარი, უნიფიცირებული აქტის მთავარი საზრუნვავი სწორედ პროცესის მანძილზე წარმოებული კომუნიკაციის კონფიდენციალურობის დაცვა იყო. ამას-

⁴¹² Bhatia K. V., Candlin N. C., Gotti M., *The Discourses of Dispute Resolution*, Peter Lang, Bern, 2010, 232.

⁴¹³ განმარტებითი ბარათი, თუ რატომ უნდა მიიღონ შტატებმა უნიფიცირებული აქტი, ი.ხ.: <<http://uniformlaws.org/Narrative.aspx?title=Why%20States%20Should%20Adopt%20UMA>>, [24/12/2014].

⁴¹⁴ ინგლ. National Conference of Commissioners on Uniform State Law, ი.ხ.: <<http://uniformlaws.org/Act.aspx?title=Mediation%20Act>>, [24/12/2014].

⁴¹⁵ ინგლ. Uniform Mediation Act, ი.ხ.: <http://www.uniformlaws.org/shared/docs/mediation/uma_final_03.pdf>, [11/05/2013].

⁴¹⁶ მედიატორის პრივილეგია დეტალურად მიმიხილულია ამავე თავის 3.3 პარაგრაფში.

⁴¹⁷ ინგლორმაცია ი.ხ.:

<<http://www.uniformlaws.org/Act.aspx?title=Mediation%20Act>>, [11/05/2013].

თან, მხარეთა ავტონომიის უფლების დაცვის მიზნით, აქტი მედიაციაში მონაწილე მხარეებს როგორც პრივილეგიის, ისე კონფიდენციალურობის საკითხზე სხვაგვარად შეთანხმების საშუალებას აძლევს. უნიფიცირებული კანონმდებლობა ნაციონალურმა კომისიამ ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის დავის ალტერნატიულ გადაწყვეტის სექციასთან თანამშრომლობით შეიმუშავა. აღნიშნული აქტი მედიაციის პროცესის კონფიდენციალურობასთან ერთად, მასში მონაწილე პირებზე (ჩვენების მიცემისაგან თავისუფლების) პრივილეგიის გავრცელების წესებსაც ადგენს. „მედიაციის უნიფიცირებული აქტი“ ადგენს კონფიდენციალურობის მიმართ მინიმალურ სტანდარტს, რომლის გამოც კალიფორნიის შტატის უზენაესმა სასამართლომ ის უარყო და კიდევ უფრო მაღალი სტანდარტი დაადგენა. კერძოდ, კონფიდენციალურობის ფართო განმარტების ნაცვლად, რომელიც მოიცავს მედიაციის პროცესში შექმნილი მტკიცებულებების გამოყენების აკრძალვასაც, „მედიაციის უნიფიცირებული აქტის“ ავტორებმა არჩიეს მტკიცებულებების გამოყენების აკრძალვის უფლებამოსილების მხარეებისათვის და, გარკვეულ შემთხვევებში, მედიატორისათვის მინიჭება. სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიზიარებს აღნიშნულ მტკიცებულებას, თუ მხარეები შეთანხმდებიან და საკუთარი ნებით უარს იტყვიან მედიაციის პროცესში კომუნიკაციისას შექმნილი მტკიცებულებების კონფიდენციალურად შენახვისა და სხვა სამართლებრივ პროცესში მისი გამოყენების შეზღუდვის თაობაზე. უნიფიცირებული აქტის ავტორების აზრით, მტკიცებულების დაცვის პრივილეგია არ გამორიცხავს თავისთავად ხელშეკრულების გაანალიზების საშუალებას. პირიქით, ის ხელს უწყობს სასამართლოებს, განსაზღვრონ ბალანსი მედიაციის პროცესუალურ მოთხოვნებსა და მატერიალური სამართლის ნორმებს შორის.⁴¹⁸ შესაბამისად, სტანდარტებისა და მედიაციის პროგრამის ჩამოყალიბებისას, უნიფიცირებული მედიაციის აქტმა მედიაციის კონკრეტული პრობლემების გადაჭრის გზების შემუშავება სასამართლოებს მიანდო. კერძოდ, შტატის სასამართლები თავად წყვეტენ, დანერგავენ თუ არა ისინი შტატის მასშტაბით სავალდებულო მედიაციის, შეიმუშავებენ თუ არა მედიატორთა ქცევის სტანდარტს (და თუ შეიმუშავებენ – როგორს) და რა მინიმალურ სტანდარტს უნდა აკმაყოფილებდეს პირი, რათა სასამართლო მედიაციის პროგრამებში მიიღოს მედიატორის აკრედიტაცია. „მედიაციის უნიფიცირებული აქტი“ არ უარყოფს, რომ დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებები კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში უნდა ექცეოდეს, თუმცა ის ცდილობს, ხელი შეუწყოს მხარეთა მიერ წინასწარ შეთანხმებული წესებით დავების რეგულირებას, პროცესის მთლიანობის, საზოგადოების ინფორმირებულობისა და კანონმდებლობის ერთგვაროვნების დაცვას.⁴¹⁹ აღსანიშნავია, რომ მედიაციის უნიფიცირებულ აქტს შტატები მხოლოდ სასამართლო მედიაციასთან მიმართებით იყენებენ. ამასთან, მედიაციის პროცესში მონაწილეობასთან დაკავშირებით აქტი ითვალისწინებს არჩევით მექანიზმს.

„მედიაციის უნიფიცირებული აქტის“ მიხედვით, შტატმა, სხვა საკითხებთან ერთად, საკუთარი პრაქტიკით უნდა განსაზღვროს, თავის ტრიტორიაზე მედიაციის პროცესში მიღებულ ინფორმაციაზე რამდენად

⁴¹⁸ Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 1287.

⁴¹⁹ ინგლ. Prefatory Note Introduction, ob.:

<http://www.uniformlaws.org/shared/docs/mediation/uma_final_03.pdf>, [11/05/2013].

ფართოდ გავრცელდება პრივილეგია. თუ მედიაციის პროცესში მონაწილე მხარეები და მედიატორი გამოხატავენ სურვილს, რომ მათ შორის მედიაციის პროცესში გამართული კომუნიკაცია დაცული იყოს პრივილეგიით, „მედიაციის უნიფიცირებული აქტი“ ყველა მათგანზე თანაბრად ვრცელდება. მოლაპარაკებების პროცესი ყველა შემთხვევაში დაცული უნდა იყოს პრივილეგიით, თუმცა სხვა დოკუმენტები და მტკიცებულებები, რომლებიც მედიაციის პროცესში გამოიყენეს მხარეებმა, არ არის აპრიორი დაცული პრივილეგიით. მედიაციის პრივილეგია შესაძლოა არ იყოს გამოყენებული, თუ აღნიშნული ინფორმაცია ხელს უწყობს სისხლის სამართლებრივი დანაშაულის ჩადენას ან დაფარვას.⁴²⁰

აქტის მე-6 მუხლში ასახულია, თუ როგორ მოახერხეს „მედიაციის უნიფიცირებული აქტის“ ავტორებმა დავების გადაწყვეტის მექანიზმების გამჭვირვალობის თანმდევ საჯარო ინტერესსა და მედიატორებისათვის პრივილეგიის მინიჭების უკან მდარი მედიაციის პროცესის კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის მიზანს შორის ბალანსის დაცვა.⁴²¹ მედიაციის პროცესში პრივილეგიის ინსტიტუტი უძლურია, როდესაც მხარეები შეთანხმდებიან ან ადგილობრივი სტატუტები მოითხოვს მედიაციის პროცესის მსვლელობის დროს შექმნილი და წარმოდგენილი მტკიცებულების გახსნას ან როცა თვით მედიაციის პროცესი საჯაროდ ტარდება. ამასთან, მედიაციის პროცესში გამართული კომუნიკაცია არ ექცევა პრივილეგიის საფარქვეშ იმ შემთხვევაშიც, როცა საქმე ეხება მედიატორის მიერ პროფესიული ეთიკის დარღვევას ან ბავშვის, მოზარდის დაცვას. აქტის მე-7 მუხლი მედიატორებს უზღუდავს დავის ირგვლივ ყოველგვარი ანგარიშის, მოხსენების, რეკომენდაციის ან შეფასების მიცემას ისეთი ორგანოებისათვის (ან პირებისათვის), რომლებმაც შესაძლოა დავის ბედი გადაწყვიტონ. თუ რომელიმე სტატუტი გამონაკლისის სახით არ ავალდებულებს მედიატორს თავის პრივილეგიაზე უარის თქმას, ნებისმიერი სახის ინფორმაციის გაცვლის პროცესი მედიატორსა და დავის გადამწყვეტილების შორის (იქნება ეს სასამართლო, არბიტრაჟი თუ სხვა) უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ სადაცო საკითხზე მოდავე პირებს შორის მედიაციის პროცესის ჩატარების, დასრულების, მასში მხარეთა მონაწილეობისა და მორიგების მიღწევის თაობაზე ინფორმაციის გაცემით.⁴²² ასევე, „მედიაციის უნიფიცირებული აქტის“ თანახმად, მედიაციის პროცესში მხარის არაკეთილსინდისიერად მონაწილეობისათვის შესაძლოა გამოიყენონ სანქცია მხოლოდ ერთ შემთხვევაში – წინასწარი გაფრთხილების გარეშე მედიაციის სესიაზე გამოუცხადელობის დროს.⁴²³

მედიაციის პროცესის კონფიდენციალურობისა და სხვა პრივილეგიის დაცვის მიზნით, „მედიაციის უნიფიცირებული აქტი“ კანონით დადგენილი წესებისა და კერძო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ნაზავს ეყრდნობა. შესაბამისად, მხარეებს შეუძლიათ ნორმატიული წესებით დადგენილი ზღვრის მიღმა კონფიდენციალურობის დაცვის დამატებითი მექანიზმების ხელშეკრულებით გათვალისწინება. თვით აქტის

⁴²⁰ Uniform Mediation Act, Reporter's Note Section 5(c), იხ.:<http://www.uniformlaws.org/shared/docs/mediation/uma_final_03.pdf>, [11/05/2013].

⁴²¹ Uniform Mediation Act, მე-4 მუხლის კომენტარები, იხ.:<http://www.uniformlaws.org/shared/docs/mediation/uma_final_03.pdf>, [11/05/2013].

⁴²² Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 1290.

⁴²³ იქვე.

კომენტარებშივე არის ახსნილი, თუ რატომ ამჯობინეს ავტორებმა რეგულირების ასეთი დინამიკა.⁴²⁴ ამით მათ საკუთარი პატივისცემა გამოხატეს სასამართლოთა ადგილობრივი წესების მიმართ, რომლებიც მედიაციის პროცესის კონფიდენციალურობის მთავარი საყრდენია. იმავდროულად, მათ დეტალურად მოაწესრიგეს აღნიშნული საკითხი, რათა სასამართლოებს ვედარ დაეწესებინათ ახალი შეზღუდვები კანონმდებლობის განმარტების საფუძველზე. შესაბამისად, უნიფიცირებული აქტის მე-8 მუხლი, ერთი მხრივ, სასამართლოებს კონფიდენციალურობის საკუთარი სტატუტებისა და მხარეთა შეთანხმების ფარგლებში განმარტების საშუალებას აძლევს, ხოლო, მეორე მხრივ, არ ემხრობა მისგან საგამონაკლისო შემთხვევების დაწესებას მაშინაც კი, როცა მისი მიზანი აშკარად უსამართლო სამედიაციო შეთანხმების გამოსწორებაა.⁴²⁵

აშშ-ში სასამართლო მედიაციის პროცესში ყველა შტატში უნიფირებული აქტით არ რეგულირება. მედიაციის სტატუტებით, ფედერალური და შტატების კანონმდებლობით სასამართლოებს უფლებამოსილება აქვთ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თვითონ შეიმუშაონ მედიაციის ინსტიტუტის დანერგვისა და განვითარების სქემა. მეტიც, უნიფიცირებული მედიაციის აქტი მხოლოდ 12-მა შტატმა მიიღო.⁴²⁶ ნიუ-იორკის შტატში ის ჯერ კიდევ არ მიუღიათ, რის გამოც, ანგლო-ამერიკული სამართლისათვის ტრადიციული „ზიანის მიყენების გარეშე მოღაპარაკებების“⁴²⁷ წესების შესაბამისად, თავად მოსამართლეები წყვეტენ მედიაციის დროს შექმნილი მტკიცებულებების სასამართლო პროცესზე დაშვების საკითხს. როგორც წესი, შტატის კანონმდებლობა უპირატესობით სარგებლობს, თუ მისი ნორმები კონფიდენციალურობის დაცვისა და მედიაციის პროცესში არაკეთილსინდისიერად მონაწილეობის შესახებ ფედერალურ კანონმდებლობასთან წინააღმდეგობაში მოდის, აღსანიშნავია, რომ შტატის სასამართლოები პროცესის კონფიდენციალურობის დაცვისას უმეტესწილად უნიფიცირებული მედიაციის აქტით ხელმძღვანელობენ.⁴²⁸

2.2 მედიაციის რეგულირება კალიფორნიის შტატებში

ფრენკ სანდერის იდეის განხორციელება პირველად კალიფორნიის სასამართლოებმა დაიწყეს იმ მიზნით, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს მოდავე მხარეებისათვის დავის მათოვის ყველაზე ხელსაყრელი გადაწყვეტის მექანიზმი შეეთავაზებინათ, იქნებოდა ეს დავის სასამართლო წესით განხილვა, მედიაცია თუ დავის რეგულირების სხვა ფორმა.⁴²⁹ კალიფორნიის შტატის ქალაქ სან მარტინს შტატის პირვე-

⁴²⁴ უნიფიცირებული მედიაციის აქტის მე-8 მუხლი და კომენტარები, იხ.: <http://www.uniformlaws.org/shared/docs/mediation/uma_final_03.pdf>, [11/05/2013].

⁴²⁵ Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 1290.

⁴²⁶ იხ.:<<http://www.uniformlaws.org/LegislativeFactSheet.aspx?title=Mediation%20Act>>, [03/09/2015].

⁴²⁷ იხგლ. Without-Prejudice Negotiation.

⁴²⁸ Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 1255.

⁴²⁹ Martinez J., Purcell S., Shaked-Gvili H., Mehta M., Dispute System Design: a Comparative Study of India, Israel and California, Cardozo Journal of Conflict Resolution, Vol.14, Issue 3, 2013, 811.

ლი ინსტაციის სასამართლოში მედიაციის პროგრამა ეტაპობრივად დაინირგა. კერძოდ, პირველ ეტაპზე ადვოკატთა ასოციაციის ადგილობრივ (საოლქო) წარმომადგენლობასა და პენინსულას დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების ცენტრთან თანამშრომლობით პილოტური პროგრამა შემუშავდა.⁴³⁰ პროგრამის მიხედვით, სამოქალაქო სამართლის დავებზე მოსამართლეს შეეძლო სამედიაციო ცენტრის წარმომადგენელსა და მხარეებს შორის საინფორმაციო შეხვედრა დაენიშნა. აღნიშნული შეხვედრის მიზანი იყო ცენტრის თანამშრომლების მიერ მხარეთათვის ინფორმაციის მიწოდება დავის ალტერნატიული საშუალებების დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ. ამის შემდეგ ინფორმირებული მხარეები მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე თანხმობის ან უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას თავად იღებდნენ. შესაბამისად, თუ ამას მოსამართლე საჭიროდ ჩათვლიდა, მხარეები ვალდებული იყვნენ, მიეღოთ საინფორმაციო შეხვედრაში მონაწილეობა, მაგრამ თვით მედიაციის პროცესის გასამართად აუცილებელი იყო თანხმობა. მაშასადამე, თავდაპირველ ეტაპზე სან მატერის შტატის სასამართლოში მედიაციის ნებაყოფლობითი მოდელი იქნა დანერგილი. იმ მხარეებს, რომლებიც მედიაციის პროგრამაში მონაწილეობას თანხმდებოდნენ, ეძლეოდათ შესაძლებლობა, თავად აერჩიათ მედიატორი ან პროგრამის აღმინისტრატორისთვის ეთხოვათ დახმარება მედიატორთა სიიდან ერთ-ერთის ასარჩევად.⁴³¹

სან მატერის პირველი ინსტაციის სასამართლოს ზემოაღნიშნულ მედიაციის პროგრამაში მონაწილეობისას მხარეები თანაბრად ინაწილებენ მედიატორის პონორარსა და მედიაციის პროცესის სხვა ხარჯებს. თუ მხარეები დაასაბუთებდნენ ფინანსური დახმარების აუცილებლობას, მაშინ სასამართლოს შესაძლოა ისინი პრო-ბონო მედიატორთან გადაემისამართებინათ.⁴³²

სან მატერიში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების პილოტური პროგრამის წარმატების შემდეგ კალიფორნიის მთელ შტატში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების გამოყენებამ იმატა.⁴³³ კერძოდ, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების პროგრამას ნეიტრალური პირის მიერ საქმის შეფასებისად⁴³⁴ და სასამართლო არბიტრაჟის⁴³⁵ ინსტიტუტები დაემატა, ხოლო მედიაციის პროგრამა გაფართოვდა არასრულწლოვნებისა და საოჯახო სამართლის საქმეების მიმართულებითაც.⁴³⁶

⁴³⁰ Peninsula Conflict Resolution Center, ob.:<<http://www.percweb.org/>>, [11/02/2014].

⁴³¹ Martinez J., Purcell S., Shaked-Gvili H., Mehta M., Dispute System Design: a Comparative Study of India, Israel and California, Cardozo Journal of Conflict Resolution, Vol.14, Issue 3, 2013, 812.

⁴³² იქვე.

⁴³³ დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმების განვითარების პროცესში კალიფორნიის მართლმხაჭულების შესვეურებმა საზოგადოებრივი მართლმსაჯულების პროგრამის გაუქმებაზე უარი თქვეს. დღემდე კალიფორნიის შტატში მცირე ზომის დავებზე მედიაციის პროცესს საზოგადოებრივი ორგანიზაციები ახორციელებენ (მათ შორის, რელიგიური ორგანიზაციები), რომლებიც დაფინანსებას ნაწილობრივ სახელმწიფოსგან იღებენ.

⁴³⁴ ინგ. Neutral Evaluation.

⁴³⁵ ინგ. Judicial Arbitration.

⁴³⁶ Martinez J., Purcell S., Shaked-Gvili H., Mehta M., Dispute System Design: a Comparative Study of India, Israel and California, Cardozo Journal of Conflict Resolution, Vol.14, Issue 3, 2013, 812.

პრაქტიკული თვალსაზრისით, კალიფორნიის შტატში სასამართლო მედიაციის⁴³⁷ შემდგომი განვითარებისათვის მნიშვნელოვანი იყო კალიფორნიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1775-ე და 1775.2 მუხლების⁴³⁸ მიღება, რომლებიც რაიონულ სასამართლოებს მართლმსაჯულების სისტემაში მედიაციის პილოტური პროგრამის დაწერაგვის უფლებამოსილებას ანიჭებდა. „კალიფორნიის სასამართლო წესების“ 3.891 წესით⁴³⁹ კი დაკონკრეტდა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი შეიძლება სავალდებულო წესით სამედიაციო ცენტრს გადაეცეს იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის დირებულება არ აღემატება 50 000 აშშ დოლარს, თუმცა მსგავს შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილება მხარეთა მიერ გამოთქმულ შეხედულებებს უნდა ეფუძნებოდეს და საქმე უნდა მიესადაგებოდეს მედიაციას. თუ მხარეები სასამართლოში დავის განხილვის პროცესში დადგენ სამედიაციო შეთანხმებას დავის საგნის სიდიდის მიუხედავად, მოსამართლეს ევალება, ნებისმიერი საქმის გადაცემა სამედიაციო ცენტრისათვის. პრაქტიკაში დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმებს უფრო ხშირად მთავარ სასამართლო სხდომამდე მოსამზადებელი (ინგლ. *pre-trial*) პროცედურების დროს მიმართავენ, ვიდრე მთავარი პროცესის მსვლელობისას, როგორც ეს კალიფორნიის სასამართლო წესებშია გაწერილი.⁴⁴⁰ საკრამენტოს რაიონული სასამართლოს⁴⁴¹ მიერ შემუშავებული პოლიტიკის მიხედვით, „მართლმსაჯულების განხორციელებაში სამოქალაქო სამართლის საქმეთა მორიგებით დასრულების კეთილსინდისიერ მცდელობას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს და ამიტომაც ის უნდა განახორციელონ“.⁴⁴² სამოქალაქო სამართლის საქმეებზე სარჩელის შეტანიდან 120 დღის გასვლის შემდეგ საქმეთა ელექტრონული მართვის პროგრამა მხარეებს შეტყობინებას უგზავნის საქმის მართვის მიზნით დანიშნული შეხვედრის შესახებ. შეხვედრაზე გამოცხადებისას მხარეებმა თან უნდა იქონიონ დავის ალტერნატიული საშუალებების დახმარებით კონფლიქტის გადაწყვეტის შესახებ საკუთარი განცხადება.⁴⁴³ მასში მითითებული უნდა იყოს სადაცვო საკითხები და მოდავე მხარის შეხედულებით მათი შესაძლო გადაწყვეტის გზები. მედიაციის მოთხოვნის შემთხვევაში ინიშნება მედიაციის პროცესი, რომელში მონაწილეობითაც მხარეები თავიდან იცილებენ საკრამენტოს სასამართლო-მორიგების პროგრამაში მონაწილეობას, რაც მხარეთათვის სავალდებულოა მაშინაც კი, როცა მათ არ აქვთ მასში მონაწილეობის სურვილი. ამ შემთხვევაში მოდავე მხარეებისათვის მედიაციის პროცესში უშუალო მონაწილეობა სავალდებულო ხდება.

⁴³⁷ ინგ. Court Annexed Mediation.

⁴³⁸ California Code of Civil Procedure, იბ.: <http://www.leginfo.ca.gov/cgi-bin/calawquery?codesection=ccp>, [11/05/2013].

⁴³⁹ California Rules of Court, იბ.: <http://www.courts.ca.gov/rules.htm>, [11/05/2013].

⁴⁴⁰ Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 1258.

⁴⁴¹ Sacramento County Supreme Court, იბ.: <http://saccourt.ca.gov/local-rules/docs/chapter-04.pdf>, [11/05/2013].

⁴⁴² Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 1258.

⁴⁴³ მედიაციის განცხადების შესახებ ის. კალიფორნიის სასამართლო წესების წესი № 3.894(ბ)(2), ინგლ. California Rules of Court, http://www.courts.ca.gov/documents/title_3.pdf, [25/12/2014].

პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მედიაციის გამოყენების წახალისების მიზნით შემდეგი წესი იქნა შემუშავებული: „საკრამენტოს ადგილობრივი წესების“⁴⁴⁴ 12.23(A)(2) წესით, სასამართლოს მიერ დანიშნული მედიაციის პროცესის დროს მედიატორს შეუძლია მოითხოვოს მედიაციის პროცესის ანაზღაურება პირველი სამი საათისათვის მაქსიმუმ 200 აშშ დოლარის ფარგლებში, რომელსაც აანაზღაურებს სასამართლო. თუ მხარეები გადაწყვეტინ მედიაციის პროცესის გაგრძელებას სამ საათზე მეტი დროით, მაშინ დამატებითი საათებისათვის მათ პირადად უნდა გადაუხადონ მედიატორს პონორარი. მის ოდენობასაც მედიატორი თავად განსაზღვრავს. ადნიშნული წესი, ერთი მხრივ, აჩქარებს მედიაციის პროცესის მსვლელობას, ხოლო მეორე მხრივ, მხარეებს აძლევს მედიაციის მოსინჯვის შესაძლებლობას ყოველგვარი ფინანსური დანაკარგის გარეშე.

გარდა ამისა, საკრამენტოს სასამართლო სთავაზობს მომხმარებელს დამაბალანსებელი ტესტის ჩატარებას, რომლის მიზანია დაეხმაროს მხარეებს სასამართლო მედიაციასა და დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების პროგაიდერ კერძო ინსტიტუტს შორის სწორ არჩევანში. ვინაიდან ორივე მათგანს აქვს დადგებითი და უარყოფითი მხარე,⁴⁴⁵ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლოა ერთი უფრო უფასო მცდელობა, მხარეებმა თავად აიღონ პასუხისმგებლობა საკუთარ დავაზე და თავად განსაზღვრონ, რომელი ფორუმი ჯობია მათ წინაშე არსებული პრობლემის გადასაწყვეტად.

„კალიფორნიის სასამართლოს წესების“ №3.894(ა) (1) ნორმის მიხედვით, მხარეები და მათი წარმომადგენლები უნდა მონაწილეობდნენ მედიაციის პროცესში, თუ არ არსებობს რაიმე საპატიო მიზეზი, თუმცა მხარეებს უფლება აქვთ, მედიაციის პროცესი ნებისმიერ დროს შეწყვიტონ. საქმეზე „კალიფორნიის ვუდსაიდი ჰოუმსი რივერსადის (პირველი ინსტანციის) უმაღლესი სასამართლოს წინააღმდეგ“,⁴⁴⁶ სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამედიაციო შეთანხმება შესაძლოა გაუქმდეს თუ მედიაციის პროცესი მიუღებელია მხარისათვის.⁴⁴⁷ კერძოდ, როცა სავალდებულო მედიაციის პროცესში მონაწილეობა მიუღებელია საოჯახო

⁴⁴⁴ Local Rules of the Sacramento County Superior Court, იხ.:

<<http://www.saccourt.ca.gov/local-rules/local-rules.aspx>>, [25/12/2014].

⁴⁴⁵ კალიფორნიის შტატის სასამართლოების დავის გადაწყვეტის პროგრამები, სასამართლოს მომხმარებელთ აძლევს შესაძლებლობას, აირჩიონ არა მხლოდ დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებებს შორის რომელი მექანიზმი იქნება საუკეთესო მათი უთანხმოების გადასაწყვეტად (არბიტრაჟი, ნეიტრალური პირის მიერ დავის ადრეული შეფასება, მედიაცია, თუ სხვა), არამედ, ასევე, აძლევს საშუალებას, აირჩიონ ორიდან ერთ-ერთი ან სასამართლო მედიაციის პროგრამაში მონაწილეობა, სადაც შედარებით ნაკლებად ცნობილი და აღიარებული მედიატორები საქმიანობენ, ან კერძო სამედიაციო ორგანიზაციი, სადაც, როგორც წესი, უფრო მეტად ავტორიტეტული და აღიარებული მედიატორები მუშაობენ. პროფესიონალიზმის თვალსაზრისით, კერძო კომპანიების მედიატორები უფრო მაღალ საფეხურზეც დგანან, თუმცა, როგორ წესი, მათი მომსახურება გაცილებით ძვირიად დირებულია. ასევე, კერძო მედიატორთან მიღწეულ მორიგებას სასამართლო არ ამტკიცებს. შესაბამისად, ვერც სააღსრულობო ფურცელი გაიცემა ასეთის საჭიროების შემთხვევაში.

⁴⁴⁶ *Woodside Homes of California v. The Superior Court of Riverside*, 107 Cal. APP. 4th Dist., 2003. 723, 731.

⁴⁴⁷ Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 1259.

დავის ერთ-ერთი მხარისათვის, მედიაციაზე უარის თქმის უფლება სასა-მართლომ უნდა გაითვალისწინოს.⁴⁴⁸

კალიფორნიის შტატის სასამართლო სისტემაში⁴⁴⁹ შემავალ სხვა-დასხვა სასამართლო რგოლებსა და ინსტანციების სასამართლოებს სა-სამართლო მედიაციის პროცესის შესახებ განსხვავებული მიღმები და წესები ჰქონდათ,⁴⁵⁰ თუმცა განზოგადებულად ფაქტორები, რომლებმაც მე-დიაციის წარმატებულად დანერგვა და განვითარება განაპირობა, იყო⁴⁵¹:

- პილოტური პროგრამით დაწყება და თანმიმდევრულად ყველაზე მე-ტად მოთხოვნად სფეროებში სავალდებულო მედიაციის ინსტიტუ-ტის შეტანა;
- საზოგადოებაში მედიაციის შესახებ ცნობიერების გაზრდა და მე-დიაციის პროგრამაში მონაწილე მხარეების ფინანსური წახალისე-ბა;
- მაღალი პროფესიონალური უნარების მქონე კადრების აყვანა, რო-მელთაც მედიაციის სფეროთი დაინტერესებულ პირებსა და ორგა-ნიზაციებთან კავშირის დამყარებისა და თანამშრომლობის უნარი ჰქონდათ;
- ყველა დაინტერესებული პირის მონაწილეობა მედიაციის პროგრა-მის შემუშავებაში;
- მართლმსაჯულების სფეროში მნიშვნელოვანი მოთამაშების – ბან-კების, სადაზღვევო კომპანიებისა და სახელმწიფო უწყებების მარ-თლმსაჯულების რეფორმის პროცესში ჩართვა და მათი შენიშვნე-ბის გათვალისწინება;
- მედიაციორთა ტრეინინგისა და სერტიფიცირების საკითხის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა და კონტროლი;
- პროცესში მონაწილე და ჩართული პირების ანგარიშების, შეფასე-ბებისა და მოხსენებების საფუძველზე მიღწეული შედეგების ყო-ველწლიური და კვარტლური ანალიზი.

2.3 მედიაციის რეგულირება ფლორიდის შტატში

მედიაციის ინსტიტუტის ჩამოყალიბებისათვის ფლორიდის შტატის კანონმდებელმაც ისეთივე სამართლებრივი რეგულირების ტექნიკას მი-მართა, როგორსაც კალიფორნიის შტატის კანონმდებელმა.⁴⁵² კერძოდ, მე-დიაციის სტატუტი გავრცელდიდა შტატის უზენაესი სასამართლოსა და ადგილობრივი სასამართლოების მიერ გამოქვეყნებულ სამოქალაქო პრო-

⁴⁴⁸ *Woodside Homes of California v. The Superior Court of Riverside*, 107 Cal. APP. 4th Dist., 2003. 723, 731.

⁴⁴⁹ ი.ბ.:<<http://www.courts.ca.gov/>>, [25/12/2014].

⁴⁵⁰ შეადარეთ „საკრამენტოს ადგილობრივი სასამართლო წესების“ №12.18 წესი, კალიფორნიის სააპელაციო სასამართლოს მედიაციის განცხადებას, ი.ბ.: <<http://www.courts.ca.gov/documents/respondent-med-appeal.pdf>>, და „მესამე ოლქის სააპელაციო სასამართლოს ადგილობრივ წესების“ №1 (ბ) წესს ი.ბ.: <<http://www.courts.ca.gov/2974.htm>>, [04/01/2015].

⁴⁵¹ Martinez J., Purcell S., Shaked-Gvili H., Mehta M., Dispute System Design: a Comparative Study of India, Israel and California, Cardozo Journal of Conflict Resolution, Vol.14, Issue 3, 2013, 825.

⁴⁵² Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 1262.

ცესის წესებში. სხვა შტატებისაგან განსხვავებით, ფლორიდის შტატის მედიაციის ინსტიტუტისათვის დამახასიათებელია სხვადასხვა სასამართლოში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების პროგრამების ერთგვაროვნება. აღნიშნული, ერთი მხრივ, ფლორიდის შტატის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებამ,⁴⁵³ რომელიც მართლმსაჯულებაზე, მათ შორის, დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმებზე ხელმისაწვდომობას უველა მოქალაქისათვის თანაბრად უზრუნველყოფას მოითხოვს, ხოლო, მეორე მხრივ, ფინანსური კრიზისის დროს სასამართლოს ბიუჯეტის მნიშვნელოვნად შემცირებამ.

ფლორიდის შტატის თავისებურება ისაა, რომ მისი ინსტიტუციონალიზება მედიაციის არაფორმალური ხასიათის გათვალისწინების გარეშე მოხდა. კერძოდ, „ფლორიდის სტატუტის“ 44.201 მუხლით,⁴⁵⁴ სასამართლოს თავმჯდომარებებს უფლებამოსილება ენიჭებათ, შექმნან „მოქალაქეთა დავების მოსარიგებელი ცენტრები“. აღნიშნულ ცენტრებს პყავთ საბჭოები, რომლის შემადგენლობაში შედიან ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები, მათ შორის, მთავარი პროკურორი, პოლიციის უფროსი, მოსამართლე, ოლქის წარმომადგენელი.⁴⁵⁵ აღნიშნული კომისია ადგენს ცენტრის მუშაობის წესებს. ცენტრის ფუნქციონირებისათვის კომისია დაფინანსებას იღებს ორგორც სახელმწიფო, ისე – კერძო სექტორიდან.⁴⁵⁶ „მოქალაქეთა დავების მორიგების ცენტრის“ ბაზაზე გამართულ მედიაციის პროცესში მონაწილეობა უფასოა, ხოლო მედიაციის პროცესი – არაფორმალური. მედიატორს არ შეუძლია მხარეების მიმართ რაიმე სანქციის ან ჯარიმის გამოყენება.⁴⁵⁷ აღნიშნულ ცენტრს ხშირად მოქალაქეები სასამართლოში სარჩელის შეტანამდეც მიმართავენ. მხარეები მედიაციის პროცესში მეტწილად აღვრკატების გარეშე მონაწილეობენ. მოქალაქეები მედიაციის პროცესის საფასურისაგან გათავისუფლებული არიან; მედიაციის პროცესის საშუალო ხანგრძლივობა ორ საათს არ აღემატება.⁴⁵⁸ კალიფორნიის შტატის წესებისაგან განსხვავდით, ფლორიდის სტატუტები მოსამართლეებს თავად აძლევს მითითებებს, თუ როდის გამოიყენონ დისკრეცია საქმის მედიაციის პროგრამისათვის გადაცემის შესახებ და როდის – არა.⁴⁵⁹ თუ დაგა შეეხება მატერიალური ზიანის ანაზღაურებას, ერთი მხარის შუამდგომლობის შემთხვევაშიც საქმე დაუყონებლივ უნდა გადაეცეს სამედიაცოდ. აღნიშნული წესი არ გრცელდება ქირავნობისა და სესხის ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ და არასწორი მკურნალობის შედეგად წარმოშობილ დავებ-

⁴⁵³ Supreme Court of Florida, No SC 00-429, 31 August 2000, ob.:<http://www.flcourts.org/gen_public/funding/bin/tcbc/admin%20orders/AOSC00-429AuthorityEstablishTcbc.pdf>, [04/01/2015].

⁴⁵⁴ Florida Statutes section 44.201, ob:<<http://www.flsenate.gov/Laws/Statutes/2012/44.201>>, [04/01/2015].

⁴⁵⁵ Florida Statutes section 44.201(1), ob:<<http://www.flsenate.gov/Laws/Statutes/2012/44.201>>, [04/01/2015].

⁴⁵⁶ Florida Statutes section 44.201(2)(c), ob:<<http://www.flsenate.gov/Laws/Statutes/2012/44.201>>, [04/01/2015].

⁴⁵⁷ Florida Statutes section 44.201(4) (a), ob:<<http://www.flsenate.gov/Laws/Statutes/2012/44.201>>, [04/01/2015].

⁴⁵⁸ Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 1263.

⁴⁵⁹ Florida Statutes Section 44. 102, ob:<<http://www.flsenate.gov/Laws/Statutes/2013/44.102>>, [04/01/2015].

ზე.⁴⁶⁰ ამასთან, მედიაციისათვის მიმართვის მომთხოვნ მხარეს უნდა სურდეს და შეეძლოს მედიაციის პროცესის საფასურის გადახდა ან მეორე მხარე თანახმა უნდა იყოს საფასურის თანაბრად გაყოფაზე. „ფლორიდის სამოქალაქო საპროცესო წესების“ 1.710 (ა) წესით,⁴⁶¹ მედიაციის პროცესი პირველი სესიის ჩატარებიდან 45 დღეში უნდა დასრულდეს. გაგრძელება დასაშვებია სასამართლოს ნებართვით ან, თუ ორივე მხარე მედიატორს მსგავსი თხოვნით მიმართავს. მედიაციის პროცესი მთავრდება ნაწილობრივი ან საბოლოო შეთანხმების მიღწევით. შეთანხმება იდება წერილობით და სასამართლოს გადაეცემა. თუკი ამას ადგილობრივი სასამართლოს წესები ითვალისწინებს, მორიგების მიუღწევლობის შემთხვევაში მედიატორი ზეპირად ატყობინებს სასამართლოს მედიაციის პროცესის წარუმატებლად დამთავრების შესახებ საქმესთან დაკავშირებით ყოველგვარი შეფასების ან რეკომენდაციების გაწევის გარეშე.⁴⁶² მხარე, თუ მას შეტყობინება ჯეროვნად აქვთ ჩატარებული, ვალდებულია, გამოცხადდეს მედიაციის პროცესზე. აღნიშნული მოთხოვნის არასაპატიო მიზეზით დარღვევის შემთხვევაში ის შეიძლება დაჯარიმდეს სასამართლოს მიერ.⁴⁶³ მხარეს შეუძლია, უარი განაცხადოს მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე, თუ:

- აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მხარეებს შორის უკვე გაიმართა მედიაციის ან საარბიტრაჟო პროცესი;
- მხარეებს შორის სამართლებრივი განმარტების საკითხი სადაცოა;
- ამისათვის სხვა რაიმე ჯეროვანი მიზეზი არსებობს.

სავალდებულო მედიაციის დროს აღნიშნული გამონაკლისების გათვალისწინების მიზეზი მხარეთა ნების ავტონომიურობისა და გადაწყვეტილების თავად მიღების⁴⁶⁴ პრინციპების გარკვეულწილად შენარჩუნებაა.⁴⁶⁵ ასევე, ყურადღებას იმსახურებს №44.108 „ფლორიდის სტატუტით“ განსაზღვრული მედიაციის მიმართვის მიზნით შემუშავებული წამახალისებელი ზომები, რომლებიც მოდავე მხარის ეკონომიკური შესაძლებლობებისა და დავის საგნის მატერიალური ღირებულების გათვალისწინებით, მედიაციის პროცესის დაფინანსების სხვადასხვა მოდელს სთავაზობს.⁴⁶⁶ „ფლორიდის საოჯახო სამართლის საპროცესო წესების“ 12.740(ბ) წესის⁴⁶⁷

⁴⁶⁰ Florida Statutes Section 44. 102 (2), იბ.:<<http://www.flsenate.gov/Laws/Statutes/2013/44.102>>, [04/01/2015].

⁴⁶¹ Florida Rules of Civil Procedure, Rule 1.710(a), იბ.:<http://www.floridasupremecourt.org/pub_info/summaries/briefs/04/04-2482/04-2482_AppendixA113004.pdf>, [04/01/2015].

⁴⁶² Florida Rules of Civil Procedure, Rule 1.730(a), იბ.:<http://www.floridasupremecourt.org/pub_info/summaries/briefs/04/04-2482/04-2482_AppendixA113004.pdf>, [04/01/2015].

⁴⁶³ Florida Rules of Civil Procedure, Rule 1.720(b), იბ.:<http://www.floridasupremecourt.org/pub_info/summaries/briefs/04/04-2482/04-2482_AppendixA113004.pdf>, [04/01/2015].

⁴⁶⁴ ინგლ. Party Self-Determination.

⁴⁶⁵ Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 1263.

⁴⁶⁶ Florida Statutes Section 44. 108 იბ.:<<http://www.flsenate.gov/Laws/Statutes/2011/44.108>>, [04/01/2015].

⁴⁶⁷ Florida Family Law Rules of Procedure, იბ.:<http://www.floridasupremecourt.org/pub_info/summaries/briefs/04/04-2482/04-2482_AppendixA113004.pdf>, [04/01/2015].

მიხედვით, ნებისმიერი საოჯახო დაგა შეიძლება მიემართოს მედიაციას. შესაბამისად, საოჯახო მედიაციის პროგრამები ფლორიდის უკელა სასამართლოშია დანერგილი.

ფლორიდაში მედიატორის ანაზღაურების წესი მხარეთა წლიური შემოსავლით განისაზღვრება. თუ ორივე მხარის წლიური შემოსავალი აჭარებს 100 000 აშშ დოლარს, სასამართლო მოდავე მხარეების რეფერირებას ახდენს კერძო მედიატორებზე, რომელთა ხარჯებიც არ ანაზღაურდება საბიუჯეტო სახსრებიდან.⁴⁶⁸ იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლე გამოსცემს სამედიაციო განკარგულებას, მხარეებს შეუძლიათ, 10 დღის ვადაში თავად აირჩიონ ნებისმიერი (კერძო) მედიატორი. თუ მხარეები 10 დღის ვადაში ვერ შეთანხმდებიან, მაშინ მოსამართლე სერტიფიცირებული მოსამართლეების სიიდან თავად ამოირჩევს მას.⁴⁶⁹ ნებისმიერ შემთხვევაში მხარეებსა და მედიატორს შორის სავალდებულოა წერილობითი ხელშეკრულების დადება, რომელიც განსაზღვრავს მედიატორის ანაზღაურების წესსა და პირობებს. თუ მედიატორის პონორარის ოდენობის შესახებ მხარეებმა და მედიატორმა ვერ მოილაპარაკეს, მაშინ მოსამართლე განსაზღვრავს მედიატორის საათობრივი ანაზღაურების წესს.⁴⁷⁰

ფლორიდის კანონმდებლობით, სააპელაციო სასამართლოში მედიაციის პროცესი შეიძლება საქმის სააპელაციო განხილვამდე, საქმის უმოძრაოდ ყოფნის – მოლოდინის პერიოდში დაინიშნოს. ამასთან, თუ სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე მიიჩნევს, რომ საქმის მედიაციისათვის მიმართვა გამართლებულია, მაშინ მხარეები ვალდებული არიან, დაემორჩილონ მის გადაწყვეტილებას. მეორე მხრივ, მედიაციის პროცესი არ აფერხებს სასამართლო პროცესის მსვლელობას. მოსამართლეთა მიერ მსგავსი გადაწყვეტილების მიღების გამარტივებისათვის სააპელაციო სასამართლოებმა შეიმუშავეს საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ სპეციალური კითხვარი, რომელსაც მხარეები ავსებენ. მედიატორის არჩევისა და ანაზღაურების წესი ამ შემთხვევაშიც ისეთივეა, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოში. ამასთან, ყოველი სერტიფიცირებული მედიატორი ვალდებულია, წლის განმავლობაში ორი მედიაციის პროცესი – პრო ბონო ჩატაროს,⁴⁷¹ რაც მოსამართლეებს შესაძლებლობას აძლევს, მოდავე მხარეთა მატერიალური შესაძლებლობების გათვალისწინებით გაათავისუფლოს ისინი მედიატორის ანაზღაურებისაგან და საქმე მედიატორს გადასცეს, როგორც პრო ბონო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო სამართლის ფედერალური, შტატებისა და უშუალოდ განმხილველი სასამართლოს წესები ერთიანობაში ქმნის განხილვის მომლოდინე საქმე-

<[http://www.floridabar.org/TFB/TFBResources.nsf/0/416879C4A88CBF0485256B29004BFAF8/\\$FILE/311%20Family%20Law.pdf?OpenElement](http://www.floridabar.org/TFB/TFBResources.nsf/0/416879C4A88CBF0485256B29004BFAF8/$FILE/311%20Family%20Law.pdf?OpenElement)>, [04/01/2015].

⁴⁶⁸ Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 1264.

⁴⁶⁹ Rule 1.720(f)(1), Florida Rules of Civil Procedure, ob.:<[http://www.floridabar.org/TFB/TFBResources.nsf/0/10c69df6ff15185085256b29004bf823/\\$FILE/Civil.pdf](http://www.floridabar.org/TFB/TFBResources.nsf/0/10c69df6ff15185085256b29004bf823/$FILE/Civil.pdf)>, [03/01/2015].

⁴⁷⁰ Rule 1.720(g), Florida Rules of Civil Procedure, ob.:<[http://www.floridabar.org/TFB/TFBResources.nsf/0/10c69df6ff15185085256b29004bf823/\\$FILE/Civil.pdf](http://www.floridabar.org/TFB/TFBResources.nsf/0/10c69df6ff15185085256b29004bf823/$FILE/Civil.pdf)>, [03/01/2015].

⁴⁷¹ Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 1264.

ებისაგან სასამართლოს განსატვირთავ მნიშვნელოვან წამახალისებულ მექანიზმს.

3. ძირეული საკითხების რეგულირების სპეციფიკა

3.1 მედიაციის ცნება

„დავის ალტრენატიული გადაწყვეტის ფედერალური აქტი“ ფედერალურ სასამართლოებს ანიჭებს უფლებამოსილებას, დააფუძნონ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები (მათ შორის – მედიაცია), მაგრამ თვით აქტი მედიაციის პროცესს არ განსაზღვრავს.⁴⁷² სანაცვლოდ, აშშ-ის ყველა შტატს⁴⁷³ შემუშავებული აქვს მედიაციის პროცესის საკუთარი წესები, სადაც, ბუნებრივია, მედიაციის ცნება განსხვავებულადაა განმარტებული. ამერიკის ადვოკატთა და ამერიკის არბიტრთა ასოციაციები მედიაციას განმარტავნ როგორც „პროცესს, რომლის მანძილზე მედიატორი ხელს უწყობს მხარეებს შორის კომუნიკაციასა და მოლაპარაკებების წარმართვას, რათა დაეხმაროს მათ სადაცო საკითხზე ნებაყოფლობითი შეთანხმების მიღწევაში“.⁴⁷⁴ მედიატორთა ქცევის მოდელური სტანდარტი⁴⁷⁵ აღწერს მას როგორც „პროცესს, რომლის დროსაც დამოუკიდებელი მესამე პირი ხელს უწყობს კომუნიკაციას, მოლაპარაკებას და მასში მონაწილე მხარეების მიერ ნებაყოფლობითი გადაწყვეტილების მიღებას“. ეს დეფინიციები ვერ ჩაითვლება აშშ-ში ტერმინ „მედიაციის“ ამომწურავ განმარტებებად, ვინაიდან პრაქტიკაში მედიაცია განსხვავებული ფორმებითაც გვხვდება.

„კალიფორნიის სამოქალაქო სამართლის კოდექსი“ მედიაციას განმარტავს როგორც „პროცესს, რომლის დროსაც ნეიტრალური პირი (ან პირები) ხელს უწყობს მოდავე მხარეებს შორის კომუნიკაციას, რათა მათ მიაღწიონ თრივე მხარისათვის მისაღებ შეთანხმებას.“⁴⁷⁶ მედიაციას ამგარადვე განმარტავს ტეხასისა და ფლორიდის საკანონმდებლო აქტები. „ტეხასის სამოქალაქო პრაქტიკის კოდექსი“⁴⁷⁷ დამატებით ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ მედიატორი არ ავრცელებს საკუთარ გადაწყვეტილებას მხარეებზე; ფლორიდის სტატუტი ხაზს უსვამს მედიატორის მიერ ახალ შესაძლო მორიგების ვარიანტებზე ფოკუსირებას.⁴⁷⁸ და ბოლოს, „მედიაციის უნიფიცირებული აქტის“ მიხედვით,⁴⁷⁹ „მედიაცია ეს

⁴⁷² Section 651 (a) Federal Alternative Dispute Resolution Act, ob.:
<http://www.epa.gov/adr/adra_1998.pdf>, [12/12/2014].

⁴⁷³ Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 1250.

⁴⁷⁴ Ingen-Housz A., ADR in Business: Practice and Issues Across Countries and Cultures, Vol. II, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2011, 423.

⁴⁷⁵ Model Standards of Conduct for Mediators, 2005, ob.:
<https://adr.org/aaa>ShowPDF?doc=ADRSTG_010409>, [02/01/2015].

⁴⁷⁶ Section 1775(1), The California Code of Civil Procedure, ob.:
<http://www.leginfo.ca.gov/.html/ccp_table_of_contents.html>, [03/01/2015].

⁴⁷⁷ Section 154.023, Texas Civil Practice and Remedies Code, ob.:
<<http://law.justia.com/codes/texas/2005/cp.html>>, [02/01/2015].

⁴⁷⁸ Chapter 44 Florida Statutes, ob.:
<<http://law.onecle.com/florida/judicial-branch/44.1011.html>>, [02/01/2015].

⁴⁷⁹ 2012 წლისათვის, 10 შტატს ჰქონდა მიღებული უნიფიცირებული მედიაციის აქტი.

არის პროცესი, რომელშიც მედიატორი ხელს უწყობს მხარეებს შორის კომუნიკაციასა და მოლაპარაკებების წარმართვას, რათა დაეხმაროს მათ დავასთან დაკავშირებით ნებაყოფლობით მორიგების მიღწევაში⁴⁸⁰.

შტატების მიერ მედიაციის ცნების ერთგვაროვანი დეფინიციის არარსებობის მიუხედავად, თითქმის ყველა აქტში, რომელიც აშშ-ში ამ პროცესს განმარტავს, ხაზგასმულია მედიატორის როლი, პროცესის კონფიდენციალურობა, კომუნიკაციის, მოლაპარაკების გამართვასა და მხარეთა მიერ გადაწყვეტილების ნებაყოფლობით მიღების მნიშვნელობა. სტრატეგიულ კომუნიკაციასა და მოლაპარაკებაზე უურადღების გამახვილების მიზანი, მედიაციის წარმართვის მეთოდის სასამართლოსა და არბიტრაჟის პროცესების წარმართვის მეთოდისაგან (შეჯიბრებითობა, მესამე პირის მიერ გადაწყვეტილების მიღება და ა.შ.) განსხვავების დემონსტრირება. ამასთან, „მედიაციის უნიფიცირებული აქტის“ კომენტარებით ირკვევა, რომ მედიაციის ცნების დეფინიციაში ნახსენები „მორიგების ხელშეწყობა“ არ გულისხმობს მედიატორის „ხელშემწყობ“ სტილს,⁴⁸¹ რადგან მისმა ავტორებმა კარგად იცოდნენ, რომ პრაქტიკაში მედიაციის სხვადასხვა სტილი იყო დამკვიდრებული. მართალია, ხელშემწყობი (მხარეთა ინტერესებზე მორგებული) მედიაციის სტილი ჯერ კიდევ დომინირებს, თუმცა არავინ იცის ზუსტად, როგორ შეიცვლება ის მომავალში. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ სასამართლო მედიაცია საკმაოდ ინსტიტუციონალიზებულია, აშშ-ში ტერმინები „მედიაცია“ და „მედიატორი“ კვლავ ჩამოყალიბების პროცესშია.

3.2 პროცესის კონფიდენციალურობა

აშშ-ში მედიაციის პროცესში კონფიდენციალურობის დაცვას იმთავითვე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რადგან კარგად იყო გააზრებული მედიატორსა და მხარეებს შორის ნდობის არსებობის მნიშვნელობა. აქედან გამომდინარე, კონფიდენციალურობის დაცვის მაქსიმალური უზრუნველყოფის მიზნით, მედიაციის პროცესში შექმნილი და წარმოდგენილი მტკიცებულებები⁴⁸² ფედერალური და შტატის სტატუტებით, როგორც წესი, დაცულია გასაჯაროვებისაგან, მათ შორის, სასამართლო პროცესზე მათი გამოყენებისაგან.

„მედიაციის უნიფიცირებული აქტის“ კომენტარებში ვკითხულობთ, რომ ინფორმაციის თავისუფლად გაცვლა და მონაცემთა დიაოდა იმ შემთხვევაში მიიღწევა, თუ მხარეებს ეცოდინებათ, რომ მათ მიერ გამხელილი ინფორმაცია არ იქნება მათ საწინააღმდეგოდ გამოყენებული სასამართლო პროცესზე. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კონფიდენციალურობის დაცვის გარანტიების შექმნა პირდაპირ კავშირშია მედიაციის პროცესის სრულფასოვნად ჩატარებასა და წარმატებით დასრულებასთან. სწორედ ამიტომ, როგორც წესი, იგულისხმება რომ მედიაციის პროცესი, სადაც არ უნდა ტარდებოდეს ის, კონფიდენციალურია. უნიფიცირებული აქტის მე-8 მუხლი ადგენს, რომ თუ ამის შესახებ არ არსე-

⁴⁸⁰ Uniform Mediation Act, Section 2(1), ი.ხ.:

<<http://www.mediate.com/articles/umafinalstyled.cfm>>, [02/01/2015].

⁴⁸¹ ი.ხ.: <http://www.uniformlaws.org/shared/docs/mediation/uma_final_03.pdf>, [02/01/2015].

⁴⁸² ი.ხ.: <http://www.uniformlaws.org/shared/docs/mediation/uma_final_03.pdf>, [02/01/2015].

ბობს სხვაგვარი დათქმა, მედიაციის პროცესი კონფიდენციალურია მხარეთა ხელშეკრულების ან შტატის კანონმდებლის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, მხარეები მედიაციის საშუალებით კონფლიქტის რეგულირებას მისი კონფიდენციალური ბუნების გამო ირჩევენ. მედიაციაში მონაწილე მხარეს აქვს მოლოდინი, რომ ყოველივე ის, რაც პროცესის მანძილზე გახდება ცნობილი, დარჩება კონფიდენციალურად, თუმცა აღნიშნული ხშირად გაუგებრობის საფუძველიც ხდება, რის გამოც, „კალიფორნიის მტკიცებულების დაცვის წესი“ დეტალურად არეგულირებს მედიაციის პროცესში გამჟღავნებული ინფორმაციის გაცემის საკითხს – პრივალუგიას. კერძოდ, აქტის 1121-ე მუხლით,⁴⁸³ როგორც მედიატორს, ისე ნებისმიერ სხვა პირს არ შეუძლია მიაწოდოს ინფორმაცია სასამართლოს თუ სხვა რომელიმე საქმის განმხილველ ორგანოს. თავის მხრივ, სასამართლოს და სხვა საქმის განმხილველ ორგანოებს არ შეუძლიათ განიხილონ მედიაციის პროცესში მედიატორის მიერ გაკეთებული ნებისმიერი ანგარიში, შეფასება, რეკომენდაცია თუ დაკვირვება. აღნიშნული შეზღუდვა მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ მხარეები კონკრეტულად არ შეთანხმებიან მისი გამჟღავნების უფლების შესახებ.⁴⁸⁴ მედიაციის პროცესში წარდგენილი მტკიცებულებების კონფიდენციალურად დაცვის უზრუნველსაყოფად მორიგების აქტში ან მედიაციის ხედომის ოქმში მათი ასახვა კარგი დამცავი მექანიზმია.⁴⁸⁵ სწორედ ამიტომ, პრაქტიკაში ხშირად მხარეები, დამატებითი გარანტიების შექმნის მიზნით, მედიაციის კონფიდენციალურობის შესახებ ცალკე ხელშეკრულებას დებენ და ამით დეტალურად აწესრიგებენ ინფორმაციის დაცვის თუ გამხელის პირობებს.

ადსანიშნავია, რომ სხვადასხვა შტატის კანონმდებლის დამოკიდებულება კონფიდენციალურად დასაცავ და გამონაკლის შემთხვევებთან დაკავშირებით არაერთგვაროვანია.⁴⁸⁶ ვაშინგტონის მედიაციის პროგრამა უნიფირებული მედიაციის აქტით განმტკიცებულ ფასეულობებთან მიმართებით უპირატესობას მხარეთა მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებებს ანიჭებს, რამდენიმე შტატი კი კალიფორნიის შტატის მიერ დამკვიდრებულ გზას ირჩევს და სასამართლოს პროცესზე მედიაციის პროცესში გამჟღავნებულ ინფორმაციას მტკიცებულებად არ ცნობს. შტატის კანონმდებელმა თავად უნდა გადაწყვიტოს, სასამართლო მხარეებს მისცემს თუ არა უფლებას მედიაციის პროცესის შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების გაზიარების. აიოვას, ვაიომინგის და ორეგონის შტატებმა მოახდინეს კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულებისაგან გამონაკლისი შემთხვევების კოდიფიცირება. მათ სასამართლო პროცესზე ისეთი მტკიცებულების გამოქვეყნების უფლება დაუშვეს, რომლებიც სასამართლოს მედიაციის პროცესზე მიღებული მორიგების აქტის განმარ-

⁴⁸³ Sanction 1121 (mediator's Reports and Finding) California Evidence Code, ი.ხ.: <<http://www.leginfo.ca.gov/cgi-bin/displaycode?section=evid&group=01001-02000&file=1115-1128>>, [03/01/2015].

⁴⁸⁴ Section 1118, California Evidence Code, ი.ხ.:

<<http://www.leginfo.ca.gov/cgi-bin/displaycode?section=evid&group=01001-02000&file=1115-1128>>, [03/01/2015].

⁴⁸⁵ Section 1123, California Evidence Code, ი.ხ.:

<<http://www.leginfo.ca.gov/cgi-bin/calawquery?codesection=evid>>, [03/01/2015].

⁴⁸⁶ Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 1286.

ტებაში ეხმარება.⁴⁸⁷ უისკონსინის კანონმდებლობა სასამართლოებს დახურული, კერძო (*in camera*) სხდომების ჩატარების უფლებას იმ შემთხვევაში აძლევს, თუ მედიაციის პროცესზე გამხელილი ინფორმაციის კონფიდენციალურად შენახვა აშკარა უკანონობაა.⁴⁸⁸ ლუიზიანას წესებით კი შესაძლებელია, მედიატორმა ჩვენება მისცეს საქმეზე, თუ ამით თავიდან იქნება აცილებული უსამართლობა და თაღლითობა, რომელიც მედიაციის პროცესზე მიღებული მორიგების აქტით მკვიდრდება. ასევე ადსანიშნავია, რომ ოპაიოს და სხვა შტატების სასამართლოები მხარეებისგან მედიაციის პროცესში კეთილსინდისიერ მონაწილეობას მოითხოვენ, მაგრამ სასამართლოებს მედიაციის პროცესის გამოკვლევის დროს არ აქვთ უფლება-მოსილება, შეაფასონ, თუ რამდენად იქნა დაცული კეთილსინდისიერად მონაწილეობის საკითხი. შესაბამისად, სასამართლოები და კანონმდებლები კონფიდენციალურობის დაცვის საკითხის მოწესრიგებისას გარკვეულწილად მედიაციის პროცესის ორ მნიშვნელოვან პრინციპს: კონფიდენციალურობის დაცვის და პროცესში კეთილსინდისიერ მონაწილეობას შორის ოქროს შუალედის დაცვას ცდილობენ, რაც არც თუ ისე იოდია.

3.3 მედიატორის პრივილეგია

მედიაციის პროცესში გამხელილი ინფორმაციის დაცვის მნიშვნელობიდან გამომდინარე, აშშ-ში მედიატორი სარგებლობს ანგლო-საქსური სამართლისათვის დამახასიათებელი „პრივილეგიის“ ინსტიტუტით, რომელიც მას უფლებამოსილებას ანიჭებს, უარი თქვას მედიაციის პროცესზე მისთვის გამხელილი ინფორმაციის შესახებ ჩვენების მიცემაზე და ისარგებლოს კლიენტსა და მედიატორს შორის „პრივილეგით“ მინიჭებული სხვა შედაგათვებით. აღნიშნული პრინციპი მოქმედებს 41 შტატში, ხოლო დარჩენილ შტატებში კანონმდებლობა მედიატორებს სასამართლოში ჩვენების მიცემის ვალდებულებისაგან ათავისუფლებს.⁴⁸⁹ უნიფიცირებული მედიაციის აქტი დეტალურად არეგულირებს მედიაციის პრივილეგიას. აქტის მე4, მე5 და მე6 მუხლები სწორედ მედიაციის ერთ-ერთ ყველაზე რთულ ასპექტს – მედიაციის პრივილეგიას ეხება, განსაზღვრავს მის ფარგლებსა და გამონაკლის შემთხვევებს. მედიაციის პროცესის მოსამზადებელ ეტაპზე, თვით პროცესში და მისი დამთავრების შემდეგ შექმნილ ნებისმიერ ზეპირ თუ წერილობით მტკიცებულებას აქვს პრივილეგია. შესაბამისად, არ შეიძლება მისი გამჟღავნება, სასამართლო მტკიცებულებად გამოყენება, თუ არ არსებობს საგამონაკლისო შემთხვევა.⁴⁹⁰ აქტის წინასიტყვაობაშივე არის აღნიშნული, რომ მედიატორის პრივილეგია არის ყველაზე სარწმუნო გზა პროცესის მიზნების მისაღწევად.⁴⁹¹

კონფიდენციალურობისა და მტკიცებულებათა დაცვის პრივილეგიის (*evidentiary privileges*) წესები სასამართლო პრაქტიკამ საერთო სამარ-

⁴⁸⁷ Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 1287.

⁴⁸⁸ იქვე.

⁴⁸⁹ Rogers H. N., McEwen A. C., Mediation: Law, Policy, Practice, The Lawyers Co-operative Publishing Company, Rochester, 1989, 145.

⁴⁹⁰ Ingen-Housz A., ADR in Business: Practice and Issues Across Countries and Cultures, Vol. II, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2011, 192.

⁴⁹¹ იქვე.

თლის სისტემისათვის დამახასიათებელი ინფორმაციის დაცვის პრივილე-
გიის ინსტიტუტის ბაზაზე შექმნა.⁴⁹² კალიფორნიაში მწვავე კამათი გაი-
მართა კონფიდენციალურობის დაცვის გავრცელების ფარგლებსა და,
აქედან გამომდინარე, მტკიცებულებების დაცვის პრივილეგიის საკით-
ხე.⁴⁹³ მედიაციის პრივილეგიის მარეგულირებელი ნორმები განსაკუთრე-
ბით მკაცრია კალიფორნიის შტატში.⁴⁹⁴ „კალიფორნიის მტკიცებულებათა
კოდექსის“⁴⁹⁵ მიხედვით, აკრძალულია ყოველგვარი ზეპირი ან წერილობი-
თი კომუნიკაციის შესახებ მტკიცებულების, რომელიც მედიაციის პრო-
ცესში შეიქმნა, გამჟღავნება. აღნიშნული შეზღუდვა ვრცელდება, რო-
გორც სამოქალაქო ისე ადმინისტრაციულ სამართლებრივ პროცესზე
(მათ შორის, ადმინისტრაციული ორგანოს წარმოებაზე). გამონაკლისს
მხოლოდ სისხლისსამართლებრივი პროცესი წარმოადგენს.

საქმეში „ოლამი კონგრესის გირაოს კომპანიის წინააღმდეგ“,⁴⁹⁶
ჩრდილოეთ კალიფორნიის საოლქო სასამართლომ მედიაციის მტკიცებუ-
ლების დაცვის წესებიდან გამონაკლისი დაუშვა მას შემდეგ, რაც ერთ-
ერთმა მხარემ მედიაციის პროცესის დროს მასზე ზეწოლის შესახებ სა-
სამართლოში საჩივარი შეიტანა. კონფიდენციალურობის დაცვის კანონ-
მდებლობის განალიზების შემდეგ სასამართლო მივიდა დასკვნამდე,
რომ მედიატორს ჩვენება უნდა მიეცა დახურულ სასამართლო სხდომაზე.
მსგავსი პრობლემები სხვა სასამართლოებშიც წარმოიქმნება ხოლმე, რის
გამოც კალიფორნიის შტატის უზენაესი სასამართლო საქმეში „ფოქსგა-
იო ჰოუმოუნერს ასოციაცია ბრამელა კალიფორნიის წინააღმდეგ“,⁴⁹⁷ არ
დაეთანხმა მოსაზრებას, რომ აღნიშნული პრეცედენტი, კანონმდებლის
მიერ განზრახული ინფორმაციის გულწრფელი, ლია გაცვლა მედიაციის
პროცესის კონფიდენციალურობის დაცვის თვალსაზრისით, იმედგაცრუე-
ბას გამოიწვევდა. პირიქით, უზენაესი სასამართლოს მოსაზრებით, მტკი-
ცებულებების დაცვის პრივილეგიის წესებიდან სამართლებრივად გამარ-
თული გამონაკლისის დაშვება გამართლებულია, თუ სტატუტების ზედმი-
წევნით დაცვა მართლმსაჯულებისათვის შეუსაბამო შედეგებამდე მიგვიყ-
ვანს.⁴⁹⁸ ზოგადი პრაქტიკის შეჯამებით, ნათელია, რომ კალიფორნიის
უზენაესი სასამართლო უშვებს მედიაციის პროცესის კონფიდენციალუ-
რობის დაცვიდან გამონაკლისებს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა ჯე-
როვანი სასამართლო პროცესის უფლება ფუნდამენტურად ირღვევა.⁴⁹⁹

კონფიდენციალურობის დაცვა და მედიაციაში მონაწილე მხარეთა
პრივილეგია ერთი და იმავე მოტივით არის განპირობებული და ერთსა

⁴⁹² Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 1282.

⁴⁹³ იქვე.

⁴⁹⁴ Ingen-Housz A., ADR in Business: Practice and Issues Across Countries and Cultures, Vol. II, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2011, 192.

⁴⁹⁵ California Evidence Code, Section 1119, ob.:<<http://www.leginfo.ca.gov/cgi-bin/displaycode?section=evid&group=01001-02000&file=1115-1128>>, [03/01/2015].

⁴⁹⁶ Olan v. Congress Mortgage Company, 68 FS 2d 1110, 1122 et seq. (N.D. Cal., 1999).

⁴⁹⁷ Foxgate Homeowners' Association v. Bramela California, Inc., 92 Cal. Rptr. 2d 916, 926 et seq. (Cal., App 2nd Dist., 2000).

⁴⁹⁸ Foxgate Homeowners' Association v. Bramela California, Inc., 108 Cal. Rptr. 2d 642, 654 et seq. (Cal., 2001).

⁴⁹⁹ Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 1286.

და იმავე მიზანს ემსახურება. ისინი, გარკვეულწილად, ერთმანეთიდან გამომდინარე უფლებებიდა. განსხვავება კონფიდენციალურობასა და პრივილეგიას შორის ისაა, რომ კონფიდენციალურობა მხარეებსა და მედიატორს ავალდებულებს, არ გაამჟღავნონ მედიაციის პროცესში მოპოვებული ინფორმაცია მედიაციის პროცესის გარეთ, არ გახადონ ინფორმაცია ხელმისაწვდომი მესამე პირებისათვის. პრივილეგია კი მედიატორს და მხარეებს პროცესის მსგავსობის შემდეგ ეტაპებზე სასამართლოში (თუ სხვა ნებისმიერ ინსტიტუციაში) მედიაციის პროცესთან დაკავშირებით ჩვენების მიცემის ვალდებულებისაგან ათავისუფლებს.

აშშ-ში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების მოქმედ წესებს, ისევე, როგორც მტკიცებულებათა დაცვის წესებს კრიტიკოსებიც ჰყავთ. კერძოდ, კანონიერი ინტერესის არსებობის შემთხვევაში ბუნდოვანია, რამდენად დაცულია მხარის უფლებები მედიაციის პროცესში გამჟღავნებული მტკიცებულებების გამოყენებისას. ჩვენების მიცემაზე უარის თქმის პრივილეგიის უფლება მოითხოვს ფრთხილ მიღებას, რათა არ დაირღვეს, ერთი მხრივ, სასამართლიანობა, მეორე მხრივ, კი მედიაციაში მონაწილე მხარეთა უფლებები. ამრიგად, აუცილებელია მართლმსაჯულების, მხარეებისა და მედიაციის ინსიტუტის საჭიროებებს შორის სწორი ბალანსის პონა.

3.4 მედიატორთა პროფესიული ვალდებულებები

კალიფორნიის შტატში მედიატორობის მსურველმა საჭიროა, გაიაროს 25-საათიანი ოეორიული და პრაქტიკული ტრეინინგი და ხელი მოაწეროს მედიატორთა ეთიკის წესებს, რომლითაც ასევე გათვალისწინებულია მინიმუმ ერთი პრო ბონო საქმის განხილვა წლის განმავლობაში. კონფლიქტების მშვიდობიანი რეგულირების ხელშეწყობის მიზნით, კალიფორნიის სასამართლოებმა, ადგილობრივმა ადვოკატთა ასოციაციამ და დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ორნიზაციებმა ერთობლივად შეიმუშავეს მედიატორების სია, საიდანაც მხარეებს სასამართლო მედიაციის დროს შეუძლიათ აირჩიონ მედიატორები.⁵⁰⁰ აღნიშნულ სიაში მოხვედრილი მედიატორების განგრძობად განათლებასა და კვალიფიკაციაზე სასამართლო იღებს პასუხისმგებლობას. ამასთან, სასამართლო პერიოდულად აწარმოებს მედიატორთა შეფასებას, მათ შორის, კონფიდენციალურობის დაცვის კუთხით. ასევე, ყურადღება ექცევა მედიატორის მიერ გამართული მედიაციის პროცესების წარმატებით დასრულების მაჩვენებელსაც.⁵⁰¹

მედიატორი ვალდებულია, ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში საქმეში მონაწილეობაზე უარი თქვას, ხოლო, თუ მედიატორი თვითაციოლებით არ ისარგებლებს, მხარის მოთხოვნით მედიატორის საქმიდან ჩამოშორების უფლება სასამართლოსაც აქვს.⁵⁰² ასევე აღსანიშნავია, რომ საქმეზე „ტეხასის პარკებისა და ველური ბუნების დეპარტამენტი დევისის

⁵⁰⁰ Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 1292.

⁵⁰¹ აღნიშნული კვლევები ეხმარება სასამართლოს მედიაციის პროგრამის დახვეწისა და პროცესის გაუმჯობესებაში.

⁵⁰² Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 1293.

წინააღმდეგ^{“⁵⁰³}

სასამართლომ დაადგინა, რომ ტეხასის სასამართლოებს და მედიატორებს არ აქვთ უფლებამოსილება, მხარე აიძულონ, გამოიყენოს მედიაციის პროცესში რომელიმე კონკრეტული მოლაპარაკების სტრატეგია. შესაბამისად, მედიაციის პროცესი შევასებითი, ხელმშემწყობი თუ გარდაქმნითი სტილის გამოყენებით ჩატარდება თუ არა, ეს თვით მხარეების არჩევანზეა დამოკიდებული და არა – მედიატორის.

⁵⁰³ *Texas Parks and Wildlife Department v Davis*, 988 S.W.2d 370, 375et seq. (Tex. App.-Austin 1999).

4. პროცესუალური საკითხების რეგულირების სპეციფიკა

4.1 მედიაციის წამოწყება

სასამართლოს ნაცვლად სამართლებრივი კონფლიქტის ალტერნატიული საშუალებით რეგულირებას ხელს უწყობს როგორც კანონმდებლის მიერ შემუშავებული წამახალისებელი ან მავალდებულებელი ხორმები, ისე თავად მხარეთა მიერ დადებული შეთანხმება დავის მედიაციის დახმარებით გადაწყვეტის მცდელობის შესახებ. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ ისინი ცალ-ცალკე იყვნენ განხილული. ინგლისში სასამართლოს მიერ გამოცემული „სახელმძღვანელოები“ ავალდებულებს ადვოკატებს კლიენტისათვის კონსულტაციის გაწევას იმასთან დაკავშირებით, თუ დავის გადაწყვეტის რომელი ალტერნატიული საშუალება იქნება მისთვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი და რომელი მათგანისათვის მიმართვა სჯობს კონკრეტულ შემთხვევაში.⁵⁰⁴ აშშ-ში ამ საკითხმა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. კერძოდ, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების შესახებ კლიენტის ინფორმირების პროცესიული ვალდებულება ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის მოდელური ქცევის წესებშია გაწერილი.⁵⁰⁵ ზოგიერთი შტატის კანონმდებელმა, ამ საკითხში მეტი სიცხადის შეტანის მიზნით, არჩია ამის თაობაზე დამატებით მიეთითებინა საკუთარ კანონდებლობაში.⁵⁰⁶

მედიაციის პროცესში მხარეთა მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით, სხვადასხვა შტატმა რეგულირების სხვადასხვა გზა არჩია, თუმცა არც ერთი სტატუტი ან სხვა რომელიმე წესი შეთავაზებულ მორიგების პირობებზე სავალდებულო თანხმობას არ ითვალისწინებს. კალიფორნიაში მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით თავად აირჩიონ მედიატორი. თუ 15 დღის ვადაში ისინი ვერ მოახერხებენ მედიატორის არჩევას, სასამართლო აირჩევს მას კალიფორნიის შტატის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დადგენილი სტანდარტების მიხედვით.⁵⁰⁷

მაშინ, როდესაც მედიაცია სასამართლო პროცესის გამართვის წინაპირობაა, მისი პროცესუალური მნიშვნელობა კონფლიქტის რეგულირების ჯაჭვში კიდევ უფრო მნიშვნელოვანია. მსგავსი წინაპირობა აშშ-ს შტატების უმრავლესობაში შემოღებულ იქნა საოჯახო, სადაზღვევო და უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ დავებზე. დამატებით, მსგავს წინაპირობას ქმნის ფლორიდის კანონმდებლობა არასწორი სამედიცინო მკურნალობის შედეგად წარმოშობილი დავებთან მიმართებით.⁵⁰⁹

⁵⁰⁴ A Guide to ADR in England and Wales, 5 July 2006, ob.:
http://www.hg.org/articles/article_1336.html, [03/01/2014].

⁵⁰⁵ Rogers H. N., McEwen A. C., Mediation Law, Policy and Practice, Clark Boardman Callaghan, Eagen, 1995, 403.

⁵⁰⁶ ABA Model Rules of Professional Conduct, ob.:

http://www.americanbar.org/groups/professional_responsibility/publications/model_rules_of_professional_conduct/model_rules_of_professional_conduct_table_of_contents.html, [03/01/2015].

⁵⁰⁷ Abramson I. H., Mediation Representation, Second Edition, Oxford University Press, New York, 2011, 124.

⁵⁰⁸ ob.: http://www.sanmateocourt.org/court_divisions/, [03/09/2015].

⁵⁰⁹ ფლორიდის კანონმდებლობით, სამედიცინო მკურნალობის შედეგად წარმოშობილ დავაზე სასამართლოსადმი მიმართვისათვის აუცილებელი წინაპირობაა დაზარალებულის დამცველის მიერ წინასწარ ჩატარებული გონივრული გამოკვლევა,

კალიფორნიის კანონმდებლობით, მედიაციისათვის მიმართვა სავალდებულოა საოჯახო და სადაზღვევო დავებზე. ამ შემთხვევაში მხარეებს არ გააჩნიათ არჩევანი. სარჩელის შეტანის შემდეგ მოსამართლე დავას სამედიაციო ცენტრს გადაუგზავნის. სავალდებულო მედიაციაში მონაწილეობისას სასამართლო პროცესის ხანდაზმულობის ვადის დინება მედიაციის დასრულებამდე ჩერდება.⁵¹⁰ ადსანიშნავია, რომ კალიფორნიის შტატში ნებაყოფლობითი მედიაციის მსვლელობა ხანდაზმულობის ვადის დინებას არ აჩერებს. დავის მედიაციისათვის გადაცემის შესახებ სასამართლოს ორდერი მხარეებისათვის სავალდებულოა და მისი გასაჩივრების მექანიზმები მათ არ გააჩნიათ. საოჯახო დავებზე სავალდებულო მედიაციისას მხარეები გათავისუფლებული არიან ბაჟისაგან. სამართლებრივად სასამართლოს ორდერი მედიაციის შესახებ მხარეთა შეთანხმებას გარკვეულწილად უტოლდება, ვინაიდან ორივე მათგანი წარმოშობს სამედიაციო ცენტრისადმი მიმართვის ვალდებულებას. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მოსამართლეები ცდილობენ, თავიდან აირიდონ მხარეთა ნების ავტონომიურობისა და სავალდებულო მედიაციას შორის კონფლიქტი, რის გამოც, როგორც წესი, სასამართლოს ადგილობრივი წესები პრიორიტეტს მხარეთა შეთანხმებას ანიჭებს. შესაბამისად, თუ მხარეებმა წინასწარ წერილობით უარი განაცხადეს მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე, მაშინაც კი, როცა მედიაციაში მონაწილეობა სასამართლოს განხილვის დაწყების წინაპირობაა, სასამართლო ვალდებულია, დაემორჩილოს მხარეთა ნებას და თავად შეუდგეს საქმის განხილვას.⁵¹¹ იმ კატეგორიის დავებზე, რომლებიც სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ მედიაციის პროგრამებში არ ხვდება, მხარეები, როგორც წესი, კერძო სამედიაციო ცენტრებს მიმართავენ.

პრაქტიკაში უმეტესწილად, სამედიაციო დათქმით განისაზღვრება მედიაციის სტილი, მედიატორის არჩევისა და კონფიდენციალურობის დაცვის წესები. მედიაციის პროცესში მონაწილეობის გამოცდილების მქონე იურისტები გაცილებით რთულ და ყოვლისმომცველ სამედიაციო შეთანხმებებს დებენ, რომლითაც მოწესრიგებულია როგორც განხილვის სანგრძლივობა და ხარჯების განაწილების წესი, ასევე – მორიგების აღსრულების საკითხები. დავის ალტერნატიული გადაწყვეტის შესახებ ეფექტურად ისეთი დათქმა ითვლება, რომელშიც მხარე (ან მისი წარმომადგენელი) წინასწარ განხვრებს იმ სადაცო გარემოებებს, რომლებიც შესაძლოა ძირითადი ხელშეკრულებიდან წარმოიშვას.⁵¹² აქედან გამომდინარე, წინასწარ განსაზღვრავს დავის რეგულირებისათვის საუკეთესო ფორმასა და მეთოდს. ვინაიდან გაცილებით ადგილია კონსენსუალური საკითხების გადაწყვეტა მაშინ, როცა სამედიაციო დათქმაზე (ან ხელშეკრულებაზე) მიმდინარეობს მოლაპარაკება, ვიდრე მას მერე, რაც დავა

რათა პირველ რიგში თავად დარწმუნდეს, რომ საქნე ეხება ექიმის დაუდევრობას. მას შემდეგ, რაც დაზარალებული მხარე შეიტანს სარჩელს, მოსამართლე ამოწმებს ჩატარებული მოკვლევის შესაბამისობას ნორმატიულ მოთხოვნებთან და ნიშნავს სავალდებულო სამედიაციო შეხვედრებს, რომელშიც მხარეები ვალდებული არიან, მიიღონ პირადად მონაწილეობა. Section 766.104(1) Florida Statutes; იხ.:<<http://floridamalpractice.com/stat766.104.htm>>, [29/12/2014].

⁵¹⁰ Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 1268.

⁵¹¹ იქვე, 1273.

⁵¹² Goldberg S., Sander F., Rogers N., Cole S. R., Dispute Resolution: Negotiation, Mediation and other Processes, Wolters Kluwer Law & Business, Six Ed., New York, 2012, 283.

წარმოიშვება, უმჯობესია წინასწარ იყოს გაწერილი ისეთი საკითხები, როგორებიცაა: როგორ იქნეს არჩეული (დანიშნული) მედიატორი; ვინ გადაიხდის სამედიაციო მომსახურების ხარჯს; რა მოპყვება მედიაციისათვის მიმართვისა და კონფიდენციალურობის დაცვის ვალდევულების დარღვევის ფაქტს.

„ტეხასის უზენაესი სასამართლოს წესებით“⁵¹³, იურიდიულად ნამდვილი სამედიაციო შეთანხმება უნდა მოიცავდეს მედიატორის ანაზღაურების წესსა და მედიაციის პროცესის მაქსიმალურ ხანგრძლივობას. ამავე წესებით, სამედიაციო შეთანხმება ოპტიმალურია, როდესაც მასში განსაზღვრულია დავის წარმოშობის შემთხვევაში მხარის მიერ მედიატორისათვის მიმართვის ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში გამოსაყენებელი სანქცია და მისი ოდენობა. სადაც საკითხია, რამდენად სავალდებულო სამედიაციო შეთანხმება და ართმევს თუ არა მედიაციის შესახებ ხელშეკრულებაში გაკეთებული დათქმა მხარეს სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას. ერთი მხრივ, თუ მხარეებს ადარ ეჭნებათ მედიაციის პროცესში მონაწილეობის სურვილი, პროცესის სამართლებრივი ბუნებისა და შინაარსიდან (ხებაყოფლობით მორიგების მიღწევა, მხარეთა გადაწყვეტილების მიღების უფლებით აღჭურვა) გამომდინარე, ალოგიკურია მისი იძულება, მიმართოს მედიატორს. მსგავს იძულებით მედიაციაში მონაწილეობისას ნაკლებად სავარაუდოა, რომ რომელიმე მათგანი კეთილსინდისიერად მონაწილეობდეს მასში. მეორე მხრივ, თუ შეთანხმების მიუხედავად, მხარეს ეჭნება შესაძლებლობა, ნებისმიერ დროს უარი თქვას მედიაციაზე, ამით სახელშეკრულებო ვალდებულება დაირღვევა, რასაც შესაბამისი პასუხისმგებლობა მოჰყვე . მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე უარის თქმის შემთხვევებში, მხარეთა მიმართ სანქციის გამოუყენებლობამ შესაძლოა მედიაციის წახალისების ნაცვლად უკურეაქცია გამოიწვიოს.

რამდენადაც კეთილსინდისიერება „განმარტების საკითხია“, სამედიაციო შეთანხმებები, რომლებიც მხარეების მედიაციის პროცესში კეთილსინდისიერ მონაწილეობას მოითხოვდა, სასამართლოებმა სხვადასხვაგვარად განმარტეს. ამასთან, ნათელია, რომ კეთილსინდისიერი მონაწილეობის დასადგენად საჭიროა მედიაციის სესიების დეტალური გაანალიზება, რაც, როგორც წესი, მოსამართლეებს უძნელდებათ. ამის გამო, სასამართლოები ფორმალური პროცესუალური კრიტერიუმების დაკმაყოფილებას უფრო მეტ უკრადებას აქცევენ.⁵¹⁴

სასამართლო მედიაციის კალიფორნიის მოდელის შემუშავებისას ეცადნენ, ბალანსი დაცული ყოფილიყო მხარეთა ავტონომიურობასა და შტატის მიერ შემუშავებული დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებების გამოყენების წახალისების პოლიტიკას შორის; ამიტომ მოსამართლეები მხოლოდ მას შემდეგ იდებენ საქმის სამედიაციო ცენტრში გადაგზნის თაობაზე გადაწყვეტილებას, რაც მხარეებს საკუთარი შეხედულებების ბოლომდე გამოხატვისა და ახსნის შესაძლებლობა მიეცემათ.

⁵¹³ Supreme Court of Texas, Orders Approving Local Rules for the Civil District Courts of Bexar County of 21 May 2002, Rule 9 (B), ob.:

<<http://www.supreme.courts.state.tx.us/MiscDocket/02/02909300.PDF>>, [03/01/2015].

⁵¹⁴ Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 1279.

4.2 სამედიაციო მომსახურების საფასური და ვადები

როგორც წესი, მედიაციის მარეგულირებელი ნორმები განსაზღვრავს მედიაციის პროგრამის საფასურს. მსგავსი სტატუტის არარსებობის შემთხვევაში უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო სამართლის წესებით სასამართლოებს უფლებამოსილება ენიჭებათ, თავად განსაზღვრონ ის:⁵¹⁵ დაბალი შემოსავლის მქონე მხარეები, როგორც წესი, სასამართლო ბაჟისაგან თავისუფლდებიან. სამწუხაროდ ანალოგიური მიდგომა არ მოქმედებს დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებებით კონფლიქტის რეგულირების დროს. მაგ., „მინესოტას სასამართლოს წესებით“⁵¹⁶, თუ მხარეები გათავისუფლებული არიან სასამართლო ბაჟისაგან, მედიატორის პონორარი საათში 25 აშშ დოლარს შეადგენს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მოსარჩევებს არ შეუძლია მოითხოვოს მედიაციის პროცესის ხარჯებისაგან განთავისუფლება იმ შემთხვევაში, თუ მხარეებს შორის ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული დავის წარმოშობისას კერძო სამედიაციო ინსტიტუტისადმი მიმართვა.⁵¹⁷ „სასამართლო მედიაციის პროგრამის ნაციონალური სტანდარტი“⁵¹⁸ ერთმანეთისაგან განასხვავებს სასამართლო მედიაციისა და „კერძო მედიაციის“ პროცესს. თუ პირველ შემთხვევაში მედიაციის პროცესის ხარჯებს, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, სახელმწიფო აფინანსებს, მეორე შემთხვევაში პირიქით – სახელმწიფო მედიაციის პროცესში მონაწილეებს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში ეხმარება (სასამართლო ცდილობს ამ შემთხვევაში მოქალაქეებმა მედიატორების პროცესში ბონო მომსახურებით ისარგებლონ).⁵¹⁹ სავარაუდო იყო,⁵²⁰ რომ აშშ საბიუჯეტო დაფინანსების შემცირება დაუყონებლივ იმოქმედებდა სასამართლოების მიერ დანერგილ მედიაციის პროგრამებზე, რაც, შეიძლება ითქვას, გამართლდა. კერძოდ, კალიფორნიის შტატში რაიონულ სასამართლოებში მედიაციის პროგრამის დაფინანსების შეწყვეტამ შესაბამის სასამართლოებში სამედიაციო ცენტრების გაუქმება გამოიწვია, რამდენადაც ისინი ვერ აღმოჩნდნენ მდგრადი და საკუთარი სახსრებით დამოუკიდებლად არსებობის უნარის მქონენ.

საინტერესო პრეცედენტი დაფიქსირდა საქმეში „ტეხასის სატრანსპორტო დეპარტამენტი პირტლის წინააღმდეგ“⁵²¹ სასამართლომ მედიაციის პროცესში არაკეთილსინდისიერი მონაწილეობის გამო, დავის გადაწყვეტისათვის გადახდილი ბაჟი სრულად ერთ მხარეს დააკისრა, ვინაიდან მას არ გაუსაჩივრებია მედიაციის პროცესში მონაწილეობის შესახებ სასამართლოს ორდერი. იგი გამოცხადდა მედიაციის სესიაზე, თუმცა უარი თქვა მასში მონაწილეობაზე. ფლორიდის კანონმდებლობით, მედიატორის,

⁵¹⁵ Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 1271.

⁵¹⁶ ob.: <<http://www.mncourts.gov/SupremeCourt/Court-Rules.aspx>>, [03/01/2015]

⁵¹⁷ Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 1271.

⁵¹⁸ National Standards for Court-Connected Meditation Programs, ob.: <<http://courtadr.org/files/NationalStandardsADR.pdf>>, [03/01/2015].

⁵¹⁹ Section 13, Founding of Programs and Compensation of Mediators, ob.: <<http://courtadr.org/files/nationalstandardsADR.pdf>>, [03/01/2015].

⁵²⁰ Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 1272.

⁵²¹ Texas Department of Transportation v. Pirtle, 977S.W.2d 657, 658 (Tex. App.-Fort Worth 1998).

მხარის წარმომადგენლისა და პროცესის სხვა ხარჯები შეიძლება დაუკისროს მხარეს, რომელიც სასამართლოს ორდერს არ დაემორჩილება და მედიაციის პროცესში პირად მონაწილეობაზე უარს იტყვის.⁵²² კალიფორნიის კანონმდებლობით, მხარეს, რომელიც უარს ამბობს საოჯახო მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე, სასამართლო პროცესზე საკუთარი ახსნა-განმარტების წარმოდგენაზე შესაძლოა უარი ეთქვას. ამასთან, ადვოკატი, რომელიც განზრას საბორტაჟს მოუწყობს სავალდებულო მედიაციის პროცესს, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით, შესაძლოა სანქციებს დაექვემდებაროს.⁵²³ კალიფორნიისა და ტეხასის სასამართლოებმა არაერთ საქმეში მედიაციის პროცესის ხარჯი მთლიანად დააკისრეს იმ მხარეს, რომელმაც მედიაციის პროცესში უარი თქვა შეთავაზებულ მორიგებაზე, ხოლო საბოლოოდ სასამართლოს მიერ განხილული დავა მათოვის კიდევ უფრო ნაკლებად ხელსაყრელი შედეგებით დამთავრდა.⁵²⁴

⁵²² Rule 1.720(b) Florida Rules of Civil Procedure. ob.:
<http://phonl.com/fl_law/rules/frcp/frcp1720.htm>, [03/01/2015].

⁵²³ Kimberlee K. K., On Changing Role of Models for Attorneys in Mediation, Texas Law Review, No. 28, 1997, 575.

⁵²⁴ Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 1279.

4.3 მედიაციის შედეგად მიღწეული შეთახმების აღსრულება

სასამართლო მედიაციის პროცესის დასრულების შემდეგ მედიატორი ვალდებულია, საქმის განმხილველ მოსამართლეს საქმის დასრულებისა და მისი შედეგების შესახებ მოახსენოს. როდესაც მხარეები დავაზე ვერ აღწევენ სრულ მორიგებას, საქმე ჩვეულებრივ გრძელდება. თუ მხარეები სრულად მორიგდნენ, მათ სასამართლო მორიგების აქტის (მემორანდუმის) გაფორმებას ურჩევს. აშშ-ის სასამართლოებში მორიგების ფორმალიზების სხვადასხვა ხარისხი არსებობს. ზოგიერთ შტატში მედიატორის მიერ დავის მორიგებით დასრულების შესახებ სასამართლოს ინფორმირების შემდეგ მოსამართლე თვითონ გამოსცემს მორიგების ორდერს. ასევე, მორიგების აქტის იძულებით აღსრულებად აქტად ქცევისათვის არ არსებობს ყველა შტატისათვის დადგენილი სავალდებულო ფორმა,⁵²⁵ თუმცა შტატის კანონმდებლობა სასამართლოებს უფლებამოსილებას ანიჭებს, მედიაციის პროცესზე მიღებული მორიგება იძულებით აღსრულებად სასამართლო ორდერად აქციონ. სხვა შემთხვევაში მხარეს, სახელშეკრულებო სამართლის ნორმების მიხედვით, შესაძლებლობა ეძლევა, მეორე მხარეს დადგებული ხელშეკრულების (მორიგების) შესრულება მოხსოვოს.⁵²⁶ თუ მხარეებმა მედიაციას სასამართლო პროცესის დაწყების შემდეგ მიმართეს, მიღწეული მორიგების აღსრულება მხარეებს გამარტივებული საქმის წარმოების წესებითაც შეუძლიათ. ამერიკული პრაქტიკის გათვალისწინებით, მორიგების შესრულების მთავარი ხელშემწყობი მოტივი დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებების ნაკლებსარჯიანობის შენარჩუნებაა. ამასთან, კალიფორნიის შტატის სასამართლოს წესებით, სასამართლო ამოწმებს მხარეებს შორის მედიაციის პროცესში დადგებულ როგორც კონფიდენციალურ, ისე საბოლოო მორიგების აქტს. ამ დროს იგი ითვალისწინებს, რომ მედიაციის პროცესში მონაწილე პირები შებოჭილი არიან კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულებით, ხოლო მედიატორს მედიაციის პროცესთან დაკავშირებით არ აქვს ჩვენების მიცემის უფლება. უფასებური აღსრულების მიზნით, სამედიაციო შეთანხმება ხათლად უნდა გამოხატავდეს მხარეთა ნებას და მორიგების პირობებს. ბუნდოვანი შეთანხმება, შეიძლება ითქვას, მედიაციის პირველი მტერია. ის მედიაციის დახმარებით თითქოს დროულად და ეფექტურად გადაწყვეტილი სამართლებრივი პრობლემის ხელახლა გაგრძელების, კვლავ სასამართლოში დაბრუნების და ძირითადი ხელშეკრულების პირობებთან ერთად ახალი მორიგების პირობების ინტერპრეტაციით კონფლიქტის კიდევ უფრო გამჭვავებისა და გართულების რისკის შემცველია.

⁵²⁵ Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 1280.

⁵²⁶ Menkel-Meadow J. C., Love P. L., Schneider K. A., Sternlight R. J., Dispute Resolution: Beyond the Adversarial Model, Aspen Publishers, New York, 2005, 326.

5. მედიაციის განვითარების ტენდენციები აშშ-ში

მედიაცია არ იყო დავის გადაწყვეტის პირველი ალტერნატიული საშუალება, რომელიც შტატებში დაინერგა, თუმცა მან სხვადასხვა ალტერნატივას შორის თანდათანობით გამორჩეული ადგილი დაიმკიდრა. რისი მიზეზიც სწორედ მედიაციისათვის დამახასიათებელი ნიშნების მხარეთა ინტერესებსა და საჭიროებებზე ოპტიმალური მორგება აღმოჩნდა. ამასთან, აშშ-ში მედიაციის დანერგვასა და განვითარებას სხვადასხვა ისტორიულმა თუ სამართლებრივმა მოვლენამ შეუწყო ხელი. მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებოა დავის გადაწყვეტის ახლებური მეთოდების შემუშავების პროცესში მოსამართლეთა⁵²⁷ და მართლმსაჯულების სისტემის სხვა წარმომადგენელთა ენთუზიაზმი და სიახლეებისადმი გახსნილობა. ამასთან, სასამართლო მედიაციის პროექტში მოსამართლეთა აქტიურმა ჩართულობამ, განაპირობა ამ ინსტიტუტის მიმართ მხარეთა მხრიდან ასევე სერიოზული დამოკიდებულების ჩამოყალიბება.⁵²⁸

არა დაპირისპირებული და შეჯიბრებითი, არამედ მშვიდობიანი და თანამშრომლობითი მეთოდებით დავების რეგულირების კულტურის ფორმირების პროცესში აღსანიშნავია ადვოკატთა კორპუსის როლიც. ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის მიერ ადვოკატთა ეთიკის კოდექსში განხორციელებული ცვლილებებისა და სამართლებრივი საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელებული არაერთი პროექტების შედეგად აშშ-ში სამართლებრივი კონფლიქტების გადაწყვეტის ერთადერთ საშუალებად სასამართლო პროცესის აღქმის პარადიგმა მაღლევე შეიცვალა. ის, რომ სამართლებრივი კონფლიქტების დიდი ნაწილი დღეს მედიაციის დახმარებით წყდება, იურისტების ერთობლივმა სულისკვეთებამ განაპირობა. მოცემული მდგომარეობიდან ორმხრივად სასარგებლო გამოსავლის თავად პოვნის შესაძლებლობა და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება იმის თაობაზე, თუ კონფლიქტის როგორი შედეგით დასრულება იქნებოდა მათვის საუკეთესო, მართლაც, მიმზიდველი აღმოჩნდა სასამართლოს მომხმარებლისათვის.

ის ფაქტი, რომ აშშ-ში სამედიაციო ცენტრებისა და სასამართლოს კავშირი, ისევე, როგორც მედიაციის ცნებისა თუ სხვა პროცესისათვის მნიშვნელოვანი ტერმინების დეფინირება სხვადასხვა შტატსა და ოლქში სხვადასხვაგარია, ერთი მხრივ, აშშ-ის სამართლებრივი სისტემით, კერძოდ, სასამართლო ხელისუფლების თავისებურებით (ფედერალური და შტატის სასამართლების არსებობა) არის გამოწვეული, ხოლო, მეორე მხრივ, ძლიერი ადგილობრივი თვითმმართველობის არსებობით. ამის მაგალითიც კონგრესის მიერ 1990 წელს მიღებული „სამოქალაქო სამართლის რეფორმირების აქტია“, რომელიც ყველა ადგილობრივ სასამართლებს ავალდებულებდა, ხელი შეუწყოთ მედიაციის დანერგვისათვის, თუმცა არ განსაზღვრავდა პირობებსა და ფორმებს. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, აშშ-ის თითქმის ყველა შტატში მოქმედმა სამოქალაქო საპროცესო ნორმებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მედიაციის განვითარებას. კერძოდ, შემდგომმა ორმა ფაქტორმა: ა) სამოქალაქო სამართლებ-

⁵²⁷ Wayne D. B., For Judges: Suggestions About What to Say About ADR at Case Management Conferences and How to Respond to Concerns or Objections Raised by the Counsel, Ohio State Journal on Dispute Resolution, No. 16, 2000, 14.

⁵²⁸ Zalar A., Managing Judicial Change Through Mediation – Part 2, ADR Bulletin, Vol. 6, No. 9, 2004, 2.

რივ დავებზე მოგებული მხარის მიერ გაწეული დანახარჯების საკუთარი სახსრებით დაფარვის წესმა (სიძვირის თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია ადვოკატის პონორარი და მტკიცებულებათა შეგროვების პროცესთან დაკავშირებული ხარჯი); ბ) სამოქალაქო სამართლაწარმოებაში ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობაში (პროცესის სირთულისა და ხანგრძლივობის თვალსაზრისით). ზემოაღნიშნული წესები, ერთი მხრივ, სასამართლო დავის მოგებას ხშირად მართლაც ნომინალურს ხდის, ხოლო, მეორე მხრივ, იმთავითვე ორივე მხარეს აძლევს სტიმულს, სცადონ საქმის მორიგებით დამთავრება.

„რბილი სამართლის“ გამოყენება პროცესის ერთგვაროვნად წარსა-მართად (უნიფიცირებელი აქტი) კიდევ ერთი ინსტრუმენტი იყო, რომე-ლიც აშშ-ში მედიაციის დამკვიდრების მიზნით წარმატებით იქნა გამოყე-ნებული, შტატების საკმაოდ დიდ ნაწილში. რისი მეშვეობით შეერთებუ-ლი შტატების კანონმდებელმა მედიაციის ნებაყოფლობითი ელემენტისა და სასამართლო მედიაციის ინსტიტუციური დამკვიდრებისათვის აუცი-ლებელი მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების ორგანული შერ-წყმა მოახერხა.

მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის მართლმსაჯულების სისტემაში და-ვის გადაწყვეტის ალტერნატიული პროგრამის საშუალებით სასამართლო მედიაციამ თავი დამკვიდრა როგორც მართლმსაჯულების განუყოფელმა ნაწილმა და მისმა ერთ-ერთმა მთავარმა საყრდენმა, სახელმწიფოს მხრი-დან ამ ინსტიტუტის მხარდაჭერის შეწყვეტას არ ჩაუვლია უკვალოდ. კერძოდ, ის საგრძნობლად აისახა პირველი ინსტანციის სასამართლოე-ბის მიერ მორიგებით დამთავრებულ საქმეთა რაოდენობაზე. ამასთან, „სილიკონის მდელოს“ ქვეყანაში, რასაკვირველია, ყოველდღიურად უფრო და უფრო მატულობს ინტერესი დავის გადაწყვეტის ელექტრონული (*online*) საშუალებების მიმართ. აქედან გამომდინარე, სად, თუ არა, პირ-ველ რიგში, აშშ-ში ყველაზე მეტს მუშაობენ დავის გადაწყვეტის ონლა-ინ საშუალებების (*ODR*⁵²⁹) პლატფორმის შექმნაზე. პარალელურად, ამე-რიკელი მედიატორები და კერძო სამედიაციო ცენტრები ძალიან ბევრს შრომობენ გლობალური მასშტაბით მედიაციის კულტურის დამკვიდრება-ზე, რაზეც მათ მიერ ორგანიზებული პროგრამები, სამუშაო შეხვედრები თუ სასწავლო კურსებიც მეტყველებს.⁵³⁰ შესაბამისად, აშშ-ში განვითარე-ბის დინამიკა ახალ ფაზაში შედის. თუ ადრე სასამართლოებს უწევდათ საგალეგებულო მედიაციის გამოყენება ამ ინსტიტუტის პოპულარიზებისა და მედიაციის დახმარებით სამართლებრივი დავების გადაწყვეტის კულ-ტურის ფორმირების მიზნით, დღეს კერძო სამედიაციო ცენტრები მდგრა-დი და დამოუკიდებლად სიცოცხლისუნარიანი ინსტიტუტებია, რომლებიც პირიქით ეხმარებიან მართლმსაჯულების მესვეურთ მედიაციის პოპულა-რიზებასა და გლობალური მასშტაბით⁵³¹ დავების მშვიდობიანი გადაწყვე-ტის კულტურის ფორმირებაში.

⁵²⁹ ინგ. Online Dispute Resolution.

⁵³⁰ იხ.: <<http://www.jamsadr.com/jamsfoundation/xpqGC.aspx?xpST=JAMSFoundation>>, ან <<http://cndr.uchastings.edu/professionals/ii.php>>, [25/09/2015].

⁵³¹ ტანხევი, ქ., გზა მედიაციისაკენ. კანონმდებლობა და სამედიაციო პრაქტიკა პოლონეთში, პარტნერს პოლსკა, ვარშავა, 2013, 17.

V. სასამართლო მედიაციის მოდელი საქართველოში

1. მორიგებით დავების გადაწყვეტის ისტორიული გამოცდილება ქართულ სამართალში

1.1 მორიგება ქართულ ჩვეულებით სამართალში

რამდენადაც ქართულ ჩვეულებით სამართალში თვითმმართველობები აერთიანებდნენ ჯერ კიდევ გაუმიჯნავ საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებს,⁵³² რთულია, ვისაუბროთ ქართულ ჩვეულებით სამართალში არსებულ მედიაციაზე, როგორც წმინდა სასამართლო ინსტიტუტზე,⁵³³ მით უფრო, მასზე, როგორც კერძო სამართლებრივი დავების გადაწყვეტის მექანიზმზე.⁵³⁴ აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ქართული ჩვეულებითი სამართლით არ არსებობდა მესამე ნეიტრალური პირის – მედიატორისა და მოსამართლის ერთმანეთისაგან ისე მკაცრად გამიჯნული ფუნქციები, როგორც ეს თანამედროვე მართლმსაჯულებაშია. ამის დამადასტურებელია, ერთი მხრივ, სამოსამართლო სამსახურში მყოფ იმ პირთა დასახელებათა სიუხვეცაა, რომელთა ფუნქციებში, სხვა საკითხებთან ერთად, დავების მშვიდობიანი გადაწყვეტაც შედიოდა: რჯულის კაცი,⁵³⁵ მსაჯული, მდივანბეგი, ბჭე-მედიატორი⁵³⁶, მორევი,⁵³⁷ ხევისბერი და ა.შ. „მიხეილ კაკელიას დაკვირვებით, სიტყვა მედიატორს XIX საუკუნის დამდევამდე ქართული სინამდვილე არ იცნობდა. ამ სიტყვას მხოლოდ 1802 წლიდან კხვდებით,“ – აღნიშნავს სამართლის ისტორიის მკვლევარი გ. დავითაშვილი საქუთარ ნაშრომში.⁵³⁸ მეორე მხრივ, ის ფაქტი, რომ ზემოთ ჩამოთვლილ პირებს გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება გააჩნდათ, რა დროსაც ისინი მთლიანად ეყრდნობოდნენ „ძველ ანდერძებს“⁵³⁹, ანუ პრეცედენტულ სამართლს, მიუთითებს მათ არა მხოლოდ მორიგების ხელშემწობათ, არამედ გადაწყვეტილების მიმდების პირის როლზეც. მიუხედავად უდავოდ დიდი განსხვავებისა თანამედროვე მედიატორებსა და ბჭე-მედიატორებს შორის, მათ შორის მსგავსებაც ბევრ ასპექტში არსებობს, მათ შორის, არჩევის წესი – ის რომ მედიატორი ორივე მხარისათვის მისაღები პიროვნება უნდა ყოფილიყო; მორიგების მსვლელობისას საერთო და ინდივიდუალური შეხვედრების ჩატარება; მორიგების მისაღწევად არა ერთი, არამედ რამდენიმე შეხვედრის

⁵³² კმეულია მ., რედ., ქართული ჩვეულებითი სამართალი, ტ. 4, მთავარი გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი, 1993, 165.

⁵³³ იქვე, 167.

⁵³⁴ ჩვეულებითი სამართლით საქართველოში მოქმედი მომრიგებელი მედიატორები უფრო ხშირად და ეფექტურად სწორედ სისხლის სამართლებრივ დავებზე გვევლინებიან.

⁵³⁵ დავითაშვილი გ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბილისი, 2004, 34.

⁵³⁶ „ბჭე – სადავო საქმის განსახილეველად არჩეული მოსამართლე – მედიატორი“ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი.

⁵³⁷ წულუკიანი ა., სვანური ბჭე-მედიატორული სასამართლო, ქურნალი: სახელმწიფო და სამართალი, №9, 1990, 60.

⁵³⁸ დავითაშვილი გ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი 2004, გვ5.

⁵³⁹ კმეულია მ., რედ., ქართული ჩვეულებითი სამართალი, ტ. 4, მთავარი გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი, 1993, 168.

გამართვა; მორიგების პროცესში გამხელილი ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვა და ა.შ.⁵⁴⁰

უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლის ავთანდილ წულუკიანის მოსაზრებით, ტერმინ „ბჭეს“⁵⁴¹ მე-12 საუკუნიდან მე-19 საუკუნემდე არ განუცდია შინაარსობრივი ცვლილება და იგი, როგორც ეს ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშია მითითებული, „სადაცო საქმის განსახილველად არჩეული მოსამართლე – მედიატორის“ მნიშვნელობით გამოიყენებოდა. საინტერესოა, ასევე, სამართლის დოქტორ, სულხან ონიანის მოსაზრებაც, რომ „ძველ ქართველთა ცნობიერებაში სამართალი, უპირველეს ყოვლისა, აღიმებოდა როგორც შუამავლობის, ურთიერთობის ხერხი და არა როგორც დღეს – ნორმათა შექმნისა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესი.“⁵⁴²

საქართველოს ტერიტორიაზე ჩვეულებით სამართლაში არსებულ სამედიაციო ინსტიტუტების გარდა 1864 წელს რუსეთის იმპერიაში გატარებული სასამართლოს რეფორმის შედეგად შემოტანილი – მომრიგებელი მოსამართლის ინსტიტუტიც ამოქმედდა.⁵⁴³ მომრიგებელი მოსამართლეთა იურისდიქცია სამოქალაქო სამართლის საქმეებზე ვრცელდებოდა,⁵⁴⁴ რომელთა დავის საგანი 500 მანეთს არ აღემატებოდა და ძირითადად პირადი შეურაცხყოფის, წყენის, საკუთრების უფლების აღდგენის, მცირე დანაშაულის ჩადენის (ისეთზე, რომელზეც მოსამართლეს არ შეეძლო 300 მანეთზე მეტი ჯარიმის დაკისრება) გამო გამოწვეულ დავებს განიხილავდნენ. შესაძლოა, გაუგებარი იყოს, რა შუაშია მომრიგებელი მოსამართლეობა მედიაციისათან? ეს არცთუ ისე უსაფუძვლო კითხვაა, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ დიდ მსგავსებას მომრიგებელ მოსამართლესა და მედიაციის ინსტიტუტებს შორის (მიზნებს, უპირატესობებს, ამოცანებსა და მსვლელობის პროცესს), შეიძლება ითქვას, რომ მომრიგებელი მოსამართლეობა მედიაციის ერთ-ერთი ფორმაა. სწორედ ამ მიზეზით დღემდე აშშ-სა და გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაში ტერმინები – მედიატორი და მომრიგებელ მოსამართლე როგორც სინონიმები ისე გამოიყენება, ხოლო მათ სერვისებს – დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებებს საერთო პროგრამის ფარგლებში,⁵⁴⁵ სთავაზობენ მომხმარებელს სასამართლოები.⁵⁴⁶

ბუნებრივია, რუსული წესების შემოღებამ ბჭე-მედიატორების ფუნქციები ეტაპობრივად შეკვეცა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მაგრამ მათი არსებობა კარგ წინაპირობას ქმნიდა 19-ე საუკუნის საქართველოში მომრიგებელი სასამართლოების დასამკვიდრებლად, ხოლო ორივე ერთად – თანამედროვე საქართველოში. სამართლებრივი დავების მშვიდობიანი მორიგება ქართული სამართლისათვის კარგად ნაცხობი და საუ-

⁵⁴⁰ წულუკიანი ა., სვანური ბჭე-მედიატორული სასამართლო, უურნალი: სახელმწიფო და სამართალი, №9, 1990, 67.

⁵⁴¹ იქვე, 60.

⁵⁴² ონიანი ხ., მედიაცია – მრავალსაუკუნოვანი ქართული ტრადიცია, იხ.:

<<http://prevention.gov.ge/prevention.gov.ge/uploads/files/2015/20150831.pdf>>, [11/23/2015].

⁵⁴³ იხ.: <<http://www.bibliotekar.ru/theoria-gosudarstva-i-prava-6/187.htm>>, [11/09/2015].

⁵⁴⁴ გორგაძე ი., გურგენიძე ნ., ილია ჭავჭავაძე: ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე, ბიბლიოგრაფიული ქრონიკა 1837-1907, „მეცნირება“, თბილისი, 1987, 48.

⁵⁴⁵ დაწყერილებით იხ. ამავე თემის მე-3 თავი.

⁵⁴⁶ კალიფორნიის სასამართლოს დავის გადაწყვეტის პროგრამები დაწყრილებით შეგიძლიათ იხილოთ აქ: <<http://www.cand.uscourts.gov/adr>>, [09/11/2015].

კუნოვანი ისტორიული გამოცდილების მქონე ინსტიტუტია, უდავოა, რომ იგი აქტიურად გამოიყენებოდა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში და ორგანულად იყო შერწყული ჩვენს კულტურასათან. პროფესორ გიორგი დავითაშვილის შეფასებით „მედიატორობა საქართველოში პრივილე-გიასთან იყო გაიგივებული, რაც არა მხოლოდ ამ ინსტიტუტის წარსულ მნიშვნელობაზე მეტყველებს, არამედ თანამედროვე საქართველოში მედი-აციის წარმატების ისტორიულ საფუძველს წარმოადგენს“.⁵⁴⁷ შესაბამისად, თანამედროვე დავის გადაწყვეტის საშუალებების დიზაინზე, მოდელსა თუ ფორმაზე ფიქრისას აუცილებელია სათანადო ყურადღება არამხო-ლოდ უცხოურ გამოცდილებასა დაეთმოს, არამედ ჩვენს ადგილობრივ ჩვეულებით სამართლისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებსაც.

რაც შეეხება მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტს და ზოგადად რუსული ანგլისის პერიოდში მოქმედ დავის გადაწყვეტის საშუალებებს, შესაძლოა, ის საერთოდ არ გამხდარიყო წინამდებარე სტატიის განხილვის საგანი, ვინაიდან არ იყო ორგანული ნაწილი ქართული ჩვეულებითი სამართლისა, არამედ საქართველოს ტერიტორიაზე იძულებით მოქმედი, რუსეთის იმპერიის საპროცესო კანონმდებლობის ნაწილი გახდათ, რომ არა ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი – ერთ-ერთ მომრიგებელ მოსამართლის თანამდებობაზე ილია ჭავჭავაძე იქნა განწესებული.

1.2 ქართული მედიაციის ილია ჭავჭავაძის სული კონცეფცია

წინამდებარე ქვეთავის მიზანი სწორედ მორიგების (მედიაციის) პროცესის, მედიატორის (მომრიგებლის პიროვნების) თვისებების, მიზნების, ინსტიტუტის სოციალური მნიშვნელობის და უპირატესობების შესახებ ილია ჭავჭავაძის მოსაზრებების ანალიზი და თანამედროვეობასთან სინოეზია. ილია ჭავჭავაძის ავტორიტეტის, აზროვნების სიღრმისა და ანალიზის უნარის გათვალისწინებით გაუგებარი არ უნდა იყოს, სამართლებრივი უთანხმოებების მესამე ნეიტრალური პირის დახმარებით მშვიდობიანად გადაწყვეტის შესახებ ილია ჭავჭავაძის შეხედულებების ხელახლა წამოწევის და ზედაპირზე ამოტანის სურვილი, რათა კიდევ ერთხელ ხაზი გაესვას, ერთი მხრივ, ქართული სამართლებრივი ცნობიერებისა და კულტურის ისტორიულ განვითარების სიმაღლეს, ხოლო, მეორე მხრივ, თანამედროვე სივრცეში ამ ინსტიტუტის ხელახლა, წარმატებით დამკვიდრებაში მომრიგებელი მოსამართლის რანგში ილია ჭავჭავაძის საქმიანობის, როგორც ბრწყინვალე მაგალითის, მნიშვნელობას.

1868 წლის 1 თებერვალს⁵⁴⁸ ილია ჭავჭავაძე რუსეთის მეფისნაცვლის სამმართველოს ბრძანებით დაინიშნა მომრიგებელ მოსამართლედ.⁵⁴⁹ ყურადღებას იპყრობს ის ფაქტიც, რომ მომრიგებული მოსამართლეობა არ ყოფილი პირველი პოზიცია, საიდანაც ილია ჭავჭავაძე დავების მშვიდობიან დარეგულირებას ცდილობდა. კერძოდ, იქამდე, 1964 წლის 8 ნო-

⁵⁴⁷ დავითაშვილი გ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თხუ-ს გამომცემლობა, თბილისი, 2004, 5.

⁵⁴⁸ გორგაძე ი., გურგენიძე ნ., ილია ჭავჭავაძე: ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე, ბიბლიოგრაფიული ქრონიკა 1837-1907, „მეცნიორება“, თბილისი, 1987, 48.

⁵⁴⁹ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რუსეთის იმპერიის გარვეულ ნაწილებში მომრიგებლ მოსამართლებს ხალხი თავად ირჩევდა ავტორიტეტულ პირთაგან. სამწუხაროდ, საქართველოში ეს წესი არ მოქმედებდა.

ემბერს, ილია დაინიშნა თბილისის მაზრის მომრიგებელ შუამავლად, სადაც მისი სამუშაო უბნები იყო გარე-კახეთი და მცხეთის უბანი.⁵⁵⁰ თბილისის მაზრიდან ის მაღვევე დუშეთის რაიონში გადაიყვანეს იმავე პოზიციაზე. მომრიგებელი შუამავლის მოვალეობას იმ ხანად შეადგენდა თავადაზნაურობასა და გლეხებს შორის „გლეხთა რეფორმის“ გატარებით გამოწვეული კონფლიქტებისა და დაძაბულობის მოგვარება, მემამულეთა და გლეხთა ნაკვეთების გამიჯვნა-დაზუსტება, გარიგების სიგელების შედგენა. რის გამოც ილიას დანიშვნის დღიდან მოუწია დუშეთის მაზრის სოფლებში სიარული კანცელარიის „მწერალთან“ ერთად.⁵⁵¹

ილია ჭავჭავაძის სახელი უამრავი ინსტიტუტისა თუ ნოვაციის დამკვიდრებას უკავშირდება, მათ შორის, ერთ-ერთი სწორედ მორიგებით სამართლებრივი დავების დამთავრების საკითხია. აღნიშნული, რაც არც თუ ისე ხშირად ყოფილა ხაზგასმული მაშინ, როცა სასამართლო სისტემაში ილია ჭავჭავაძის დვაწლზე იყო საუბარი. ის არამხოლოდ პრაქტიკოსი მედიატორი (როგორც ნეიტრალური მშვიდობისმყოფელი) იყო, არა-მედ დიდად ირჯებოდა საქართველოში მედიაციის (მორიგებით საქმეთა დამთავრების) კულტურის დამკვიდრებისათვის. რაზეც მის მიერ ამ საკითხთან დაკავშირებით გამოქვეყნებული სტატიები და პუბლიკაციები მეტყველებს, რომელთა შორის, განსაკუთრებით აღსანიშნავია: „მორიგება საქართველოში“, „მომრიგებელი მოსამართლობა ჩვენში“, „სამართლი მწრაფლი და მართალი“, „სასამართლოები ჩვენში“, „მომრიგებელი სასამართლოებს შესახებ“.

საგულისხმოა ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება იმ დროისათვის საქართველოში მომრიგებელი მოსამართლეობის დამამკიდრებელი კანონმდებლობის მიმართ: „არც ერთს კანონმდებლობას რუსეთში ისეთი გარკვეული და ჭეშმარიტი აზრი არ ჩატრთვია, როგორც განსამართლების წესია საზოგადოდ და მომრიგებელ მოსამართლობისას ცალკედ; არც ერთს კანონმდებლობას არ შეპხვედრია იმისთანა კაცნი, რომელთ ცოდნა და გონებითი ძალი ესე შესაფერად შესწვდომოდეს ამისთანა მაღალს, უაღრესს და რთულს საქმეს.. კანონმდებლობა რუსეთში სხვას არც ერთს საქმეს ასე ცნობიერად, გულმოდგინედ და ჭეშმარიტების სიყვარულით არ შესჭიდებია. ამიტომაც განსამართლების წესი რუსეთისა საზოგადოდ უფრო მოსაწონია, ვიდრე დასაწუნი, და ამაზედ უფრო მოსაწონია მომრიგებელ მოსამართლის დაწყობილებაა, გარდა ზოგიერთი ნაკლისა, რომელიც შეპყოლია წესს სხვადასხვა გარემოებების გამო. ეს სიკეთე.. აღიარებულია რუსეთის უკეთესთა კაცთაგან და ევროპიულ მეცნიერთაგანაც,“⁵⁵² – წერდა იგი. სავარაუდოდ, მომრიგებელ მოსამართლის ინსტიტუტის მომწერიგებელი ნორმების ასეთი მოწონების მიზეზი არა მხოლოდ საკანონმდებლო ტექნიკა, არამედ გარკვეულწილად ის იდეაც, რაც ამ საკანონმდებლო აქტს ახლდა თან, ხოლო ნაკლოვანებები, რომელზეც ილია მიუთითებდა, მომრიგებელ მოსამართლედ არა ადგილობრივის დანიშვნა, არამედ რუსეთის იმპერიის რომელიმე გუბერნიიდან მოსამართლის მოვლინება იყო. 1880 წლის 23 ივნისს გაზეთ „დროებაში“ (№132)

⁵⁵⁰ გორგაძე ი., გურგენიძე, ნ., ილია ჭავჭავაძე: ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე, ბიბლიოგრაფიული ქრონიკა 1837-1907, გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი, 1987, 44.

⁵⁵¹ თსპ. ტ. IX, 309.

⁵⁵² ჭავჭავაძე ი., მომრიგებელი მოსამართლეობა ჩვენში, წერილი მექქსე, პუბლიცისტური წერილები, ტ. IV, გამომცემლობა საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1987, 355.

გამოქვეყნებული სტატიით – „სასამართლოები ჩვენში” – ილია ეხმიანება ბალტიის ზღვის ქვეყნებში მომრიგებელი მოსამართლის ინსტიტუტის ამოქმედებას, სადაც ის, ასევე, მიუთითებს ახალი ინსტიტუტების იმპლუ-მენტაციისას „ჩამორჩენის უპირატესობის“ სახელით ცნობილ ფენომენზე: „არც ერთი ახალი წესი რუსეთის იმპერიაში ერთბაშათ ყველგან არ შე-მოუდიათ..., მაგრამ ბევრმა ამ მხარეთაგანმა არ უნდა ინადვლოს დაგვია-ნებაზედ. საზოგადოთ უფრო გვიან შემოსული წესი ადრე შემოდებულ-ზედ უფრო უნაკლულო და სრულია.. ტყუილათ არ არის ნათქვამი: გვიან და კარგათ საქმის გაკეთება სჯობს, აჩქარებით საქმის წახდენასო.. თორ-მეტი წელიწადი მეტია, რაც ახალი სასამართლოები შემოიდეს ჩვენში, მაგრამ დარწმუნებულები ვართ, ბალტიის გუბერნიის სასამართლოები ჩვენებს ემჯობინებიან, ხალხის მოთხოვნილებასთან უფრო შეთანხმებუ-ლი, შეფერებული იქმნებიან.“ ამ სტატიაში, როგორც ზემოხსენებულ გა-მოცემებშიც, ილია ჭავჭავაძის წუხილის საგანს ორი საკითხი შეადგენს: ერთი, არა ადგილობრივი იურისტების განწესება მოსამართლის თანამდე-ბობაზე: „წიგნებში კარგათა აქვს იმას შესწავლილი იურისპრადენცია და ჰერია, რომ ყოველსავე საქმეს შეაფერებს წიგნში მოცემულს კანონს, მაგრამ რამდენსამე ხანს თითონვე ჰგრძნობს, რომ მარტო წიგნი არა კმა-რა, საჭიროა ხალხის ჩვეულებაც იცოდეს: ჰგრძნობს, რომ რასაც გონება-გახსნილი და ადგილობრივის ჩვეულების მცოდნე კაცი ერთს საათში გა-არჩევს, ამისთვის გამოურკვეველ, გამოუხსნელ ნასკვათ გარდაიქცევა ხოლმე;“ მეორე – ქართული ენის სასამართლოებიდან განდევნა, რაც მო-სახლეობისათვის მართლმსაჯულების პროცესის ხელმისაწვდომობის გარდა, ეკონომიკურ პრობლემებსაც ქმნიდა. ბალტიის ქვეყნებში შემოდე-ბული სასამართლოები ამ ნაკლოვანებებს აცილებული იყვნენ. გამომდი-ნარე აქედან, ილია ჭავჭავაძეს იმედი ჰქონდა, რომ საქართველოშიც ერთ დროს იგივე მოხდებოდა. შესაბამისად, ილია ჭავჭავაძე საკუთარ ნაშორ-მებში განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას მედიატორის თვისებებ-ზე, რომელებიც დღესაც, თანამედროვე მედიაციის ხელახლა დამკვიდრე-ბის ეტაპზე, აქტუალურია ქართულ სამართლებრივ სივრცეში, მათ შორი-სა მედიატორთა აკრედიტირების წესიც.

ილიას დამოკიდებულება მომრიგებლობის მიმართ კარად ჩანს 1886 წლის 19 აპრილს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „მომრიგე-ბელი სასამართლოების შესახებ“, სადაც ის 30 მომრიგებლის დამატებას ქართული მართლმსაჯულებისათვის დიდი მნიშვნელობის ფაქტად აფა-სებს. კერძოდ, ილია წერდა: „რაც უფრო ცხოვრება წინ მიდის, ურთიერ-ობა კაცთა შორის მით უფრო რთული ხდება, აღებ-მიცემობა ცხოველ-დება და მომრიგებელის სასამართლოს მნიშვნელობაც ჰმატულობს.. სა-სამართლოს საქმეები ემატება და მცირე რიცხვი სასამართლოებისა ვუ-დარ აქმაყოფილებს ადგილის მართლმსაჯულების საჭიროებას. ხოლო თუ მართლმსაჯულება ისე ხელმოკლეა, რომ ვერა სწვდება ადგილის სა-ჭიროებას, თუ ამ ხელმოკლეობის გამო ყველას არ შეუძლიან ადვილად და სწრაფად მიამართოს მართლმსაჯულებას სიმართლის აღსაღენად, ცხოვრება სანატრელის გზით ვედარ იწარმოებს, ყოველდღიური მიმდინა-რეობა მისი შეფერხდება და ეს შეფერხება უწინარეს ყოვლისა დაეტყობა ხალხის ეკონომიკურ ყოფა-ცხოვრებას და ზნეობრივს მდგომარეობას. ხალხს სწრაფი და მარტივი, უფორმალურ სამართალი სჭირია.. დარღვე-ულ უფლებასა მსწრაფლ აღდგინება უნდა“. ადნიშნული საკითხი დღე-საც ისეთივე აქტუალურია, როგორც მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში

იყო. დღესაც წლობით იწელება სამოქალაქო სამართლებრივი დავები და გადატვირთულია სასამართლოები მომლოდინე საქმეებით.⁵⁵³ აღნიშნული სიტუაციიდან გამოსავლად დღესაც მოსამართლეთა დამატებას მიიჩნევენ⁵⁵⁴ და არა მომრიგებლების, რომელთა რაოდენობის ზრდას, ილიას მოსაზრებით, შესწევს ძალა, ხალხი სამართლის დაუახლოვოს.⁵⁵⁵ სამწუხაროა, რომ თანამედროვე საქართველოში სასამართლოს წინაშე მდგარი იმავე გამოწვევების გადაწყვეტის გზად, საქართველოში მართლმსაჯულების პოლიტიკის შემმუშავებელი პირები აქტიურად არ განიხილავენ მომრიგებელთა – მედიატორთა და სამედიაციო ცენტრების შექმნის შესაძლებლობას, რომლის ასეთი გულითადი მომხრე იყო ილია ჭავჭავაძე „მუშა კაცის, დღე ყოველი მისთვის ლუკმა-პურის შოგნის სახსარია, ამიტომაც შორს სიარული, სამართლის დაგვიანება, წასვლა-მოსვლა, რომელსაც გარდა ამისა ხარჯიც მოსდევს, ხალხისათვის დიდი ზიანია.. რაკი კაცს ასე გაუჭირდა საქმე, რომ მთელი წელიწადი სამართლის კარზედ იტრიალოს, მაშინ ხომ სახლ-კარს, ცოლ-შვილს უნდა თავი დაანებოს და ეს მოცდება კი ცოტა ზარალს მოუტანს!“, „ხალხს დავა კი არ უყვარს დავის მალე გათავება სწუურია“, ფაქტობრივად, ამ წინადაღებებში აყალიბებს ილია ჭავჭავაძე სასამართლოს, როგორც მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოს, მომსახურების გაწევის კონცეფციას, კერძოდ, მორიგებით დავის დროულად და უფექტიანად გადაწყვეტისათვის პრიორიტეტის მინიჭების აუცილებლობას. ამავე საკითხს უკავშირდება 1883 წლის 10 მარტს №51 გაზეთ „დროებაში“ ილია ჭავჭავაძის მიერ გამოქვეყნებული სტატია „სამართლი მწრაფლი და მართალი“, როგორც სათაურიდანვე ჩანს, ამ სტატიაში ილია ჭავჭავაძე დაყოვნებით განხორციელებული მართლმსაჯულების ნაკლოვანებებზე საუბრობს, სადაც არაპირდაპირ მიუთითებს „გაწელილი“ მართლმსაჯულების პირობებში მოგებელი მხარის წარმატების „მოჩვენებითობაზეც“: „ვთქვათ, შენ სასამართლოში უჩივლე და შენსას ითხოვ. რა აზრი უნდა შეადგინო შენ იმ სამართალზე, რომელიც ჯერ რამდენიმე თვე ერთს ინსტანციაზე შეგაჩერებს, მერე – მეორეზე, მესამეზე და ერთის, ორის წლის შემდეგ გეტყვის: შენი ყოფილა, დმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს, წაიღეო“. საკუთარ პუბლიცისტურ წერილებში ილია მიუთითებს, რომ „მომეტებულმა ნაწილმა ხალხისამ კანონი არ იცის, მომეტებული ნაწილი ვერ იტანს ფორმალობას, პატივს სცემს მარტო ნამდვილს სიმართლესა და უფრთხილდება დროს; ხალხისათვის უფრო ის არის სანატრელი, რომ საქმე სწრაფად გაუთავდეს ხოლმე და საქმის განაჩენები დამყარებული იყოს მასზედ, რაც თვითონ ხალხის მოსაზრებით სიმართლედ არის ცნობილი“.⁵⁵⁶

სამწუხაროდ, ერთი მხრივ, მორიგებების კონფიდენციალური ხასიათიდან, მეორე მხრივ, საქართველოს ეროვნულ საისტორიო არქივში და-

⁵⁵³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური მონაცემბი იხ.: <<http://www.supremecourt.ge/statistics/>>, [10/11/2015].

⁵⁵⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის განცხადება 100 მოსამართლის დამატების შესახებ, იხ.: <<http://www.ipress.ge/new/7577-raionul-saqalaqosasamartloeba-10dan-150mdes-mosamartle-daemateba>>, [10/11/2015].

⁵⁵⁵ ჭავჭავაძე ი., მომრიგებელი სასამართლოების შესახებ, გაზეთი ივერია, №86, 1886.

⁵⁵⁶ ჭავჭავაძე ი., მომრიგებელი მოსამართლეობა ჩვენში, წერილი მექქსე, პუბლიცისტურ წერილები, ტ. IV, გამომცემლობა საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1987, 359.

ცულ საკანცელარიო მასალათა (ინფორმაციული თვალსაზირისით) სიმწირიდან გამომდინარე ვერ მოხერხდა ილია ჭავჭავაძის მიერ უშუალოდ ჩატარებულ მორიგების პროცესის მსვლელობის ამსახველი ბევრი მასალის მოპოვება. დაცულ მასალათა შორის ნაპოვნი იქნა ორი საქმე, რომლებზეც ილია ჭავჭავაძემ წარმატებით მოახერხა მსარეთა მორიგება. პირველი მათგანი მღვდელ შიო ბარნაბაშვილსა და ფილიპე არგანაშვილს შორის არსებული დავა იყო: „მე, მომრიგებელმა მოსამართლემ, დავარწმუნე ორივე მსარე ამ საქმის მშვიდობიანი შეთანხმებით დამთავრებაში, შეთანხმებაში მასზედ, რომ არგანაშვილი გადაუხდიდა მღვდელს ხუთი მანეთის ნაცვლად ოთხ მანეთს და დაუბრუნებდა ცხვარს. ამაზე მათ გამოხატეს თავისი თანხმობა“⁵⁵⁷. შესაბამისად, ილია ჭავჭავაძემ შეწყვიტა საქმის წარმოება და გადასცა იგი არქივს შესანახად. მეორე საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ურმის სოფლის მცოვლებმა თიკო ქოჩორაშვილმა თავისი ქმრის – ქუციკა ქოჩორაშვილის მრუში ცხოვრების გამო განცხადებით მიმართა სასამართლოს. „დავარწმუნე ბრალმდებელი და ბრალდებულები ამ საქმის მორიგებით დამთავრებასა და ერთმანეთისათვის მიეკუთხებული წევნისა და შეურაცყოფის პატიებაში, ცოლისა და ქმარის ოჯახური უფლებებისა და მოვალეობების სიწმიდის სრულად აღდგენაში. ბრალმდებელმა და ბრალდებულებმა გამოხატეს თავიანთი თანხმობა ჩემს შეგონებაზე და შერიგდნენ რა, ითხოვეს ამ საქმის დავიწყებას მიცემა და წარმოებით შეწყვეტა. წერა-კითხვის უცოდინარობის გამო ხელი არ მოაწერეს“⁵⁵⁸ – გვამცნობს საქმის ჩანაწერი. ის, რომ ილია ჭავჭავაძე მორიგებას სისტემატურად იყენებდა და წარმატებით ართმევდა თავს, კარგად ჩანს ისტორიულ არქივში დარჩენილი საკანცელარიო ჩანაწერებიდანაც, თუმცა მათში არ არის მოცემული საქმის უშუალო გარემოებისა და მსარეთა შორის სადაცო საგნის შესახებ ინფორმაცია.⁵⁵⁹

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი მორიგებელი მოსამართლის და თანამედროვე სასამართლო მედიაციის ინსტიტუტების მსგავსების გათვალისწინებით შეიძლება თამამად ეწოდოს ილია ჭავჭავაძეს ქართული მედიაციის ფლაგმანი, მითურგებელს, რომ განვითარებულ ქვეყნებში იურისტ მედიატორთა უმრავლესობა ყოფილი და მოქმედი მოსამართლეები არიან.⁵⁶⁰

ილია ჭავჭავაძე თავისი აზროვნების სიღრმის, ანალიზის უნარისა და მოღვაწეობის გამო, იმსახურებს ადგილი ეკავოს მედიაციის და დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის იდეის გამავრცელებელი ისეთი პიროვნებების გვერდით, როგორებიც იყვნენ: აბრაამ ლინკოლნი⁵⁶¹ და მაჰათმა

⁵⁵⁷ იბ.: 1968 წლის 23 სექტემბერს ოქმი, №289-1 საქმეზე, დაცული საქართველოს ეროვნულ საისტორიო არქივში.

⁵⁵⁸ იბ.: 1868 წლის 23 ივლისის ოქმი №128 საქმეზე, დაცული საქართველოს ეროვნულ საისტორიო არქივში.

⁵⁵⁹ იბ.: №ფ.8-1-2284, №ფ.31-1-27, № ფ.31-1-211, № ფ.31-1-20268 და № ფ.31-1-20650 ფოლდერები, დაცული საქართველოს ეროვნულ საისტორიო არქივში.

⁵⁶⁰ რაშიც მარტივად დავრწმუნდებით თუ თვალს გადავავლებთ დიდი საერთაშორისო სამედიაციო ორგანიზაციათა მიერ ლიცენზირებული მედიატორთა სიებს, მაგ: <www.jamsadr.org>, [05/11/2015].

⁵⁶¹ Discourage litigation. Persuade your neighbors to compromise whenever you can. Point out to them how the nominal winner is often a real loser -- in fees, expenses, and waste of time. As a peacemaker the lawyer has a superior opportunity of being a good man. There will still be business enough.

განდია.⁵⁶² შესაბამისად, მისი ნააზრევისა და იდეების გამოყენება, იღია ჭავჭავაძის, როგორც მედიატორის, ისე თვით მედიაციის ინსტიტუტის პოპულარიზებისათვის უაღრესად დიდი შესაძლებლობაა, რომელიც არ უნდა იქნეს ხელიდან გაშვებული.

⁵⁶² My joy was boundless. I had learnt the true practice of law. I had learnt to find out the better side of human nature and enter men's hearts. I realised that the true function of a lawyer was to unite parties riven asunder. The lesson was so indelibly burnt into me that a large part of my time during the 20 years of my practice as a lawyer was occupied in bringing about private compromises of hundreds of cases. I lost nothing thereby, not even money, certainly not my soul.

2. სასამართლო მედიაცია კანონმდებლობის მიღებიდან ოთხი წლის შემდეგ

2011 წლის 21 ნოემბერს საქართველოს პარლამენტში ინიცირებულ იქნა „საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის შესახებ“⁵⁶³ საკანონმდებლო პაკეტი, რომლის მთავარი საკითხი სასამართლო სისტემაში მედიაციის ინსტიტუტის შემოტანა იყო. ინიცირებული ნორმის განმარტებითი ბარათის მიხედვით, „კანონპროექტის მიღების მიზეზია დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალების – მედიაციის ინსტიტუტის დამკავიდრება, რაც ხელს შეუწყობს მხარეთა შორის დავის აღმოფხვრას მათი შეთანხმების შესაბამისად და საზოგადოების თვითშეგნების ამაღლებას, რათა დავა მოაგვარონ ურიერთშეთანხმებით არასასამართლო გზით“. კანონპროექტის მიზნად რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოებში სწრაფი და ეფექტური მართლსაჯულების უზრუნველყოფა, მოდავე მხარეთა შორის დავის ურთიერთშეთანხმებით დასრულების ხელშეწყობა დასახელდა.⁵⁶⁴ საინტერესოა, რამდენად არის კანონპროექტის ავტორთა მიერ დასახული მიზანი მიღწეული მისი ამოქმედებიდან ოთხი წლის შემდეგ და აქვს თუ არა ქართულ მართლმსაჯულებას გარკვეული მიღწევები სამართლებრივი დავების მორიგებით მშვიდობიანი გადაწყვეტის მიმართულებით. აღნიშნული საკითხის გასარკვევად საჭიროა როგორც სასამართლო მედიაციის მარეგულირებელი ნორმების, ისე პრაქტიკის ანალიზი.

ზემოხსენებული კანონპროექტი მაღევე, 2011 წლის 20 დეკემბერს, იქნა მიღებული, ხოლო ამოქმედდა 2012 წლიდან 1 იანვარს. იმისათვის, რომ ნათელი გახდეს კანონის ამოქმედებიდან ოთხი წლის მანძილზე მიღწეული შედეგების გაუმჯობესების რესურსი (პოტენციალი) საკანონმდებლო ნორმებშია თუ ახალი ინსტიტუტის დამკავიდრების მიზნით გატარებული პოლიტიკის განხორციელებაში (ადმინისტრირებაში), საჭიროა ორივე მათგანის – კანონმდებლობისა და პრაქტიკის ცალ-ცალკე განხილვა.

2.1 სასამართლო მედიაციის მომწესრიგებელი კანონდებლობის ანალიზი

სასამართლო მედიაციის მარეგულირებელი ნორმების მიღებით დასახული მიზნის მიღწევისათვის საჭირო იყო, შემუშავებულ სამართლებრივ ნორმებს მოეხდინათ მედიაციის გამოყენების სტიმულირება ისე, რომ არ შელახულიყო მედიაციის არსი; დაცული ყოფილიყვნენ პროცესში მონაწილე პირები და გამუღავნებული ინფორმაცია, მაგრამ არ მომხდარიყო პროცესის ზედმეტი რეგულირება; მორიგების ეფექტური აღსრულებისათვის შემუშავებულიყო ოსტატური და დაბალანსებული სამართლებრივი მექანიზმები. იმისთვის, რომ ჩამოთვილი საკითხების შესწავლა სრულყოფილად თუ არა, ნაწილობრივ მაინც გამოვიდეს, საჭიროა კრიტიკულად

⁵⁶³ იბ.: <<http://parliament.ge/ge/law/7675/15264>>, [11/24/2015].

⁵⁶⁴ კანონპროექტის განმარტებითი ბარათი იბ.: <<http://parliament.ge/ge/law/7675/15264>>, [11/24/2015].

გაანალიზდეს შემდეგი საკითხები: მედიაციის დეფინირება, მედიაციის პროცესის წამოწყების მექანიზმები, კონფიდენციალობის დაცვის საკითხი, პროცესის მონაწილე პირების უფლებებსა და მოვალეობები და ბოლოს, მორიგების აღსრულების მარეგულირებელ ნორმები. ამისათვის კი თითოეული მათგანი განხილულ უნდა იქნეს დამოუკიდებლად:

1. მედიაციის ცნება;

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXI¹ თავი – „სასამართლო მედიაცია“ არ მოიცავს მედიაციის განმარტებას, მითითებას ამ პროცესში მესამე ნეიტრალური პირის როლზე, მხარეთა მიერ პროცესის შედეგის კონტროლის საკითხსა და მედიატორის სტილზე. ჩამოთვლილი საკითხებს არც სასამართლო ხელისუფლების მიერ მიღებული რომელიმე ნორმატიული აქტი არეგულირებს. შესაბამისად, დღემდე მხოლოდ მოქმედ მედიატორთა პროფესიონალიზმსა და კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული ბევრი ისეთი საკითხი, რომლებიც, როგორც წესი, მედიაციის ცნებით არის ხოლმე განსაზღვრული, მაგ.: როგორი სტილის მედიაციის პროცესს ჩაატარებს მედიატორი, შეთავაზებს თუ არა მორიგების პირობებს მხარებს და ა.შ.

2. პროცესის წამოწყება;

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187³ მუხლის⁵⁶⁵ მიხედვით, სასამართლო მედიაციის წამოწყება შესაძლებელია ნებისმიერი დაგაზე მხარეთა თანხმობის შემთხვევაში, ხოლო მოსამართლის განჩინებით:

- ა) საოჯახო დავებზე, გარდა შვილად აყვანისა, შვილად აყვანის ბათილად ცნობისა, მშობლის უფლების შეზღუდვისა და მშობლის უფლების ჩამორთმევისა;
- ბ) სამემკვიდრეო სამართლებრივ დავებზე;
- გ) სამეზობლო სამართლებრივ დავებზე.

შესაბამისად, კანონმდებელმა პროცესის წამოწყებასთან დაკავშირებით, შეიძლება ითქვას, რომ აირჩია შუალედური მიდგომა, რაც გულისხმობს იმას, რომ მან მხოლოდ სამი კატეგორიის საქმეზე დაუშვა სავალდებულო მედიაცია, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში ის მხარეთა ნებაყოფლობით შეთანხმების საგნად დატოვა. ასევე, ყურადღებას იპყრობს ის ფაქტიც, რომ განსხვავებით არბიტრაჟის შესახებ საქართველო კანონის 1-ლი მუხლის⁵⁶⁶ მოთხოვნისა (არბიტრაჟი უფლებამოსილია, განიხილოს მხოლოდ პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი დავები, რომელთა მოწესრიგებაც მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის), სასამართლო მედიაციის მარეგულირებელი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187³ მუხლის⁵⁶⁷ „დ“ ქვეპუნქტი აღნიშნულ დათქმას არ ითვალისწინებს და მხარეთა თანხმობის შემთხვევაში ნებისმიერ დაგაზე იძლევა სასამართლო მედიაციის ჩატარების საშუალებას. „ქონებრივი“ თუ სხვაგვარი დეფინიციით სასამართლო მედიაციის შეუზღუდველობა მას გაცილებით მეტ ასპარეზს აძლევს, ვიდრე დავის გადაწყვეტის კიდევ ერთ აღტერნატიულ საშუალებას – არბიტრაჟს. ასევე, საინტერესო დეტალი ქართული სასამართლო მედიაციის მარეგული-

⁵⁶⁵ ი.ბ.: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?geo=on#>>, [03/11/2015].

⁵⁶⁶ ი.ბ.: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/89284?publication=5#!>>, [11/11/2015].

⁵⁶⁷ ი.ბ.: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?geo=on#>>, [03/11/2015].

რებელი კანონმდებლობისა არის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187³ მუხლის⁵⁶⁸ მე-2 პუნქტის დათქმა: მხოლოდ ნებაყოფლობითი მედიაციის, მაშასადამე მხოლოდ მხარეთა თანხმობის შემთხვევაში შეიძლება დავა გადაეცეს მედიაციას ნებისმიერ სტატუსზე, რაც ნიშნავს, რომ სავალდებულო მედიაციის შესახებ განჩინების მიღება მოსამართლეს მხოლოდ მოსამზადებელ ეტაპზე შეუძლია და არა ნებისმიერზე. აქვე აღსანიშნავია, რომ სსსკ-ის 187¹ მუხლის მიხედვით, მედიატორისათვის საქმის გადაცემის შესახებ განჩინება არ გასაჩივრდება. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ქართული კანონმდებლობა მედიაციის ინსტიტუტს, უფრო კონკრეტულად კი სავალდებულო მედიაციას აღიქვამს როგორც სასამართლოში საქმის წარმოების პროცესის ნაწილს. ის ფაქტი, რომ გარკვეული კატეგორიის დავები სავალდებულო მედიაციას გადაეცემა ისე, რომ მხარეებს ამ განჩინების გასაჩივრების უფლებაც არ აქვთ, კონსტიტუციით გარანტირებული სასამართლოსადმი მიმართვის უფლების შეზღუდვა კი არა, არამედ სასამართლოს ადმინისტრირების პროცესში მიღებული გადაწყვეტილებაა. ამგვარ დამოკიდებულას არაერთი⁵⁶⁹ ქვეყნის სასამართლო იცნობს, თუმცა ამ შემთხვევაში საჭიროა საერთო სასამართლოების მართლმსაჯულების პოლიტიკის შემმუშავებელი ორგანოს – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით მისი მოწერიგება. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორაგანული კანონის 49-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, საქართველოს იუსტიციის საბჭო შეიმუშავებს და ამტკიცებს საერთო სასამართლოების ორგანიზაციული მუშაობის წესს,⁵⁷⁰ ხოლო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-9 მუხლის „ზ“ და „უ“ ქვეპუნქტის მიხედვით, იუსტიციის უმაღლესი საბჭო ამტკიცებს საერთო სასამართლოების ორგანიზაციული მუშაობის წესს და იდებს გადაწყვეტილებებს საერთო სასამართლოების სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.⁵⁷¹ შესაბამისად, იუსტიციის უმაღლესი საბჭო სასამართლო მედიაციის ორგანიზაციული მუშაობისა და საქმინობის წესის შესახებ დებულების დამტკიცებით უზრუნველყოფს სასამართლო მედიაციის ინტეგრირებას საქართველოს სასამართლო სისტემაში.

3. კონფიდენციალობის დაცვის საკითხი;

სასამართლო მედიაციის პროცესი მხარეებისათვის უსაფრთხოა, უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ მორიგების მიუღწევლობის შემთხვევაში მედიაცია მათვის ზიანის მომტანი არ არის ინფორმაციის გამჟღავნების მხრივ. კონფიდენციალობა, როგორც ინსტიტუტი, სასარგებლო და საინტერესოა მხარიერებისთვის, რომელთაც არ სურთ ოჯახის წევრთან, თანამშორმელთან თუ პარტნიორთან არსებული კონფლიქტის საჯარო სივრცეში (სასამართლოში) გატანა. მას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მე-

⁵⁶⁸ იბ.: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?geo=on#>>, [03/11/2015].

⁵⁶⁹ იბ. აშშ-ის სასამართლო მედიაციის წესები: <<http://www.cand.uscourts.gov/overview>>, [11/05/2015], ან ავსტრალიის სასამართლო მედიაციის წესები:

<<http://www.ag.gov.au/LegalSystem/AlternateDisputeResolution/Pages/NADRACPublications-A-Z.aspx>>, [11/05/2015].

⁵⁷⁰ იბ.: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90676>>, [12/12/2015].

⁵⁷¹ იბ.: <<http://hcoj.gov.ge/legal-framework/varios>>, [12/12/2015].

დიაციის შემადგენელი კომპონენტების: კომუნიკაციის გაუმჯობესებისა და ინფორმაციის შეგროვების პროცესის ჯეროვანი წარმართვისათვის. მეტიც, ვინაიდან სასამართლო პროცესისაგან განსხვავებით მედიაციის დროს მედიატორი ცდილობს მხარეთა განსხვავებული ან საერთო, მაგრამ არა ურთიერთსაწინააღმდეგო სამართლებრივი, ფსიქო-სოციალური და მატერიალური ინტერესების ერთმანეთში „გადათამაშებით“ იპოვოს ორმხრივად სასამართლო გამოსავალი, კონფიდენციალობის დაცვის საკითხი, ასევე, დიდ გავლენას ახდენს მედიაციის მესამე შემადგენელ კომპონენტზე – შემოქმედებითი გამოსავლის პოვნაზე. აქედან გამოდინარე, მხარეთა რეალური საჭიროებების გაგების მიზნით, სასამართლო მედიაციის ეფექტურად წარმართვისათვის მნიშვნელოვანია, რომ მედიატორის ჰქონდეს შესაძლებლობა ყოველგვარი ინფორმაციის შეგროვებისა მათ შორის, კონფიდენციალურის. საპირისპიროდ, თუ სასამართლო სისტემა ვერ უზრუნველყოფს კონფიდენციალური ინფორმაციის გავრცელებისაგან სათანადო დაცვას, ის შესაძლოა მნიშვნელოვანი ზიანის მომტანი გახდეს მხარეებისათვის. კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის სათანადო გარანტიების გარეშე, როგორც წესი, მედიაციის პროცესში მხარები არ ამხელენ მათთვის სენსიტიურ ინფორმაციას მისი გავრცელების შიშით, შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სადაცო საკითხთან დაკავშირებით მთლიანი სურათის აღქმა. სწრედ ამიტომ, კონფიდენციალობის დაცვა მედიაციის პროცესის ერთ-ერთ მთავარ საყრდენს წარმოადგენს და მისი დაცვის უზრუნველყოფის გარეშე წარმოუდგენელია მედიაციის ჯეროვანი პროცესის ჩატარება. აღნიშნული საკითხი გათვალისწინებულ იქნა ქართველი კანონმდებლების მიერაც, რაც კარგად ჩანს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე, 141-ე და 1878-ე მუხლებით. კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის მიხედვით, სასამართლო მტკიცებულებად არ მიიღებს სასამართლო მედიაციის პროცესში კონფიდენციალურობის პირობით გამუდავნებულ ინფორმაციასა და დოკუმენტს, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არის დადგენილი.⁵⁷² იმავე მუხლის 1² პუნქტით ეს წესი არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ გამუდავნებულ ინფორმაციას ან დოკუმენტს სასამართლოში წარადგენს ის მხარე, რომელმაც გაამუდავნა იგი, ან თუ ეს ინფორმაცია ან დოკუმენტი მეორე მხარეს ჰქონდა, ან კანონით გათვალისწინებული სხვა საშუალებებით მიიღო და წარადგინა სასამართლოში.⁵⁷³ რაც შეეხება სსსკ-ის 187⁸ მუხლს, ის უკრძალავს როგორც მხარეებს, ისე მედიატორს მედიაციის პროცესში გამხელილი ინფორმაციის გავრცელებას, ხოლო სსსკ-ის 141-ე მუხლით, მედიატორი არ შეიძლება დაკითხულ იქნეს მოწმედ ისეთ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელებიც მისთვის ცნობილი გახდა მედიატორის მოვალეობის შესრულებისას. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ განსხვავებით გერმანიასა⁵⁷⁴ და ამერიკის ზოგიერთ შტატში⁵⁷⁵ არსებული რეგულაციური

⁵⁷² ი. ა. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?geo=on#>>, [03/11/2015].

⁵⁷³ ი. ა. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?geo=on#>>, [03/11/2015].

⁵⁷⁴ შეგიძლიათ შეადაროთ გერმანული კანონმდებლობას, სადაც მედიაციის აქტის მე-4 მუხლის მიხედვით, გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულებისაგან მედიატორის გათავისუფლება. კერძოდ, ეს დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაციის გახსნა აუცილებელია მორიგების აღსრულებისათვის ან საჯარო წესრიგის დასაცავად. ი.:

<<http://www.gesetze-im-internet.de/bundesrecht/mediationsg/gesamt.pdf>>, [12/11/2015].

⁵⁷⁵ უისკონსინის შტატის კანონმდებლობით, მედიატორებს კონფიდენციალური ინფორმაციის გამუდავნების უფლებას დაუურულ სასამართლო (ინგლ. *in camera*)

ბისგან ქართული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს გამონაკლის შემთხვევებს ზემოაღნიშნული მოთხოვნიდან, რაც გარკვეულ წილად თანხვედრაშია, ასევე, „სამოქალაქო და კომერციულ საქმეებზე მედიაციის გარკვეული ასპექტების შესახებ“ ევროპულ დირექტივასთანაც.⁵⁷⁶ კერძოდ, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ დირექტივის პრეამბულასა და ტექსტში ხაზი აქვს გასმული კონფიდენციალობის მნიშვნელობას მედიაციის პროცესისათვის, აქტის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს მისგან გამონაკლის შემთხვევებსაც – თუ კონფიდენციალური ინფორმაცია ქვეყნის საჯარო წესრიგს კონკრეტულად კი ბავშვის ინტერესებს ან მორიგების აქტის აღსრულებას შეეხება. თუმცა იმავე მუხლის მე-2 პუნქტი ანიჭებს უფლებამოსილებას ხელშემქვრელ სახელმწიფო ორგანიზაციებს, მიიღონ კიდევ უფრო მკაცრი წესები კონფიდენციალობის დასაცავად, ვიდრე ეს თვით დირექტივაშია; ვინაიდან ევროკავშირის დირექტივით კონფიდენციალურობის შეთანხმებიდან გასვლის შესაძლებლობა, უპირველეს ყოვლისა, მისი დაცვის კერძო ინტერესზე უფრო მაღლა მდგომი საჯარო ინტერესით არის განპირობებული. საქართველოშიც კონფიდენციალობის დაცვის წესიდან გამონაკლისის დაშვება, საგარაუდოდ, უკეთესიც იქნებოდა თვით მედიაციის ინსტიტუტისათვის, ვიდრე – უარესი. მართალია, საქართველოს მსგავსად კონფიდენციალობის დაცვის ფაქტობრივად აბსოლუტურ ვალდებულებას განვითარებული ქვეყნების წამყვანი სამედიაციო სასამართლოების წესებიც ითვალისწინებს (მაგ., კალიფორნიის⁵⁷⁷), თუმცა საქართველოში მედიატორთა კვალიფიკაციის გათვალისწინებით, მსგავსი მოწესრიგება გარკვეულ რისკებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული.

1. პროცესის მონაწილე პირების უფლებები და მოვალეობები;

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი სასამართლო მედიაციის პროცესში მონაწილე პირებს აკისრებს შემდეგ უფლება-ვალდებულებებს:⁵⁷⁸

- 31-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, მოსამართლე ვალდებულია, აიცილოს საქმე, თუ ის იმავე საქმეში მონაწილეობდა როგორც მედიატორი;
- მედიატორის აცილების უფლებამოსილება მხარეებს ზუსტად იმავე საფუძვლებით (სსსკ 187⁴ მუხლი) აქვთ მინიჭებული, რაც მოსამართლის აცილების საფუძველია;
- სსსკ-ის 94-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოში წარმომადგენლად არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც ამ საქმეში მონაწილეობდა მედიატორად, ხოლო სსსკ-ის 35-ე მუხლით იგივე შეზღუდვა ვრცელდება ექსპერტზე, თარჯიმანზე, სპეციალისტსა და სხდომის მდივანზე;

სხდომაზე აძლევს იმ შემთხვევაში, თუ მედიაციის პროცესზე გამხელილი ინფორმაციის კონფიდენციალურად შენახვა აშკარად უკანონობას წარმოადგენს. იხ.:

<<http://www.wicourts.gov/services/attorney/mediation.htm>>, [10/02/2014].

⁵⁷⁶ Directive 2008/52/EC, on certain aspects of mediation in civil and commercial matters, of the European Parliament and of the Council, 21 May 2008, იხ.:

<<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:32008L0052:en:NOT>>, [03/07/2015].

⁵⁷⁷ Sanction 1121 (mediator's Reports and Finding) California Evidence Code, იხ.:

<<http://www.leginfo.ca.gov/cgi-bin/displaycode?section=evid&group=01001-02000&file=1115-1128>>, [03/01/2015].

⁵⁷⁸ იხ.: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?geo=on#>>, [03/11/2015].

- სსსკ-ის 187⁸ მუხლი უკრძალავს მედიატორს და მხარეებს მედიაციის პროცესში გამხელილი კონფიდენციალური ინფორმაციის გაცრცელებას;
- სსსკ-ის 141-ე მუხლი მედიატორს, ერთი მხრივ, ანიჭებს პრივილეგიას, არ მისცეს ჩვენება მედიაციის მსვლელობისას მისთვის გამხელილი ინფორმაციის შესახებ, ხოლო, მეორეს მხრივ, უკრძალავს სასამართლოს წინაშე მოწმის სახით წარდგომას ისეთ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელებიც მისთვის ცნობილი გახდა მედიატორის მოვალეობის შესრულებისას;
- 187⁴ მუხლის 1-ელი ნაწილით მხარეები ვალდებული არიან, გამოცხადნენ არანაკლებ ორ სამედიაციო შეხვედრაზე დანიშნულ დროსა და ადგილას, ხოლო არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში ისინი დაჯარიმდებიან 150 ლარით.
- 187⁵ მუხლის მიხედვით მედიატორს მხარეთა მორიგებისათვის შეუძლია გამოიყენოს 45 დღე და ეს ვადა მხოლოდ მხარეთა თანხმობით შეიძლება გაგრძელდეს იმავე ვადით.

მოცემული რეგულაციების შეჯამებით შეიძლება ითქვას, რომ ქართულ კანონმდებლობით: 1) მესამე ნეიტრალურ პირს ერთმევა უფლება, იმავე დავის საგანზე მონაწილეობდეს სხვა სტატუსით მას შემდეგ, რაც იგი მონაწილეობას მიიღებს როგორც მედიატორი; 2) კონფიდენციალობის დაცვის თვალსაზრისით, მედიატორები მიეკუთვნებიან პრივილეგირებულ პროფესიათა რიცხვს, რომლებიც საკუთარი პროფესიული მოვალეობის შესრულებისას მიღებული ინფორმაციას გაცემის ვალდებულებისაგან დაცული არიან; 3) უზრუნველყოფილია მედიაციის პროცესში მხარეთა უშუალო მონაწილეობა; 4) დაწესებულია გონივრულ ვადა, რომლის გასვლის შემდეგ მედიატორი ვალდებულია, საქმე განსახილველად დაუბრუნოს სასამართლოს.

საკანონმდებლო დონზე მედიაციის პროცესში მონაწილეთა უფლება-მოვალეობების რეგულირების მიზანი მედიაციის პროცესის, მასში მონაწილე პირებისა და მართლმსაჯულებისა ინტერესების დაცვაა. აქედან გამომდინარე, თუ მედიატორთა ზემოთ ჩამოთვლილ ვალდებულებები შედარდება განვითარებული ქვეყნების (გერმანიის, ავსტრიის ან თუნდაც (მისი ლიბერალური მიღვომებიდან გამომდინარე) კალიფორნიის შტატის მედიატორთა ვალდებულებებს, ნათლად გამოჩნდება, რომ ქართულ სასამართლო მედიაციის პროცესში მედიატორთა ვალდებულებები არც თუ ისე სრულყოფილადაა მოწესრიგებული.

2. საქმის მორიგებით დამთავრება

საქართველოში რაიმე სპეციალური ფორმა და მოთხოვნები სასამართლო მედიაციაზე მიღწეული მორიგების გასაფორმებლად არ არსებობს. მასზე, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა ხელშეკრულებაზე, სამოქალაქო სამართლის მოთხოვნები ვრცელდება, თუმცა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187⁷-ა მუხლი არეგულირებს სასამართლო მედიაციის დასრულების საკითხს. კერძოდ, „თუ სასამართლო მედიაციისათვის კანონით დადგენილ ვადაში დავა მხარეთა შეთანხმებით დასრულდება, სასამართლო მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიგანს განჩინებას მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ. ეს განჩინება

საბოლოოა არ გასაჩივრდება⁵⁷⁹ და დაუყოვნებლივ შედის ძალაში. ამასთან, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მიხედვით,⁵⁸⁰ აღსრულებას ექვემდებარება კერძო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე კანონიერ ძალაში შესული განჩინება.

საქართველოს კანონდებლობა სასამართლო მედიაციის შედეგად მიღწეული მორიგების არა მხოლოდ იოლი აღსრულების მექანიზმებს ითვალისწინებს, არამედ შედიაციის დახმარებით საქმის დამთავრების მიზნით სასამართლოს მომხმარებლებისათვის გარკვეულ მასტიმულირებელ მექანიზმებსაც ქმნის, რომელთა შორის ერთ-ერთი უმთავრესი ეკონომიკური მოტივია. კერძოდ, მედიაციით დავის გადაწყვეტის შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენს 1%-ს, მაგრამ – არანაკლებ 50 ლარს.⁵⁸¹ ფინანსური თვალსაზრისით, ზემოაღნიშნული წესი სასამართლო ბაჟის შემცირებისა, მართლაც, წარმოადგენდეს მოტივატორს მხარეებისათვის,⁵⁸² თუმცა აქვე გასათვალისწინებელია ერთი საკითხიც: საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლით, სასამართლო მორიგების შემთხვევაში (და არა მედიაციით მორიგების შემთხვევაში) მოსამართლე გამოიგანს განჩინებას საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ და დაამტკიცებს მორიგების პირობებს, ხოლო საქმის წარმოების შეწყვეტისას „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი იძლევა გადახდილი სახელმწიფო ბაჟის მთლიანი დაბრუნების შესაძლებლობას.⁵⁸³ შესაბამისად, აღნიშნული ჩანაწერი პრაქტიკაში იძლევა სასამართლოში მორიგებისათვის უფრო მეტ სტიმულს, ვიდრე მედიაციის პროცესით მორიგებისთვის. შეიძლება აღნიშნული საკითხი არც თუ მნიშვნელოვანი იყოს, თუმცა მოსალოდნელია, რომ მხარეებმა მედიატორთან საქმის მორიგებით დამთავრებაზე სწორედ იმიტომ თქვან უარი, რომ მათთვის კიდევ უფრო ხელსაყრელი მედიაციის პროცესის დასრულების შემდეგ სასამართლო დარბაზში მორიგება იქნება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ კანონმდებლობაში სასამართლო მორიგების მარეგულირებელ ნორმებსაც აქვთ გარკვეული ხარვეზები. კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 218-ე მუხლის მიხედვით,⁵⁸⁴ მოსამართლე, მხარეთა მორიგების მიზნით, უფლებამოსილია, თავისი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით გამოაცხადოს შესვენება სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას და სხვა პირთა დასწრების გარეშე მოუსმინოს მხოლოდ მხარეებს ან მხოლოდ მათ წარმომადგენლებს. ასევე, მოსამართლეს, მხარეთა მორიგების მიზნით, შეუძლია მიუთითოს დავის გადაწყვეტის შესაძლო შედეგებზე და მხარეებს შესთავზოს მორიგების პირობები. როცა მოსამართლე თავად გამოდის მომრიგებელის

⁵⁷⁹ იბ.: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?geo=on#>>, [03/11/2015].

⁵⁸⁰ იბ.: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/18442>>, [03/11/2015].

⁵⁸¹ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის „³ პუნქტი, იბ: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?geo=on#>>, [03/11/2015].

⁵⁸² როგორც პრაქტიკაში გამოიკვეთა, ხმირად მხარეებს პირველ ინსტაციაში სარჩელის შეტანისას მთლიანად გადახდილი აქვთ „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული სასამართლოს ბაჟის ოდენობა – 3%, რის გამოც მოსამართლე მხარეებს, მორიგების აქტის დამტკიცებასთან ერთად, უკან უბრუნებს უკვე გადახდილ სახელმწიფო ბაჟის 2%-ს.

⁵⁸³ იბ.: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/93718>>, [03/11/2015].

⁵⁸⁴ იბ.: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?geo=on#>>, [03/11/2015].

როლში თავის წარმოებაში არსებულ საქმეზე და არ გადასცემს მას კოლეგას, როგორც ეს მაგ., გერმანიის ფედერაციის სასამართლოებშია,⁵⁸⁵ მორიგის პროცესის დგება შემდეგი პრობლემების წინაშე:

1. მხარეებს და თავად მოსამართლეს უჭირთ შეჯიბრებითობის პრინციპზე დამყარებული სასამართლო პროცესიდან, თანამშრომლობის პრინციპზე დამყარებულ მორიგების პროცესზე მომენტალურად გადასვლა, შესაბამისად, პროცესისადმი დამოკიდებულების შეცვლა. აქედან გამომდინარე, საქართველოს სასამართლოებში მიმდინარე სასამართლო მორიგების პროცესები, მაღალი ალბათობით, იმავე დაპირისპირებულ რეჟიმში გრძელდება ხოლმე, რა რეჟიმშიც მიმდინარეობდა სასამართლო პროცესი;

2. მხარეებმა იციან რა, რომ მორიგების მიუღწევლობის შემთხვევაში იგივე მოსამართლეს მოუწევს შინაგანი რწმენის კარნახით გადაწყვეტილების მიღება დავის საგანზე, ერიდებიან ისეთი კონფიდენციალური ინფორმაციის გამხელას, რამაც შესაძლოა ზემოქმედება იქონიოს გადაწყვეტილების მიმღებ პირზე. შესაბამისად, ის ფაქტი, რომ მოსამართლეს შეუძლია სხვა პირთა დასწრების გარეშე მოუსმინოს მხოლოდ მხარეებს, ვერ იქნება საკმარისი გარანტი მხარეთათვის სენსიტიური ინფორმაციის გაცემისა.

3. მორიგების პროცესში მესამე ნეიტრალურ პირის მიერ მორიგების პირობების შეფასების ან შეთავაზების დროს არსებობს საშიშროება იმისა, რომ თუ ერთი ან მეორე მიუღებელია მხარისათვის, მისი გამჟღავნების მომენტიდან ნეიტრალური პირი – მოსამართლე თუ მედიატორი მხარის აღქმაში კარგავს ნეიტრალურ პირის როლს და იგი ოპონენტი მხარის „ადვოკატი“ ხდება. აქედან გამომდინარე, საქმის უშუალოდ განმხილველი მოსამართლის მიერ, თუნდაც მხარეთა მორიგების მიზნით, მითითება ერთ-ერთი მხარისათვის (ან ორივესთვის) დავის გადაწყვეტის მისთვის (ან მათთვის) მიუღებელ შედეგზე ან მორიგების პირობაზე, არყევს პროცესის გაგრძელების შემთხვევაში ამ მოსამართლის ნეიტრალურ და მიუკერძოებელ აღქმას, რაც საქმაოდ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს მართლმსაჯულებისათვის.⁵⁸⁶ სწორედ ამ პრობლემების გადაწყვეტისა და რისკების განეიტრალების მიზნით, გერმანიაში სასამართლო მორიგებისას დავა გადაეცამა სხვა მოსამართლეს, რომელიც განსხვავებულ გარემოში ხვდება მხარეებს, აცნობს საკუთარ როლს და მხარეებს შორის თანამშრომლობითი დამოკიდებულების შექმნით ცდილობს სამართლებრივი უთანხმოების მორიგებით დამთავრებას. ამასთან, ის ვალდებულია, არ გაანდოს საქმის განმხილველ მოსამართლეს ის ინფორმაცია, რაც მისთვის ცნობილი მორიგების პროცესის მსვლელობიდან გახდა. შესაბამისად, დაიცვას კონფიდენცილობა, ხოლო მორიგების პროცესის წარუმატებლად დამთავრების შემთხვევაში საქმე განსახილველად დაუბრუნოს თავდაპირველ მოსამართლეს.⁵⁸⁷

⁵⁸⁵ Hopt, K. J., Steffek, F.; Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 17.

⁵⁸⁶ ადნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო განმარტება იქნა გაკეთებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო პალატის 2015 წლის 6 აგვისტოს განჩინებაში, იხ.: <<http://library.court.ge/judgements/63762015-09-11.pdf>>, [11/11/2015].

⁵⁸⁷ Hopt, K. J., Steffek, F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 18.

სავარაუდოდ, საქართველოს საერთო სასამართლოებში სასამართლო მორიგებით მიღწეული მორიგებათა არცთუ ისე სახარბიელო სტატისტიკური მაჩვენებელის⁵⁸⁸ განმაპირობებელი, მოსამართლეთა მორიგების ტექნიკის ცოდნის დონესთან ერთად, აღნიშნული საკანონმდებლო ხარვეზიცად. შესაბამისად, სასურველია წამყვანი ევროპული ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით საქართველოში დაიხვეწოს სასამართლო მორიგების მომაწესრიგებელი კანონმდებლობა.

⁵⁸⁸ იხ.: <<http://www.supremecourt.ge/statistics/>>, [12/12/2015].

2.2 თბილისის საქალაქო სასამართლოს მედიაციის საპილოტე პროექტის პრაქტიკის ანალიზი

საკანონდებლო ნორმების ამოქმედების შემდეგ (2012 წლის 1 იანვარი) 2012 წლის 7 მაისს,⁵⁸⁹ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, იუსტიციის უმაღლეს სკოლას, თბილისის საქალაქო სასამართლოს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ დავების ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნულ ცენტრს, „გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობისა საზოგადოებასა“ (GIZ) და „მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტს“ (JLEP) შორის გაფორმებული მემორანდუმი სასამართლო მედიაციის პრაქტიკული ამოქმედების მიზნით გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო. ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმით თბილისის საქალაქო სასამართლოში შეიქმნა სასამართლო მედიაციის საპილოტე პროექტი და შეირჩნენ კანდიდატები ბრიტანული კომპანიის „დავების ეფექტიანი გადაწყვეტის ცენტრის“ (CEDR) დახმარებით წარმართული მედიაციის სასწავლო კურსის გასავლელად. თბილისის სასაქალაქო სასამართლოს მედიაციის პილოტურმა პროექტმა უშუალოდ სამედიაციო შეხვედრების განხორციელება 2013 წლის დეკემბრიდან დაიწყო. ორი წლის მანძილზე სამედიაციოდ სულ 44 საქმე⁵⁹⁰ იქნა გადაცემული (2013 წელს – 3 საქმე, 2014 წელს – 13, ხოლო 2015 წელს – 28). სამედიაციოდ გადაცემული საქმეებიდან 16 დასრულდა შეთანხმებით, 25 – შეთანხმების მიღწევის გარეშე, ხოლო 3 დავაზე მედიაცია კვლავ მიმდინარეობს. პროცენტული თვალსაზრისით, მორიგებით დასრულდა დამთავრებული 41 საქმის 39%-ი, ხოლო წარუმატებლად – 61%. აღსანიშნავია, რომ საანაგრიშო პერიოდის მანძილზე პილოტური პროექტში მხოლოდ ნებაყოფლობითი მედიაციის საქმეები მოხვდნენ, საიდანაც უმრავლესობა – 29 საქმე გადაცებულებით სამართლებრივი დავა იყო, 11 – საოჯახო და 4 – მემკვიდრეობითი.⁵⁹¹ ოუ გავითვალისწინებო მედიაციის – მორიგებით დავების გადაწყვეტის კულტურის ნაკლებობას თანამედროვე ქართულ მართლმსაჯულებაში რაც დასტურდება უზენაესი სასამართლოს ოფიციალური სტატისტიკითაც (კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამრთლოს სტატისტიკის სამსახურის ინფორმაციით, თბილისი საქალაქო სასამართლოში სამოქალაქო სამართლებრივ დავებზე სასამართლო მორიგებით დასრულდა: 2012 წელს სულ განხილულ საქმეთა 8.4%, 2013 წელს – 7.2%, 2014 – 9.6%, ხოლო 2015 წელს 9.1%.⁵⁹² მთელი საქართველოს მასშტაბით აღნიშნული მონაცემები კიდევ უფრო დაბალია. კერძოდ, სასამართლო მორიგებით დასრულდა სულ განხილულ სამოქალაქო სამართლებრივი დავების: 2012 წელს 8.3%, 2013 წელს – 8.4%, 2014 – 9.5%, ხოლო 2015 წელს 8.5%⁵⁹³), პილოტური პროექტის შედეგად მიღებული მონაცემები თითქმის 4-ჯერ აღემატება სასამართლო მორიგების პროცენტულ მაჩვენებელს. შესაბამისად, საკმაოდ კარგ შედეგად შე

⁵⁸⁹ იბ.:<<http://hcuj.gov.ge/ge/sasamartlo-mediatsiis-temastan-dakavshirebit-memorandumigaformda/1924>>, [28/11/2015].

⁵⁹⁰ აღნიშნული სტატისტიკა მოწოდებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2015 წლის 2 დეკემბერს.

⁵⁹¹ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 25 ნოემბრის წერილი.

⁵⁹² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 20 ნოემბრის №118-კ წერილი.

⁵⁹³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის №118-კ წერილი.

იძლება ჩაითვალოს მედიაციის საპილოტე პროექტისათვის ბოლო ორი წლის მანძილზე მიღწეული მორიგებები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს პილოტური პროექტის ადმინისტრაციი, გარდა სამედიაციო ცენტრისადმი გადაცემული საქმეთა სტატისტიკური მონაცემებისა, ამჟავებს მედიაციის პროცესში მონაწილე მხარეთა და მათ წარმომადგენელთა მედიაციის პროცესითა და მედიატორით კმაყოფილების ანონიმურ კითხვარს. წამყვან სამედიაციო ცენტრებს⁵⁹⁴ სწორედ მედიაციის მომხმარებელთა კმაყოფილების კითხვარის შედეგები მიაჩნიათ პროექტის წარმატების მთავარ საზომ ერთეულად და არა მორიგებით დამთავრების პროცენტული მაჩვენებელი. რაც საკმაოდ ლოგიკურიცაა, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ მედიაციის მიზანი არა მხოლოდ მორიგების მიღწევაა, არამედ სასამართლოში დავის გაგრძლება მას შემდეგ, რაც მხარეები დარწმუნდებიან, რომ დავის მოსამართლის მიერ გადაწყვატა მოცემული სიტუაციიდან გამოსვლის საუკეთესო საშუალებაა. შესაბამისად, ადვოკატი და მისი კლიენტი მედიაციის პროცესს კმაყოფილი უნდა ტოვებდეს მაშინაც, როცა ის დავის მორიგებით დამთავრებას ვერ ახერხებს, ვინაიდან იცის, რომ ეს ის შემთხვევაა, როცა მორიგების, დავის მშვიდობიანი გადაწყვევტის, ურთიერთობის ტრანსფორმირების და მედიაციის სხვა უპირატესობების გამოყენების შანსი აღარ არსებობდა და არა ის, როცა მხარეები შესაძლებლობებს უბრალოდ გამოუყენებელს ტოვებენ, ან უფრო მეტიც – უბარლოდ კარგავენ. აქედან გამომდინარე, მომხმარებელთა კმაყოფილების კითხვარი ერთ-ერთი საუკეთესო მეთოდია მედიატორთა და მედიაციის პროცესის ხარისხის კონტროლის, შენარჩუნებისა და გაუმჯობესების, რაც, საგარაუდოდ, გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ თავად საპილოტე პროექტის მმართველების მიერ განხორციელდება კიდეც.

თბილისის საქალაქო სასამართლოს საპილოტე პროექტს, გადაცემული სამედიაციო საქმეთა რაოდენობის თვალსაზრისით, საამაყოდ, რა თქმა უნდა, არ აქვს საქმე, თუმცა პილოტური პროექტის მმართველების სწორ გადაწყვეტილებად უნდა ჩაითვალოს პირველ ეტაპზე მხოლოდ ნებაყოფლობითი მედიაციის გამოყენება და მხოლოდ გარვეული გამოცდილების დაგროვების შემგედ (სავარაუდოდ 2016 წლიდან) სავალდებულო მედიაციის ამოქმედება. როგორც აღვნიშნეთ, რიცხობრივ მაჩვენებელზე მნიშვნელოვანი მომხმარებელთა კმაყოფილებაა, მაგრამ, ვინაიდან, მომხმარებელთა კმაყოფილების კითხვარი კონფიდენციალურია, რთულია ვისაუბროთ ამ ასპექტში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამედიაციო ცენტრის მიღწევებზე. ის ფაქტი კი, რომ აღნიშნული ინფორმაცია გროვდება, მუშავდება და ინახება თბილისის საქალაქო სასამრთლოს ბაზაზე, უდავოდ მისასალმებელია.

2.3 სასამართლო მედიაციის გამოწვევები საქართველოში

უდავოა, რომ ქართულ მართლმსაჯულებაში მედიაციის ინსტიტუტის დამკვიდრებისა და ეფექტური მუშაობისათვის აუცილებლობას წარმოადგენს მარეგულირებელი ხორმებოთან ერთად ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგება. შედეგების ანალიზითაც კარ-

⁵⁹⁴ ი. ა. <<http://www.jamsadr.com/>>, ა. ა. <<http://www.ca9.uscourts.gov/mediation/>>, [11/11/2015].

გად ჩანს, რომ კანონპროექტის განმარტებით ბარათში მოცემული კანონის მიღების გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრა და დასახული მიზნების მიღწევა ვერ მოხერხდა,⁵⁹⁵ რასაც ხელი შეუწყო პროექტის ადმინისტრირების პროცესში გამოვლენილმა ხარვეზებმა. კერძოდ, საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში მედიაციის თანმიმდევრულ და ეტაპობრივ განვითარებას ხელი შეუშალა როგორც სასამართლო ხელისუფლებაში მედიაციის განვითარების შესახებ საერთო ხედვის, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის არარსებობამ, ასევე, მედიაციის დანერგვის პროცესში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (როგორც მართლმსაჯულების პოლიტიკის შემუშავებელი ორგანოს) ახალი შემადგენლობის⁵⁹⁶ არასათანადო ჩართულობამ. ზემოაღნიშნულ საკითხთა მოუწესრიგებლობით ქართულ სასამართლო სისტემაში მედიაციის ინსტიტუტის დამკვიდრების პროცესი დაუგეგმავად და საერთო კორდინირების გარეშე მიმდინარეობს, რაც სასამართლო ხელისუფლებას, როგორც საჯარო მმართველობის განმახორციელებელი ორგანოს, ეფექტურობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. ამასთან, ქმნის ფავორიტიზმისა და მიკერძოებულობის რისკებს სასამართლო სისტემაში (გაურკვეველია, ვის შეიძლია ან რა საფუძვლით გადაწყვიტოს ვინ შეიძლება იყოს მედიატორი, რა სტანდატრების დაცვა მოეთხოვებათ სასამართლო მედიატორებს და ვინ არიან სამედიაციო ცენტრების მუშაობაზე პასუხისმგებელი პირები), ართულებს სასამართლო მედიაციის დანერგვისათვის აუცილებელ ადმინისტრირების პროცესს, აღრმავებს იურისტებს შორის მედიაციისადმი სკეპტიკურ დამოკიდებულებასა და იწვევს მედიაციისადმი სასამართლო მომხმარებელთა ნდობის ნაკლებობას. აღნიშნული პრობლემების გადასაწყვეტად და სამივე ინსტანციის სასამართლოებში სამედიაციო ცენტრების ეფექტური მართვის, კონტროლისა და განვითარების მიზნით მიზანშეწონილია, იუსტიციის უმაღლესი საბჭომ, როგორც სასამართლო სისტემის რეფორმის მაკორდინირებელმა ორგანომ, დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით და მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებითა შეიმუშავოს სასამართლო მედიაციის სტრატეგია და ყოველწლიური სამოქმედო გეგმა. სასამართლო მედიაციის სტრატეგიით, როგორც ექსპერტთა მიერ შემუშავებული რეკომენდაციები მიუთითებენ, საჭიროა ამბიციური მიზნის დასახვა და მისი მიღწევის მიზნით კონკრეტული მოქმედებების განსაზღვრა, რომელიც მოახდენს სასამართლო სისტემაში მედიაციის ინსტიტუტის ეფექტურ ინტეგრირებას.

ამასთან, მედიაციის ინსტიტუტისათვის მიმზიდველობის მოსამატებლად საჭიროა ამოქმედდეს დამატებითი სტიმულატორები, რომელიც დამატებით ბენეფიტებს შეთავაზებს სასამართლო მედიაციის მომხმარებლებსა და მოსამართლებს. ეს შეიძლება იყოს:

- მედიაციის წარუმატებლად დამთავრების შემთხვევაში საქმისათვის პრიორიტეტის მინიჭება სასამართლოში მისი განხილვისას. კერძოდ, იმისთვის, რომ დროის ფაქტორი არ წარმოადგენდეს მედიაციაში მონაწილეობის დასათანხმებლად მხარეებისათვის ბარიერს,

⁵⁹⁵ აღნიშნულს ადასტურებს 2011 წელს გაკეთებულ შეფასებებში ასახული მოლოდინი და რეალური სტატისტიკური მონაცემები.

⁵⁹⁶ 2013 წლის ივნისში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ახალი შემადგენლობით დაკომპლექტდა, ხოლო 22 ივნისს გაიმართა ახალი შემადგენლობის მონაწილეობით პირველი სხდომა, იხ.: <<http://hcj.gov.ge/ge/2013-tslis-22-ivniss-gaimarteba-iustitsiis-umaghlesi-sabchos-skhdoma/2092>> [11.11.2015].

საქმის უკან სასამართლოში დაბრუნების შემთხვევაში გამართლებული იქნება „მედიაციანაცად“ საქმეებზე სხდომის პრიორობებულ რეჟიმში ჩანიშვნა და განხილვა. ამისათვის საჭიროა, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ განაახლოს ისედაც საკმარის მომველებული, საერთო სასამართლოების ორგანიზაციული მუშაობისა და საქმის-წარმოების წესი⁵⁹⁷;

- მოსამართლეთა მოტივირების მიზნით, მედიაციით დამთავრებულ საქმეთა რაოდენობა დადებითად აისახოს „მოსამართლეთა საქმიანობის ეფექტურობის შეფასების წესსა“⁵⁹⁸ და მოსამართლეთა დაწინაურების კრიტერიუმებში.

პროცესის ეფექტურ ადმინისტრირებასთან ერთად, მედიაციის შემდეგი გამოწვევა საზოგადოების ცნობიერების გაზრდაა, სასამართლო მედიაციის სერვისთან დაკავშირებით. აღნიშნულ საკითხს ხელს შეუწყობდა საქართველოს განათლების სამინისტროსა და სამართლის სკოლების ერთობლივი ძალისხმეული მედიაციის საგნის სავალდებულო სასწავლო დისციპლინად ქცევის შესახებ. ამასთან, ის ფაქტი, რომ ილია ჭავჭავაძე სამართლის განხორციელების პროცესში მორიგების ინსტიტუტის როლისა და მნიშვნელობის შესახებ წერდა, უდავოდ დიდი გამართლება და უპირატესობაა საქართველოში მედიაციის კვლავ დასამკვიდრებლად. ილია ჭავჭავაძის ნააზრევი საქართველოში (და არა მარტო საქართველოში) მორიგებით სამართლებრივი დავების გადაწყვეტის კულტურის დამკვიდრებისთვის დატოვებული უდიდესი მემკვიდრეობაა, რომლის გამოყენებას როგორც სიმბოლური, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს სასამართლო მედიაციის საკომუნიკაციო სტრატეგის მოსამზადებლად.

⁵⁹⁷ დღეს საერთო სასამართლოებში მოქმედებს „რაინული (საქალაქო), საოლქო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში ორგანიზაციული მუშაობისა და საქმისწარმოების წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე 2000 წლის 27 ოქტომბრის №466 ბრძანებულება, იხ.: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/114292>>, [12/12/2015].

⁵⁹⁸ 2007 წლის 25 სექტემბერის (№1/208-2007) გადაწყვეტილებით, საქართველოს იუსტიციის საბჭომ მიიღო „საერთო სასამართლოების მოსამართლეთა საქმიანობის ეფექტურობის შეფასების წესი“, სადაც, ბუნებრივია, მედიაციით დამთავრებულ საქმეებისათვის მოსამართლე ვერ იღებს შესაბამის შეფასებას – ქულას, რაც არ უქმნის მოსამართლეს დამატებით მოტივაციას, შეეცადოს მხარე დაარწმუნოს მედიაციის უპირატესობებში.

3. საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციები

უკანასკენილი ხუთი წლის მანძილზე საქართველოში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების, კერძოდ, მედიაციის მდგომარეობის, განვითარების დინამიკისა და პერსპექტივების შესახებ საჯაროდ ხელმისაწვდომი სამი ანგარიში მომზადდა. სამივე მათგანი მედიაციის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ჩატარდა სხვადასხვა ექსპერტების მონაწილეობით. აქედან გამომდინარე, ისინი, მართლაც, მნიშვნელოვან დოკუმენტებს წარმოადგენს საქართველოში სასამართლო მედიაციის განითარების ტრაექტორიის, არსებული და ხელიდან გაშვებული შესაძლებლობების დანახვისა და მომავალ განვითარებასთან დაკავშირებული რჩევების შესწავლის, გაანალიზების მიზნით და სწორედ ამიტომ იმსახურებენ ინდივიდუალურად განხილვას.

3.1 მიხეილ ბლეხმანის, საქართველოში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების შეფასება⁵⁹⁹

2011 წლის ოქტომბერში „მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი განვითარების პროგრამის“⁶⁰⁰ დახმარებით საქართველოში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების შეფასება (ანგარიში) მოამზადა მოწვეულმა ექსპერტმა მიხეილ ბლეხმანმა (*Michael Blechman*). ანგარიში არა მხოლოდ სასამართლო მედიაციას, არამედ მთლიანად დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების შეფასებას მოიცავს. მის მოსამზადებლად საქართველოში ყოფნისას ექსპერტმა სამუშაო შეხვედრები გამართა მოსამართლებთან, არბიტრებთან, ადვოკატებთან და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებთან. მომზადებული შეფასების შესავალშივე ავტორი აღნიშნავს, რომ ის საქართველოში მოელოდა არბიტრაჟის განსავითარებლად კარგ ნიდაგს, თუმცა აღმოაჩინა, რომ დაინტერესებულ მხარეებს მედიაციის მიმართ უფრო მეტი ინტერესი გააჩნდათ. ექსპერტს, სავარაუდოდ, ამ მოლოდინს ქართულ კანონმდებლობაში იმ დროისათვის მხოლოდ არბიტრაჟის მარეგულირებელი ნორმების არსებობა უქმნიდა, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა ის, რომ ანგარიშში დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებებიდან არბიტრაჟზე მეტი ყურადღება არის დათმობილი, ვიდრე მედიაციაზე. უფრო მეტიც, ეჭსაერტის საქართველოში ყოფნის პერიოდში მედიაციის მარეგულიბელ ნორმებზე მუშაობა დაწყებულიც კი არ იყო. შესაბამისად, არ არსებობდა

⁵⁹⁹ Assessment of ADR in Georgia, Blechman, M., D., Assisted by USAID – JILAP Commercial Law team, 2011, იხ.: <<http://ewmi-prolog.org/images/files/6743assessment-of-adr-in-georgia.pdf>>, [11/12/2015].

⁶⁰⁰ „მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი განვითარების პროგრამა“ „აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის“ მიერ საქართველოში განხორციელებული ობიექტის ინიციატივა იყო, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ დააფინანსა. დაწყიდებით იხ.: <<http://www.ewmi-jilep.org/>>, [22/10/2015].

არც სასამართლო მედიაცია,⁶⁰¹ თუმცა ეს ფაქტი წინამდებარე შეფასებას დღევანდელი გადმოსახედიდან კიდევ უფრო საინტერესოს ხდის დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების საქართველოში განვითარებით დაინტერესებული პირების 2011 წლისათვის არსებული მოსაზრებებისა და მოლოდინების გაცნობის თვალსაზრისით. მედიაციის განვითარების ტრაქტორიის მეტ-ნაკლებად ზუსტად განჭვრების თვალსაზრისით უურადსალებია იურიდიული კომპანიებთან შეხვედრის შედეგად ექსპერტის მიერ გაკეთებული ჩანაწერი, იმის თაობაზე, რომ მედიაციის ინსტიტუტის ცნობისა და მის მიმართ კეთილგანწყობის მიუხედავად, იურიდიული კომპანიის წარმომადგენლები არ იყვნენ დარწმუნებული, რამდენად კარგად იმუშავებდა ეს ინსტიტუტი საქართველოში მასტიმულირებელი მექანიზმების გარეშე.⁶⁰² ამდენად, მედიაციის მასტიმულირებელ მექანიზმების მნიშვნელობაზე იმთავითვე იყო საუბარი.

საქართველოში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების შესახებ შემდეგ დასკვნამდე მიდის ექპერტი: „პრესკექტივა საქართველოში მედიაციის განვითარებისა, არის საკმაოდ კარგი, რამდენადაც მისი საჭიროება მოსამართლეთა, იურისტებისა და იურიდიული სკოლების მიერ არის დადასტურებული და არსებობს პორტფორიო რეალიზებულ იქნებს სწორედ ისეთი მოდელი, რომელიც ხელს შეუწყობს დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების განვითარებას“⁶⁰³.

ადსანიშნავია, ასევე, რომ შეფასების ავტორი (პ. ბლეხმანი) იმთავითვე ხაზს უსვამს მოდელის მნიშვნელობას. კერძოდ, მისი მოსაზრებით საქართველოში მედიაციის განსავითარებლად უნდა გათვალისწინებულ იქნეს „საერთაშორისო ფინანსური თანამშრომლობის“ (IFC-ის) მიერ ბალკანეთის ქვეყნებში კომერციული მედიაციის განვითარების დაგროვილი გამოცდილება⁶⁰⁴ შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- იუსტიციის სამინისტროსა და სასამართლო ხელისუფლებას შორის ურთიერთობასამშრომლობა;
- უცხოელი ექსპერტების დახმარებით ადგილობრივი კადრებიდან მედიაციის ტრენერების მომზადება;
- უნიტრალის მოდელური კანონისა⁶⁰⁵ და ევროკავშირის დორექტივების შესაბამისად შესაბამისი კანონმდებლობის მიღება;
- მედიაციის უპირატესობების სადემონსტრაციოდ სუბსიდირებული პილოტური პროექტის დაწყება;
- ცნობიერების გაზრდის კამპანიის დახმარებით მედიაციის ინსტიტუტისადმი მოთხოვნის გაზრდა;

⁶⁰¹ ადსანიშნავია, რომ ერთადერთი ინსტიტუცია, რომელიც საქართველოში იმ ეტაპზე მედიაციის საკითხებზე მუშაობდა, იყო დავის გაადწყვეტის ეროვნული ცენტრი, იხ: <<http://ncadr.tsu.edu.ge>>, [11/12/2015].

⁶⁰² Assessment of ADR in Georgia, Blechman, M., D., Assisted by USAID – JILAP Commercial Law team, 2011, 5.

⁶⁰³ Assessment of ADR in Georgia, Blechman, M., D., Assisted by USAID – JILAP Commercial Law team, 2011, 1.

⁶⁰⁴ მომზადებული ანგარიშის დეტალურ გასაცნბათ იხ.: <<http://www.ifc.org/wps/wcm/connect/991f510047e98d59a52ebd6f97fe9d91/PublicationBalkansGivingMediationaChanceADRStory.pdf?MOD=AJPERES>>, [11/11/2015].

⁶⁰⁵ იხ.: <http://www.uncitral.org/uncitral/en/uncitral_texts/arbitration/2002Model_conciliation.html>, [11/12/2015].

- მდგრადი კერძო სამედიაციო ცენტრების შექმნა.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოხამოთვლილ რეკომენდაციათა დიდი ნაწილი ბოლო ოთხი წლის მანძლზე გარკვეულ წილად შესრულდა, ექსპერტის მოლოდინი არ გამართლდა საჭართველოში მედიაციის განვითარების თვალსაზრისით. შესაბამისად, საჭიროა სათანადო დასკვენების გაკეთება, თუ რა გახდა ამის მიზეზი.

3.2 დავების გადაწყვეტის ეფორცული ცენტრის (ალეშ ზალარის) ანგარიში

2015 წლის მარტში „მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი განვითარების პროგრამის“⁶⁰⁶ ფარგლებში „დავების გადაწყვეტის ევროპულმა ცენტრმა“ საქართველოში მედიაციის შესახებ ანგარიში მოამზადა, რომელიც არაერთ საინტერესო დაკვირვებასა და რეკომენდაციას მოიცავს. აღნიშნული რეკომენდაცია საქართველოში მედიაციის ინსიტიტუტის განვითარების შეფასების თვალსაზრისით გაკეთებული ყველაზე უფრო ფართო და ამომწურავი ანგარიშია. ანგარიშის შემუშავებისათვის მოწვეული ექსპერტის, ალეშ ზალარის,⁶⁰⁷ მიზანი იყო, შეეფასებინა: დავების გადაწყვეტის რამდენად ეფექტური საშუალება შეიძლება ყოფილიყო მედიაცია საქართველოში; თბილისის საქალაქო სასამართლოში პილოტური პროექტის მიმდინარეობა და მედიაციის განვითარებაზე პილოტის გავლენა მოელი ქვეყნის მასშტაბით; ამ მიზნით, მოწვეული ექსპერტი გაეცნო მედიაციის მარეგულირებელ ქართულ კანონმდებლობას, გამართა შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან და მოიპოვა ინფორმაცია „მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი განვითარების პროგრამის“ მრჩევლებისაგან. ექსპერტის პროფესიონალიზმისა და კვლევის სიღრმის გათვალისწინებით საჭიროა, რომ მაქსიმალურად ვრცლად იქნეს გადმოცემული მასში არსებული ინფორმაცია.

მედიაციის მარეგულირებელი ნორმების შეფასების მიზნით, ექსპერტის მიერ შემოთავაზებულ იქნა მისი შემოწმება ავსტრალიის „დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების ნაციონალური საბჭოს“⁶⁰⁸ მიერ შემუშავებულ კითხვარის დახმარებით, რომელიც მედიაციის მომწერიგებელ ნორმებზე მომუშავე პირებს ეხმარება საკითხების მიმართ თანმიმდევრული მიღგომასა და შესაბამისი სტანდარტების შემუშავებაში. კვლევის ავტორს საქართველოში ზოგადად მედიაციის ინსტიტუტის განსავითარებლად შემდეგი საკითხები მიაჩნია პრობლემურად:

⁶⁰⁶ „მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი განვითარების პროგრამა“ „აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის“ მიერ საქართველოში განხორციელებული ონტრილიანი ინიციატივა იყო, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ დააფინანსა. დაწერილებით იხ.: <<http://www.ewmi-jilep.org/>>, [22/10/2015].

⁶⁰⁷ ალეშ ზალარი „დავების გადაწყვეტის ევროპული ცენტრის“ პრეზიდენტი, სლოვენიის იუსტიციის ყოფილი მინისტრი და სახელ განოქმული მედიატორია.

⁶⁰⁸ National Australian ADR Commission, იხ.:

<<http://www.ag.gov.au/LegalSystem/AlternateDisputeResolution/Pages/NADRACPublications-A-Z.aspx>>, [22/10/2015].

1. დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების განვითარების პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტის არარსებობა, რაც სხვა საკითხებთან ერთად დონორი ორგანიზაციების მხრიდან მედიაციის განვითარების პროცესში მხარდაჭერის შესუსტებითაა გამოწვეველი;

2. დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების პოლიტიკის განსაზღვრის მიზნით ერთიანი და მუდმივმოქმედი საკონსულტაციო ორგანოს არარსებობა, რომელიც მაკომინირებელი ორგანოს ფუნქციასაც შეასრულებდა.

შესაბამისად, მედიაციის შემდგომი განვითარებისათვის მთავარ გამოწვევად დასახელდა მედიაციის განვითარების პროცესში ჩართულ მხარეებს შორის ინფორმაციის გაცვლისა და პროცესთა კოორდინირების არაეფექტური სისტემა და ერთიანი ხედის უქონლობა. აქედან გამომდინარე, მიუხედავად სამოქალაქო საპროცესო კოდექსში „სასამართლო მედიაციის“ თავის არსებობისა, ზოგადად მედიაციის ინსტიტუტის მომწერიგებელი საკანონმდებლო აქტის უქონლობა ქმნის არასრულ საკანონმდებლო ჩარჩოს საქართველოში, რომელიც, ერთი მხრივ, თანხმედრაში ვერ მოდის ევროკავშირის შესაბამის დირექტივებთან, ხოლო, მეორე მხრივ, იწვევს ინსტიტუტისადმი ნდობის შემცირებას მის პოტენციურ მომხმარებლებში.

სასამართლო მედიაციის ნაწილში კანონმდებლობის შეფასებისას ექსპერტის მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 21¹ თავის⁶⁰⁹ დადგებით ასპექტებად აღინიშნა:

- მედიაციის ორივე ფორმით, როგორც სასამართლო მედიაციის (როცა სამედიაციო ცენტრი თვით სასამართლოშია), ისე სასამართლოსთან დაკავშირებული მედიაციის (როცა სამედიაციო ცენტრი ცალკე მდგომი ინსტიტუტია, თუმცა სასამართლოსთან დაკავშირებული) ფორმით სასამართლო სისტემაში დანერგვის შესაძლებლობა;
- საოჯახო, მემკვიდრეობით და სამეზობლო დავების მიმართ სავალდებულო მედიაციის გავრცელების შესაძლებლობა;
- მედიაციის მაქსიმალური ხანგრძლივობის – 90-დღიანი დანაწესის არსებობა;
- მედიაციის პროცესზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში შესაბამისი სანქციათა დაწესება;
- კანონდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა, მხარეთა თანხმობით ყველა სამოქალაქო სამართლებრივი დავის სამედიაციოდ გადაცემის შესაძლებლობა;
- კონფიდენციალურობის დაცვა და მედიაციის პროცესში შექმნილ მტკიცებულებათა სასამართლო პროცესზე დაუშვებლობის საკითხი;
- სასამართლოს დახმარებით მიღწეული მორიგებების აღსრულების საკითხი.⁶¹⁰

მომზადებული დოკუმეტის მიხედვით, კანონმდებლობის ნაკლოვანებებია:

⁶⁰⁹ ი. ა. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?geo=on#>>, [03/11/2015].

⁶¹⁰ ჩამონათვალი არ არის სრული.

- სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, სასამართლო მედიაციის თავის არა სრული შესაბამისობა ევროკავშირის შესაბამის დირექტივასა და უნიტრალის მოდალურ კანონთან;
- მედიატორთა შერჩევისა და აკრედიტირების კრიტერიუმების არარსებობა;
- სასამართლო ხელისუფლებისა და კონკრეტულ სასამართლოთა წახალისება მედიაციის პროგრამებისა და მათი მომწესრიგებელი ნორმების შესამუშავებლად;
- სასამართლო მედიაციის დაფინანსების საკითხის მოუწესრიგებლობა;
- ფინანსური თვალსაზრისით სასამართლო მორიგებისა და მედიაციის დახმარებით მიღწეული მორიგების არათანაბარ პირობებში დაყენება;
- მინიმუმ ორი სამედიაციო შეხვედრის გამართვის ვალდებულება.⁶¹¹

სასამართლოს გარეთ არსებულ, ე.წ. დამოუკიდებელ სამედიაციო ინსტიტუტებთან დაკშირებით ნაშრომში პრობლემატურადაა მიჩნეული:

- მედიაციის ცნების არარსებობა, რამაც გარკვეულ შემთხვევებში გამოიწვია ტერმინ „მედიაციით“ ისეთი დავის გადაწყვეტის საშუალების აღნიშვნა, რომელშიც მესამე ნეიტრალური პირი აღჭურვილია გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებით;
- კანონმდებლობაში საერთაშორისო დავებზე მედიაციის გავრცელების პირობების არარსებობა;
- კანონმდებლობით მედიატორთა განათლებისა და მედიაციის პროცესის ხარისხის მართვის ასპექტებს მოუწესრიგებლობა;
- კანონმდებლობა არ მოიცავს უფასო იურიდიული დახმარების შესაძლებლობას მედიაციის პროცესში წარმომადგელობისათვის;
- კანონმდებლობა არ მოიცავს მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით საერთაშორისო ან ადგილობრივ (შიდა) დავებზე მედიაციის გამოყენების შესაძლებლობას.⁶¹²

საქართველოს კანონდებლობაში არსებულ ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებებსა და დადგებით ასპექტებზე დაყრდნობით ანგარიშში მოცემულია კონკრეტული რჩევები იუსტიციის სამინისტროსათვის, რომელთა შორის აღსანიშნავია შემდეგი რეკომენდაციები:

- უწყებათაშორისი საბჭოს, კერძო სამართლის განვითარების სამუშაო ჯგუფის ბაზაზე დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებათა ექსპერტა კომიტეტის შექმნა;
- დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალების – მედიაციის შემდგომი განვითარების, როგორც პოლიტიკური პრიორიტეტის, შესახებ განაცხადის გაკეთება (*mission statement*);
- აღმასრულებელი ხელისუფლების (მთავრობის) მიერ აღმინისტრაციული აქტის გამოცემა სახელმწიფო უწყებებს შორის წარმოშობილ ყველა დავის მედიაციით დარეგულირების შესახებ;
- მედიაციის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემავება;

⁶¹¹ ჩამონათვალი არ არის სრული.

⁶¹² ჩამონათვალი არ არის სრული.

- ევროკავშირის რეგულაციებთან თანმხედრი მედიაციის კანონის მომზადება;
- სასამართლოსა და მედიაიციის ინსტიტუტებს შორის დაბალანსებული ურთიერთობის ჩამოსაყალიბებად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შესაბამისი ცვლილებების შეტანა.

ზემოაღნიშნულთან ერთად, ანგარიშში ჩამოყალიბებულია შესაბამისი დასკვნები თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე პილოტური პროგრამის შესახებ. განსაკუთრებით საყურადღებოა რჩევა პილოტური პროგრამის დებულების სასამართლოსა და მომხმარებელთა ინტერესების გათვალისწინებით ფორმირების შესახებ. აქვე უარყოფითადაა შეფასებული სასამართლოს მომხმარებელთათვის მედიაციის დაგვიანებით (საშუალოდ, სარჩელის შეტანიდან 4 თვის შემდეგ) შეთავაზება. შესაბამისად, რეკომენდირებულია მოდავე მხარეებისათვის ადრეულ ეტაპზე მედიაციის შეთავაზება. რეკომენდაციები მოიცავს სხვადასხვა ტექნიკურ საკითხებსაც, უფრო ზუსტად, რჩევებს მომხმარებლებთან კომუნიკაციასთან დაკავშირებით და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, რეკომენდაციას საოჯახო დავებზე პილოტური პროექტის საგალდებულო მედიაციაზე გადასვლას, ხოლო სამეზობლო და მემკვიდრეობითი დავების – კვაზი საველდებულო (რბილ) მოდელზე.⁶¹³

ანგარიშის სასამართლო მედიაციის ნაწილში, მოცემულია რეკომენდაციები არა მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოსათვის, არამედ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვისაც, კერძოდ, რჩევები მოსამართლეთა „ინდივიდუალური სტატისტიკის ფორმებში“ მედიაციისათვის გადაცემული საქმეთა რაოდენობის ჩამატების შესახებ. განსაკუთრებით საინტერესოა, მოსამართლეთა ეფექტურობის შეფასების კრიტერიუმებს შორის მედიაციისათვის მიმართვების რაოდენობის დამატება. ასევე, მედიატორთა ანაზღაურების, სამედიაციო ცენტრების შექმნისა და პროგრამის შენარჩუნების მიზნით შესაბამისი საბიუჯეტო სარჯების დაგეგმვა – გათვალისწინება.

საქართველოში ექსპერტის ყოფნის დროს მოეწყო შეხვედრები მედიაციის განვითარებაში ჩართულ სხვადასხვა უწყებებთან სადაც იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მედიაციის მდგრადი და თანმიმდევრული განვითარებისათვის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების საკითხს. ამასთან, დაინტერესებული მხარეებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ალეშ ზალარმა დასკვნის სახით ჩამოაყალიბა შემდეგი რეკომენდაციები:

- აუცილებელია აგრესიული მიზნის დასახვა მედიაციის პროგრამებისათვის. მაგ., 2015 წლის მანძილზე თბილისის საქალაქო სასამართლოს მედიაციის ცენტრს გადაეცეს შემოსულ სამოქალაქო საქმეთა 5%, რომელთა შორის 50% მორიგებით დამთავრდება, ხოლო კმაყოფილების მაჩვენებელი 80% იქნება;
- მედიაციის განვითარების პროცესისადმი მართლმსაჯულების პოლიტიკის შემუშავებული პირების მხარდაჭერა და რეფორმისადმი (ცვლილების პროცესისადმი) სკეპტიციზმის გაძლევა;

⁶¹³ რაც გულისხმობს განხინების ჩაბარებიდან 8 დღის განმავლობაში წერილობით და სათანადო მიზეზის მითითებით მედიაციაზე უარის თქმის შესაძლებლობას;

- მედიაციის პროგრამის აღჭურვა ხარისხის კონტროლის მექანიზმებით, მათ შორის, მედიატორთა აკრედიტაციის თვალსაზრისით;
- მედიატორთა ასოციაციების მიერ ამ პროფესიის პირთა თანხვედრი პოზიციების დაფიქსირება, რაც თავის მხრივ ხელს შეწყობს საზოგადოებაში ნდობის მოპოვებას.

როგორია ითქვას, რომ კვლევაში მოცემული რეკომენდაციების მიღებიდან 6 თვის შემდეგ ძირეულად რაიმე შეიცვალა. მასში მოცემული ყველა რჩევა თუ იდეა ისეთივე აქტუალურია 2015 წლის ბოლოს, როგორც ექსპერტების საქართველოში ყოფნისას იყო. ამასთან, არსებულ პრობლემებს კიდევ ერთიც დაემატა – ექსპერტების მიერ მომზადებული უმნიშვნელოვანესი რჩევების გაუთვალისწინებლობა. მართალია იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დაიწყო ზრუნვა მედიაციის პილოტური პროექტების თბილისის გარეთ გატანაზე, დაარსდა მედიატორთა ასოციაცია, თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებული მედიაციის პილოტურ პროექტი იწყებს სავალდებულო მედიაციაზე გადასვლას 2016 წლიდან, მაგრამ საერთო სურათი კვლავ უცვლელია – სასამართლო მედიაცია ჯერჯერობით ისევ ნელი ტემპით ვითარდება.

მიუხედავად იმისა, რომ ალექსანდრი ანგარიშის მოსამზადებლად საქართველოში ხანმოკლე ვადით იმყოფებოდა, იგი სიღრმისეულად ჩასწვდა საქართველოში მედიაციის დამკვიდრების ხელშემშლელ ფაქტორებს, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მან საქართველოში მედიაციის დამკვიდრების მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი არა ტექნიკურ ან საკანომდებლო სივრცეში დაინახა, არამედ მედიაციის განვითარებით დაინტერესებულ უწყებებს შორის ინფორმაციის გაცვლის, კოორდინირებული მუშაობისა და პროცესების ერთობლივად გაძლიერდის საკითხში, რაც აისახება ამ ინსიტიტუტის საქართველოში დამკვიდრების პროცესის ადმინისტრირებაზე.

3.3 „ფონდ სამართლის უზენაესობის ინიციატივის“ (ვიქტორ შახტერის) მიერ საქართველოში სასამართლო მედიაციის პროგრამის შეფასება⁶¹⁴

2015 წლის მაისში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოწვევით საქართველოში არსებული სასამართლო მედიაციის ინსტიტუტის საჭიროებების შეფასებისა და რეკომენდაციების მიღების მიზნით თბილისში იმყოფებოდნენ „ფონდ სამართლის უზენაესობის ინიციატივის“ დამფუძნებელი ვიქტორ შახტერი და ამავე ფონდის ექსპერტი ჯონ კოპლი. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა შეისწავლეს სასამართლო მედიაციის მარეგულირებელ ხორმები და გამართეს შეხვედრები სასამართლო მედიაციის დანერგვის პროცესში მონაწილე მხარეებთან. მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მოწვეულმა სპეციალისტებმა შეიმუშავეს რეკომენდაციები, რომლებიც დაყვეს მ მაღალ, საშუალო-მაღალ და საშუალო პრიორიტეტებად. რეკომენდაციათა ნუსხაში მაღალი პრიორიტეტი მიენიჭა შემდეგ საკითხებს:

⁶¹⁴ იხ.: <<http://hcoj.gov.ge/en/the-foundation-for-sustainable-rule-of-law-initiatives-assessment-and-report-on-the-tbilisi-court-annexed-mediation-program/2564>>, [10/10/2015].

- თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე პილოტური პროექტის გაძლიერებას, კერძოდ, პილოტური პროექტის მეორე ფაზაზე გადასვლას, რაც გულისხმობს ამბიციური მიზნის დასახვით პროექტის ფარგლებში სავალდებულო მედიაციის ამოქმედებას;
- სამუშაო ჯგუფის შექმნას, კერძოდ, ყველა მნიშვნელოვანი დაინტერესებული მხარის მონაწილეობით სამუშაო ჯგუფის ფორმირებას, სადაც ყველა მათგანი შეძლებს საკუთარი ორგანიზაციის ან ჯგუფის ინტერესების დაცვასა და მედიაციის დანერგვის პროცესში აქტიური მონაწილეობის მიღებას;
- მედიაციის ცენტრისადმი მიმართვიანობის გაზრდას, მხარეთათვის მედიაციის დადებითი მხარეებისა და უპირატესობების შესახებ სასამართლოს მოხელეთა დარწმუნების უნარების გაუმჯობესებით;
- მოსამართლეთა მიერ მედიაციის ტრენინგის გავლას, ვინაიდან მედიაციის ტექნიკის უკეთ ცოდნა გაუჩენს მათ რწმენას ამ ინსტიტუტისადმი, რამაც, საერთო ჯამში, უნდა გაზარდოს მოსამართლეთა მოტივაცია, საქმეების სამედიაციოდ გასაგზავნად;
- ადვოკატთა ტრენინგს, მედიაციაში წარმომადგენლობითი უნარების განსავითარებლად;
- სავალდებულო მედიაციის ფარგლების გაზრდას გარკვეულ კომერციულ დავებზე. მაგ.: ზიანის მიუენებით წარმოშობილ დავებზე და ა.შ.
- პილოტური პროექტის გაფართოებისათვის მოსამართლეთა და სასამართლოს მოხელეთა წინასწარ მომზადებას;
- საზოგადოების ცნობიერების გაზრდას მედიაციის დირებულებისა და ხელმისაწვდომობის შესახებ;
- მედიაციის პროცესით კმაყოფილების შეფასების სისტემის დახვეწას;
- მედიაციის უნარებში მედიატორთა და მოსამართლეთა ცოდნის მუდმივ განახლებას;
- ქოუჩინგისა და მენტორის სისტემების დანერგვას ახალბედა მედიატორებისათვის;
- მედიატორთა შრომისა და გარჯის აღეკვატური დაფასების სისტემის დანერგვას;
- მედიაციით დაინტერესებული საზოგადოების შექმნას;
- სასამართლო სისტემაში მედიაციის პროექტის კოორდინატორის, მედიაციის ცენტრის ადმინისტრატორის და მედიატორის დამხმარე თანაშემწის პოზიციების შემოღებას;
- თბილისთან ახლოს ახალი პილოტური პროექტის დაწყებას.

სხვა რეკომენდაციებისაგან განსხვავებით, „ფონდ სამართლის უზნაესობის ინიციატივის“ ექსპერტთა რეკომენდაციები გამოირჩევა უფრო მეტად პრაქტიკული ხასიათით, ვიდრე ნორმათა სამართლებრივი შინაარსის ანალიზით. ვინაიდან შეფასება მხოლოდ სასამართლოს მედიაციის განსავითარებლად იქნა შემუშავებული, ფოკუსირებულია მთლიანად სასამართლო მედიაციაზე და არ მიმოიხილავს საქართველოში არსებულ

სხვა სამედიაციო ინსტიტუტების სუსტ და ძლიერ მხარეებს. შესაბამისად, ის უფრო კონკრეტული და პილოტური პროექტის დეტალებზეა ორიენტირებული, ვიდრე ზოგად სურათზე. ნიშანდობლივია, რომ „ფონდ სამართლის უზენაესობის ინიციატივისა“ და „დავების გადაწყვეტის ეფ-როპული ცენტრის“ ექსპერტთა მოსაზრებები მედიაციის პროექტის მარ-თვის გაუმჯობესების კუთხით არც თუ ბევრ ასპექტში დაემთხვა ერთმა-ნეთს, თუმცა სასამართლო მედიაციის დანერგვის პროცესის ადმინისტრი-რების გაუმჯობესების აუცილებლობასთან დაკავშირებით მათ თანმხვედ-რი პოზიცია გააჩნიათ.

VI. დასკვნა

ქართული მართლმსაჯულებისათვის მედიაციის ინსტიტუტის ჩამოყალიბება და მისი წარმატებით დამკვიდრება უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხია როგორც პრაქტიკული,⁶¹⁵ ისე იდეური⁶¹⁶ თვალსაზრისით. საქართველოში სასამართლო მედიაციის ეფექტური ფუნქციონირებისათვის საჭიროა ისეთი მოდელის შემუშავება და ამ ინსტიტუტის ისეთი ფორმით ამოქმედება, რომელიც წარმატებით უპასუხებს ქართული მართლმსაჯულების წინაშე არსებულ გამოწვევებს, ამავდროულად იქნება მომხიბვლელი სასამართლოს მომხმარებელთათვის, ორგანულად შეერწყმება ქართულ სასამართლო სისტემასა და სამართლებრივ კულტურას. აღნიშნული მიზნის მიღწევა რთულია, თუმცა არა – შეუძლებელი, რადგან საქართველოში არსებობს სასამართლო მედიაციის ასამოქმედებლად საჭირო ზოგადი საკანონმდებლო ჩარჩო, ისტორიული გამოცდილება, საერთაშორისო ექსპერტთა რეკომენდაციები და ვრცელი ინფორმაცია პარტნიორ ქვეყნებში სასამართლო მედიაციის დამკვიდრების როგორც წარმატებული, ისე წარუმატებელი მცდელობების შესახებ.

ის ფაქტი, რომ სასამართლო მედიაცია საქართველოში კვლავ საწყის ეტაპზე (უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე არცთუ მცირე რესურსის ამ მიმართულებით დახარჯვის მიუხედავად), დასანანია, თუმცა დაშვებული შეცდომების გაანალიზება, ექსპერტთა მოსაზრებების გაზიარება და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების სიღრმისეული შესწავლა, მაშასადამე, „ჩამორჩენის უპირატესობის“ გამოყენება იძლევა ოპტიმიზმის საფუძველს საქართველოში სასამართლო მედიაციის დამკვიდრებისა და განვითარებისათვის.

მართალია, მსოფლიოში მედიაციის მოდელთან დაკავშირებით მრავალი ექსპერიმენტი უკვე ჩატარდა⁶¹⁷ და უნიფიცირებული მოდელებიც არსებობს, მაგრამ საქართველოს სასამართლო სისტემის წინაშე არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, საჭიროა შემუშავდეს მედიაციის ახალი – უნიკალური მოდელი, რომელიც შეძლებს საერთო სასამართლოების სისტემაში ამ ინსტიტუტის უპირატესობების მაქსიმალურ რეალიზებას. მიზანი არა ბორბლის ხელახლა გამოგონება, არამედ ქართულ გარემოსთან მისი ადაპტირებაა.

⁶¹⁵ პრაქტიკული თვალსაზრისით, მართლმსაჯულებისათვის მედიაციის მნიშვნელობაზე ხაზგასმის უფლებას იძლევა სასამართლო განხილვების მომლოდინე საქმეთა რაოდენობა, განხილვის საშუალო ვადები, მოსამართლეთა არასაგმარისი რაოდენობის შესახებ იუსტიციის საბჭოს წევრების განცხადებები და მორიგებით დამთავრებული საქმეთა სტატისტიკური მაჩვენებლები. საქართველოს საერთო სასამართლოების ოფიციალური სტატისტიკა შეგიძლიათ იხ.: <<http://www.supremecourt.ge/statistics/>>, [11/12/2015].

⁶¹⁶ იდეური თვალსაზრისით, მართლმსაჯულებისათვის მედიაციის დანერგვის მნიშვნელობა პრობლემის აღრეულ და მშვიდობიან გადაწყვეტაზე ორიენტირებული მრავალსარკმლიანი სასამართლოს ჩამოყალიბებაა, რითიც მართლმსაჯულება გაცილებით ეფექტურად მოახერხებს კერძო სამართლის არსის – სოციალური მშვიდობის მიღწევას.

⁶¹⁷ გარკვეული თვალსაზრისით, ნაშრომში განხილული ყველა ქვეყნის თუ შტატის მოდელი ექსპერიმენტული იყო, ვინაიდან პირველად და თავისებურად ხდებოდა მედიაციის მოდელის შემუშავება.

როგორი უნდა იყოს ქართულ რეალობაზე ადაპტირებული სასამართლო მედიაციის მოდელი? აღნიშნული პრობლემის დაძლევაში დახმარებას გაგვიწევს ევროპული, ამერიკული და ქართული სასამართლო მედიაციის მოდელების შედარებითი ანალიზი. საჭიროა სწორი დასკვნების გაკეთება, თუ როგორი სინთეზი იქნება საქართველოსათვის საუკეთესო, სასამართლო მედიაციის როგორი მოდელი უნდა აირჩიოს ქართულმა მართლმსაჯულებამ.

უშუალოდ სასამართლო მედიაციის მოდელის შემადგენელი კომპონენტების განხილვამდე მნიშვნელოვანია, იმ პრინციპების ჩამოყალიბება, რომელთა დაცვა აუცილებელი იქნება საქართველოში მედიაციის ნებისმიერი მოდელის შემუშავების პირობებში. პირველი პრინციპი, რომლის უზრუნველყოფაც აუცილებელია, არის მედიაციის პროცესის საბოლოო შედეგის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებით მხარეთა აღჭურვა. ქართული მართლმსაჯულების ინტერესს წარმოადგენს, არ იქნეს დაშვებული გამონაკლისი ამ საკითხთან დაკავშირებით, მიუხედავად დავის კატეგორიისა ან მედიატორის პიროვნებისა. საქართველოში არსებობდა პრეცედენტი ისეთი სამედიაციო ინსტიტუტისა (მართალია, არა სასამართლო სისტემაში), სადაც მედიატორს შეეძლო გადაწყვეტილების მიღება და მისი სავალდებულო გავრცელება მხარეებზე,⁶¹⁸ ამიტომ განსაკუთრებული სიფრთხილე საჭირო, რათა აღნიშნული შეცდომა ქართული მართლმსაჯულების წიაღში არ განმეორდეს. მით უფრო, როცა აღნიშნული საკითხი არ არის მოწესრიგებული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით და არსებობს მსგავსი შეცდომის დაშვების ეპროპული გამოცდილებაც.⁶¹⁹ მეორე – მიუხედავად მედიატორის სტილის, პიროვნების შეხედულებებისა თუ საქმეში არსებული გარემოებებისა, მედიაციის პროცესის ჯეროვანი ჩატარებისათვის აუცილებელია, მედიატორი ცდილობდეს კონფლიქტის გადაწყვეტას მხარეთა მოთხოვნილებებისა და ინტერესების (მატერიალური, ფინანსურული და სამართლებრივი) დაკმაყოფილებით. შესაბამისად, სასამართლო მედიაცია უნდა იყოს ინტერესებზე და არა – უფლებებზე დამყარებული პროცესი. აღნიშნული საკითხის შესახებ ასევე არაფერია ნათქვამი მედიაციის მომაწესრიგებულ სამართლებრივ ნორმებში. მესამე პრინციპი, რომლის დაცვა ნებისმიერი მოდელით სასამართლო მედიაციის ამოქმედებისათვის ასევე სავალდებულოა, კონფიდენციალურობის დაცვა. აღნიშნული პრინციპი არის ერთადერთი ზემოხამოთვლილ პრინციპთაგან, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობა აწესრიგებს.⁶²⁰ კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს როგორც კონფიდენციალურობის დაცვას, ასევე მედიაციის პროცესში შექმნილ მტკიცებულებათა სასამართლო პროცესზე დაუშვებლობის საკითხს. შესაბამისად, ქართულ სასამართლო

⁶¹⁸ დაწვრილებით იხ. „სამედიცინო მედიაციის სამსახურის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 4 აპრილის №01-186 ბრძანება: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1630091>>, [05/01/2016].

⁶¹⁹ იტალიაში 2012 წელს შემუშავებული (დღეისათვის ძალადაკარგული), სავალდებულო მედიაციის მარეგულრებელი ნორმები ითვალისწინებდა მხარეებისათვის გარეულ სანქციებს მედიატორის წინადადებაზე არ დათანხმების შემთხვევაში. დაწვრილებით იხ. ნაშრომის მე-2 თავი.

⁶²⁰ დაწვრილებით იხ. ამავე ნაშრომის მე-5 თავის 2.1 პარაგრაფი.

მედიაციის მარეგულირებელ ნორმებს ამ მიმართულებით ყველაზე ნაკლებად აქვს პრობლემები.

სასამართლო მედიაციის მოდელს, უწინარეს ყოვლისა, მისი წამოწყების ნებაყოფლობითი ან სავალდებულო ფორმა განსაზღვრავს. თუ ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ სავალდებულო მედიაციასთან დაკავშირებით ნათლად არ იყო გარკვეული ევროპული სასამართლოების დამოკიდებულება, დღეს შეიძლება ითქვას, რომ სავალდებულო მედიაციასთან დაკავშირებით ყველა კითხვის ნიშანი მოხსნილია. ამის თქმის საშუალებას, უპირველეს ყოვლისა, გერმანიისა⁶²¹ და იტალიის⁶²² საკონსტიტუციო სასამართლოების გადაწყვეტილებები და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტება⁶²³ (ლეგიტიმური მიზნის არსებობის შემთხვევაში სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვის შესაძლებლობის შესახებ) იძლევა. ასევე, ნიშანობლივია სავალდებულო მედიაციის გარეშე დავის გადაწყვეტის შედეგიან მექანიზმად მედიაციის ჩამოყალიბების პრაქტიკული გამოცდილება. როგორც ევროპაში,⁶²⁴ ისე მის ფარგლებს გარეთ⁶²⁵ პრაქტიკულად შეუძლებელია შედეგიანი ნებაყოფლობითი სასამართლო მედიაციის მოდელის მაგალითის პოვნა, რისი მიზეზიც გამოჩენილი იტალიელი სამართლის სპეციალისტისა და მედიატორის ჯუზეპ დე პალოს მოსაზრებით, „სამართლებრივი კულტურის ნაკლებობაშია“. კერძოდ, მისი აზრით: ჩვენს საზოგადოებას ესაჭიროება კანონის სავალდებულო მოთხოვნა, როგორც ავტომობილით მოძრაობისას უსაფრთხოების დაგენერირების გაკეთებასთან დაკავშირებით, ასევე – სავალდებულო მედიაციის თაობაზე, ვინაიდან ძალიან ცოტა ვინმე თუ იყენებს მას ნებაყოფლობით, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ძალიან კარგად აცნობიერებს უსაფრთხოების დაგენერირების (თუ მედიაციის) უპირატესობებს.⁶²⁶ ამასთან, არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ სავალდებულო მედიაციის მოქმედება პოზიტიურად აისახება ნებაყოფლობით მედიაციაზეც.⁶²⁷ შესაბამისად, გარაუდი, რომ ნებაყოფლობითი მედიაციის მოდელი თანდათანობით, გრძელვადიან პერიოდში უფრო მეტ მედიაციის მსურველს მიიზიდავს, ვიდრე სავალდებულო მედიაცია, არცთუ დასაბუთებულია.

სავალდებულო მედიაციას მხარს უჭერს ასევე ევროპული დირექტივაც⁶²⁸ (*EU Mediation Directive 2008*), რომელიც ითვალისწინებს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა კანონმდებლობაში მედიაციის სავალდებულო ფორმით დანერგვის შესაძლებლობას (მათ შორის სანქციების დახმარებით). მიუხედავად იმისა, რომ დირექტივის მე-5 მუხლი წევრ სახელმწიფოებს აძლევდა სავალდებულო მედიაციის დამკვიდრების შესაძლებლობას, ფაქტობრივად გერმანიისა და აგსტრიის სახელმწიფოებმა უარი

⁶²¹ დაწვრილებით იხ. ამავე ნაშრომის მე-3 თავის პირველი პარაგრაფი.

⁶²² დაწვრილებით იხ. ამავე ნაშრომის მე-2 თავის მე-2 პარაგრაფი.

⁶²³ დაწვრილებით იხ. ამავე ნაშრომის მე-2 თავის მე-2 პარაგრაფი.

⁶²⁴ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის ერთადერთი ქვეყანა, სადაც მედიაციისადმი მიმართვის ოფიციალური სტატისტიკა აჭარბებს 15000 საქმეს წელიწადში, არის იტალია, სადაც მოქმედებს სავალდებულო მედიაცია.

⁶²⁵ მიმართვიანობის თვალსაზრისით, სასამართლო მედიაციის პროექტი აშშ-ისა და იტალიის გარდა წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს, ასევე, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში, სადაც ასევე მოქმედებს სავალდებულო მედიაციის ინსტიტუტები.

⁶²⁶ De Palo, G., Voluntary Mediation? Apparently, the False Prince Charming, www.mediate.com, 2014, იხ.: <<http://www.mediate.com/articles/PaloResponse.cfm>>, [10/12/2015].

⁶²⁷ დაწვრილებით იხ. ამავე ნაშრომის მე-2 თავის 2.2 პარაგრაფი.

⁶²⁸ დაწვრილებით იხ. ამავე ნაშრომის მე-2 თავის 3.1.2 პარაგრაფი.

ოქვეს მასზე⁶²⁹ და ნებაყოფლობითი მედიაციის მოდელს მიანიჭეს უპირატესობა. სწორედ ამ გადაწყვეტილებას (საგალდებულო მედიაციაზე უარის თქმას) მიაწერს ავტორთა ნაწილი⁶³⁰ იმ არადამაკმაყოფილებელ შედეგებს, რომელიც ორივე ქვეყნის სასამართლო მედიაციის პროგრამამ მოიტანა.⁶³¹ ასევე, ცხადია, მედიაციის დირექტივამ ხელი შეუწყო და წახსალისა ევროკავშირის მასშტაბით მედიაციის შესახებ დისკურსი, თუმცა მის პირველსავე მუხლში დასახული მიზნის (მედიაციის ხელმისაწვდომობის, დაგების მშვიდობიანი გადაწყვეტის კულტურისა და სასამართლოში განხილულ საქმეთა და მედიაციით გადაწყვეტილ დავათა რაოდენობებს შორის დაბალანსებული თანაფარდობის არსებობის) სრულყოფილად განუხორციელებლობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად სწორედ სავალდებულო მედიაციის იმპერატიულად მოთხოვნის უქონლობა სახელდება.⁶³²

აშშ-შიც არაერთ ავტორსა თუ მკვლევარს გაუხდია სავალდებულო მედიაციის საკითხი სადაცოდ და სასამართლომდეც მისულა დავა ამ საკითხთან დაკავშირებით,⁶³³ თუმცა აშშ-ის მართლმსაჯულების პოლიტიკის შემმუშავებელ პირთა დამოკიდებულება სავალდებულო მედიაციის მიმართ მეტწილად უცვლელი დარჩა. მეტიც, კალიფორნიის შტატის სასამართლოების მოდელი გარკვეული კატეგორიების დავებთან დაკავშირებით ითვალისწინებს მედიაციისადმი აგზომატურ, სავალდებულო მიმართვას.⁶³⁴ ამასთან, სავალდებულო მედიაცია მოქმედებს არათუ პირველი ინსტანციის, არამედ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებშიც.⁶³⁵

კალიფორნიისა და ფლორიდის სასამართლოების მედიაციის მოდელი აბალანსებს მხარეთა ავტონომიურობისა და სასამართლო სისტემის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებების გამოყენების წახალისების პოლიტიკას. კერძოდ, მოსამართლეები, როგორც წესი, მხოლოდ მას შემდეგ იღებენ სამედიაციო ცენტრში საქმის გადაგზავნის თაობაზე გადაწყვეტილებას, რაც მხარეებს საკუთარი შეხედულებების გამოხატვისა და ახსნის შესაძლებლობა მიეცემათ. შესაბამისად, სავალდებულო მედიაციის მოდელისათვის დამახასიათებელი ერთი მიღომის ყველა შემთხვევაზე გავრცელების რისკი დაბალანსებულია, საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში, მხარეთათვის მისგან თავის არიდების მექანიზმებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, თუ რა პასუხი უნდა გაეცეს ქართული მართლმსაჯულებისათვის (პრაქტიკიდან გამომდინარე) კალავაც აქტუალურ კითხვას: უნდა ამოქმედდეს თუ არა კანონმდებლობაში არსებული დანაწესი სავალდებულო მედიაციის შესა-

⁶²⁹ დაწყვრილებით იხ. ამავე ნაშრომის მე-3 თავის 1.4 და 2.4 პარაგრაფები.

⁶³⁰ De Palo G., D'Urso L., Trevor M., Branion b., Canessa R., Cawyer B., Florence R., "Rebooting" the Mediation Directive: Assessing the Limited Impact of its Implementation and Proposing Measures to Increase the Number of Mediations in the EU, Directorate General for Internal Policies, European Parliament's Committee on Legal Affairs, Brussels, 2014, 162.

⁶³¹ დაწყვრილებით იხ. ამავე ნაშრომის მე-3 პარაგრაფი.

⁶³² დაწყვრილებით იხ. ამავე ნაშრომის მე-2 თავის 3.1.2 პარაგრაფი.

⁶³³ დაწყვრილებით იხ. ამავე ნაშრომის მე-4 თავის მე-4 პარაგრაფი.

⁶³⁴ დაწყვრილებით იხ. ამავე ნაშრომის მე-4 თავის 4.1 პარაგრაფი.

⁶³⁵ მაგ, კალიფორნიის ფედერალურ სააპელაციო სასამართლოში არათუ სავალდებულო სასამართლო მედიაციის მოდელი მოქმედებს, არამედ ამ სასამართლოს ათამდე მედიატორის ადგილი თავის საშტატო ერთეულში აქვს გათვალისწინებული. შესაბამისად, საკუთარ მომხმარებელს სთავაზობს როგორც პანელისტ მედიატორებს, ასევე, – საშტატოებს. იხ.:<<https://www.ca9.uscourts.gov/>>, [12/01/2016].

ხებ? ასევე, გასაკვირი აღარ უნდა იყოს, თუ რატომ ვერ უზრუნველყო თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე პილოტური პროექტის ფარგლებში ნებაყოფლობითი მედიაციის მოდელმა უკეთესი შედეგები.⁶³⁶ ზემოაღნიშნული მსჯელობის მიუხედავად, არ იქნება გამართლებული, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში სასამართლო მედიაციის პილოტური პროექტის ნებაყოფლობითი მოდელით დაწყების შესახებ გადაწყვეტილებას შეცდომა ვუწოდოთ, ვინაიდან იმთავითვე (2012 წელს) საგადაფებულო მედიაციის ფორმით პროექტის დაწყებას შესაძლოა მოჰყოლოდა ადვოკატთა მხრიდან ამ მომსახურების მიუდებლობა, რაც საერთო ჯამში მეტ ზიანს მოიტანდა.

სასამართლო მედიაციის ინსტიტუტის წარმატებას საქართველოში მხოლოდ სავალდებულო მედიაციის ამოქმედება ვერ უზრუნველყოფს. მართალია, ის მედიაციის მოდელის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია, თუმცა არა – ერთადერთი. სასამართლო მედიაციის მოდელის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ნორმატიული რეგულირების ფორმა. რამდენადაც მედიაციის მთავარი მახასიათებლები: მოქნილობა, არაფორმალურობა, თავისუფლება და დამოუკიდებლობაა,⁶³⁷ ნებისმიერი ქვეყნის კანონმდებლისათვის გამოწვევაა, შეძლოს მედიაციის ინსტიტუტის რეგულირება ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს პროცესში მონაწილე პირების, სასამართლო სისტემისა და თავად ამ ინსტიტუტის ინტერესებს შორის დაბალანსება.

შედარებით-სამართლებრივი კვლევის შედეგად წარმოჩნდა, რომ ნორმატიული რეგულირების ფორმის თვალსაზრისით, სასამართლო მედიაციის მოწესრიგებელი ნორმები იყოფა: ფართო, ვიწრო, ერთიანი და განსხვავებული (დუალისტური) მიდგომის მქონე რეგულირებებად. ფართო რეგულაცია გულისხმობს მედიაციის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს დეტალურ ნორმატიულ რეგულირებას, ხოლო ვიწრო რეგულირება – ნორმატიულ დონეზე ზოგადი ჩარჩოს ჩამოყალიბებით შემოფარგვალას და დარჩენილი საკითხების „რბილი“ ნორმებით მოწესრიგებას. შესაძლოა, კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებდეს შიდა და ტრანს-სასაზღვრო დავების განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმში მოქცევას (მაგ. ავსტრიის კანონმდებლობა⁶³⁸) ან სულაც საკუთარი მოქმედების ტერიტორიაზე სხვადასხვა სასამართლოებში განსხვავებული მოდელების დამკვიდრების შესაძლებლობას (მაგ. კალიფორნიის შტატის სასამართლო წესები⁶³⁹).

ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ აკონკრეტებს სასამართლო მედიაციის მოდელის განმსაზღვრელ სხვადასხვა ასპექტს (განსხვავებით ავსტრიისა და ფლორიდის კანონმდებლობისაგან, სადაც კანონით განსაზღვრულია კრიტერიუმები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს მედიატორი⁶⁴⁰) და ის მხოლოდ ძირითადი პარამეტრების განსაზღვრით შემოიფარგლება, რეგულირების ფორმის თვალსაზრისით სასამართლო მედიაციის მოწესრიგებელი ქართული ნორმები

⁶³⁶ იხ. ამავე ნაშრომის მე-5 თავის 2.2 პარაგრაფი.

⁶³⁷ *McAdoo B., Welsh N.*, Court-Connected General Civil ADR Programs: Aiming for Institutionalization, Efficient Resolution and the Experience of Justice, ADR Handbook for Judges, American Bar Association, 2004, 1.

⁶³⁸ იხ. ამავე ნაშრომის მე-3 თავის მე-2 პარაგრაფი.

⁶³⁹ იხ. ამავე ნაშრომის მე-4 თავის 2.2 პარაგრაფი.

⁶⁴⁰ იხ. ამავე ნაშრომის მე-3 და მე-4 თავები.

რეგულირების ვიწრო მოდელს განეკუთნება. რაც შეეხება ერთიან ან განსხვავებულ მიღომას, ამის შესახებ ქართული კანონმდებლობა ჩანაწერს არ შეიცავს, რაც ნიშნავს, რომ იგი ერთგვაროვანი მიღომით აწერიგებს საკუთარი და უცხო სუბიქტის მონაწილეობით მიმდინარე სასამართლო მედიაციის პროცესს და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს არ უზღვდავს კონკრეტულ სასამართლოებში ერთმანეთისაგან განსხვავებული მოდელების დამკავიდრების შესაძლებლობას. მისასალმებელია ის ფაქტი, რომ არსებული საკანონმდებლო რეგულირება მოქნილია, კერძოდ, იძლევა არჩევანის შესაძლებლობას რეგულირების ან მის გარეშე („ფუტკრის ინტელექტის“ პრინციპით მომხმარებელთა ინტუიციაზე) პროცესის დატოვებისა. შესაბამისად, სასამართლო მედიაციის შესახებ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებები ცალსახად პოზიტური მოვლენა იყო ქართულ მართლმსაჯულებაში მედიაციის დასახერგად, თუმცა – არასაქმარისი. კერძოდ, მართლმსაჯულების პოლიტიკის შემმუშავებელმა ორგანოებმა, მედიატორთა ასოციაციებმა და სამედიაციო ცენტრებმა „რბილი სამართლის“ ნორმების დახმარებით საჭიროა შეაგხსონ კანონმდებლის მიერ რეგულირების გარეშე დატოვებული სიცარიელე. უფრო კონკრეტულად, ნორმატიული რეგულირების თვალსაზრისით, ქართული სასამართლო მედიაციის პრობლემები იკვეთება მედიაციის ცნების – დეფინირების, სასამართლო მედიაციის მაკოორდინირებელი ორგანოს, სამედიაციო ცენტრების თანამშრომელთა უფლებამოსილების განმსაზღვრელი დოკუმენტის, მედიაციის პროცესის ხარისხის მაკონტროლებელი ნორმების, მედიატორთა პროფესიული სტანდარტისა და ვალდებულებების განმსაზღვრელი დოკუმენტის არარსებობასა და მედიაციისათვის მისამართად არასაქმარის წამახალისებელ მექანიზმებთან დაკავშირებით. აღნიშნული პრობლემები კიდევ უფრო მწვავედ წარმოჩნდება სავალდებულო მედიაციაზე გადასვლის შემთხვევაში. აქედან გამოდინარე, საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრის სწრაფი და ეფექტური გზა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (როგორც სასამართლო სისტემის პოლიტიკის შემმუშავებელი ორგანოს) მიერ სასამართლო მედიაციის ცენტრის დებულების, მედიატორთა ეთიკის კოდექსისა და საერთო სასამართლოების სისტემაში საქმეთა წარმოების წესში ცვლილებების შეტანა იქნება, რაც, პრობლემების გადაწყვეტასთან ერთად, სასამართლო მედიაციას მეტ მიმზიდველობასა და გარანტიებს შესძენს. კერძოდ, „სასამართლო მედიაციის ცენტრის დებულებით“ შესაძლებელია შემდეგი საკითხების მოწესრიგება:

- სასამართლო მედიაციის პროექტის მაკოორდინირებელი უწყების ჩამოყალიბება;
- მედიაციის ცენტრის (მათ შორის მისი ადმინისტრატორის) ფუნქციებისა და კომპეტენციის შემუშავება;

უდავოა, რომ დავების გადაწყვეტის პარადიგმის შესაცვლელად (შეჯიბრებითიდან თანამშრომლობით მოდელზე გადასასვლელად) სასამართლო მედიაციის მომაწესრიგებელი ნორმების შექმნა საკმარისი არ არის. მედიაციის სასამართლო სისტემაში ეფექტური ინტეგრირებისათვის საჭიროა რეგულაციებთან ერთად შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა, რაც სხვა საკითხებთან ერთად გულისხმობს: სამედიაციო ცენტრსა და სასამართლოებს შორის კავშირის ოპტიმალური ფორმის მოძიებას. შესა-

ბამისად, მედიაციის მოდელის განმსაზღვრელი მესამე კომპონენტი სასა-მართლოსა და სამედიაციო ცენტრს შორის კავშირის ფორმაა.

სასამართლო მედიაციის პროგრამის დიზაინის შემუშავებისას მნიშვნელოვანია, მართლმსაჯულების პოლიტიკის განმსაზღვრელმა პირებმა არჩევანი გააკეთონ სამედიაციო ცენტრის განთავსებისა (სასამართლოებში მისი ადგილის) და მედიატორებთან თანამშრომლობის ფორმაზე. ქართული კანონმდებლობა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, სასამართლო მედიაციის პროგრამის დიზაინთან დაკავშირებით საკმაო თავისუფლებას ანიჭებს მართლმსაჯულების წარმომადგენლებს. კერძოდ, ქართული კანონმდებლობა იძლევა სასამართლო მედიაციის პროგრამის, როგორც სასამართლოების შიგნით, ისე მის გარეთ გატანის შესაძლებლობას (*court based and court annexed mediation*). კანონმდებლობის მიერ აღნიშნული საკითხის დიად დატოვება განსაკუთრებით მნიშვნელობას იძენს დღვიანდელ მოცემულობაში, როცა არსებული მართლმსაჯულების ბიუჯეტითა და რესურსებით (მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური) საკმაოდ რთული ამოცანაა საქართველოს საერთო სასამართლოებში არსებულ 24 გაერთიანებულ პირებით ინსტანციისა და 2 სააპელაციო სასამართლოში მოქმედი სამედიაციო ცენტრების ჩამოყალიბება. ერთი მხრივ, სასამართლოში მოქმედი სამედიაციო ცენტრებში მედიაციის პროცესის ხარისხის მაკონტროლებელი მექანიზმები უკეთ მოქმედებს, ვიდრე სასამართლოს გარეთ მოქმედ სასამართლოს სამედიაციო ცენტრებში. ასევე, ის უფრო მოსახერხებელი და კომფორტულია სასამართლოს მომხმარებლისათვის. მიუხედავად ამ უპირატესობებისა, მეორე მხრივ, ამ ფორმით მედიაციის ინსტიტუტის სასამართლო სისტემაში ინტეგრირება საკმაოდ დიდ დროის, ადამიანურ და მატერიალურ რესურსს მოითხოვს. ვინაიდან მართლმსაჯულების ინტერესებში შედის სასამართლო მედიაციის პროგრამის მთელი საქართველოს მასშტაბით დროული ამოქმდება, ამიტომ ცენტრები უნდა ამოქმედდეს იმ ფორმით, როს საშუალებასაც კონკრეტულ სასამართლოებში არსებული რესურსი იძლევა. მით უფრო, როცა მსგავსი მიდგომა (სხვადასხვა რაიონის, ქალაქის თუ ოლქის სასამართლოებში განსხვავებული მოდელის დავის გადაწყვეტის ალტერნატიული პროგრამების შეთავაზება) აპრობირებულია აშშ-ში, სადაც ის წარმატებული და ეფექტური გამოდგა.⁶⁴¹ ასევე, არსებობს გერმანული გამოცდილებაც, სადაც ფედერალურმა ხელისუფლებამ ადგილობრივ ხელისუფალთ მიანდო მედიაციის მოდელის ადგილობრივი საჭიროებებისა და რესურსების გათვალისწინებით გადაწყვეტის შესაძლებლობა. შესაბამისად, სხვადასხვა სასამართლოებში ერთმანეთისაგან განსხვავებული მიდგომა შეიძლება გავრცელდეს მედიაციის მოდელთან მიმართებით საქართველოშიც. იქ, სადაც ინფრასტრუქტურა (ოთახები და მედიაციისათვის საჭირო სივრცე) არსებობს, შესაძლოა სასამართლოშივე შეიქმნას სამედიაციო ცენტრები, ხოლო იქ, სადაც არსებული ინფრასტრუქტურა არ იძლევა სამედიაციო ცენტრების სასამართლოს ტერიტორიაზე განთავსების საშუალებას, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს გარე რესურსი. მთავარია, ქართულ სასამართლო სისტემაში დროულად, ეფექტურად და ზემოჩამოთვლილი პრინციპების დაცვით ამოქმედდეს სასამართლო მედიაციის პროგრამა.

ქართულ მართლმსაჯულებაში მედიაციის ინსტიტუტის დამკვიდრებისა და ეფექტური ფუნქციონირებისათვის ოპტიმალური მოდელით ამოქ-

⁶⁴¹ იხ. ამავე ნაშრომის მე-4 თავი.

მედებასთან ერთად აუცილებლობას წარმოადგენს ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება. კანონმდებლობის ამოქმედებიდან დღემდე მიღებულ, შედეგების ანალიზითაც კარგად ჩანს, რომ კანონპროექტის განმარტებით ბარათში მოცემული კანონის მიღების გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრა და დასახული მიზნების მიღწევა ოთხი წლის მანძილზე ვერ მოხერხდა,⁶⁴² რასაც ხელი შეუწყო პროექტის ადმინისტრირების პროცესში გამოვლენილმა ხარჯებებმა.⁶⁴³ რაშიც, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება: სასამართლო მედიაციის ხედვისა და სტრატეგიის შემუშავება, სტრატეგიაზე დაყრდნობით ცვლილების პროცესის მართვა და მედიაციის შესახებ საზოგადოების ცნობიერების გაზრდა. ნათელია, საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში მედიაციის თანმიმდევრულ და ეტაპობრივ განვითარებას ხელი შეუშალა სასამართლო ხელისუფლებაში მედიაციის განვითარების შესახებ საერთო ხედვის, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის არარსებობამ. მართალია, სასამართლო მედიაციის სტრატეგიის შემუშავება ცდება ნაშრომის მიზნებს, მაგრამ აუცილებელია აღინიშნოს, რომ მის საყრდენ პრინციპებს უნდა წარმოადგენდეს:

- სასამართლოს შესაძლებლობის გაზრდა შემოსულ საქმეებთან გამკლავების თვალსაზრისით;
- სასამართლოს მომხმარებელზე ორიენტირებული და მოქნილი მომსახურების შეთავაზება;
- დავების ადრეული გადაწყვეტის წახალისება;
- დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების გამოყენებით სასამართლოს მომხმარებელთა კმაყოფილების ამაღლება.

როგორც ცვლილების მენეჯმენტის ექსერტები მიუთითებენ, თუ გვინდა რომ მოვახდინოთ სისტემის ცვლილება, აუცილებელია ახალი სისტემა ემყარებოდეს და აპელირებდეს ძველ, საუკეთესო გამოცდილებაზე.⁶⁴⁴ აქედან გამომდინარე, დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის ისტორიული გამოცდილების არსებობა ქმნის საქართველოში მედიაციის ხელახლა დამკვიდრებისათვის კარგ ნიადაგს. მეტიც თავად იღია ჭავჭავაძე თავის პუბლიკაციებში ქმნის კონცეფციას იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს სასამართლო ხელისუფლების პოლიტიკა საქმეთა მართვის, მართლმსაჯულების განხორციელებისა და მომსახურების გაწევის კუთხით. კერძოდ, იგი მიუთითებდა სწრაფ, მარტივ და არაფორმალურ მართლმსაჯულებასა და მოქალაქეთა ინტერესებზე ორიენტირებულ სასამართლოს მნიშვნელობაზე.

პროცესის ეფექტური ადმინისტრირების შემდეგი გამოწვევა სასამართლო მედიაციის შესახებ საზოგადოების ცნობიერების გაზრდაა. პრობლემის გადაწყვეტას, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობდა საქართველოს განათლების სამინისტროსა და სამართლის სკოლების ერთობლივი ძალისხმევა მედიაციის საგნის სავალდებულო სასწავლო დისციპლინად გამოცხადების შესახებ. მეორე მხრივ, იღია ჭავჭავაძის გამონათქმებს აქვს პოტენციალი, გახდეს ქართული სასამართლო მედიაციის სლოგანი

⁶⁴² აღნიშნულს ადასტურებს 2011 წელს გაკეთებულ შეფასებებში დაფიქსირებული მოლოდინი და რეალური სტატისტიკური მონაცემები.

⁶⁴³ იხ. ამავე ნაშრომის მე-5 თავის 2.3 პარაგრაფი.

⁶⁴⁴ Heath C., Heath D., Switch: How to Change Things When Change is Hard, Broadway Books, New York, 2010, 23.

და მათზე აიგოს თანამედროვე სასამართლო მედიაციის საკომუნიკაციო სტრატეგია.⁶⁴⁵

ქართული მედიაციის პრაქტიკისა და კანონმდებლობის შესახებ საერთაშორისო ექსპერტების მიერ მომზადებულმა დასკვნებმა ნათლად წარმოაჩინა, რომ სასამართლო მედიაციის არადამაკმაყოფილებელი რეზულტატი გამოწვეულია მედიაციის ინსტიტუტისადმი მართლმსაჯულების პოლიტიკის შემმუშავებელ პირთა სუსტი მხარდაჭერით, მედიაციის შესახებ სასამართლოს მომხმარებელთა ცნობიერების დაბალი დონითა და რაც მთავარია – სავალდებულო მედიაციის ამოქმედების დაყოვნებით. შესაბამისად, აუცილებელია როგორც რეგულირების, ისე ადმინისტრირების თვალსაზრისით არსებული პრობლემების დროული და ეფექტური გადაწყვეტა, რაც შეძლებს: სასამართლო მედიაციის პროგრამის მომხმარებელზე, შედეგსა და პრობლემის გადაწყვეტაზე ორიენტირებას; მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობისა და მასში მონაწილე მხარეებისათვის სამართლიანი პროცედურების უზრუნველყოფას; სასამართლო მედიაციის პროგრამის ფართოდ გამოყენებას, მისი შედეგის საბოლოობას, სამართლიანობას, ქმედითი მორიგების აქტით დავის გადაწყვეტას და მასში მონაწილე პირების კმაყოფილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ სასამართლო მედიაციის დამკვიდრება კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს. ამ ინსტიტუტის ეფექტურად ამოქმედებისათვის ყველა დეტალი მნიშვნელოვანია, მით უფრო, საწყის ეტაპზე. ზემოაღნიშნული მოდელით მედიაციის ინსტიტუტის ამოქმედება, მაღალი ალბათობით, შეძლებს, ერთი მხრივ, საქართველოში უთანხმოებათა მორიგებით დამთავრების პულტურის ფორმირებასა და სასამართლოში განხილულ საქმეებსა და მედიაციით გადაწყვეტილ დავებს შორის დაბალანსებული თანაფარდობის მიღწევას. მეორე მხრივ, მართლმსაჯულების განტვირთვას, დავების სწრაფ, მშვიდობიან და არსებული რესურსების ოპტიმალური გამოყენებით გადაწყვეტას. ჩამოთვლილ საკითხთა პრიორიტეტულობაზე ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში იღლია ჭავჭავაძე საუბრობდა და დღესაც იმავეს იმეორებენ, როგორც ქართველი და ისე საერთაშორისო ექსპერტები. შესაბამისად, ისინი სანდო და უტყუარია.

იდენტიფიცირებული მოდელით სასამართლო მედიაციის დამკვიდრება ქართული მართლმსაჯულების პოლიტიკის შემმუშავებელ პირთა მხრებზეა. იმისათვის, მათ წარმატებით გაართვან თავი დაკისრებულ მოვალეობას, საჭიროა ახლებურად გაიაზრონ სასამართლოს როლი თანამედროვე სახელმწიფოში. კერძოდ, ის, რომ სასამართლო სისტემის ფუნქცია სამართლებრივი დავის გადასაწყვეტად მოქალაქეთა ტრადიციული დახმარებით აღარ უნდა შემოიფარგლოს და საჭიროა, ქართულმა სასამართლოებმა ფეხი აუწყონ „მრავალსარკმლიანი სასამართლოსა“⁶⁴⁶ და „ახალი საჯარო მმართველობის“ კონცეფციების შედეგად განვითარებული ქვეყნების სასამართლო სისტემებში გატარებულ ცვლილებებს. აქედან გამომდინარე, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის გზების – მედიაციის ეფექტიანი მოდელის დანერგვა იქნება მართლმსაჯულების მოდერნიზებისა და რეფორმირების სულისკვეთების მიმანიშნებელი, აგრეთვე გაამყარებს პოზიციას, რომ ქართული სასამართლო სისტემა სამართლის

⁶⁴⁵ იხ. ამავე ნაშრომის მე-5 თავი.

⁶⁴⁶ იხ. ამავე ნაშრომის მე-4 თავის 1.1 პარაგრაფი.

უმთავრესი დანიშნულების – სოციალური მშვიდობისა და მოქალაქეთა ჰარმონიული თანაცხოვრების უზრუნველსაყოფად „არცერთ ქვას ამოუტ-რიალებელს არ ტოვებს“. მეტიც, ცდილობს მაქსიმალურად ხელი შეუწყოს საზოგადოებაში სიმშვიდისა და კეთილდღეობის დასადგურებას.

სწორედ ამიტომ საქართველოსთვის, ისევე, როგორც ბევრი სხვა „გარდამავალი მართლმსაჯულების პერიოდში“⁶⁴⁷ მყოფი ქვეყნისათვის, რომელიც უფექტურად ვერ უმკლავდება სამოქალაქოსამართლებრივი და-ვების სწრაფ და დროულ გადაწყვეტას, სასამართლო მედიაციის პროექტის რეალიზებას ექნება გადამწყვეტი მნიშვნელობა სასამართლოსადმი საზოგადოების ნდობის მოსაპოვებლად, მართლმსაჯულების ხარისხის გასაუმჯობესებლად და, რაც მთავარია, დიდ როლს შეასრულებს სისტემის ტრანსფორმირებაში.

⁶⁴⁷ ინგ. Transitional Justice- ეს ტერმინი გამოიყენება სამართლებრივი და არასამართლებრივი დონისძიებების (მათ შორის, ინსტიტუციური რეფორმების) ერთობლიობის აღსანიშნავად, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა ქვეყანაში, რათა შეცვალოს მემკვიდრეობით მიღებული სისტემა. იხ.:<<https://www.ictj.org/about/transitional-justice>>, [01/10/2016].

ბიბლიოგრაფია

ქართულ ენაზე:

გიორგაძე ი., გურგენიძე ნ., ილია ჭავჭავაძე: ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე, ბიბლიოგრაფიული ქრონიკა 1837-1907, მეცნირება, თბილისი, 1987.

დავითაშვილი გ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბილისი, 2004.

კეკელია გ., რედ., ქართული ჩვეულებითი სამართალი, ტ. 3, მთავარი გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი, 1991.

კეკელია გ., რედ., ქართული ჩვეულებითი სამართალი, ტ. 4, მთავარი გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი, 1993.

ლამაზერერი ა., კოლხონი ო., მოლაპარაკების მეთოდები, ჯისიაი, თბილისი, 2009.

ოსტერმილერი გ. ს., სვენსონი რ. დ., დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, მერიდიანი, თბილისი, 2014.

ტანსკი, გ., გზა მედიაციისაკენ. კანონმდებლობა და სამედიაციო პრაქტიკა პოლონეთში, პარტნერს პოლსკა, ვარშავა, 2013.

ცერცვაძე გ., მედიაცია, მერიდიანი, თბილისი, 2010.

ცვაიგერტი კ., კოტცი პ., შედარებით სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. I, ჯისიაი, თბილისი, 2000.

ციბელიუსი რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება, ბეკის გამომცემლობა, მიუნიენი, 2006.

წელუკიანი, ა., სვანური ბჭე-მედიატორული სასამართლო, ქურნალი: სახელმწიფო და სამართალი, №9, 1990.

ჭავჭავაძე ი., მომრიგებელი მოსამართლეობა ჩვენში, წერილი მეექსე, პუბლიცისტური წერილები, ტ. IV, გამომცემლობა საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1987.

ჭავჭავაძე ი., მომრიგებელი სასამართლოების შესახებ, გაზეთი ივერია, №86, 1886.

የፖ.ብ.ሪ. ወናቶዬ

Abramson I. H., Mediation Representation, Second Ed., Oxford University Press, New York, 2011.

Alexander M. N., International and Comparative Mediation: Legal Perspectives, Vol. 4, Kluwer Law International, Austin, 2009.

Alexander M. N., Four Mediation Stories from Across the Globe, Rabels Zeitschrift fur Auslanisches und Internationals Privatrecht (the Rabel Journal), No. 4, 2010.

Allen T., A Closer Look at Halsey and Stell, www.cedr.com, 2004.

Bevan A., Alternative Dispute Resolution, Sweet & Maxwell, London, 1992.

Bhatia K. V., Candlin N. C., Gotti M., The Discourses of Dispute Resolution, Peter Lang, Bern, 2010.

Blackshaw I. S., TMC Asser Instituut (La Haye), Sport, Mediation and Arbitration, T.M.C. Asser Press, Hague, 2009.

Brown J. H., Marriott A., ADR Principles and Practice, Third Ed., Sweet & Maxwell, London, 2011.

Buhring-Uhle C., Kirchhoff L., Scherer G., Arbitration and Mediation in International Business, Kluwer Law International, Alphen aad den Rijn, 2006.

Chern C., International Commercial Mediation, Informa, London, 2008.

Cloke K., Level of Resolution, Pepperdine Dispute Resolution Law Journal, No.4, 2004.

De Palo G., Trevor B. M., EU Mediation: Law and Practice, Oxford University Press, Oxford, 2012.

De Palo G., D'Urso L., Trevor M., Branion b., Canessa R., Cawyer B., Florence R., “Rebooting” the Mediation Directive: Assessing the Limited Impact of its Implementation and Proposing Measures to Increase the Number of Mediations in the EU, Directorate General for Internal Policies, European Parliament’s Committee on Legal Affairs, Brussels, 2014.

De Palo, G., Voluntary Mediation? Apparently, the False Prince Charming, www.mediate.com, 2014.

Espilugus C., Iglesias J. L., Palao G., Civil and Commercial Mediation in Europe: National Mediation Rules and Procedures, Vol. I, Intersentia, Cambridge, 2013.

Fenn P., Commercial Conflict Management and Dispute Resolution, Routledge, Oxon, 2011.

Fiadjo A., Alternative Dispute Resolution: a Developing World Perspective, Cavendish Publishing Limited, London, 2004.

Filler A. E., Commercial Mediation in Europe, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2012.

Fiss O., Against Settlement, *The Yale Law Journal*, Vol. 93, #6, 1984.

Folberg J., Golann D., Kloppenberg A. L., Stipanowich J. T., Resolving Disputes: Theory, Practice and Law, 2nd ed., Aspen Publishers, New York, 2010.

Folberg J., Golann D., Lawyer Negotiation: Theory, Practice and Law, 2nd Ed., Wolters Kluwer Law & Business, New York, 2011.

Folberg J., Robert A., Bush B., Transformative Mediation and Third-Party Intervention: Ten Hallmarks of a Transformative Approach to Practice, *Mediation Quarterly*, Vol. 13, No. 4, 1996.

Frascogna M. X., Hetherington H. L., The Lawyer's Guide to Negotiation, Second Ed., American Bar Association, Chicago, 2009.

Goldberg S., Sander F., Rogers N., Cole S. R., Dispute Resolution: Negotiation, Mediation and other Processes, Wolters Kluwer Law & Business, Six Ed., New York, 2012.

Heath, C., Heath, D., Switch: How to Change Things When Change is Hard, Broadway Books, New York, 2010.

Herrman S. M., The Blackwell Handbook of Mediation: Bridging Theory, Research and Practice, Blackwell Publishing, Malden, 2006

Hodge C., Vogenauer S., Tulibacka M., The Costs and Funding of Civil Litigation, Hart Publishing, Oregon, Oxford and Portland, 2010.

Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013.

Ingen-Housz A., ADR in Business: Practice and Issues Across Countries and Cultures, Vol. II, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2011.

Kelly D., Holmes A., Hayward R., Business Law, Fifth Ed., Cavendish Publishing Limited, London, 2005.

Kimberlee K. K., On Changing Role of Models for Attorneys in Mediation, Texas Law Review, No. 28, 1997.

Kimberlee K. K., Mediation in a Nut Shell, 2nd Ed., West – A Thomson Reuters Business, St. Paul, 2003.

Love P. L., Stulberg B. J., Practice Guidelines for Co-Mediation: Making Certain that “Two Heads Are Better Than One”, Mediation Quarterly, Vol. 13, No. 3, 1996.

Martinez J., Purcell S., Shaked-Gvili H., Mehta M., Dispute System Design: a Comparative Study of India, Israel and California, Cardozo Journal of Conflict Resolution, Vol.14, 2013.

Menkel-Meadow J. C., Love P. L., Schneider K. A., Sternlight R. J., Dispute Resolution: Beyond the Adversarial Model, Aspen Publishers, New York, 2005.

McAdoo B., Welsh N., Court-Connected General Civil ADR Programs: Aimig for Institutionalization, Efficient Resolution and the Experience of Justice, ADR Handbook for Judges, American Bar Association, 2004.

McEwen A. C., Maiman J. R., Mediation in Small Claims Court: Achieving Compliance Through Consent, Law & Society Review, Vol. 18, No. 1, 1984.

McIlwrath M., Savage J., International Arbitration and Mediation: a Practical Guide, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2010.

Moore W. C., The Mediation Process: Practical Strategies for Resolving Conflicts, Third Edition, Jossey-Bass, San Francisco, 2003.

Nolan-Haley M. J., Court Mediation and The Search for Justice Through Law, Washington University Law Quarterly, Vol. 74, 1996.

Partidge M. V., Alternative Dispute Resolution: an Essential Competency for Lawyers, Oxford University Press, New York, 2009.

Goldsmith J. C., Ingen-Housz A., Pointon G. H., ADR in Business: Practice and Issues Across Countries and Cultures, Vol. II, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2011.

Quirk D., Mandatory Mediation: an Oxymoron? Examining The Feasibility of Implementing a Court-Mandated Mediation Program, *Cardozo Journal of Conflict Resolution*, Vol. 11:479, 2010.

Relis T., Perceptions in Litigation and Mediation: Lawyers, Defendants, Plaintiffs and Gendered Parties, Cambridge University Press, New York, 2009.

Riskin L., Understanding Mediators' Orientations, Strategies and Techniques: A Grid for the Perplexed, "Harvard Negotiation Law Review", Vol.1:7, 1997.

Roberts M. M., *Mediation in Family Disputes*, Ashgate Publishing Ltd., Burlington, 2014.

Rogers H. N., *McEwen A. C.*, Mediation: Law, Police, Practice, The Lawyers Co-operative Publishing Company, Rochester, 1989.

Rozdeiczer L., *de la Campa A. A.*, Alternative Dispute Resolution Manual: Implementing Commercial Mediation, USA: Small and Medium Enterprise Department, World Bank Group, Washington DC, 2006.

Smith S., *Martinez J.*, An Analytical Framework for Dispute System Design, Harvard Negotiation Law Review, Vol. 14, 2009.

Spencer D., *Brogan M.*, *Brogan C. M.*, Mediation Law and Practice, Cambridge University Press, New York, 2006.

Sternlight J. R., *Menkel-Meadow C. J.*, *Porter Love L.*, *Kupfer Schneider A.*, Dispute Resolution: Beyond the Adversarial Model, Aspen Publishers, New York, 2005.

Uzelac A., *Knezevic G.*, *Austermiller S.*, *Hadzic M.*, *Ribica J.*, *Zivanovic A.*, *Mrdovic F.*, *Skoko B.*, *Busevac L.*, Paths of Mediation in Bosnia and Herzegovina, International Finance Corporation, Sarajevo, 2009.

Warne J., International Commercial Dispute Resolution, Tottel Publishing, West Sussex, 2009.

Wayne D. B., For Judges: Suggestions About What to Say About ADR at Case Management Conferences and How to Respond to Concerns or Objections Raised by the Councils, *Ohio State Journal on Dispute Resolution*, No. 16, 2000.

Zalar A., Managing Judicial Change Through Mediation – Part 1, *ADR Bulletin*, Vol. 6, No. 8, 2004.

Zalar A., Managing Judicial Change Through Mediation – Part 2, ADR Bulletin, Vol. 6, No. 9, 2004.

საგანონდვებლო ძეგლი:

Austrian Civil Law Mediation Act - Zivilrechts-mediations-Geset, 2003.

Austrian Civil Law Mediation Training Regulation - Zivilrechts-Mediations-Ausbildungsverordnung - ZivMediat-AV, 2004.

California Evidence Code, 2011.

California Code of Civil Procedure, 2015.

Civil Procedural Code of Austria - Gesetz über das gerichtliche Verfahren in bürgerlichen Rechtsstreitigkeiten, 2011.

Civil Justice Reform Act of US, 1990.

Code of Civil Procedure of Germany (ZPO) - Zivilprozessordnung, 2013.

Dispute Resolution Act of US, 1998.

Directive 2008/52/EC, of the European Parliament and of the Council, on Certain Aspects of Mediation in Civil and Commercial Matters, 21 May 2008.

Directive 2013/11/EU, of the European Parliament and of the Council, On Consumer ADR, 21 May 2013.

European Code of Conduct for Mediators, 2004.

Florida Statutes, 2012.

Florida Rules of Civil Procedure, 2015.

Florida Family Law Rules of Procedure, 2015.

German Mediation Act – Mediationsgesetz, 2012.

Green Paper on ADR, EU, 2002.

Introduction to the Civil Procedure - Gesetz, betreffend die Einführung der Zivilprozeßordnung, 2002.

Model Standards of Conduct for Mediators, US, 2005.

National Standards for Court-Connected Meditation Programs, 2009.

Texas Civil Practice and Remedies Code, 2005.

UNCITRAL Model Law on International Commercial Conciliation, 2002.

Uniform Mediation Act, 2001.

US Presidential (Executive) Order # 12988, 1996.

სასამართლო გადაწყვეტილებები:

Ashingdane vs. The United Kingdom, Judgment of the European Court of Human Rights, Application No. 8225/78, 1985.

Foxgate Homeowners' Association v. Bramela California, Inc., 92 Cal. Rptr. 2d 916, 926 et seq. (Cal., App 2nd Dist., 2000).

Olan v. Congress Mortgage Company, 68 FS 2d 1110, 1122 et seq. (N.D. Cal., 1999).

Texas Parks and Wildlife Department v Davis, 988 S.W.2d 370, 375et seq. (Tex. App.-Austin 1999)

Texas Department of Transportation v. Pirtle, 977S.W.2d 657, 658 (Tex. App.-Fort Worth 1998).

Woodside Homes of California v. The Superior Court of Riverside, 107 Cal. APP. 4th Dist., 2003. 723, 731.

ინტერნეტ წყაროები:

<http://eur-lex.europa.eu/homepage.html>

http://www.uncitral.org/uncitral/en/uncitral_texts/arbitration/2002Model_conciliation.html

www.unicitral.org

<http://www.normattiva.it/uri-res/N2Ls?urn:nir:stato:decreto.legislativo:2010-03-04;28!vig=>

<http://www.cortecostituzionale.it/actionSchedaPronuncia.do?anno=2012&numero=272>

https://www.ris.bka.gv.at/Dokumente/BgblPdf/2003_29_1/2003_29_1.pdf

http://mit-austria.at/sites/default/files/pages/attachments/mediation-ausbildungsverordnung_0.pdf

http://ec.europa.eu/civiljustice/adr/adr_ec_code_conduct_en.pdf

<http://www.mediate.com/articles/umafinalstyled.cfm>

<http://www.imimediation.org/home>

<http://www.un.org/documents/ga/res/21/ares21.htm>

<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX:52002DC0196>

<http://www.iccwbo.org/about-icc/organization/dispute-resolution-services/icc-international-centre-for-adr>

<http://www.cpradr.org/>

<http://www.iamed.org>

<http://www.worldmediationforum.com/en/>

<http://wipo.int/amc/en>

http://www.mediate.com/pdf/riskinL2_Cfm.pdf

http://www.gesetze-im-internet.de/englisch_mediationsg/englisch_mediationsg.html

http://www.gesetze-im-internet.de/englisch_zpo/englisch_zpo.html#p0020

http://www.wipo.int/wipolex/en/text.jsp?file_id=230305

<http://www.coe.int/T/dghl/cooperation/cepej/evaluation/>

www.uscourts.gov/Statistics/FederalJudicialCaseloadStatistics/caseload-statistics-2014.aspx

<http://www.uscourts.gov/Statistics/civilJusticeReformActReport.aspx>

www.uscourts.gov/statistics-reports/analysis-reports/civil-justice-reform-act-report

<http://www.adr.gov/ADR%20ACT%201998.pdf>

<http://www.pcrcweb.org/>

<http://saccourt.ca.gov./local-rules/docs/chapter-04.pdf>

<http://www.courts.ca.gov>

<http://www.courts.ca.gov/documents/respondent-med-appeal.pdf>

www.flsenate.gov/Laws/Statutes/2012/44.201

http://www.floridasupremecourt.org/pub_info/summaries/briefs/04/04-2482/04-2482_AppendixA113004.pdf

[https://www.floridabar.org/TFB/TFBResources.nsf/Attachments/416879C4A88CBF0485256B29004BFAF8/\\$FILE/Family.pdf?OpenElement](https://www.floridabar.org/TFB/TFBResources.nsf/Attachments/416879C4A88CBF0485256B29004BFAF8/$FILE/Family.pdf?OpenElement)

http://www.leginfo.ca.gov/.html/ccp_table_of_contents.html

<http://law.justia.com/codes/texas/2005/cp.html>

<http://www.mediate.com/articles/umafinalstyled.cfm>

<http://www.leginfo.ca.gov/cgi-bin/calawquery?codesection=evid>

http://www.americanbar.org/groups/professional_responsibility/publications/model_rules_of_professional_conduct/model_rules_of_professional_conduct_table_of_contents.html

http://www.sanmateocourt.org/court_divisions
<http://courtadr.org/files/NationalStandardsADR.pdf>
<http://www.jamsadr.com/jamsfoundation/xpqGC.aspx?xpST=JAMSFoundation>
<http://cndr.uchastings.edu/professionals/ii.php>
<http://prevention.gov.ge/prevention.gov.ge/uploads/files/2015/20150831.pdf>
<http://www.cand.uscourts.gov/adr>
<http://www.supremecourt.ge/statistics/>
<http://parliament.ge/ge/law/7675/15264>
<http://www.ag.gov.au/LegalSystem/AlternateDisputeResolution/Pages/NADRACPublications-A-Z.aspx>
www.mediate.com